ბ ი ვ ი ქ ი ღ უ რ ა ძ ე

ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ო მ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ

(მ ა რ ტ ი კ ო ს პ ი რ ვ ე ლ ი ქ რ ი ზ ი ს ი)

ს ტ ა ლ ი ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს
თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

თ ბ ი ლ ი ს ი — 1960

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ომების აღმოცენების მიზეზების გარკვევა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ მოვლენის ახსნის საქნეში ბურჟუაზიული იდეოლოგია განსაკუთრებულ ტენდენციურობას იჩენს. ამდენად ომების წარმოშობის ჭეშმარიტი სურათის დადგენა საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა მსოფლიო პროგრესული ძალები და ყველა კეთილი ნების ადამიანი მშვიდობისათვის ბრძოლის დიდ ფერხულშია ჩაბმული.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ომი როდია შემთხვევითი რამ, როდია „ცოდვა", როგორც ფიქრობენ ქრისტიანი ხუცები··· არამედ გარდაუვალი საფეხურია კაპიტალიზმისა, ისევე კანონიერი ფორმაა კაპიტალისტური ცხოვრებისა, როგორც მშვიდობიანობა"[1].

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი საბოლოოდ თავის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ საფეხურში—იმპერიალიზმში—გადაიზარდა. ამიერიდან ომები განსაკუთრებით გარდუვალი გახდა. იმპერიალიზმმა კაცობრიობას თავს მოახვია გამანადგურებელი პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი; მსოფლიოს რეაქციულმა იმპერიალისტურმა ძალებმა მოამზადეს, ხოლო გერმანიის ფაშიზმმა გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი. დღეს ამერიკის მეთაურობით მსოფლიო იმპერიალისტები კაცობრიობას ახალ ომს უმზადებენ. მაგრამ მათ ვერაგულ ზრახვებს წინ ეღობება სოციალიზმის მძლავრი ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 21, გვ. 31.

საბჭოთა ისტორიკოსებს მარად ახსოვთ ვ. ი. ლენინის მითითება: „უნდა განვუმარტოთ ხალხს იმის რეალური ვითარება, თუ რა დიდია ის საიდუმლოება, რომელშიც ომი წარმოიშობა“ [1]. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მცირედი წვლილი შეიტანოს ამ საიდუმლოების ამოხსნის საქმეში და გააშუქოს პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის მომზადების ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, წარმოადგინოს „მაროკოს პირველი“ კრიზისის, რომელმაც აღნიშნული ომის მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, აღმოცენებისა და განვითარების ისტორია.

ვ. ი. ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ ამომწურავ პასუხს გვაძლევს იმპერიალისტური ომების წარმომშობი მიზეზების შესახებ. „თავისუფალი ვაჭრობა და მშვიდობიანი კონკურენცია, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — შესაძლებელი და აუცილებელი იყო, ვიდრე კაპიტალს შეეძლო შეუფერხებლად გაეღიდებინა კოლონიები და ხელთ ეგდო დაუკავებელი მიწები აფრიკაში და სხვაგან, ამასთან კაპიტალის კონცენტრაცია ჯერ კიდევ სუსტი იყო. მონოპოლისტური საწარმოები, ე. ი. ისეთი უზარმაზარი საწარმოები, რომ მათ ებატონათ მრეწველობის მთელ მოცემულ დარგში, ჯერ კიდევ არ იყო. ასეთ მონოპოლისტურ საწარმოთა წარმოშობა და ზრდა... შეუძლებელს ხდის წინანდელ თავისუფალ კონკურენციას, ფეხიდან ნიადაგს აცლის მას, ხოლო დედამიწის გაყოფა მონოპოლისტებს იძულებულს ხდის მშვიდობიან გაფართოებიდან გადავიდნენ შეიარაღებულ ბრძოლაზე კოლონიებისა და გავლენის სფეროების გადაყოფისათვის“ [2].

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, როცა კაპიტალიზმი საბოლოოდ გადაიზარდა იმპერიალიზმში და მსოფლიო უკვე ძირითადად განაწილებულია, დღის წესრიგში დგება მისი ხელახალი განაწილების საკითხი.

ცნობილია, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება არათანაბრად ხდება, ნახტომების გზით. „...საწარმოების, ტრესტების, მრეწველობის დარგებისა და

---

[1] ვ. ი. ლენინი, შენიშვნები ჰააგაში ჩვენი დელეგაციის ამოცანების საკითხის გამო, თხზ., ტ. 33, გვ. 528.

[2] ვ. ი. ლენინი, II ინტერნაციონალის კრახი, თხზ., ტ. 21, გვ. 264—265.

ცალკეული ქვეყნების განვითარება ხდება უთანაბროდ, არა დაწესებული რიგის მიხედვით, არა ისე, რომ ერთი ტრესტი, მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი ქვეყანა მუდამ წინ მიდიოდეს, ხოლო სხვა ტრესტები ან ქვეყნები უკან რჩებოდნენ თანმიმდევრულად ერთიმეორეს,— არამედ ეს განვითარება ხდება ნახტომისებურად, შეწყვეტებით ერთი რიგის ქვეყნების განვითარებაში და წინსვლის ნახტომებით მეორე რიგის ქვეყნების განვითარებაში. ამასთან ერთად, ჩამორჩენილი ქვეყნების „სრულიად კანონიერი" მისწრაფება — შეინარჩუნონ ძველი პოზიციები, და წინგადამხტარი ქვეყნების ასევე „კანონიერი" მისწრაფება — დაიპყრონ ახალი პოზიციები, იწვევს იმას, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის სამხედრო შეტაკებანი გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენენ. ასე მოხდა, მაგალითად, გერმანიაში, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ, საფრანგეთსა და ინგლისთან შედარებით, ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. იგივე უნდა ითქვას იაპონიაზედაც რუსეთთან შედარებით. მაგრამ ცნობილია, რომ უკვე XX საუკუნის დამდეგს გერმანია და იაპონია ისე შორს გადახტნენ, რომ პირველმა გაუსწრო საფრანგეთს და დაიწყო ინგლისის შევიწროება მსოფლიო ბაზარზე, მეორემ კი გაუსწრო რუსეთს. სწორედ ამ წინააღმდეგობათაგან წარმოიშვა, როგორც ვიცით, ახლანდელი იმპერიალისტური ომი (I მსოფლიო იმპერიალისტური ომი—გ. კ.)" [1].

ი. ბ. სტალინი, ეხება რა იმპერიალიზმისთვის დამახასიათებელ სამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინააღმდეგობას, აღნიშნავს, რომ „მ ე ო რ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა — ესაა წინააღმდეგობა სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მათს ბრძოლაში ნედლეულის წყაროებისათვის, სხვათა ტერიტორიებისათვის. იმპერიალიზმი არის კაპიტალის გატანა ნედლეულის წყაროებთან, გაშმაგებული ბრძოლა ამ წყაროების მონოპოლიურად დაპატრონებისათვის, ბრძოლა უკვე განაწილებულ მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, ბრძოლა, რასაც განსაკუთრებული მძვინვარებით აწარმოებენ ახალი ფინანსური ჯგუფები და სახელმწიფოები, რომელნიც ეძებენ „ადგილს მზის ქვეშ", ძველი ჯგუფებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ,

---

[1] ი. ბ. სტალინი, ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა, ლენინიზმის საკითხები, მეთერთმეტე გამოცემა, თბ., 1951, გვ. 103—104.

რომელნიც მაგრად ჩაბღაუჭებიან ნადავლს. ეს გაშმაგებული ბრძოლა კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფს შორის იმ მხრივ არის შესანიშნავი, რომ ის შეიცავს, როგორც აუცილებელ ელემენტს, იმპერიალისტურ ომებს, ომებს სხვათა ტერიტორიის დასაპყრობად. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, იმით არის შესანიშნავი, რომ იგი იწვევს იმპერიალისტების ურთიერთ დასუსტებას, საერთოდ კაპიტალიზმის პოზიციის დასუსტებას, პროლეტარული რევოლუციის მომენტის მოახლოებას, ამ რევოლუციის პრაქტიკულ აუცილებლობას" [1].

ამ წინააღმდეგობის საუცხოო ილუსტრაციაა იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლა მაროკოსათვის.

მაროკო (შერიფის იმპერია) მეტად მდიდარი და საუკეთესო სტრატეგიული მდებარეობის ქვეყანაა. ევროპის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა მას XIX საუკუნის განმავლობაში მრავალი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება მოახვიეს თავს. XX საუკუნის დამდეგისათვის მაროკო ნახევრად კოლონიური ქვეყანა იყო. XX საუკუნის დასაწყისიდან იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლამ მაროკოსათვის ფართო ხასიათი მიიღო და ამიერიდან იმპერიალისტური სახელმწიფოები მის მონოპოლიურად დაპატრონებას ლამობენ, რადგანაც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „ფინანსური კაპიტალი ისეთი დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ძალაა ყველა ეკონომიურ და ყველა საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ მას შეუძლია დაიმორჩილოს და ნამდვილადაც იმორჩილებს ისეთ სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც უაღრესად სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობენ... მაგრამ, რა თქმა უნდა, ფინანსური კაპიტალისათვის ყველაზე უფრო „მოხერხებული" და ყველაზე უფრო სარფიანია ისეთი დამორჩილება, რომელიც დაკავშირებულია დამორჩილებულ ქვეყნებისა და ხალხების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვასთან. ნახევრად-კოლონიური ქვეყნები ტიპიურია, როგორც „შუათანა" ამ მხრივ. გასაგებია, რომ ბრძოლა ამ ნახევრად-დამოკიდებულ ქვეყნებისათვის განსაკუთრებით უნდა გამწვავებულიყო ფინანსური კა-

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საფუძვლების შესახებ, ლენინიზმის საკითხები, გვ. 4.

პიტალის ეპოქაში, როდესაც დანარჩენი მსოფლიო უკვე განაწილებული იყო“[1] (ხაზი ჩვენია—გ. კ.).

მაროკოსათვის ბრძოლა ძირითადად საფრანგეთს, ინგლისს, ესპანეთსა და გერმანიას შორის წარმოებდა. საფრანგეთმა ინგლისთან და ესპანეთთან 1904 წელს დადებული ხელშეკრულებების ძალით მაროკოში განსაკუთრებული უფლებები მოიპოვა და შეუდგა კიდეც მაროკოში ე. წ. „მშვიდობიანი შეჭრის“ განხორციელებას, რაც ფაქტიურად მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებას მოასწავებდა. გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც ხარბი თვალით უცქეროდა შერიფის იმპერიას და მისი ხელში ჩაგდება სურდა, წინააღუდგა საფრანგეთის ასეთ განზრახვას. 1904 წლიდან მაროკოსათვის ბრძოლა ძირითადად გერმანიასა და საფრანგეთს შორის წარმოებს. ამ ბრძოლაში გერმანიის იმპერიალიზმს ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს. მას სურს დაიპყროს და კოლონიად აქციოს მდიდარი მაროკო; იგი მიისწრაფვის სტრატეგიული თვალსაზრისით ესოდენ მნიშვნელოვანი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად. ამასთანავე, მას სურს ჩაშალოს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების ერთ-ერთ საფუძველს სწორედ მაროკო წარმოადგენდა. ამ შეთანხმების ძალით საფრანგეთმა ინგლისს ეგვიპტე „დაუთმო“, ხოლო ინგლისმა საფრანგეთს მაროკო „უბოძა“.

საფრანგეთ-გერმანიის ბრძოლამ მაროკოსათვის მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და რამდენიმე მძიმე საერთაშორისო კრიზისი წარმოშვა, რომელთა დროს ომი ბეწვზე ეკიდა.

ასეთ საერთაშორისო გართულებას ადგილი ჰქონდა 1905 წელს („მაროკოს პირველი კრიზისი“), 1908 წელს (ე. წ. „კასაბლანკას ინციდენტი“), 1911 წელს (ე. წ. „აგადირის კრიზისი“ ანდა „ავაზას ნახტომი“). განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა 1905 და 1911 წლებში. ვ. ი. ლენინი ასე აფასებდა ამ პერიოდში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას: „1905: „Германия на волосок от войны с Францией и Англией. Грабят („делят“) Марокко“[2]; „1911: „Германия на волосок от войны

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22. გვ. 326.

[2] В. И. Л е н и н, Тетради по империализму, М., 1939, გვ. 620.

с Францией и Англией. Грабят („делят") Марокко. Обменивают Марокко на Конго"[1].

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიზნად დავისახეთ „მაროკოს პირველი კრიზისის" წარმოშობისა და გაღვივების ისტორია გადმოგვეცა.

მაროკოს პირველი კრიზისის გამწვავებაში გერმანიის იმპერიალიზმს დიდი ბრალი მიუძღვის. მისი აშკარად აგრესიული გამოსვლა, იარაღის ჟღარუნი და მუქარის პოლიტიკა ომის საფრთხეს ქმნიდა. მაგრამ შეცდომა იქნება, თუკი ამ კრიზისის გამომწვევად მხოლოდ გერმანიას მივიჩნევთ. ამ კრზისის აღმოცენებაში ბრალი „გულითადი შეთანხმებით" შეკავშირებულ ინგლისსა და საფრანგეთსაც მიუძღვით.

ინგლისს სურდა ომი. ცნობილია, რომ „ცბიერ ალბიონს" არ უყვარს „თავისი ხელით ომი". იგი ამჯობინებს მოწინააღმდეგესა და მეტოქეს სხვისი ხელებით შეებრძოლოს. „სხვისი ხელით ნარის გლეჯა" ინგლისის იმპერიალიზმის ტრადიციული, ვერაგული პოლიტიკაა. XX საუკუნის დასაწყისში ინგლისისათვის აშკარა გახდა, თუ რაოდენ დიდი მეტოქე გაუჩნდა მას ახალგაზრდა მტაცებლის—გერმანიის იუნკრულ-ბურჟუაზიული იმპერიალიზმის სახით, რომელიც ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. საჭირო იყო ამ ახალი მეტოქის დაჩოქება, დასუსტება, მისთვის ბრჭყალების დაჭრა. ამ მიზნით იგი საფრანგეთს „დაუმეგობრდა" და ახალ მეგობარს მაროკო მიართვა ძღვნად. ეს საჩუქარი სიამოვნებით „გაიმეტა" „ცბიერმა ალბიონმა"; მან იცოდა, რომ მაროკოთი გერმანია ძალზე მოხიბლული იყო და უსისხლოდ არ დასთმობდა ამ სანუკვარ ლუკმას. მართლაც, მოხდა ის, რასაც ასე მოუთმენლად ელოდნენ ინგლისის ხელისუფალნი: საფრანგეთი და გერმანია წაეკიდნენ ერთმანეთს მაროკოს გამო, მათ შორის ომი ყოველ წამს მოსალოდნელი იყო. ინგლისი განზრახ ამწვავებდა მაროკოს კრიზისს, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთს ასხამდა და ომის გაჩაღებას ლამობდა.

საფრანგეთი არ ლალატობდა თავის გადაწყვეტილებას, რათაც არ უნდა დაჯდომოდა ხელთ ეგდო მაროკო. მით უფრო ახლა, როცა ინგლისი დაიმეგობრა და მისგან მაროკო მიიღო. გერმანიის მიმართ აშკარად რევანშისტულად განწყობილი საფრანგეთის იმპერიალისტური, შოვინისტურ-მილიტარისტული წრე-

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, М., 1939, გვ. 620.

ები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ გერმანიას და არაფერს თმობენ მაროკოს საკითხში. საფრანგეთი კრიზისის დროს გამომწვევად მოქმედებდა, რითაც კონფლიქტს აღრმავებდა.

ჩვენს ნაშრომში ძირითადი აქცენტი მაროკოს საკითხში გერმანიის პოლიტიკაზეა გადატანილი, რამდენადაც კრიზისის გაღვივების საქმეში გერმანიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა. მისი პოლიტიკა გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიულობით. მართალია, გერმანიის როლი მაროკოს პირველი კრიზისის გაღვივების საქმეში წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ ეს სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკის მიმოხილვის დაჩრდილვის ხარჯზე არ მომხდარიყო.

1904—1906 წლებში მაროკოსათვის ბრძოლა ძირითადად საფრანგეთსა და გერმანიას შორის წარიმართა. იმისათვის, რათა უკეთ გაშუქდეს და ღრმად იქნეს გაგებული მაროკოს საკითხში გერმანიასა და საფრანგეთს შორის არსებული წინააღმდეგობა, აუცილებელია სპეციალურად შევეხოთ საფრანგეთის ინტერესებს მაროკოში, საფრანგეთის იმპერიალიზმის პოლიტიკას მაროკოს საკითხში. ამიტომ აღნიშნული საკითხის განხილვას სპეციალური თავი დავუთმეთ.

იმპერიალისტური ექსპანსია და სამიედრო აგრესია ბირჟების, ბანკების, კონცერნების, ფინანსური კაპიტალის ვიწრო წრეების კარნახით მზადდება. წინამდებარე გამოკვლევაში აღნიშნულის ნათელყოფის ცდაა მოცემული.

იმპერიალიზმის დროს კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების დაკაბალების ნაცად ხერხებად გამოყენებულია ფინანსური კონტროლი, კონცესიები, იძულებითი სესხები, ეკონომიური დაზვერვა, „მრჩეველთა“ დანიშვნა. ამ „მშვიდობიან“ შეჩვრასთან ერთად წარმოებს ძირგამომთხრელი საქმიანობა აჯანყებებისა და სასახლის გადატრიალებების მომზადების გზით. ხდება მარიონეტული მთავრობების შექმნა. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობა იხშობა შეიარაღებული ძალების დახმარებით. მათ წინააღმდეგ იმპერიალისტური დიპლომატია არაფერს არ ზოგავს[1]. იმპერიალიზმის დიპლომატიისათვის დამახასიათებელი მეთოდები მკაფიოდ იჩენს თავს მაროკოსათვის ბრძოლის მთელს მანძილზე.

---

[1] История дипломатии, т. II, М.—Л., 1945, გვ. 7.

ნაშრომში ჩვენ ვცდილობთ ამის ილუსტრირება მოვახდინოთ, წარმოვადგინოთ კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკისათვის და დიპლომატიისათვის დამახასიათებელი მეთოდები.

* * *

თემის დამუშავებისას ჩვენ მხოლოდ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს ვეყრდნობოდით, რადგანაც სათანადო საარქივო მასალა ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იყო. წინამდებარე ნაშრომისათვის ჩვენ ძირითადად გამოვიყენეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ დოკუმენტთა კაპიტალური კრებული: „Die Grosse Politik der Europäischen Kabinette 1871—1914; Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Im Auftrage des Auswärtigen Amtes herausgegeben von Johannes Lepsius, Albrecht Mendelssohn Bartholdy, Friedrich Thimme", Berlin, 1927.

20. Band, Erste Hälfte, Entente cordiale und erste Marokkokrise 1904—1905.

20. Band, Zweite Hälfte. Entente cordiale und erste Marokkokrise 1904—1905.

21. Band, Erste Hälfte, Die Konferenz von Algeciras und ihre Auswirkung [1].

აღნიშნული დოკუმენტების გამოცემა გერმანიაში 1926 წლიდან დაიწყო. გერმანიის ხელისუფლება ამ დოკუმენტების პუბლიკაციას გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით შეუდგა. როგორც ცნობილია, ვერსალის საზავო ხელშეკრულების ძალით ომის მთელი პასუხისმგებლობა გერმანიას დაეკისრა, როგორც ამ ომის ერთადერთ გამჩაღებელს, მაშინ როდესაც, ამ ომში ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო თავისებურად დამნაშავე იყო. გერმანიის ბურჟუაზიამ მოიწადინა კაიზერისეული გერმანიისთვის ეს ბრალდება მოეხსნა. გერმანიის ისტორიკოსებმა წამოჭრეს ცნობილი საკითხი „wer ist Schuldig?" (ვინაა დამნაშავე?) და თავის მართლება, უპირველეს ყოვლისა, დოკუმენტების გამოცემით დაიწყეს. ამ ფერხულში ჩაება ინგლისი, საფრანგეთი და ომის სხვა მონაწილე სახელმწიფოები. დაიწყო „დოკუმენტებით ომი".

[1] ნაშრომის ტექსტში მითითებული იქნება: „Die Grosse Politik".

გერმანულ დოკუმენტთა აღნიშნული გამოცემა სწორედ ამისათვის იყო გამიზნული და ძირითადად ტენდენციურადაა შედგენილი.

დოკუმენტების დალაგება ხდება თემატიკურ და არა ქრონოლოგიურ საფუძველზე, რაც კრებულის ავტორებს საშუალებას აძლევს გერმანიის აგრესიის აშკარად მამხილებელ დოკუმენტებს სავსებით აუარონ გვერდი. დოკუმენტები ზოგჯერ საგრძნობლად შეკვეცილია, ბევრი რამ გამოტოვებულია (პირობითი ნიშანი PP). დოკუმენტებს ხშირად თან ახლავს მეტად ტენდენციური შენიშვნები. არაა გამოქვეყნებული დოკუმენტები ომისათვის გერმანიის მზადების შესახებ.

ასეთი დეფექტები დამახასიათებელია მთელი კრებულისათვის, კერძოდ კი იმ ნაწილისათვის, რომელიც მაროკოში გერმანიის პოლიტიკას შეეხება. ვითვალისწინებდით რა ამ კრებულისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს, აღნიშნული დოკუმენტების გამოყენებისას მეტად ფრთხილად ვმოქმედებდით. ჩვენ ვცდილობდით მათ კრიტიკულ შესწავლასა და გაშუქებას და ასეთი გზით მათში სიმართლის ამოკითხვას. ვცდილობდით შეგვემოწმებინა ცალკეული დოკუმენტი და ნაკლოვანებანი სხვა წყაროებით ან ლიტერატურით შეგვევსო.

ამ მხრივ დიდი დახმარება გაგვიწია მეფის რუსეთის საგარეო ურთიერთობათა დოკუმენტების საბჭოურმა გამოცემამ, რომელსაც განსაკუთრებული პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. დოკუმენტთა აღნიშნული კრებულები შედგენილია მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სისრულით. დოკუმენტები წარმოდგენილია მთლიანად, ყოველგვარი დამახინჯების, შეკვეცისა და გამოტოვების გარეშე. ისინი, შეიძლება ითქვას, დოკუმენტთა ერთადერთი უტყუარი და სრული კრებულებია ყველა იმ კრებულთა შორის, რომლებიც ომამდელი იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკას შეეხებიან. დოკუმენტთა საბჭოური გამოცემა პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს; იგი ააშკარავებს იმპერიალიზმის ნამდვილ სახეს. გვაძლევს საუკეთესო მასალას იმპერიალისტური სახელმწიფოების ექსპანსიონისტური ზრახვების შესახებ.

ჩვენს მიერ გამოყენებულია დოკუმენტთა შემდეგი კრებულები: 1. „Россия и Алхесирасская конференция", „Красный архив", т. 4—5 (41—42), 1930. აღნიშნულ კრებულს წინ უძღვის ა. ს. იერუსალიმსკის მეტად საინტერესო შესავალი სტატია. კრებულში მოთავსებულია დიპლომატიური მიწერ-მოწერა მეფის მთავრობასა და მის დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის

მაროკოს პირველი კრიზისის პერიოდში. 2. „Новые документы об Алхесирасской конференции и займе 1906 года", „Красный архив", т. 1, 1931. ორივე კრებულში მეტად საინტერესო მასალები ვიპოვეთ.

ასევე გამოვიყენეთ ვილჰელმ მეორესა და ნიკოლოზ მეორეს შორის მიწერ-მოწერა, რომელიც გამოცემულია ცენტრარქივის მიერ სახელწოდებით: „Переписка Вильгельма II с Николаем II", изд. Центрархива, 1923.

ჩვენ გამოვიყენეთ აგრეთვე დოკუმენტების კრებული, გამოცემული ფრუნზეს სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მიერ 1940 წელს: „Международные отношения 1870—1918 гг., сборник документов. Составили А. Г. Королев и О. Н. Фрейфельд, под редакцией проф. В. М. Хвостова". აღნიშნული კრებულის ავტორებს გულდასმით შეურჩევიათ განსაკუთრებით დამახასიათებელი დოკუმენტები, მათ შორის მაროკოს პირველი კრიზისის პერიოდისა.

ვისარგებლეთ ზოგიერთ შეთანხმებათა რუსულად თარგმნილი ტექსტებით, რომლებიც მოთავსებულია კრებულში: „Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях", ч. 1, М., 1925,

საინტერესო მასალა ვპოვეთ ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტების სახით, რომლებიც გერმანელებმა გამოაქვეყნეს: „Zur europäischen Politik 1897—1914. Unveröffentliche Dokumente In Amtlichem Auftrage herausgegeben unter Leitung von Bernhard Schwertfeger, Band 2, 1905—1907, Marokkokrisis—König Eduard VII". Berlin, 1919[1].

როგორც კრებულის ავტორი ბერნჰარდ შვერტფეგერი აღნიშნავს, ამ კრებულში გამოსაცემად შერჩეულ იქნა ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ გერმანიის როლს საერთო ევროპულ პოლიტიკაში. ამდენად, ცხადია, მასალის შერჩევისას ტენდენციურობა არაა გამორიცხული, თუმცა გამომცემელი კრებულის სრული ობიექტურობის შესახებ ლაპარაკობს. მიუხედავად ტენდენციურობისა, კრებულში მოთავსებული მასალების კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ გამოცემის, როგორც საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროს, გამოყენება. უნდა

[1] ნაშრომის ტექსტში მითითებული იქნება „Zur europäischen Politik"...

აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ იმ ლიტერატურაში, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, არსად არაა მითითებული ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი წყარო.

უდავოა, რომ მკვლევრისათვის, რომელიც იმპერიალიზმის ისტორიას იკვლევს, დიდი მნიშვნელობა აქვს მონოპოლიების, ბანკების, გაბატონებული კლასების პოლიტიკური ორგანიზაციების არქივების შესწავლას. სამწუხაროდ, ასეთი სახის მასალა ავტორისათვის ხელმიუწვდომელი იყო. პროფესორი ა. ს. იერუსალიმსკი აღნიშნული ხასიათის დოკუმენტებს საუკეთესო წყაროდ მიიჩნევს და იქვე შენიშნავს, რომ ვერც მან ისარგებლა აღნიშნული მასალებით. „მათი საიდუმლოება უფრო გულმოდგინედაა დაცული, ვიდრე, თუნდაც, დიპლომატიური კანცელარიების საიდუმლოებანი, რადგანაც ბანკებისა და კონცერნების სამმართველოებში, პლუტოკრატიის ვიწრო წრეებში წყდება ხოლმე პოლიტიკის ძირითადი საკითხები. სწორედ აქ ისახება იმპერიალისტური ექსპანსია და სამხედრო აგრესია“ [1].

ჩვენ ვერ გამოვიყენეთ აგრეთვე გერმანიის რაიხსტაგის სხდომების ოფიციალური სტენოგრამები, რომლებიც განხილულ პერიოდს შეეხებიან და, ცხადია, მრავალ საინტერესო მასალას შეიცავენ.

ჩვენს მიერ მემუარული მასალაც იქნა გამოყენებული. ცნობილია, რომ პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ზოგიერთმა სახელმწიფო მოღვაწემ, რომელიც ომამდელ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ხელი მიჰყო მემუარების წერას. თითოეული მათგანი ცდილობდა თავი გაემართლებინა ისტორიის სამსჯავროს წინაშე, საზოგადოებრივი აზრის წინაშე და მთელი დანაშაული სხვებისათვის გადაებრალებინა. მემუარების ავტორები ურთიერთ გამომჟღავნების დროს ზოგჯერ მეტად საინტერესო მასალებს აქვეყნებდნენ. მემუარების ავტორებს, ყოფილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, საკუთარი არქივებიც ჰქონდათ, ამიტომ ხშირად მათ მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი დოკუმენტი ახალია, სხვაგან არსად არ გვხვდება. ამგვარად, მემუარისტებს, მათთვის უნებლიედ, ერთგვარი სარგებლობა მოაქვთ მკვლევრისათვის, რომელსაც ისტორიის ობიექტური შესწავლა სურს.

საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე მემუარის დასახელება. ავიღოთ, მაგალითად, თავად ფონ ბიულოვის მემუარები:

---

[1] А. С. Ерусалимский, Внешняя политика и дипломатия германского империализма в конце XIX века, М., 1948, გვ. 24.

B. v. Bülow, Denkwürdigkeiten, B. I, Berlin, 1930[1]. ბიულოვი გერმანიის იმპერიალიზმის მებაირახტრე იყო და მაროკოს პირველი კრიზისის დროს გერმანიის რაიხსკანცლერის პოსტი ეკავა. გერმანიის პოლიტიკას მაროკოს საკითხში, 1904—1906 წლების განმავლობაში, ძირითადად სწორედ ბიულოვი წარმართავდა. ბიულოვი ყოველნაირად ცდილობს მიჩქმალოს თავისი დანაშაული პირველი იმპერიალისტური ომის გაჩაღების საქმეში, კერძოდ, მაროკოს საკითხში. სხვათაშორის, ბიულოვმა თავისი მემუარები იმდენად ტენდენციურად შეადგინა, რომ მან ყოფილი კოლეგების დიდი გულისწყრომა დაიმსახურა, მათ გამოსცეს სპეციალური კრებული „ბიულოვის წინააღმდეგ“ [2].

ცხადია, ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ექსკანცლერის „კონცეფციები“. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც ამ მემუარებში ვპოვეთ. ეს დოკუმენტები ბიულოვის საკუთარი არქივიდანაა და არსად არაა გამოქვეყნებული.

საინტერესოა ფრიდრიხ როზენის (Friedrich Rosen) მემუარები: „Aus einem diplomatischen Wanderleben“, B. I, Berlin, 1931. ფრიდრიხ როზენი, გერმანელი დიპლომატი და ორიენტალისტი, აშკარა იმპერიალისტი იყო, რომელიც თავის დროზე მაროკოს საკითხში გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკის ერთერთი ენერგიული გამტარებელი იყო. როზენი თავის მემუარებში აკრიტიკებს გერმანიის ომამდელ პოლიტიკოსებს, მხოლოდ არა იმიტომ, რომ ისინი მსოფლიო იმპერიალისტურ, აგრესიულ პოლიტიკას ატარებდნენ, არამედ იმიტომ, რომ ამ პოლიტიკოსებმა კარგად ვერ გაატარეს ეს პოლიტიკა, შეცდომები დაუშვეს. საკითხავია, რატომ დაივიწყა ამ „კრიტიკოსმა“ ის, რომ იმპერიალისტურ-აგრესიულ პოლიტიკის მესვეურთა შორის იგი თვითონაც საკმაოდ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. მან დაივიწყა ყოველივე ეს იმიტომ, რომ ისტორიის სამსჯავროს წინაშე „უდანაშაულო ადამიანის“ სახით წარმდგარიყო.

საერთოდ ჩვენ, რა თქმა უნდა, მეტად ფრთხილად და კრიტიკულად მოვეკიდეთ მემუარულ მასალას და ვცდილობდით

---

[1] ვსარგებლობთ რუსული თარგმნით, Б. Бюлов, Воспоминания, под ред. В. М. Хвостова, М.—Л., 1935.

[2] „Front wider Bülow, Staatsmänner, Diplomaten und Forscher zu seiner Denkwürdigkeiten“, 1931. ციტირებულია იერუსალიმსკის თხზულების მიხედვით, იხ. А. С. Ерусалимский, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

ყოველ ცალკე შემთხვევაში სხვადასხვაგვარი დოკუმენტური მასალით შეგვემოწმებინა მემუარებიდან მიღებული ცნობა.

ჩვენ შევეცადეთ თემის დამუშავებისას გამოგვეყენებინა ყველა ხელმისაწვდომი ლიტერატურა, რომელიც განსახილველი საკითხის გარშემო არსებობს.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საკმაოდ დაამუშავა პირველ იმპერიალისტურ ომამდელი საგარეო პოლიტიკის საკითხები. ამ მხრივ აღსანიშნავია „დიპლომატიის ისტორიის“ მეორე და მესამე ტომები, რომლებმაც თავის დროს საბჭოთა ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. „დიპლომატიის ისტორიის“ მეორე ტომის მეცხრე თავში, რომელიც დაწერილია მოწინავე საბჭოთა ისტორიკოსის ვ. მ. ხვოსტოვის მიერ, მოცემულია ანტანტის შექმნის საკითხი. ავტორი აქ მაროკოს პირველ კრიზისსაც მიმოიხილავს და მეტად საყურადღებო დასკვნებს იძლევა. ცხადია, პროფ. ხვოსტოვს არ შეეძლო მაროკოს პრობლემა აქ სპეციალური კვლევის საგნად გაეხადა.

„დიპლომატიის ისტორიის“ მესამე ტომის სპეციალური თავის — „О приемах буржуазной дипломатии“ — ავტორი აკად. ე. ვ. ტარლე განიხილავს ბურჟუაზიული დიპლომატიის მეთოდებს საერთოდ და ცალკე ეხება გერმანიის დიპლომატიის მეთოდებს მაროკოს პირველი კრიზისის დროს. აკად. ტარლე საინტერესო მითითებებს იძლევა, რომელთაც ავტორი თავის ნაშრომში ეყრდნობა კიდეც.

მაროკოს პრობლემის ზოგად მიმოხილვას ახდენს პროფ. ნ. პ. პოლეტიკა თავის ნაშრომში „Возникновение мировой войны“, М. — Л., 1935, რომელშიც იგი ზოგჯერ საკმაოდ საყურადღებო მოსაზრებებს გამოსთქვამს.

მაროკოს პრობლემის ზოგად მიმოხილვას იძლევა პავლოვიჩი თავის ნაშრომში: „Борьба за Азию и Африку“.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მაროკოს პირველი კრიზისის შესახებ, როგორც ვხედავთ, ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ აღნიშნული საკითხის ცალკე მონოგრაფიულად დამუშავება არავინ ცადა.

დასავლეთ ევროპის ისტორიკოსები ბევრს წერდნენ მაროკოს შესახებ, განსაკუთრებით, ფრანგები და გერმანელები. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საკუთარი ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის გარკვევის საქმეში ტენდენციურობას ავლენს, რაც თავს იჩენს აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქებაშიც. დასავლეთ ევროპის ისტორიული ლიტერატურა ისტორიულ

მოვლენებს აშუქებს იმპერიალისტური პოლიტიკის სასარგებლოდ, მონოპოლიური კაპიტალის მაგნატების, ფინანსური ოლიგარქიის სასარგებლოდ. ბურჟუაზიული ისტორიკოსები ყოველნაირად ცდილობენ გაამართლონ საკუთარი ქვეყნის იმპერიალისტური პოლიტიკა. შეიმჩნევა კიდევ ერთი ტენდენცია — ყველა ბურჟუაზიული ისტორიკოსი ცდილობს საკუთარ ქვეყანას „აგრესორის“ ბრალდება მოხსნას, საკუთარი სახელმწიფოს მთელი საგარეო პოლიტიკა "თავდაცვის“ ამოცანებს დაუკავშიროს, აგრესორად კი, აუცილებლად, მოწინააღმდეგე მხარე წარმოგვიდგინოს.

გერმანელი ავტორები, რომლებიც მაროკოს შესახებ წერენ, საკუთარ იმპერიალიზმს იცავენ. მაროკოსათვის ბედნიერებად თვლიან, თუკი გერმანია კეთილ ინებებს და თავის „ცივილიზაციას“ შეიტანს ამ „ველურ“ ქვეყანაში, ე. ი. ადამიანური ენით რომ ვთქვათ, მაროკოს თავის კოლონიად გადააქცევს. გერმანიას ყველაზე მეტი უფლებები აქვს მაროკოს მიმართ — აი, რის დამტკიცებას ცდილობენ გერმანელი ავტორები. ფრანგები კი, პირიქით, მაროკოს საფრანგეთის ლუკმად თვლიან. ფრანგი ავტორები ამტკიცებენ, რომ მაროკო ბედნიერი იქნება, თუკი მას ფრანგი გარგანტიუა გადაყლაპავს, თუკი მაროკო საფრანგეთის იმპერიალიზმის მონოპოლიური საკუთრება გახდება.

გერმანელი დოქტორი გუსტავ დირკსი (Dircks) 1906 წელს აქვეყნებს მონოგრაფიას სათაურით: „Die Marokkofrage und die Konferenz von Algeciras“. ამ თხზულების ავტორი „მეცნიერულად“ ასაბუთებს გერმანიის უფლებებს მაროკოზე, ამტკიცებს, რომ მაროკოს ხალხისათვის ბედნიერება იქნება, თუკი იგი გზას გაუხსნის გერმანიის ცივილიზაციას. დირკსი იქამდისაც კი მიდის, რომ კალმის ერთი მოსმით ახალ „მეცნიერულ აღმოჩენას“ გვთავაზობს: მაროკოელები, თურმე, გერმანელთა მონათესავე ხალხია.

დოქტორი მოორი (Mohr). ნაშრომში „Marokko“, Berlin, 1902, „მოხიბლულია“. მდიდარი და სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი მაროკოთი. მას სურს გერმანიის კოლონიათა რიცხვში იხილოს წარმტაცი იმპერია შერიფისა. მაროკო ჰესპერიდების ბაღად გადაიქცევა, — გვარწმუნებს ავტორი, — თუკი იგი ევროპის ცივილიზაციას გზას გაუხსნის. მხოლოდ ეს ცივილიზაცია გერმანული უნდა იყოს, რადგან ფრანგები ამ საქმეს ვერ გაუძღვებიან.

ინგლისელი მწერალი მორელი, ლეიბორისტული პარტიის წევრი, თავის ცნობილ წიგნში „Ten years of secret diplomacy“,

London, 1912 [1], ფართოდ ეხება მაროკოს საკითხს. მორელი ბურჟუაზიული პაციფიზმის პოზიციებზე დგას. იგი ძირითად ბოროტებად, რომელიც სწამლავს „საერთაშორისო ურთიერთობას", „საიდუმლო დიპლომატიას" სთვლის. მორელი ფარდას ხდის ამ საიდუმლო დიპლომატიას, ინტრიგებს და მაროკოს კრიზისის გამწვავებაში ინგლის-საფრანგეთის ბლოკს, გერმანელებთან შედარებით, მეტ ბრალდებას უყენებს. მაგრამ მორელი ინგლისურ ჯინგოიზმს როდი ღალატობს. მას სურს დაგვარწმუნოს, რომ ბრიტანული იმპერიალიზმი კოლონიებისადმი მუდამ გულწრფელია, რომ კოლონიური ხალხები მუდამ ნდობით იყვნენ გამსჭვალულნი ინგლისელებისადმი; ასეთ ნდობას კითხულობს იგი აგრეთვე მაროკოელთა სახეზე, რომლებმაც ვითომც იციან, რომ ინგლისელებს არა აქვთ რაიმე ბოროტი განზრახვა მაროკოელების მიმართ.

ლიბერალურ-ბურჟუაზიული პაციფიზმის პრინციპებზე დგას აგრეთვე ამერიკელი ისტორიკოსი სიდნეი ფეი. იგი თავის ცნობილ ნაშრომში — „Происхождение мировой войны", т. I, М.—Л., 1934 — საკმაო ადგილს უთმობს მაროკოს საკითხის განხილვას. ომი, ამბობს ფეი, გამოწვეული იყო საერთაშორისო ანარქიის სისტემით, რაც გამოიხატებოდა კავშირებში, შეიარაღებაში და საიდუმლო დიპლომატიაში. მას არ ესმის, რომ ომი კაპიტალიზმის გარდუვალი თანამგზავრია. მიუხედავად ამისა, წიგნს აქვს თავისი დადებითი მხარეც: აქ თავმოყრილია დიდი მასალა და თან ახლავს ძალზე ვრცელი ბიბლიოგრაფია.

მაროკოს კრიზისის გარკვევისას ფეი ჩვენ უფრო გერმანოფილად წარმოგვიდგება. იგი გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ 1905 წლის კრიზისის დროს ბიულოვი ომით იმუქრებოდა, აშინებდა საფრანგეთს და ასეთი გზით სურდა დაეჩოქებინა იგი. ფეი ზოგჯერ მოვლენების ტენდენციურ ახსნას იძლევა. საფრანგეთის შეჩრას მაროკოში, საფრანგეთის ფინანსური კაპიტალის აგრესიას მაროკოს მიმართ იგი ფრანგული ოფიციალური ვერსიის მიხედვით განმარტავს: აქაოდა, მაროკოელი ყაჩაღები ალჟირს ესხმიან თავს და მის ნორმალურ ცხოვრებას ხელს უშლიანო. ფეის არ ესმის, რომ კოლონიური ექსპანსია, ბრძოლა განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის წარმოადგენს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობის მამოძრავებელ ძალას.

---

[1] ჩვენ ვსარგებლობთ რუსული თარგმნით: Морель, Десять лет секретной дипломатии, М., 1924.

ყურადღების ღირსია გერმანელი ანტიფაშისტი ისტორიკოსის ალბერტ ნორდენის (Albert Norden) ნაშრომი: „Lehren deutscher Geschichte", Berlin, 1947 [1], რომელიც ცხადყოფს, რომ გერმანიის მილიტარიზმის, რეაქციისა და იმპერიალისტური აგრესიის სულისჩამდგმელნი არიან მონოპოლისტური ბურჟუაზია და იუნკრობა. წიგნში მოკლედ, მაგრამ საკმაოდ სხარტადაა გაშუქებული გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის მაგნატების (კრუპი, მანესმანი) როლი მაროკოს კრიზისის გაღვივების საქმეში.

ფრანგულ ენაზე მაროკოს შესახებ, საერთოდ, კერძოდ კი მაროკოს პირველი კრიზისის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. მათ შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი გამოკვლევები: Augustin Bérnard, Le Maroc, Paris, 1913; Victor Bérard, L'Affaire Marocaine, Paris, 1906; André Tardieu, Le Conference d'Algesiras, Paris, 1907; René Pinon, France et Allemagne (1870—1913), Paris, 1930; Général I. Caloni, La France au Maroc, Paris, 1937 და სხვ.

ფრანგი ავტორები ტენდენციურად წარმოგვიდგენენ მაროკოში საფრანგეთის შეჭრის, მაროკოს პირველი კრიზისის გაღვივებისა და საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობათა საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, ისინი ყოველნაირად ცდილობენ საფრანგეთის კოლონიურ მისწრაფებათა გამართლებასა და შელამაზებას. ნაციონალური იმპერიალიზმის დაცვა და გამართლება მათი უმთავრესი ამოცანაა. ისინი ფრანგულ კოლონიურ ექსპანსიას წარმოგვიდგენენ როგორც დაპყრობილ ხალხთათვის სასარგებლო ღონისძიებას. ფრანგებს, თურმე, დაპყრობილ ხალხთათვის მოაქვთ ბედნიერება და კეთილდღეობა: ეს ავტორები ცდილობენ ყოველნაირად გაამართლონ მაროკოს ანექსია. ისინი, როგორც წესი, ამტკიცებენ, რომ ფრანგები იძულებულნი გახდნენ შეჭრილიყვნენ მაროკოში. ამასთან ერთად გვიმტკიცებენ, რომ მაროკოსათვის ფრანგების ბატონობა სასარგებლო საქმეა, რადგანაც ფრანგებმა იქ შეიტანეს ცივილიზაცია, წესრიგი, მაროკოს ხალხს შეუქმნეს განვითარებისა და წინსვლის ყველა პირობა.

მაროკოს პირველი კრიზისის გაღვივების საქმეში დამნაშავედ გერმანიაა გამოყვანილი. ფრანგები, თურმე, მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ გერმანიის აგრესიისაგან თავს იცავდნენ.

---

[1] ჩვენ ვისარგებლეთ ამ თხზულების რუსული თარგმნით, იხ. Альберт Норден, Уроки германской истории, М., 1948.

მიუხედავად ამისა, ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ ლიტერატურაში თავმოყრილია უამრავი ფაქტიური მასალა, მას გარკვეულ ღირებულებას უქმნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გამოვიყენეთ ფრანგულ ენაზე არსებული ზოგიერთი მეტად საინტერესო გამოკვლევა.

ამ ბოლო ხანებში გამოცემული ლიტერატურიდან ყურადღებას იპყრობს 1951 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული, ფრანგი ავტორების—ჟოლის, აიაშის, ფარდელისა და სიუეშის მონოგრაფია: „მაროკოს გეოგრაფია". (F. Joly, A. Ayache, J. Fardel, L. Suech, Géographie du Maroc, Paris, 1949)[1]. ავტორები მაროკოს სკოლებში ასწავლიდნენ და ამ ქვეყანას საკმაოდ კარგად იცნობენ. მართალია, ისინი ყოველნაირად ცდილობენ მაროკოში საფრანგეთის ბატონობის გამართლებას (თითქოს ფრანგებმა იქ შეიტანეს ცივილიზაცია და წესრიგი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნარკვევი ყურადსაღებია. აქ მოტანილია მრავალი საინტერესო მასალა მაროკოს ისტორიის, მეურნეობის, ეკონომიური, ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, მოსახლეობისა და სხვ. შესახებ; საინტერესოა აგრეთვე საბჭოთა მკვლევრის პროფ. ნ. პ. პოლეტიკას ნარკვევი: „Проблема создания континентального блока во внешней политике Германии в период первого Марокканского кризиса (1904 — 1905 гг.)". იხ. „Ученые записки Белорусского государственного университета им. В. И. Ленина", выпуск XXX, Минск, 1956. ყურადსაღებია მ. ლ. ოსტრეცოვას გამოკვლევა: „Бьёрский договор 1905 г. (К вопросу о влиянии русско-японской войны и революции 1905 г. на развитие русско-германских отношений)"; ნარკვევი მოთავსებულია კრებულში: „Ученые записки Московского городского педагогического института имени В. П. Потемкина", т. 88, выпуск 4. М., 1958. პოლეტიკასა და ოსტრეცოვას გამოკვლევები მაროკოს პირველი კრიზისის ისტორიასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებს შეეხება.

1957 წელს მოსკოვში მაროკოს შესახებ კიდევ ერთი საინტერესო წიგნი ითარგმნა და გამოიცა. ესაა გერმანელი მოგზაურისა და გეოგრაფის ხ. მენშინგის ნაშრომი: „Между Рифом и Дра (Путешествие по Марокко)".

---

[1]. Ф. Жолли, А. Аяш, Ж. Фардель, Л. Сюэш, География Марокко, М., 1951.

ყურადღების ღირსია აგრეთვე 1958 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია: „Борьба за господство в Европе 1848—1918“, რომლის ავტორია ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ალან ჯონ პერსივალ ტეილორი (A. J. P. Taylor, The Struggle for Mastery in Europe 1848—1918, Oxford, 1954).

1954 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში დაიწყო „ოქსფორდისეული ევროპის ახალი ისტორიის“ (The Oxford History of Modern Europe) გამოცემა პროფესორების ბალოკის (Bullock) და დიკინის (Deakin) საერთო რედაქციით. ტეილორის წიგნი ამ კრებულის ერთ-ერთი ნაწილია. მონოგრაფიის მიზანია მიმოიხილოს საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია ევროპაში 1848—1918 წლებში. წიგნს გააჩნია ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის საერთოდ დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ნაკლი. აქ მოცემულია მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია, ხოლო ის ფაქტორები — ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური, — რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიას, თითქმის სრულებით არაა წარმოდგენილი. ძალზე მკრთალად არის გაშუქებული კოლონიური ბრძოლის სურათი, მაშინ როდესაც კოლონიებისათვის ბრძოლა საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის ერთერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მკვლევარი, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის შესწავლა სურს, ტეილორის წიგნს გვერდს ვერ აუვლის. იგი შეიცავს დიპლომატიურ ურთიერთობასთან დაკავშირებულ უამრავ და მეტად საინტერესო მასალას.

მართალია, მაროკოს პირველი კრიზისის შესახებ ტეილორის ნაშრომში ძალიან ცოტაა თქმული (იგი წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი ეპიზოდი), მაგრამ ეს მცირედიც ინტერესს მოკლებული არაა.

აქ ვერ მიმოვიხილავთ ყველა იმ მასალასა და ლიტერატურას, რომელიც გამოვიყენეთ. დაინტერესებული მკითხველი მათ ნაშრომის მეცნიერულ-კრიტიკულ აპარატში ჰპოვებს.

წარმოდგენილი ნაშრომი „მაროკოს პირველი კრიზისის“ მონოგრაფიული შესწავლის, შეიძლება ითქვას, პირველი ცდაა. ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ამ საკითხის დამუშავების საქმე ამოწურულად ჩავთვალოთ. არა ერთი საკითხი შემდგომ შესწავლასა და დაზუსტებას საჭიროებს. ჩვენ ვგრძნობთ ზოგიერთ ხარვეზს, რომელიც ნაშრომს გააჩნია. როგორც ზემოთ ითქვა, აქცენტი

გერმანიის პოლიტიკის შესწავლაზეა გადატანილი, ინგლის-საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა პოზიციები, მართალია, ნაშრომში შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია, მაგრამ, ცხადია, უფრო მეტის თქმა შეიძლებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ გვქონდა საშუალება გამოგვეყენებინა ზოგიერთი საჭირო მასალა და ლიტერატურა. ჩვენ კმაყოფილებით მივიღებთ ყველა შენიშვნასა და სურვილს, რომელიც საზოგადოებას ამ წიგნის გაცნობის შემდეგ წამოეჭრება.

კმაყოფილი დავრჩებით იმით, თუკი წარმოდგენილი გამოკვლევა მცირედ წვლილს მაინც შეიტანს ისტორიოგრაფიისათვის ისეთი საინტერესო პრობლემის გადაჭრის საკითხში, როგორიცაა „მაროკოს პირველი კრიზისის“ აღმოცენებისა და განვითარების ისტორია, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

თ ა ვ ი I

მაროკოს ისტორიიდან

(უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამლევამდე)

§ 1. მაროკოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრენი

მაროკო მდებარეობს აფრიკის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სახელწოდება „მაროკო“ ევროპული წარმოშობისაა და შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს. ევროპელებმა ეს სახელი აწარმოეს მაროკოს ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქის „მარაკეშის“ მიხედვით. თვითონ მაროკოელები თავიანთ ქვეყანას „ალ მაღრიბ ალ აკსას“ უწოდებენ, რაც „უკიდურეს დასავლეთს“ ნიშნავს. ისინი სახელწოდებად ხმარობენ აგრეთვე „ელ-ღარბს“, რაც იგივე „დასავლეთს“ ნიშნავს. მაროკოს ხშირად „ჩამავალი მზის ქვეყანას“ უწოდებენ.

მაროკოს დასავლეთით აკრავს ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით — ხმელთაშუა ზღვა, სამხრეთით — საჰარის უდაბნო, ხოლო აღმოსავლეთით კი — ალჟირი.

მაროკოს ტერიტორიის ზუსტი დადგენა ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის (XX საუკუნის დასაწყისი) მეტად ძნელია. ასევე რთულდება მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა, რადგანაც მოსახლეობის ზუსტი აღწერა მაშინ არ წარმოებდა. ამას განსაკუთრებით აძნელებდა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე და შინაგანი არეულობანი, რაც მაროკოში ხშირი მოვლენა იყო. მაროკოს სულთანს ქვეყნის მხოლოდ გარკვეული ნაწილი ემორჩილებოდა და მის ქვეშევრდომად აცხადებდა თავს. მაროკოს ამ ნაწილს „დარ ელ მახზენს“, „ბლად ელ მახზენს“, ანუ „ხაზინის

სახლს", „სახელმწიფოს სახლს" (ადგილს, ოლქს) უწოდებდნენ. ქვეყნის გარკვეული ნაწილი არ ემორჩილებოდა სულთანს. განსაკუთრებით რიფის მთიანეთში მოსახლე ბერბერები, რომლებიც სულთნის ძალმომრეობას ვერ ითმენდნენ და მას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ რაიონებს „დარ ელ სიბას", „ბლად ელ სიბას", ანუ „აჯანყების", „წინააღმდეგობის" ოლქს უწოდებდნენ. სულთანი ამ რაიონების წინააღმდეგ ხშირად გზავნიდა თავის ჯარებს, რათა მათგან მორჩილება და გადასახადები მიეღო. ჩვენ ხელთ არსებული ცნობების მიხედვით მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ მაროკოს ტერიტორია და მოსახლეობა. ტერიტორია დაახლოებით ნახევარ მილიონ კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, ხოლო მოსახლეობა — დაახლოებით 8 მილიონ ადამიანს[1]. მაროკო მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ ბერბერები, არაბები, ებრაელები, ზანგები, ევროპელები. ამ უკანასკნელთაგან ძირითადად—ფრანგები, მათ შემდეგ—ესპანელები, პორტუგალელები და იტალიელები. ევროპელების რიცხვმა XX საუკუნის დამდეგიდან იმატა. ახლა მათი რიცხვი მთელი მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენს.

ბერბერები ჩრდილოეთ აფრიკის უძველესი მკვიდრნი არიან. მაროკოში ისინი მოსახლეობის თითქმის 85% შეადგენენ. ბერბერები ცხოვრობენ აგრეთვე ალჟირში (კაბილები), ტრიპოლში, ტუნისში, საჰარის ოაზისებში (ტუარეგები, ამოშაგები).

VIII საუკუნიდან იწყება მაროკოში არაბთა დამკვიდრება. მათ მაროკოს მისცეს ერთიანი რელიგია და სალიტერატურო ენა, თუმცა ბერბერებმა თავიანთი ნაციონალური კოლორიტი და ენა ბოლომდე შეინარჩუნეს. დღეს მაროკოს ტერიტორიაზე სალაპარაკო არაბულ ენაში უხვად ვპოვებთ ბერბერული ენის ელემენტებს. ნაციონალური ელფერი განსაკუთრებით შემორჩათ მთიან ადგილებში მოსახლე ბერბერებს. მართალია, ბერბერები ისლამის მიმდევრები არიან, მაგრამ არც ისე ფანატიკურად, როგორც არაბები და ისლამის მიმდევარი სხვა ხალხები. ბერბერები სიამოვნებით მიირთმევენ ღორის ხორცს, ფრინველის ხორცს, ზედ აყოლებენ ღვინოს (საკუთარი წარმოებისას); ქალები მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, ზოგჯერ მამაკაცთან თანასწორი უფლე-

[1] ამჟამად მაროკოში ცხოვრობს 10,4 მილიონი ადამიანი. აქედან ესპანეთის მაროკოს ყოფილ ტერიტორიაზე—1,7 მილიონი, ტანჟერის საერთაშორისო ზონაში დაახლოებით—180 ათასი, ხოლო საფრანგეთის მაროკოს ყოფილ ტერიტორიაზე—8,5 მილიონი.

ბებითაც კი; მათთვის ჩადრი სავალდებულო არაა. ზოგიერთი ბერბერული ტომი ქრისტიანული რელიგიის ამა თუ იმ საკულტო ნიშანს ატარებს; ბერბერებში შემორჩენილია წარმართული რელიგიის ზოგიერთი ელემენტიც.

უძველეს დროიდან მოყოლებული, ბერბერებს მუდამ ახასიათებდათ მაღალი კულტურა, სიმამაცე და მტკიცე მისწრაფება თავისუფლებისაკენ.

ბერბერთა შემდეგ რიცხობრივად მომდევნო ადგილი არაბებს უჭირავთ. ისინი ძირითადად მაროკოს დასავლეთ სანაპირო ზოლის ნაყოფიერ ადგილებში სახლობენ. განსახილველ პერიოდში არაბთა რიცხვი დაახლოებით 3 მილიონამდე აღწევდა. მნიშვნელოვანი რაოდენობით ვხვდებით მაროკოში ებრაელებს, ხანგებსა და სხვებს.

მაროკოს ბუნება მრავალფეროვანია და მეტად წარმტაცი, ჰავა ზომიერია და ჯანსაღი, ნიადაგი — მეტწილად ფრიად ნაყოფიერი. თავის სამშობლოს მშვენიერებით აღტაცებული მაროკოელი ხშირად იტყოდა ხოლმე: „დედამიწა ფარშავანგია, ხოლო მაროკო მისი კუდიო“.

მაროკო მთიანი ქვეყანაა. ძირითად მთიან მასივს ქმნის ატლასის ქედი, რომელიც გადაჭიმულია ატლანტის ოკეანიდან ჩრდ.-აღმოსავლეთისაკენ, დაახლოებით 700 კმ. მანძილზე. ატლასის ქედს ახლავს პარალელურად მთიანი მასივები. ჩრდილოეთ სანაპიროზე გადაჭიმულია რიფის ქედი, სადაც სახლობენ ბერბერთა მამაცი, მებრძოლი ტომები.

მაროკოს ნიადაგი არაჩვეულებრივად ნაყოფიერია. ჯერ კიდევ რომაელთა ბატონობის დროს „მავრიტანია“, რომელიც თანამედროვე მაროკოსაც შეიცავდა, საყოველთაოდ ცნობილი იყო როგორც რომის იმპერიის ერთ-ერთი უმდიდრესი ბეღელი. ევროპელები მაროკოს, ხშირად, „აფრიკის ნიდერლანდებსაც“ უწოდებდნენ. მაროკოში უხვად მოდის ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია, ლობიო, ცერცვი, ჭარხალი, ზეთისხილი, ფინიკის ნაყოფი, ნუში, კარტოფილი და სხვ. მაროკო მდიდარია ციტრუსებით, ათასგვარი სურნელოვანი და სამკურნალო მცენარეებით. იქ უხვად მოჰყავთ თამბაქო, გაშენებულია შესანიშნავი ვენახები და ხილის მდიდარი ბაღები; მრავლად მოიპოვება შაქრის ლერწამი, კაუჩუკის ხე; კარგად ხარობს ბამბა, კანაფი, სელი. მაროკო მოფენილია მშვენიერი საძოვრებით, რაც მეცხოველეობის განვითარების დიდ შესაძლებლობას იძლევა. აქ დიდი რაოდენობითაა მსხვილი რქოსანი საქონელი, ცხვარი, თხა, ღორი, საუკეთესო ჯიშის ცხენი,

ჯორი და სხვ. მაროკოს მთების ფერდობებზე გადაჭიმულია უზარმაზარი ტყეები, სადაც ხის ძვირფასი ჯიშები ხარობს, მათ შორის: მუხა, კორპის ხე, კედარი, ტუია, ფინიკის პალმა და სხვა.

მაროკო მდიდარია მთამადნეულით. განსახილველ პერიოდში მაროკოს ბუნებრივი სიმდიდრენი თითქმის შეუსწავლელი იყო, მაგრამ ზერელე დაკვირვებითაც კი ჩანდა, რომ მაროკო წიაღისეულით მეტად მდიდარ ქვეყანას წარმოადგენდა. მაროკოს წიაღისეულთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ხარისხის რკინის მადანი. მრავალი ინჟინრისა და გეოლოგის ცნობით მაროკოს რკინის მადანი თავისი ხარისხით ერთერთი საუკეთესოთაგანია მსოფლიოში. იგი ამ მხრივ გაცილებით სჯობია ბილბაოს ცნობილ რკინის მადანსაც კი. ბილბაოს მადნიდან 50% რკინას ღებულობენ, მაშინ როდესაც, მაროკოს მადნიდან — 75%-ს[1]. მაროკოში ნაპოვნი იყო აგრეთვე ნავთის საბადოები. მაროკოს სწრაფი მდინარეები ელექტროფიკაციის განვითარების დიდ პერსპექტივებს სახავდა. მაროკოში უხვად მოიპოვება სპილენძის მადანი. მრავალი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ სპილენძი იქ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, რომ სპილენძის მადანი ზოგან პირდაპირ მიწის ზედაპირზეც კი იკრიფება (მაგალითად, სუზის ოლქში)[2]. მაროკოში მოიპოვება აგრეთვე ტყვია, მოლიბდენი, კალა, ვერცხლი, თუთია. XX საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა ოქროს მდიდარი საბადოები. ვერცხლი უფრო ადრე იქნა აღმოჩენილი, სახელდობრ, 1877 წელს ინგლისელების მიერ, ჰოდიფის რაიონში. აღმოჩნდა პლატინის ჯგუფის ისეთი ძვირფასი ლითონები, როგორიცაა ირიდიუმი და პალადიუმი. დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი სურმა და მარილის მდიდარი საბადოები. XX საუკუნის დასაწყისში ტუატის ოაზისებში, რომლებიც საფრანგეთმა მაშინ მაროკოს წაართვა, აღმოჩნდა გვარჯილა. გვარჯილის აღმოჩენა მაროკოში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგანაც ჩილის საბადოები იფიტებოდა იმ დიდი ექსპლოატაციის გამო, რომელსაც მათ უწევდნენ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მარმარილოს, თაბაშირის, კირის, გოგირდის, ცარცისა და ძვირფასი საკერამიკო თიხის დიდი რაოდენობა. მაროკოში აღმო-

---

[1] Мих. Павлович, Борьба за Азию и Африку, М., 1923, გვ. 169.

[2] იქვე, გვ. 168, საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატის მარგენის სიტყვიდან.

ჩნდა აგრეთვე მარგანეცი, კობალტი[1], ანტრაციტი, საუკეთესო ხარისხის ფოსფორიტები, რომლებითაც მაროკო განსაკუთრებით სახელგანთქმულია. მაროკოს ფოსფორიტების მოპოვების მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება ქვანახშირს, ბუნებას მაროკო ამ ძვირფასი ნედლეულითაც უხვად დაუჯილდოვებია. ქვანახშირი აღმოჩენილ იქნა ჯერ ატლასის მთიანეთში, ხოლო შემდეგ — საჰარის უდაბნოშიც. განსაკუთრებით ცნობილია ანტრაციტის საბადოები ჯერადში. ეიმეორებთ, მაროკოს ბუნებრივი სიმდიდრენი მაშინ სავსებით შეუსწავლელი იყო. ამიტომ ევროპის დიდი სახელმწიფოები იმედოვნებდნენ, რომ ახლო მომავალში მაროკოს ნედლეულის უმდიდრეს ბაზად გადააქცევდნენ.

მაროკოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა მას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაროკო მდებარეობს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ორი დიდი საზღვაო გზის—ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის — გზაჯვარედინზე, მაროკოს მპყრობელს საშუალება ჰქონდა კონტროლი გაეწია ამ გზებისათვის, აგრეთვე გიბრალტარისათვის და სუეცისათვის. აკი მაროკოს „ხმელთაშუა ზღვის გასაღებს“ უწოდებენ. დიდი იყო ევროპის სახელმწიფოების დაინტერესება მაროკოთი, ამ საუკეთესო სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყნით.

პირველად მაროკო მოიხსენიება ისეთ უძველეს დოკუმენტში, როგორიცაა კართაგენელი ზღვაოსნის განონის (დაახლ. VI—V საუკუნე ძვ. წ. ა.) „პერიპლუსი“. მაროკოს შესახებ ცნობები შემონახულია სტრაბონისა და პლინიუს უფროსის ნაწერებში. მაროკო მოხსენებულია ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა „ანტონინის მოგზაურობა“ და პტოლემაიოსის რუკა. შუა საუკუნეების მაროკოს შესახებ ცნობებს ძირითადად არაბი ავტორები გვაწვდიან, ბათ შორის ერ ბექრი (XI საუკ.), იდრისი (XII საუკ.), იბნ ბატუტი და იბნ ხალდუნი (XIV საუკ.). XVI საუკუნეში გრენადელმა მავრმა, დიდმა მოგზაურმა ლეო აფრიკელმა მაროკოს საკმაოდ ვრცელი აღწერა მოგვცა. 1570 წელს ფლამანდელმა ორტელიუსმა შეადგინა მაროკოს ვრცელი რუკა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ევროპელებმა ფართოდ მოჰკიდეს ხელი მაროკოს შესწავლის საქმეს.

პირველი ევროპელი, რომელმაც XIX საუკუნის დამდეგს მაროკოში იმგზავრა და ეს ქვეყანა აღწერა, იყო ესპანელი ბადია. მასთან ერთად ყურადღებას იპყრობს ფრანგი მოგზაური რენე

[1] კობალტისა და მარგანეცის საბადოებს მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ.

კაიე, რომელმაც მაროკოში 1828 წელს იმოგზაურა. მაროკოს ქეშმარიტი შესწავლა მაინც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და შემდეგ სახელებთანაა დაკავშირებული: გერმანელი ვოლფსი (მაროკოში იმოგზაურა 1862—1864 წლებში), ინგლისელები: გუკერი, ბოლი, მოვა (1871 წ.), ავსტრიელი ლენცი (1879 წ.), ინგლისელი ტომსონი (1888 წ.), ფრანგი ფუკო და სხვები. XX საუკუნის პირველ წლებში მაროკოს გეოლოგიურ და გეოგრაფიულ მიმომხილველთა შორის ყურადღებას იპყრობენ გერმანელი ფიშერი, ფრანგები: ლა მარტინიერი, ვეისგერბერი, სეგონზაკი, ბრივა, დუტე და ჟანტი [1].

§ 2. მაროკო ანტიკურ პერიოდსა და შუა საუკუნეებში

მაროკო უძველესი ქვეყანაა. მან განელო ხანგრძლივი და მრავალი მოვლენით აღსავსე ისტორიული გზა. მდიდარი არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობენ, რომ მაროკოს ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანი სახლობდა.

მაროკო თავის შორეულ წარსულში ძველი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიას უკავშირდება. დაახლოებით ძვ. წ. აღრიცხვის მეორე ათასეულის დამლევსა და პირველი ათასეულის დამდეგს აქ ფინიკიელები მოსულან. მათ მაროკოსთან ფართო ვაჭრობა დაუწყიათ და მის სანაპიროებზე მრავალი ახალშენი დაუარსებიათ [2]. ფინიკიური ახალშენებიდან აღსანიშნავია სეუტა, ტანჟერი, მელილა, არზილა — მაროკოს ჩრდ. სანაპიროზე; სალე, აზამური — დასავლეთ სანაპიროზე. წარმოშობით ფინიკიურ ფაქტორიებს უკავშირებენ აგრეთვე ქალაქებს — კასაბლანკას, მაზაგანს, ლარაშსა და რაბატს. ფინიკიელებს მაროკოდან მრავალი რამ გამოუჭრონდათ, მათ შორის განსაკუთრებით: მატყლი, ტყავი, ოქრო,

---

[1] Ф. Жоли, А. Аяш, Ж. Фардель, А. Сюэш, География Марокко, М., 1951, გვ. 15—17.

[2] Dr. Gustav Diercks, Die Marrokkofrage und die Konferenz von Algeciras, Berlin, 1906, გვ. 45. დირკსი იმოწმებს ფრანგ ისტორიკოსს La Martinière-ს, რომელიც მაროკოს კომპეტენტურ მცოდნედაა აღიარებული, და მაროკოში ფინიკიელთა მოსვლას ათარიღებს ძვ. წ. ა. 1100 თუ 1000 წლით.

საკვები პროდუქტები, მარცვლეული, სამკურნალო ბალახები, სურნელოვანი მცენარეები და სხვ.

კართაგენის ძლიერების პერიოდში მაროკო მისი გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა კართაგენმა მისი მთლიანად დამორჩილება ვერ შეძლო. ჰანიბალის ლაშქრობათა დროს (მეორე პუნიკური ომის პერიოდში 218—201 წწ. ძვ. წ. ა.) მაროკოელები, სხვა ბერბერულ ტომებთან ერთად, კართაგენის მხარეზე იბრძოდნენ. მათ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ამ დიდი სარდლის საბრძოლო საქმეებს.

კართაგენის დანგრევის (146 წ. ძვ. წ. ა.) შემდეგ მთელი ჩრდ. აფრიკა რომაელთა გავლენის ქვეშ მოექცა. რომაელებმა თავიანთი გავლენა გაავრცელეს მავრიტანიაზეც[1], რომელიც ნუმიდიის ცნობილ სამეფოს ესაზღვრებოდა. მავრიტანიასთან კავშირი რომაელებმა პირველად ე. წ. იუგურთას ომების (111—105 წწ. ძვ. წ. ა.) დროს დაამყარეს. ნუმიდიის მეფე იუგურთა მავრიტანიის მეფის ბოკხ I-ის სიძე იყო. რომაელებმა მოისყიდეს ბოკხი და მან რომაელებს ტყვედ ჩაუგდო იუგურთა, რომელიც 104 წ. სიკვდილით იქნა დასჯილი. ამიერიდან მავრიტანიის მეფეები რომაელთა გავლენის ქვეშ მოექცნენ და მათ ინტერესებს ემსახურებოდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ამ მარიონეტულ მეფეთა ხელისუფლებას თითქმის არ ემორჩილებოდა და მავრიტანიაში რომაელთა გავლენის დამკვიდრებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. რომი ცდილობდა მავრიტანია „აფრიკის პროვინციისათვის“ შეეერთებინა, მაგრამ ეს არც თუ ისე ადვილი იყო. ძვ. წ. ა. 33 წლიდან მავრიტანიის მეფეებს რომი ნიშნავდა, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის 40-იან წლებში მავრიტანია რომმა თავის პროვინციად აქცია და ორად გაყო: ერთი იყო ტინგიტანია (რომელიც უფრო ზუსტად შეესაბამება თანამედროვე მაროკოს), მეორე — ცეზარია.

რომის სამეურნეო ცხოვრებაში მავრიტანია დიდ როლს ასრულებდა. აფრიკის პურის დიდი ნაწილი მავრიტანიაზე მოდი-

---

[1] მავრიტანიას ძველი რომაელები აფრიკის ჩრდ.-დასავლეთ ნაწილს უწოდებდნენ (დაახლოებით, თანამედროვე მაროკო და ალჟირის ნაწილი), ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას—მაურებს (Maures). საერთოდ მავრების სახელით არაბთა დაპყრობებამდე (მერვე საუკუნე) ცნობილი იყო ჩრდ. აფრიკის ყველა ბერბერული ტომი; ხოლო როცა ბერბერები არაბთა მეთაურობით პირენეის ნახევარკუნძულზე გამოჩნდნენ, ამიერიდან მავრების სახელით იწოდებოდა ყველა დამპყრობელი მუსლიმანი, რომელიც ჩრდ. აფრიკიდან მოვიდა.

ოდა. იგი რომის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნაყოფიერ პეღლად ითვლებოდა. რომაელებმა აქ მრავალი გზა გაიყვანეს. მოაწყვეს საირიგაციო სისტემა, ააშენეს ნავსადგურები. რომაული დროის მრავალი ნაგებობა მაროკოში დღესაც არის შემორჩენილი. ბავრიტანიის ქალაქებში რომაელები ბატონობდნენ. ისინი მავრიტანიის საუკეთესო მიწებს ფლობდნენ. მაგრამ რომაელებმა მავრიტანიის ხალხის საბოლოოდ დამორჩილება ვერ შეძლეს. აქ რომაელთა მიმართ სასტიკი სიძულვილი სუფევდა, დიდი აჯანყებები რომაელთა წინააღმდეგ ხშირი მოვლენა იყო. რომი იძულებული ხდებოდა მავრიტანიაში დიდი გარნიზონები შეენახა. 125 წელს იმპერატორი ჰადრიანე იძულებული გახდა თვით წასულიყო დიდი ჯარით აჯანყებული მავრიტანიის „დასამშვიდებლად". უფრო მეტიც, ბერბერები დიდ თავდასხმებსაც ახდენდნენ ხოლმე რომის იმპერიის ტერიტორიაზე, კერძოდ, ესპანეთზე. ასეთი თავდასხმა მოხდა 170 წ. მარკუს ავრელიუსის დროს. 234 წელს ალექსანდრე სევერუსი იძულებული იყო ესპანეთზე თავდამსხმელ ბერბერთა წინააღმდეგ ნამდვილი დიდი ომი ეწარმოებინა. სიძულვილი რომაელთა მიმართ მაროკოს ხალხმა ტრადიციულად შემოინახა და დღესაც ევროპელ დამპყრობლებს მაროკოელები „საძულველი რუმელების" სახელით ნათლავენ. ჯერ კიდევ რომის ბატონობის დროს, III საუკუნიდან, მაროკოში ქრისტიანობა გავრცელდა.

V საუკუნეში რომაელები შეცვალეს ვანდალებმა. რომელთაც 429 წელს დაიპყრეს ჩრდ. აფრიკა და ჰენზერიხის მეთაურობით იქ თავიანთი ბარბაროსული სამეფო შექმნეს. 533 წელს ვანდალთა სამეფო ბიზანტიის სარდალმა ველიზარიუსმა დაანგრია და ამიერიდან ჩრდ. აფრიკა მაროკოსთან ერთად ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცა. ბიზანტიელებმა ვერ შეძლეს მაროკოში მტკიცედ დამკვიდრება. მათი ხელისუფლება მხოლოდ მაროკოს სანაპირო რაიონებზე ვრცელდებოდა. რაც შეეხება ქვეყნის შუაგულს, აქ ეს ხელისუფლება მხოლოდ ნომინალური იყო.

ბიზანტიელები არაბებმა შეცვალეს. 680 თუ 682 წელს არაბებმა გადასერეს მაროკო და ატლანტის ოკეანეს მიადგნენ. 709 წელს არაბთა ლაშქარი მუსა იბნ ნუსეირის მეთაურობით გარს შემოერტყა ტანჟერს. ბიზანტიის სარდალმა იულიანემ ქალაქი არაბებს ჩააბარა. ამის შემდეგ არაბებმა ხელი მიჰყვეს ბერბერთა დამორჩილებას და მათში ისლამის გავრცელებას. ბერბერები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობელთ. არაბებს მაროკოში დამკვიდრება და იქ ისლამის გავრცელება მეტად ძვირად

დაუჯდათ და ამისათვის დიდი დრო დასჭირდათ. არაბთა გავლენა მხოლოდ დაბლობში მცხოვრებ ბერბერებზე გავრცელდა, რაც შეეხება მთის ბერბერებს, მათ, მართალია, მიიღეს ისლამი, მაგრამ არასდროს არ ემორჩილებოდნენ არაბთა ხელისუფლებას. არაბთა საუკუნოებრივმა ბატონობამ ვერ აღმოფხვრა ბერბერული ელემენტის გავლენა მაროკოში. ბერბერები არაბთა ხალიფატის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. 711 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს არაბთა ცნობილ ექსპედიციაში, რომელიც ესპანეთის დასაპყრობად მოეწყო, და მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში ძლიერდება არაბთა მიერ დაპყრობილი ხალხების ბრძოლა ხალიფატის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ბერბერებიც ჩაებნენ. მათ 740 წელს დიდი აჯანყება მოაწყვეს ომაიადების ხალიფატის წინააღმდეგ და მდ. უედ-სებუსთან სასტიკად დაამარცხეს მისი ლაშქარი. ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ მუსლიმანურ სექტანტურ ხასიათს ღებულობს. დაახლოებით 742 წლიდან მაროკოში გავრცელდა ე. წ. ხარიჯიტების მოძღვრება. გამოჩნდნენ ადგილობრივი წინასწარმეტყველები, რომლებიც ყურანს უპირისპირებდნენ თავიანთ წმინდა წიგნებს ბერბერულ ენაზე. არაბთა ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მაროკოს ტერიტორიაზე მთელი რიგი დამოუკიდებელი სათავადოები ჩამოყალიბდა. მათ შორის ყველაზე უფრო ძლიერი იყო სათავადო, შექმნილი სეუტას რაიონში 788 წელს მულეი იდრისის მიერ, რომელიც თავს მუჰამედის პირდაპირ მემკვიდრედ სთვლიდა. მალე მან მაროკო მთლიანად დაუმორჩილა თავის გავლენას და დააარსა მაროკოს პირველი დამოუკიდებელი მუსლიმანური დინასტია იდრისიდებისა. მულეი იდრისის შვილმა მულეი იდრისი II-ემ 808 წელს დააარსა ქ. ფეცი, რომელიც მალე მთელი ჩრდ.-დასავლეთ აფრიკის კულტურის ცენტრი გახდა და თავისი ბრწყინვალებით მეტოქეობას უწევდა არაბული ესპანეთის დედაქალაქ კორდოვას. X საუკუნეში იდრისიდებს ავიწროვებენ ეგვიპტის ფატიმიდები და ესპანეთის ომაიადები. ამას ზედ ერთვის ადგილობრივი ტომების აჯანყებები, რასაც იდრისიდების დინასტიის დაცემა მოჰყვა კიდეც. ამის შემდეგ ფატიმიდები და ესპანეთის ომაიადები ერთმანეთს ეცილებიან მაროკოს. მაროკოელები მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. მალე ბერბერთა ერთ-ერთი ტომის — მაგრავას — ბელადი ზაირიდების ახალ დინასტიას აარსებს.

მაროკოს მდებარეობა იმ გზაზე, რომელიც არაბულ ესპანეთს უკავშირებდა ბაღდადის ხალიფატს, ხელს უწყობდა მაროკოს ეკონომიურ განვითარებას, ქალაქების ზრდას, ხელოსნობისა და ვაჭრობის აღორძინებას, კულტურის აღმავლობას. ამავე დროს მაროკოში აღინიშნება ბერბერთა ტომების კლასობრივი დიფერენციაცია, იწყება წინააღმდეგობა ფეოდალურ-გვაროვნულ არისტოკრატიასა და მასებს შორის.

XI საუკუნეში მაროკოში ძლიერდებიან საჰარის ოაზისებში მოსახლე ტომების ბელადები. მათ შორის განსაკუთრებით დაწინაურდა აბუ-ბექრი, რომელმაც დააარსა ახალი დინასტია ალმორავიდებისა (ალმურაბიტებისა, 1053—1146 წწ.) გამოჩენილი სარდლის იუსუფ იბნ-ტაშფინის მეთაურობით. ალმორავიდებმა დაიპყრეს მთელი მაროკო და იგი ერთ სახელმწიფოდ გააერთიანეს. 1062 წელს დაარსებულ იქნა ქ. მარაკეში. იუსუფი იმდენად გაძლიერდა, რომ 1086—1090 წწ. განმავლობაში ესპანეთის მუსლიმანთა თხოვნით, რომელთაც ესპანელი ქრისტიანები ავიწროვებდნენ, ორგზის დალაშქრა პირინეის ნახევარკუნძული, მისი თითქმის ნახევარი (მდინარე ტახომდე) შეიერთა და ამით რეკონკისტა ესპანეთში გარკვეულად შეაფერხა. დაახლოებით 40 წლის შემდეგ ალმორავიდებს აუჯანყდნენ სამხრეთ-დასავლეთ მაროკოს ბერბერული ტომები. ეს აჯანყება რელიგიურ სამოსელში გაეხვია. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა განათლებული და ნიჭიერი აბდ-ელ-მუმინი. მან მალე მთელი მაროკო იგდო ხელთ და ახალი, ალმოჰადების (1146—1269 წწ.) დინასტია დააარსა. 1160 წლისათვის მის ხელში იყო მთელი ჩრდილო აფრიკა — ეგვიპტიდან ატლანტის ოკეანემდე — და მუსლიმანური ესპანეთი. ალმოჰადების დინასტია განსაკუთრებით აბუ-იუსუფ იაკუბ ალმანსურის დროს (1184—1198 წწ.) გაძლიერდა. XIII საუკუნის დასაწყისში ალმოჰადები თანდათან ჰკარგავენ თავიანთ სიძლიერეს. 1212 წელს მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს ესპანეთში, ესპანეთის ქრისტიანული სამეფოების გაერთიანებული ძალებისაგან ქალაქ ლას-ნავას-დე-ტოლოსასთან. XI—XIII საუკუნეები აღინიშნება მაროკოს სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების დიდი აღმავლობით. ამ პერიოდს ისტორიკოსებმა მაროკოს „ოქროს საუკუნე“ უწოდეს. იზრდება ქალაქები, ვითარდება ხელოსნობა, ფართოვდება ვაჭრობა. ამ საუკუნეებმა შვეს შესანიშნავი მაროკოელი პოეტები, გეოგრაფები, მოაზროვნეები. ამავე პერიოდში შეიქმნა შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა სიდიადე დღესაც ხიბლავს მნახველს. ალმორავიდებისა და

ალმოჰადების დინასტიის დროს მაროკო ძლიერი სამხედრო სახელმწიფოა. მათი ძალაუფლება ვრცელდება არა მარტო ჩრდილო აფრიკაზე, არამედ მათ ემორჩილება აგრეთვე პირენეის ნახევარკუნძულის ნაწილიც. ვაჭრობამ ფართო ხასიათი მიიღო. ვენეციის, გენუისა და მარსელის სავაჭრო ხომალდებს მაროკოში შემოაქვთ ევროპული საქონელი. აქედან გააქვთ ოქრო, სირაქლემას ფრთები, ინდიგო, ტყავი, მაუდი, ნუში, შაქარი, აბრეშუმი, ძვირფასი ბერბერული ხალიჩები; ვაჭრობენ აგრეთვე მონებითაც.

1269 წლიდან მაროკოში მარინიდების ახალი დინასტიაა. მარინიდების 1269—1470 წწ.) დროს მაროკოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფეოდალური მუსლიმანური სახელმწიფო. მაგრამ ბერბერებმა (განსაკუთრებით მთიან რაიონებში) გვაროვნული წყობილების დიდი ნაშთები შემოინახეს. მარინიდები თავიანთ სამფლობელოებს ხან აფართოებდნენ, როგორც ამას ჩადიოდნენ ალმორავიდები და ალმოჰადები, ხან კი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მაროკოთი. მარინიდების დინასტიის მბრძანებლობის დროს განსაკუთრებით ვითარდება ადგილობრივი არაბულ-ბერბერული კულტურა, რომელმაც არაბულ-ესპანური კულტურის გარკვეული გავლენა განიცადა. მაროკოს ქალაქები კულტურის ცენტრებად იქცნენ. მარინიდების დროს განსაკუთრებით ცნობილი გახდა მაროკოს სატახტო ქალაქი ფეცი. აქ იყო მთელს ჩრდილოეთ აფრიკაში ცნობილი უნივერსიტეტი. მარინიდები მეცენატთა როლში გამოდიოდნენ. მათ კარზე თავს იყრიდნენ ცნობილი პოეტები, სწავლულები, კანონმდებელნი. ამასთანავე ქ. ფეცი გადაიქცა ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრად, მოირთო შესანიშნავი სასახლეებით, მეჩეთებით, სკოლებით.

მარინიდები შეცვალეს ვატასიდებმა (1470—1550), რომლებიც მარინიდების არაპირდაპირ მონათესავე შტოს ეკუთვნოდნენ. მათ დროს იწყება შერიფთა საგვარეულოს ბრძოლა ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ. შერიფთა გვარი თავს ალისა და ფატმანის შთამომავლად სთვლიდა. XV—XVI საუკ. იწყება ევროპელთა ექსპანსია მაროკოს მიმართ. ევროპელ დამპყრობთა საშინელი ძალმომრეობა მაროკოელთა დიდ წინააღმდეგობას იწვევდა. შერიფებმა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ანტიქრისტიანული, ანტიევროპული ბრძოლის დროშით დაიწყეს. შერიფებმა ითავეს ბრძოლა ევროპელთა წინააღმდეგ როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე.

შერიფების ბრძოლა სულთნის წინააღმდეგ დაიწყო XV საუკუნის ბოლოს. ეს ბრძოლა შერიფმა მახარისმა დაიწყო, მაგრამ

იგი დამარცხდა. მისმა ვაჟმა მუჰამედ ბენ შერიფმა ამაოდ სცადა მამის სისხლის აღება. მაშინ ამ უკანასკნელის ორმა ვაჟმა — მუჰამედ და ახმედ შერიფებმა, რომლებსაც მაშინდელ დროისთვის საკმაო განათლება ჰქონდათ მიღებული და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ, ბრძოლა გაუმართეს სულთანს. ისინი სათავეში ჩაუდგნენ დიდ არმიას, რამდენიმე დამარცხება აგემეს ესპანელებსა და პორტუგალელებს, ბოლო ამის შემდეგ სულთანს შეუტიეს. ისინი ბრალს სდებდნენ სულთანს, რომ იგი პატივს სცემს და მფარველობს გიაურებს (ევროპელ ქრისტიანებს). 1525 წელს სულთანი დამარცხდა, მისი სამფლობელოები შეიკვეცა. 1530 წელს უმცროსმა ძმამ ახმედმა უფროსი მუჰამედი ტაფილელტის ოაზისში გადაასახლა და მარტო განაგრძო ბრძოლა სულთნის წინააღმდეგ. 1549 წელს მან საბოლოოდ სძლია სულთანი და ხელისუფლებას დაეპატრონა. შერიფთა ეს დინასტია „საადიტების" სახელითაა ცნობილი. „საადიტები" შერიფმა „ფილალებმა" (ალაუიტებმა) შეცვალეს. ამ უკანასკნელი გვარის წარმომადგენელნი მაროკოში ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდშიც მეფობდნენ. პირველი წარმომადგენელი ამ დინასტიისა იყო მულეი ალ რაშიდი (1654—1672 წწ.), რომელიც ევროპელ დამპყრობლებს წარმატებით ებრძოდა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მაროკოს ტახტზე იჯდა სულთანი აბდ-ელ-აზიზი (1894—1908 წწ.).

ევროპელთა შემოსევებმა დააძაბუნა მაროკო: დასცა მისი ეკონომიკა და მოშალა იგი პოლიტიკურად. ამას ზედ ერთვოდა შინაფეოდალური და გაუთავებელი რელიგიური ბრძოლები. XIX საუკუნისთვის მაროკო დაცემის გზაზე იდგა. მაროკოს პოლიტიკური ორგანიზაცია ამ დროისათვის ასე გამოიყურებოდა: სულთანი ითვლებოდა ქვეყნის უზენაეს ხელისუფლად. იგი წარმოადგენდა უმაღლეს მოსამართლეს, ნიშნავდა და ათავისუფლებდა თანამდებობის პირებს, მისი სახელით ხდებოდა გადასახადების აკრეფა და ქვეყნად წესრიგის დაცვა. სულთანი წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ ფეოდალს, ფლობდა მიწების დიდ რაოდენობას; მიწების მნიშვნელოვანი რაოდენობა ფეოდალთა და მუსლიმანურ რელიგიურ დაწესებულებათა ხელთ იყო. რაც შეეხება ცალკეულ ტომებს, ისინი მიწებით უმეტესად თემური მიწათმფლობელობის წესით სარგებლობდნენ. მიწის პირდაპირი საკუთრება (ე. წ. მულკი) ნაკლებ იყო განვითარებული. ფეოდალები არ კმაყოფილდებოდნენ იმ მიწებით, რომლებიც უშუალოდ მათ საკუთრებაში იყო; ტომებს, თემებსა და ცალკეულ გლეხებს ისინი ართმევდნენ

მიწებს და თავიანთ საკუთრებად აქცევდნენ. ასეთი ხასიათის ძალმომრეობა ხშირი მოვლენა იყო. ფეოდალთა მიწებით მოსარგებლე გლეხები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ფეოდალები მიწებს უმეტესად საზიარო იჯარით აძლევდნენ და მათგან მოსავლის $^4/_5$ ან $^7/_8$ მიჰქონდათ. ეს უმოწყალო ექსპლოატაცია გლეხთა ხშირ აჯანყებებს იწვევდა. მომთაბარე და მიწათმოქმედი მოსახლეობა ძირითადად ისევ ტომებად ცხოვრობდა. საქალაქო ცხოვრება ჩაკვდა, მხოლოდ ორი ქალაქი — მარაკეში და ფეცი — ინარჩუნებდა ძველ დიდებას. ქალაქებში მოსახლეობის მხოლოდ 10—12% ცხოვრობდა. ქალაქში მცხოვრებთა ორი მესამედი ხელოსნობას მისდევდა. ადგილობრივი ვაჭრობა მოიშალა, ამ საქმეს თანდათან ევროპელები დაეპატრონენ[1]. გაღატაკებულ და განადგურებულ მაროკოს ევროპელები „ევროპის კარიბჭესთან გართხმულ მათხოვარს“ უწოდებდნენ.

§ 3. ევროპის სახელმწიფოები და მაროკო XV—XIX საუკუნეებში

ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობას მაროკოსთან ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ურთიერთობა თავდაპირველად გაცხოველებულ ვაჭრობაში გამოიხატებოდა. ევროპელ ვაჭრებს განსაკუთრებით იზიდავდა მდიდარი მაროკო. მაგრამ უკვე კაპიტალის ე. წ. პირვანდელი დაგროვების პერიოდში ევროპის სახელმწიფოებს აღარ აკმაყოფილებთ მხოლოდ ვაჭრობა, ისინი ხელს ჰკიდებენ მაროკოს დაპყრობას. ევროპელ ვაჭრებს და კოლონიზატორებს წინ მიუძღოდნენ კათოლიკური ეკლესიის მისიონერები.

მაროკოში არაბების დამკვიდრებას მუსლიმანობის გავრცელება მოჰყვა. მაგრამ ქრისტიანობა ძირიანად როდი აღმოფხვრილა. აქ ქრისტიანები ხანგრძლივად ინარჩუნებდნენ თავიანთ რელიგიას, კანონებსა და მამულებს. ბერბერული მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი რომის პაპებმა თავიანთი ყურადღების ცენტრში მოაქციეს. ჯერ კიდევ VII—X საუკუნეთა განმავლობაში რომის პაპები აქ ხშირად გზავნიდნენ თავიანთ ლეგატებსა და აგენტებს. რომის პაპები ცდილობდნენ მოექციათ ეს ქვეყანა, მაგრამ ამაოდ. დროთა განმავლობაში ქრისტიანული ეკლესიებისა

[1] И. С. Луцкая. Марокко вновь обретает независимость, М., 1958, გვ. 6—7.

და ქრისტეს მიმდევართა რიცხვი თანდათან კლებულობდა. რომის პაპის გავლენა თანდათან აღმოიფხვრა. უკანასკნელი ადგილობრივი ქრისტიანი ეპისკოპოსი მაროკოში 1114 წელს ყოფილა, შემდეგ კი ქრისტიან ეპისკოპოსებს აქ აღარ ვხედებით.

XIII საუკუნიდან მაროკოში მოღვაწეობას იწყებენ სხვადასხვა კათოლიკური ორდენები, მათ შორის ფრანცისკანელთა ცნობილი ორდენი. ფრანცისკანელთა მოღვაწეობას მაროკოს ტერიტორიაზე სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და მუდამ მარცხით მთავრდებოდა. ბუსლიმანობა რჩებოდა, ხოლო ქრისტიანთა წინააღმდეგ სიძულვილი სულ უფრო და უფრო მატულობდა. იგი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ევროპის სახელმწიფოებმა მაროკოს აშკარა დაპყრობა დაიწყეს. ამიერიდან ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლად იქცა. ეს იყო ბრძოლა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის.

ევროპელთა სავაჭრო ურთიერთობა მაროკოსთან ჯერ კიდევ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე დაიწყო. მაროკოსთან ვაჭრობდნენ იტალიის სავაჭრო ქალაქები და სამხრეთ საფრანგეთის ქალაქები. XII—XIII საუკუნეებში მაროკოსთან ვაჭრობენ იტალიის ქალაქები: ვენეცია, გენუა, პიზა, ფლორენცია და სხვ.

XV საუკუნიდან იწყება ევროპელთა თავდასხმები მაროკოზე მისი დაპყრობის მიზნით. პირველ ხანებში ეს თავდასხმები გარკვეული წარმატებით გვირგვინდება იმ შინაური ბრძოლებისა და რელიგიურ უთანხმოებათა გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მაროკოში, მაგრამ ეს წარმატებები ევროპელთათვის მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე მაროკოელი ხალხი, რომელმაც ბოლო მოუღო შინაგან შფოთს, ერთსულოვნად დაიარაზმა ევროპელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მაროკოელმა ხალხმა შეძლო თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა. გარდა ამისა, ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მაროკოს დაპყრობაში, რაც ერთგვარად ხელს უწყობდა მაროკოელთა წარმატებას.

მაროკოს მიწა-წყლის პირველი დაპყრობა პორტუგალელებმა მოახდინეს. მათ 1415 წ. აიღეს სეუტა. ამ საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო პორტუგალიის ინფანტი დონ ჰენრიკო, რომელიც ისტორიაში ჰენრიხ ზღვაოსნის სახელითაა ცნობილი. 1437 წელს იგი შეეცადა ტანჯერის აღებას, მაგრამ მაროკოელებმა სასტიკად დაამარცხეს პორტუგალელთა ლაშქარი. ტანჯერის დაკავება პორტუგალელებმა 1471 წელს შეძლეს. მათ ამასთანავე დაიკავეს მთელი რიგი პუნქტები მაროკოს ატლანტის სანაპი-

როზე, მათ შორის სეუტა, არსილა, ქსარ-ეს-საგირი, ტანჟერი, საფი, ანაფა (კასაბლანკა), აგრეთვე დააარსეს პორტები აგადირი, მაზაგანი და სხვ. ეს პუნქტები პორტუგალელებმა თავიანთი ზღვაოსნობისა და ვაჭრობის დასაყრდენად აქციეს. ქვეყნის შიგნით შეჭრას პორტუგალელები ვერ ახერხებენ.

ხელისუფლების სათავეში შერიფთა დინასტიის ჩადგომის შემდეგ პორტუგალელთა წინააღმდეგ ბრძოლამ მეტად სასტიკი ხასიათი მიიღო. პორტუგალელებმა თითქმის ყველა სამფლობელო დაკარგეს, შეინარჩუნეს მხოლოდ ტანჟერი და სეუტა, აგრეთვე რამდენიმე მეორეხარისხოვანი პუნქტი მაროკოს დასავლეთ (ატლანტის) სანაპიროზე. პორტუგალიის მეფე სებასტიანემ განიზრახა დიდი „ჯვაროსნული“ ლაშქრობა მოეწყო მაროკოელთა წინააღმდეგ, მაროკოს საბოლოოდ დაპყრობის მიზნით. ეს გადაწყვეტილება მეფისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1578 წლის 4 აგვისტოს მაროკოს ჯარებმა სულთან აბდ-ელ-მელიქის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს „ჯვაროსანთა“ ლაშქარი ელ-ქსარ-ელ-კებირთან (ალკასარკივირთან) გამართულ ბრძოლაში. მეფე სებასტიანე ბრძოლის ველზე იქნა მოკლული. მისი არმიიდან მხოლოდ მცირედი ნაწილი გადაურჩა მამაც მაროკოელებს. ამ კატასტროფამ პორტუგალიის სამეფოს ძლიერება საგრძნობლად დასცა და პორტუგალელთა მადა მაროკოს დაპყრობის საქმეში საგრძნობლად შეკვეცა.

ასევე უშედეგო აღმოჩნდა ესპანეთის ექსპანსია მაროკოს მიმართ. ესპანელების დაპყრობები მაროკოს ტერიტორიაზე პორტუგალელთა დაპყრობებთან შედარებით უფრო გვიან დაიწყო, სახელდობრ, XV საუკუნის მიწურულში, მას შემდეგ, რაც ესპანელებმა 1492 წელს მავრების უკანასკნელი დასაყრდენი გრანადა აიღეს და ამით რეკონკისტა გამარჯვებით დააგვირგვინეს. 1496 წელს ესპანელებმა ჰერცოგ მედინა სიდონიას მეთაურობით ხელთ იგდეს ფინიკიელთა მიერ დაარსებული უძველესი ქალაქი მელილა, რომელიც რიფის სახელგანთქმული მეკობრეების დასაყრდენი იყო. აქედან იწყება მაროკოს ხალხის გმირული ბრძოლა ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა. მაროკოელები ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას, ესპანელებს რაიმე დიდი წარმატება ამ ბრძოლის პროცესში არ ჰქონიათ. მათ ხელში აღმოჩნდა მხოლოდ მაროკოს სანაპიროს ზოგიერთი პუნქტი ქვეყნის შიგნითა მიწების გარეშე. 1507 (1505) წ. ესპანელებმა ხელთ იგდეს მერს-ელ-კებირი. 1509 წელს პედრო ნავარომ დაიპყრო და გაძარცვა ორანი. თვით ცნობილი

მეფე ესპანეთისა და იმპერატორი გერმანიისა კარლოს V და მისი დიდი ადმირალი ჰერცოგი დორა უძლურნი აღმოჩნდნენ ჩრდ. აფრიკის მამაცი ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1580 წელს ესპანეთის მეფე ფილიპე II-ემ შეიერთა პორტუგალია და მისი სამფლობელოები, მათ შორის პორტუგალელთა სამფლობელოები მაროკოს ტერიტორიაზეც. მართალია, პორტუგალია 1640 წელს კვლავ დამოუკიდებელი სამეფო გახდა, მაგრამ მისი სამფლობელოები მაროკოში ძირითადად ესპანეთმა დაიტოვა. პორტუგალიას შერჩა მხოლოდ მაზაგანი და, მოკლე დროით, ტანჯერი.

სულთან მულეი ისმაილის დროს (1672—1727 წწ.) მაროკო საკმაოდ ძლიერდება. ევროპის სახელმწიფოები მას სუვერენულ სახელმწიფოდ სთვლიან და მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებენ. ისმაილი წარმატებით ებრძვის ესპანელებს. მან ისინი მრავალი პუნქტიდან განდევნა კიდეც. XIX საუკუნის დასაწყისში ესპანელებს სულ 4 პუნქტი ეჭირათ: სეუტა, ალხუსემასი, მელილა, პ'ენიონ დე ვალესი. ესპანელთა გავლენა ამ ქალაქების საზღვრებს არ სცილდებოდა. რაც შეეხება პორტუგალელებს, მათ XVIII საუკუნისთვის უკანასკნელი პუნქტი მაზაგანიც კი დაკარგეს.

XIX საუკუნეში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ევროპის სამხელმწიფოთა ექსპანსია ჩრდ. აფრიკაში, კერძოდ, მაროკოში იზრდება. ესპანეთი რამდენჯერმე შეეცადა მაროკოს დაპყრობას. 1859 წელს ესპანეთის ჯარები გენერალ ო'დონელის მეთაურობით მაროკოში შეიჭრნენ. დაიწყო ესპანეთ-მაროკოს ომი[1], რომელიც 1860 წელს დამთავრდა. მაროკოს ჯარები მამაცურად ებრძოდნენ მტერს. „ყოველგვარ ექვს გარეშეა, რომ მავრები (მაროკოელები—გ. კ.) შესანიშნავად იბრძოდნენ", — წერდა ფრიდრიხ ენგელსი[2]. მაგრამ „ცივილიზებული" ესპანეთის სამხედრო ტექნიკამ და ორგანიზაციამ თავისი ქნა. ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ესპანელებმა აიღეს ტეტუანი და ტანჯერისკენ დაიძრნენ. ინგლისელების ენერგიული ჩარევის შემდეგ ესპანელები იძულებულნი გახდნენ შეეჩერებინათ შეტევა და ლონდონის მოთხოვნით ზავი დაედოთ მაროკოელებ-

---

[1] ესპანეთ-მაროკოს ამ ომს ფრიდრიხ ენგელსმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა გაზეთში „New-York Daily Tribune", სადაც დაწვრილებით აღწერს ამ ომის მსვლელობას. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XII, ნაწილი II, გვ. 3—6, 7—11, 34—41.

[2] იქვე, გვ. 5.

თან 1860 წლის 26 აპრილს ტეტუანში. მაროკომ ესპანეთს 20 მილიონი პიასტრი კონტრიბუცია გადაუხადა. აქაც მაროკოს სულთანს ინგლისელები „დაეხმარნენ“: კონტრიბუციის გადასახდელად მათ სულთანს სესხი მისცეს, რომლის საგარანტიოდ მაროკოს საბაჟოების შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი აიღეს. ზავს ესპანეთში აღშფოთებით შეხვდნენ. ამ ზავის შესახებ ესპანელები ამბობდნენ: „Una guerra grande y una pazchina“ (დიდი ომი შეკვეცილი ზავისათვის)[1].

XIX საუკუნის განმავლობაში ესპანეთმა კიდევ არა ერთხელ სცადა მაროკოს დამორჩილება, მაგრამ ამაოდ. ინგლისი „ერთგულად“ იცავდა მაროკოს დამოუკიდებლობას და მისი ტერიტორიის მთლიანობას.

როგორი იყო ინგლისის დამოკიდებულება მაროკოსადმი? მას შემდეგ, რაც ინგლისი მნიშვნელოვანი სავაჭრო და კოლონიური ქვეყანა გახდა და დიდ საზღვაო ძლიერებას მიაღწია, იგი განსაკუთრებით დაინტერესდა მაროკოთი როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. უკვე დედოფალ ელისაბედ ტიუდორის (1558—1603 წწ.) დროს, 1585 წელს, ჩამოყალიბდა მაროკოს სავაჭრო კომპანია. ჩარლზ (კარლოს) I სტუარტი ყოველმხრივ ხელს უწყობდა ინგლისის გავლენის გაძლიერებას მაროკოში. 1662 წელს ინგლისის მეფემ ჩარლზ (კარლოს) II სტუარტმა ცოლად შეირთო პორტუგალიის ინფანტა კატარინა ბრაგანცელი, მას გამოატანეს დიდებული „მზითევი“ — ტანჟერი. ინგლისელებმა გაამაგრეს იგი. ტანჟერის ციხე-სიმაგრისა და გარნიზონის შენახვა ძვირი ჯდებოდა. 1684 წელს ინგლისის პარლამენტმა შეწყვიტა სუბსიდიების გაცემა ტანჟერის შენახვისათვის. ინგლისის მეფე იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ ქალაქზე. ინგლისის მთავრობის ბრძანებით ლორდ დარმუტის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ტანჟერის სიმაგრეებსა და ნავსადგურს და დაანგრია იგი. ამის შემდეგ ტანჟერი გადაეცა მაროკოს სულთანს მულეი ისმაილს, მიუხედავად პორტუგალიის მხრიდან სასტიკი პროტესტისა. ინგლისისათვის ეს მომენტი მუდამ მწარედ მოსაგონარი „შეცდომა“ იყო.

1704 წელს ინგლისელებმა ხელთ იგდეს გიბრალტარი. ამიერიდან მაროკო ინგლისის განსაკუთრებული „მზრუნველობის“ საგანი გახდა. ეს „მზრუნველობა“ კიდევ უფრო გაძლიერდა,

[1] А. Александров, Французские колонии в Африке, М., 1930, გვ. 20.

როცა 1875 წელს დიზრაელი სუეცის არხსაც დაეპატრონა. ამიერიდან ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობა და მისი „გასაღების“ — გიბრალტარის—დაცვა ინგლისის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი გახდა. „ინგლისმა, რომელიც ფლობდა ჰერკულესის ერთ-ერთ სვეტთაგანს გიბრალტართან, გადაწყვიტა, რომ მეორე ამ სვეტთაგანი სეუტასთან არასდროს არ მოქცეულიყო ისეთი ძლიერი სახელმწიფოს ხელში, როგორიც იყო საფრანგეთი (ან სხვა რომელიმე ძლიერი სახელმწიფო — გ. კ.). წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის ფლოტი და ინგლისის ვაჭრობა ხმელთაშუა ზღვის შესავალზე დაკარგავდა იმ სასიცოცხლოდ აუცილებელ კონტროლს, რომელსაც ინგლისი ორი საუკუნის განმავლობაში გიბრალტარის მეშვეობით ახორციელებდა“ [1]. საფრანგეთში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ინგლისისათვის „მაროკოს საკითხი სრუტეთა საკითხის საწინდარი იყო“ [2]. ჯერ კიდევ 1840 წელს ინგლისი ოფიციალურად აცხადებდა: „საფრანგეთის მიერ მაროკოს ტერიტორიის რომელიმე ნაწილის დაკავება ჩვენის მხრიდან ომის გამოცხადების საბაბი გახდება“-ო [3]. 1856 წლის 9 დეკემბერს ინგლისსა და მაროკოს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით, ინგლისმა მაროკოში მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურადაც. ინგლისი ამოცანად ისახავდა მაროკოში „Status quo“ და მაროკოს ტერიტორიული მთლიანობა დაეცვა, არ დაეშვა იქ რომელიმე სხვა სახელმწიფოს გაბატონება, რათა ამით საფრთხე არ შეჰქმნოდა ინგლისის მსოფლიო ბატონობას, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი გიბრალტარი, ხმელთაშუა ზღვა და სუეცი იყო. ამავე დროს მაროკოში ინგლისს მნიშვნელოვანი ეკონომიური ინტერესები ჰქონდა: ინგლისი მაროკოსთან ვაჭრობის საქმეში მუდამ ინარჩუნებდა პირველ ადგილს.

1891 წელს ინგლისის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა სოლსბერიმ, მაროკოს სულთნის კარზე სპეციალური მისია წარგზავნა ჩარლზ უან-სმიტის მეთაურობით. მისიას ევალებოდა „დახმარებოდა“ სულთანს „რეფორმების“ გატარების საქმეში. ფრანგები ამ ამბავს დიდი აურზაურით შეხვდნენ. საფრანგეთის პრესა, მთავრობა, კოლონიური წრეები სასტიკად ილაშქრებდნენ ინგლი-

---

[1] Сидней Фей, Происхождение мировой войны, т. I, М.—Л., 1934, გვ. 117.

[2] Dr. Paul Mohr, Marokko. Berlin, 1905, გვ. 5.

[3] Л. Семар, Война в Марокко, Л., 1926, გვ. 12.

სის წინააღმდეგ. გაზეთი „Journal de débats"-ს 21 ივლისისა და 12 აგვისტოს ნომრებში ნათქვამი იყო, რომ ინგლისს სურს ხელთ იგდოს მაროკო, რომ მხოლოდ ფრანგები იცავენ მაროკოს დამოუკიდებლობასა და ხელშეუხებლობას. სმიტის მისია ჩაიშალა. ინგლისის პრესაში გავრცელებული ცნობების მიხედვით, მოლაპარაკების ჩაშლის ინიციატორი იყო საფრანგეთი, რომელმაც მოისყიდა სულთნის მინისტრები. თითოეულისათვის ფრანგებს 10.000 დოლარი მიუციათ [1].

ასეთი იყო ინგლისის ტრადიციული პოლიტიკა მაროკოს საკითხში. ამ პოლიტიკამ გასტანა XX საუკუნის დასაწყისამდე, სახელდობრ, 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამდე.

§ 4. საფრანგეთისა და მაროკოს ურთიერთობანი XVI—XIX საუკუნეებში

მაროკოთი დაინტერესებულ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნოდა საფრანგეთიც. ეს დაინტერესება განსაკუთრებით დიდი იყო. ფრანგები ირწმუნებიან, რომ მათი თანამემამულე ზღვაოსნები და ვაჭრები ძველთაგანვე ცხოველ ურთიერთობას ამყარებდნენ მაროკოსთან. რეალური ნიშნები ასეთი ურთიერთობისა, — ამტკიცებენ ფრანგი ისტორიკოსები, — უკვე კარლოს დიდის დროიდან ჩანს, კერძოდ, მაშინ მაროკოსთან ვაჭრობდა ქ. მარსელი. მათივე ცნობით, 1138 წელს მაროკოსა და სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებს — მარსელს, ფრეჟუსს, იერსა და ანტიბს შორის უკვე სავაჭრო ხელშეკრულებები გაფორმებულა. 1255 წელს სპეციალური სტატუტებით განისაზღვრა სეუტაში მარსელის გემების შესვლის წესი და აგრეთვე უფლებები როგორც საზღვაო, ისე დროებითი კონსულებისა, რომლებიც მარსელის სავაჭრო გემებს ახლდნენ [2]. საფრანგეთ-მაროკოს შორის ვაჭრობა მეტად მრავალფეროვან საგნებს მოიცავდა. ფრანგებს მაროკოში შეჰქონდათ: ღვინო, ლითონის ნაწარმი, იარაღი, ტილოს, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები (მაგალითად, ბურგონის ტილო, ლანგედოკის მაუდი, არასის საფეიქრო ნაწარმი და სხვ.), ნელსაცხებ-

[1] Э. Д. Морель, Десять лет секретной дипломатии, М., 1924, გვ. 9. 10.

[2] Augustin Bernard, Le Maroc, P., 1913, გვ. 278.

ლები, გემის კაზმულობა და სხვა მრავალი. მაროკოდან გამოჰქონდათ ნახევრად ფაბრიკატული ტყავი, საღებავი ნივთიერებანი, ცვილი, ლერწმის შაქარი, მარცვლეული, ფინიკისა და ნუშის ნაყოფი, ძვირფასი ხალიჩები (განსაკუთრებით ცნობილი იყო სეუტას ხალიჩები), სირაქლემას ფრთა, ძვირფასი ქსოვილები, ბამბა, მარჯანი, ტყვია, ოქროს ფხვნილი და სხვა. ევროპელებს, მათ შორის განსაკუთრებით ფრანგებს, მაროკოდან გამოჰყავდათ აგრეთვე მონებიც [1]. საფრანგეთის ვაჭრობა წარმოებდა ძირითადად მაროკოს ნაესადგურების—სეუტას, ტანჟერის, არსილას, ლარაშისა და სხვათა საშუალებით.

ოფიციალური ურთიერთობა საფრანგეთსა და მაროკოს შორის მეფე ფრანსუა (ფრანცისკ) I-ის დროიდან დაიწყო. კერძოდ, 1533 წლის 15 ივლისს მაროკოსა და საფრანგეთს შორის დადებულ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებული იყო ამ სახელმწიფოთა შორის თავისუფალი საზღვაო მიმოსვლა, ხელშეუხებლობა საფრანგეთის კონსულებისა, რომლებიც აქამდე უფრო ბძეელებს ჰგავდნენ, ვიდრე დიპლომატიურ წარმომადგენლებს. ფრანგი ისტორიკოსები გვარწმუნებენ, რომ სულთანმა უმჯობესად ჩიიჩნია ფრანგებთან კავშირი და მათთან ვაჭრობა, ვიდრე პორტუგალელებთან და ესპანელებთან, რომ ფრანგების სახით იგი მოკავშირეს ხედავდა პორტუგალელებისა და ესპანელების წინააღმდეგ [2]. 1577 წელს საფრანგეთის მეფემ ანრი (ჰენრიხ) III-ემ მარსელელი გიიომ ბერარი (Guillaume Berar) მაროკოში ელჩად დანიშნა. ამასთან დაკავშირებით სიგელების გაცვლა-გამოცვლა მოხდა ანრი (ჰენრიხ) III-სა და მაროკოს სულთანს შორის. ანრი (ჰენრიხ) IV ყოველნაირად ცდილობდა მაროკოში საფრანგეთის სავაჭრო ინტერესები დაეცვა. მან 1601 წელს სპეციალური მისიით წარგზავნა მაროკოში დოქტორი დე ლილი (de Lisle), რომელსაც დაავალა სულთნისათვის გადაეცა, რომ საფრანგეთის მეფეს სურს მაროკოსა და საფრანგეთს შორის „კეთილმეზობლური და მეგობრული“ ურთიერთობის დამყარება. ამავე დროს ანრი IV-ემ რამდენიმე დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო რიფის მეკობრეების წინააღმდეგ [3].

---

[1] Bernard, დასახ. ნაშრ., გვ. 279.

[2] Victor Bérard, L'Affaire Marocaine, P., 1906, გვ. 50.

[3] Bernard, დასახ. ნაშრ., გვ. 291; G. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 75, 76.

კარდინალმა რიშელიემ მიზნად დაისახა მაროკო უკვე პოლიტიკურად დაემორჩილებინა საფრანგეთისათვის. მაროკოს სულთნის კარზე სპეციალური მისიით წარიგზავნა მაღალი რანგის საზღვაო პირი, კარდინალ რიშელიეს რწმუნებული, კავალერი ისაკ დე რაზილი[1]. მისი მისიის უშუალო ამოცანა იყო საფრანგეთის ვაჭრობისათვის მაროკოში თავისუფლების უზრუნველყოფა, ფრანგი ტყვეების განთავისუფლება. 1624 წელს დე რაზილი ხელმეორედ გაემგზავრა მაროკოში. ამჯერად მისი გეგმები უფრო ფართო ხასიათისაა. მას ევალება მაროკო საფრანგეთის ჰეგემონობას დაუმორჩილოს. 1626 წელს დე რაზილი კარდინალ რიშელიეს წარუდგენს დაახლოებით შემდეგი შინაარსის მემორანდუმს: საფრანგეთის ვაჭრობის ინტერესებისათვის აუცილებელია საფრანგეთის მიერ მაროკოს პოლიტიკური დამორჩილება. ამის განხორციელება უნდა დაიწყოს მოგადორის ოკუპაციითა და გამაგრებით, ხოლო შემდეგ უნდა დაიწყოს საფრანგეთის სუვერენიტეტის გავრცელება მთელ მაროკოზე. 1629 წელს მთავრობამ ნება დართო მას შესდგომოდა მოგადორის ოკუპაციას, მაგრამ უამინდობის გამო ექსპედიცია ჩაიშალა და შემდეგ ეს ცდა აღარ გაუმეორებიათ. ჩანს, საფრანგეთი ასეთი ოპერაციებისათვის ჯერ მზად არ იყო.

1631 წლის 17—24 სექტემბერს დე რაზილიმ ახალი ხელშეკრულება მოახერხა თავს მაროკოს. საფრანგეთის ვაჭრობას დიდი პრივილეგიები ენიჭებოდა, უზრუნველი უნდა ყოფილიყო სავაჭრო-საზღვაო მიმოსვლის უშიშროება. საფრანგეთმა მიიღო ე. წ. კაპიტულაციური უფლებები. თავისუფალი ვაჭრობა წარმოებს და საკონსულოები ეწყობა დიდ ნავსადგურებში. საფრანგეთმა იკისრა არ გაეწია რაიმე დახმარება ესპანეთისათვის მაროკოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას გარდა, საფრანგეთი არ უნდა დახმარებოდა სულთნის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე შინაგან აჯანყებას, რაც იმ დროისათვის ხშირი მოვლენა იყო.

ლუი XIV-ის დროს მაროკოსა და საფრანგეთს შორის დაიდო რიგი ხელშეკრულებებისა, რომლებითაც საფრანგეთმა კიდევ უფრო განამტკიცა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა მაროკოში. მაროკოს სულთანი მულეი-ისმაილი, რომელიც წარმა-

[1] დე რაზილის მისიის შესახებ იხ. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 76—77; Bérard, დასახ. ნაშრ., გვ. 50, 51.

ტებით ებრძოდა ესპანელებს, ცდილობდა დაახლოვებოდა „შეფე მზეს“, მასთან სამხედრო კავშირი შეეკრა ესპანეთის წინააღმდეგ, მაგრამ—ამაოდ. ასევე უშედეგოდ ჩაიარა მულეი-ისმაილის სურვილმა მოეპოვებინა ლუი XIV-ის უკანონო ასულის — პრინცესა კონტის ხელი.

XVII საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის დამდეგამდე მაროკოსთან ვაჭრობაში პირველი ადგილი საფრანგეთს ეჭირა[1]. XVIII საუკუნეში პირველ ადგილს თანდათან ინგლისი იკავებს, განსაკუთრებით — უტრეხტის ზავის შემდეგ[2].

1765 წელს ფრანგებმა მოახდინეს სალესა და ლარაშის, როგორც ზღვის მეკობრეთა ბუდეების ბომბარდირება, ხოლო 2 წლის შემდეგ, 1767 წლის 28 მაისს, მაროკოს თაეს მოახვიეს ახალი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა საფრანგეთის ვაჭრობის გაფართოებასა და განმტკიცებას. საფრანგეთის კონსულები უფლებრივად სხვა სახელმწიფოთა კონსულებზე მაღლა უნდა მდგარიყვნენ. განსაკუთრებით საინტერესო იყო ხელშეკრულების მე-11 მუხლი. რომლის ძალითაც საფრანგეთმა მოიპოვა ადგილობრივ მკვიდრთა აყვანის უფლება თავისი მფარველობის ქვეშ, ე. წ. „პროტექტირების უფლება“. საფრანგეთმა განიმტკიცა კაპიტულაციური უფლებები[3]. 1767 წლის ხელშეკრულება იყო უკანასკნელი დიპლომატიური აქტი, ხელმოწერილი საფრანგეთსა და მაროკოს შორის მთელი ე. წ. „ძველი რეჟიმის“ პერიოდში.

1795 წელს საფრანგეთის რესპუბლიკამ თავისი საკონსულო სალედან ტანჟერში გადაიტანა, რათა უკეთ ედევნებინა თვალი მაროკოში ინგლისის, ესპანეთისა და სხვა სახელმწიფოების მოქმედებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთს მაროკოსთან სავაჭრო ურთიერთობაში, ინგლისის გარდა, მაშინ წინ უსწრებდა აგრეთვე ჰოლანდია, დანია და გენუაც კი.

მაროკო განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად გაიხადა ნაპოლეონ ბონაპარტმა. ებრძოდა რა ინგლისს, ნაპოლეონი ეძებდა ადგილს, თუ სად უფრო მოსახერხებელი იყო ლახვრის ჩაცემა ინგლისის მსოფლიო ძლიერებისათვის. მან შესანიშნავად გაითვალისწინა ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელობა ინგლისის საზღვაო-

---

[1] **Victor Bérard**, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

[2] იქვე, გვ. 52.

[3] **Diercks**, დასახ. ნაშრ., გვ. 77; **Augustin Bernard**, დასახ ნაშრ., გვ. 296.

ბატონობისათვის და გადაწყვიტა გადაექცია იგი საფრანგეთის შიდა ზღვად, ხელთ ეგდო ჩრდ. აფრიკა და ინგლისის ძლიერება შეერყია. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ლაიბნიცი ურჩევდა ლუი XIV-ს ხელთ ეგდო ეგვიპტე და ამით ძირი გამოეთხარა ჰოლანდიის ძლიერებისათვის აღმოსავლეთში. ეს რჩევა ნაპოლეონმა სისრულეში მოიყვანა, მხოლოდ არა ჰოლანდიის, არამედ ინგლისის წინააღმდეგ. ნაპოლეონი მთელი ჩრდ. აფრიკით დაინტერესდა. მას აინტერესებდა ალჟირი და მდიდარი მაროკო[1]. მაროკოს სულთანი მულეი სოლიმანი მზად იყო კავშირი დაედო ბონაპართან. ინგლისი ენერგიულად იბრძოდა ამის წინააღმდეგ. სოლიმანი ინგლისელთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა; კიდევ მეტი, ეგვიპტეში ნაპოლეონის ოპერაციების დროს მან ფულადი დახმარება აღმოუჩინა პორტას, რითაც ნაპოლეონის რისხვა დაიმსახურა, მაგრამ ნაპოლეონის ზღვებზე წარუმატებლობამ გააკარწყლა ამ რისხვის რეალობა. მართალია, 1807 წელს მაროკოს მისია ეახლა იმპერატორს სენ-კლუში და მოკრძალებით მიესალმა მას, მაგრამ როცა მოკლე ხნის შემდეგ მაროკოში გაიგზავნა საფრანგეთის მისია კაპიტან ბუარელის მეთაურობით, რათა იძულებულ ეყოთ მაროკო ინგლისისადმი მეგობრულ პოლიტიკაზე ხელი აეღო, მაროკოელთა მხრივ არავითარი თანაგრძნობა და მორჩილება არ ჩანდა. მისია ჩაიშალა. ინგლისელთა პოლიტიკური გავლენა და სავაჭრო უპირატესობა მაროკოში ხანგრძლივად დამკვიდრდა.

1824—1825 წლებში მაროკოსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა ახალი დიპლომატიური აქტები, რომლებიც არსე-

---

[1] ბონაპარტს ალჟირის დაპყრობაც სურდა. ალჟირი არ სწყვეტდა ეკონომიურ ურთიერთობას რევოლუციურ საფრანგეთთან. ევროპის მონარქების მიერ ბლოკირებულ საფრანგეთს ალჟირი აწვდიდა სურსათსა და ზოგიერთ ნედლეულს. ალჟირი სურსათით ამარაგებდა ნაპოლეონის არმიებს იტალიასა და ეგვიპტეში. ალჟირის დეიმ აუკრძალა ადგილობრივ მეკობრეებს თავს დასხმოდნენ საფრანგეთის გემებს. როცა 1798—1801 წწ. თურქეთის სულთანმა აიძულა ალჟირის დეი (რომელიც სულთნის ვასალად ითვლებოდა) გაეწყვიტა დიპლომატიური კავშირი საფრანგეთთან, დეი მაინც იცავდა მეგობრულ ნეიტრალიტეტს. მიუხედავად ამ სამსახურისა, ნაპოლეონ ბონაპარტმა მაინც გადაწყვიტა ალჟირის დაპყრობა. ტილზიტში და ერფურტში ნაპოლეონი და ალექსანდრე I თურქეთის გაყოფის გეგმებს ადგენდნენ. ნაპოლეონი ალჟირს თავის მომავალ სამფლობელოდ მიიჩნევდა. საფრანგეთის შტაბმა ალჟირში მომავალი ლაშქრობისათვის სპეციალური რუკებიც კი შეიმუშავა. მაგრამ ნაპოლეონის მარცხმა ესპანეთში და რუსეთში ეს გეგმები ჩაშალა. დამახასიათებელია, რომ ალჟირში აღმართულ ნაპოლეონ I-ის ძეგლს აქვს წარწერა „Il a rêvé la conquête" (იგი ოცნებობდა დაპყრობაზე).

ბითად 1767 წლის ტრაქტატის დადასტურებას წარმოადგენენ. რაიმე სიახლე ორი ქვეყნის ურთიერთობაში ამ აქტებს არ შეჰქონდათ [1].

XIX საუკუნეში ახალი ბურჟუაზიული საფრანგეთი კოლონიებისათვის ბრძოლას აჩაღებს. ამ ბრძოლის პირველი მსხვერპლი ალჟირი იყო. 1830 წლის 14 ივნისს საფრანგეთის ესკადრამ სამხედრო მინისტრ გრაფ ლუი ბურმონის მეთაურობით დესანტი გადასხა სიდი-ფერიუშთან. 5 ივლისს ალჟირის დეიმ იარაღი დაყარა. ბურმონი საფრანგეთის მთავრობას აუწყებდა: „მთელი სამეფო თოფის გაუსროლელად დაგვენებდა 15 დღის განმავლობაში“-ო, მაგრამ იგი ცდებოდა, ალჟირის ხალხმა ლეგენდარული გმირის აბდ ელ-კადერის მეთაურობით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ფრანგ დამპყრობლებს. ალჟირის ხალხის ბრძოლა ფრანგების წინააღმდეგ ჩვიდმეტ წელიწადს გაგრძელდა. ფრუნზე აბდ-ელ-კადერს სრულიად სამართლიანად შამილს ადარებს [2].

ალჟირის დაპყრობით საფრანგეთი მაროკოს მეზობელი გახდა და უკვე მაშინ ჩაისახა ჩრდ. აფრიკაში დიდი კოლონიური იმპერიის შექმნის იდეა. დამახასიათებელია ფრანგი მწერლის ო. რეკლიუს განცხადება: „ალჟირი არის ემბრიონი და შემდგომ ბუნებრივ განვითარებაში თავის საზღვრებში მოითავსებს ტუნისს, მაროკოს, შესაძლებელია, ტრიპოლსაც“ [3]. საფრანგეთის ამ მისწრაფებებმა განსაკუთრებით თავი იჩინეს უკვე იმპერიალიზმის ხანაში, როცა საფრანგეთი შეუდგა კიდეც ამ დიდი აფრიკული იმპერიის შექმნას.

1844 წელს საფრანგეთის არმიებმა ფეხი შედგეს მაროკოს ტერიტორიაზე. მაროკოს სულთანმა თავშესაფარი მისცა აბდ-ელ-კადერს, ეს ფრანგებისათვის გახდა „Casus belli“ მაროკოს წინააღმდეგ. საფრანგეთისათვის ადრევე ცნობილი იყო, რომ მაროკოს სულთანი აბდ-ელ-რახმანი (1822—1859) დახმარებას უწევდა აბდ-ელ-კადერს. საფრანგეთის მთავრობა, კერძოდ, მინისტრი გიზო, ემუქრებოდა მაროკოს და მოითხოვდა ამ დახმარების შეწყვეტას. 1844 წ. ფრანგებთან ბრძოლაში დამარცხებული აბდ-ელ-კადერი მაროკოში გაიქცა, სულთანმა შეიფარა იგი. საფრანგეთის მარშალმა თომა-რობერტ ბიუჟომ წინადადება მისცა.

---

[1] Augustin Bernard, დასახ. ნაშრ., გვ. 298.

[2] Мирский М. (М. В. Фрунзе), Европейские цивилизаторы в Марокко. М., 1925, გვ. 11—12.

[3] Paul Mohr, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

მაროკოს სულთანს გაეცა აბდ-ელ-ქადერი. მაროკოს სულთანმა უარყო ეს მოთხოვნა, მაშინ ბიუჟო შეიჭრა მაროკოში. დაიწყო ომი. სულთანმა „საღვთო ომი“ გამოაცხადა და თავისი ვაჟის სიდი მუჰამედის მეთაურობით ორმოცათასიანი არმია შეაგება ფრანგებს. 14 აგვისტოს მდინარე ისლისთან ბრძოლაში მაროკოელები დაძარცხდნენ. ამავე დროს, საფრანგეთის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ტანჟერსა და მოგადორს. კონფლიქტში ჩაერია ინგლისი, რომლისთვისაც საფრანგეთის შემდგომი წარმატებები მაროკოში სრულიადაც არ იყო სასურველი. ინგლისის პრემიერ-მინისტრი სერ რობერტ პილი აღაშფოთა საფრანგეთის წარმატებებმა. იგი შიშობდა, რომ საფრანგეთი შეეცდებოდა მაროკოს დამკვიდრებას თავისთვის. ინგლისის აქტიური ჩარევისა და გარკვეული მუქარის შედეგად, საფრანგეთი იძულებული გახდა შეეკვეცა დაპყრობითი მისწრაფებები. 1844 წლის 10 სექტემბერს დადებულ იქნა ზავი ტანჟერში. სულთანს ევალებოდა: ალჟირისა და მაროკოს საზღვრებზე მდგარი ჯარი დაეთხოვა, დაესაჯა „საფრანგეთის წინააღმდეგ აგრესიის ხელშემწყობნი“ (ასე ნათლავდნენ ფრანგები მაროკოს ხალხის კეთილშობილ დახმარებას აბდ-ელ-კადერისადმი), შეეწყვიტა ყოველგვარი კავშირი და დახმარება აბდ-ელ-კადერისათვის და, თუ უკანასკნელი კვლავ გამოჩნდებოდა მაროკოს ტერიტორიაზე, მოეხდინა მისი ინტერნირება და გადაეცა იგი საფრანგეთისათვის.

1845 წლის 18 მარტს დადებულ იქნა ე. წ. ლალა მარნას კონვენცია, რომლითაც დადგენილ იქნა მაროკოსა და ალჟირის საზღვარი[1], მაგრამ მეტად არაზუსტად, რაც ფრანგებს საშუალებას აძლევდა ბოროტად გამოეყენებინათ ზოგიერთი შეუსაბამობა და ბუნდოვანება, რომელსაც ეს ხელშეკრულება ალჟირ-მაროკოს საზღვრის დადგენის საქმეში ქმნიდა. ჯერ კიდევ 1830 წლიდან ფრანგები გაიძახოდნენ, რომ მაროკოს მხრიდან ალჟირს ემუქრება საფრთხე, რადგან მაროკოს ტერიტორიიდან მას თავს ესხმის ყაჩაღთა ბანდებიო. ხელზე იხვევდნენ რა ამ არგუმენტს, ფრანგები ამ „ყაჩაღთა ბანდების“ დევნის საბაბით შეიჭრებოდნენ ხოლმე მაროკოს ტერიტორიაზე და ამით მაროკოს სუვერენიტეტს

[1] საფრანგეთ-მაროკოს 1844 წლის ომის შესახებ იხ. **Новая история колониальных и зависимых стран**, ტ. I, გვ. 211—212; **Bernard**, დასახ. ნაშრ., გვ. 300—305; **Bérard**, დასახ. ნაშრ., გვ. 54. 56; **Diercks**, დასახ. ნაშრ., გვ. 83, 84; **Э. Лемонон**, Очерки истории англо-французских отношений, М.,1923, გვ. 37, 38.; **Лависс и Рамбо**, История XIX века, ტ. IV, გვ. 309—311.

არღვევდნენ. შემდეგ კი ისინი აშავე საბაბით მაროკოს ტერიტორიების მითვისებასაც შეუდგნენ. იმპერიალისტურმა საფრანგეთმა „ალჟირის საზღვრების უშიშროება“ მაროკოს დაპყრობის ერთ-ერთ საბაბად გამოიყენა. ტანჯერის ხელშეკრულება ნებას რთავდა ფრანგებს ალჟირის ტერიტორიაზე „შემოჭრილ“ მაროკოელებს გამოდევნებოდნენ მაროკოს საზღვრებამდე და რადგანაც, მიუხედავად კონვენციისა, საზღვარი მეტად გაურკვეველი იყო, ამიტომ ხშირად ეს „დევნა“ თვით მაროკოს ტერიტორიაზე გრძელდებოდა. 1851 წელს ფრანგებმა დაბომბეს ქალაქი სალე. 1859 წელს ფრანგების მიერ ჩრდ.-აღმოსავლეთ მაროკოში ადგილობრივი მთიელი ტომების წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა სამხედრო ექსპედიცია.

ამგვარად. ინგლისის უშუალო ჩარევის შედეგად საფრანგეთმა ვერ განახორციელა მაროკოს ოკუპაცია, თუმცა უკვე გადადგმულ იქნა ნაბიჯები „მშვიდობიან შეჭრისათვის“ (pénétration pacifique). ასე ნათლავდნენ შემდეგში საფრანგეთის კოლონიური წრეები საფრანგეთის აგრესიულ პოლიტიკას მაროკოსადმი.

იმავე 1845 წელს მაზაგანში მოკლულ იქნა ესპანეთის ელჩი. შეიქმნა საფრთხე ესპანეთ-მაროკოს ომისა, მაგრამ აქაც ინგლისი ჩაერია და კონფლიქტი ლიკვიდირებულ იქნა.

როგორც ვხედავთ, მაროკოს საკითხში ევროპის სახელმწიფოების ურთიერთ ქიშპობა ამ ქვეყანას ფორმალურ დამოუკიდებლობას მაინც უნარჩუნებდა. მთელმა რიგმა არათანასწორუფლებიანმა ხელშეკრულებებმა, რომლებიც ევროპელებმა მაროკოს თავს მოახვიეს XIX საუკუნის განმავლობაში, მაროკო აშკარად ნახევრად კოლონიურ სახელმწიფოდ აქციეს.

XIX საუკუნის 50-იან წლებში საფრანგეთმა დასვა საკითხი ევროპის სახელმწიფოთა შორის ჩრდ. აფრიკის განაწილების შესახებ. იმპერატორმა ნაპოლეონ III-ემ წამოაყენა წინადადება, ეგვიპტე გადასცემოდა ინგლისს, მაროკო — საფრანგეთს, ხოლო ტუნისი — იტალიას[1]. მაგრამ ლორდმა პალმერსტონმა უარყო ეს წინადადება, როგორც „არამორალური“[2].

---

[1] აქ იგულისხმებოდა მომავალი ერთიანი იტალია, რომლის შექმნისათვის ილტვოდა ბენზო კამილო კავური ნაპოლეონ III-ის დახმარების იმედით.

[2] G. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 84, 85.

ვერ ახორციელებდნენ რა მაროკოს უშუალო ანექსიას, ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნეტი გავლენა მოეპოვებინათ ამ მდიდარ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანაში. ევროპის თითოეული სახელმწიფო ცდილობდა მაროკოში „უმეტესი მფარველობის“ (право наибольшего благоприятствования) უფლების მქონე სახელმწიფოს მდგომარეობისათვის მიეღწია, თუმცა ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით საფრანგეთი და ინგლისი მუდამ პრივილეგიურ სახელმწიფოებად რჩებოდნენ. ევროპის ქვეყნების საქონელზე დაწესებული იყო დაბალი საიმპორტო ბაჟი, ევროპელი ვაჭრები აქ არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ, სარგებლობდნენ კაპიტულაციური უფლებებით.

მაროკოში საფრანგეთის მდგომარეობის შემდგომ განმტკიცებას მოასწავებდა ხელშეკრულება, რომელიც 1863 წელს საფრანგეთის მთავრობამ მაროკოს სულთანს თავს მოახვია. ეს ხელშეკრულება ახალ ძალას მატებდა ჩვენთვის უკვე ცნობილ 1767 წლის ტრაქტატს. 1863 წლის ხელშეკრულების ძალით საფრანგეთმა კაპიტულაციური უფლებები გაავრცელა მაროკოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე; მაროკოში შეიქმნა ე. წ. „პროტეჟირებულთა“ დიდი მასა. ის, ვინც საფრანგეთის მფარველობას მიიღებდა, აღარ ემორჩილებოდა ადგილობრივ კანონებსა და სასამართლოებს, აღარ უხდიდა გადასახადს სულთანს და ამიერიდან საფრანგეთის იურისდიქციას ემორჩილებოდა. ფრანგებს შეეძლოთ ყოველი მაროკოელი, მათი მხრიდან ქრთამის გაღების შედეგად, თავის პროტეჟედ გამოეცხადებინათ. ასე, მაგალითად, სამიწათმოქმედო რაიონებში პროტეჟირების ანაზღაურებისათვის დაწესებული იყო მოსავლის $^1/_{10}$—$^1/_8$ ნაწილი. 1905—1906 წლებისათვის, როცა მაროკოს კრიზისმა მძაფრი ხასიათი მიიღო, აქ ფრანგებს 20 ათასამდე „პროტეჟე“ ჰყავდათ. ადგილობრივ მოსახლეთაგან შემდგარი ეს „ფრანგი მოსახლეობის“ დიდი რაოდენობა წარმოადგენდა „სახელმწიფოს სახელმწიფოში“. ეს სისტემა ძირს უთხრიდა მაროკოს როგორც სახელმწიფოებრივ-ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სიძლიერეს. საფრანგეთი თავის მფარველობის ქვეშ ძირითადად იყვანდა სულთნის ურჩი ტომების წარმომადგენლებს ბლად-ელ-სიბას რაიონებიდან; ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ ბრძოლას სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ და ამით ასუსტებდა სულთნის ხელისუფლებას. ამასთან ერთად საფრანგეთი

ცდილობდა ეს ღონისძიება უმეტესად სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონებზე გაეფრცელებინა[1].

გარდა საფრანგეთისა, ინგლისისა და ესპანეთისა მაროკოთი სხვა სახელმწიფოებიც იყვნენ დაინტერესებულნი. ამ სახელმწიფოებსა და მაროკოს შორის არსებობდა ეკონომიურ-პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულებები: სარდინიის, ანუ პიემონტის სამეფოსთან — 1795 წლიდან, ავსტრიასთან — 1830 წლიდან, ორივე სიცილიის, ანუ ნეაპოლის სამეფოსთან — 1834 წლიდან, ჩრდ. ამერიკის შშ — 1836 წლიდან. სავაჭრო ხელშეკრულება არსებობდა აგრეთვე მაროკოსა და ჰოლანდიას შორისაც.

სულთან მულეი მუჰამედის დროს (1859 — 1873 წწ.) მაროკოში კაპიტულაციური უფლებები მიიღეს ბელგიამ (1862 წ.) და შვეციამ. 70-იანი წლებიდან მაროკოსთან სავაჭრო ურთიერთობაში ებმება გერმანიაც, რომელმაც უკვე XX საუკუნის მიჯნაზე ამ საქმეში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა დაიწყო ევროპის კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში და როცა ბრძოლას კოლონიებისათვის სულ უფრო და უფრო მძაფრი ხასიათი მიეცა, მაროკოს საკითხმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო.

1880 წლის 15 მაისს მადრიდში გაიხსნა მაროკოთი დაინტერესებულ სახელმწიფოთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ შემდეგი სახელმწიფოები: დიდი ბრიტანეთი. საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, ჰოლანდია, შვეცია, ნორვეგია, დანია, ბელგია, ჩ. ა. შ. შტატები, პორტუგალია, გერმანია, ავსტრია-ჰუნგრეთი და თვით მაროკო. მადრიდის კონფერენციამ გამოავლინა ის ღრმა წინააღმდეგობანი, რომლებიც ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებობდნენ.

საფრანგეთის პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ფრეისინე საფრანგეთის დელეგატს კონფერენციაზე ადმირალ ჟორესს (საფრანგეთის ელჩი მადრიდში) ავალებდა ენერგიულად დაეცვა საფრანგეთის ინტერესები[2]. გერმანიის დელეგაციამ, ბისმარკის პირდაპირი ინსტრუქციის თანახმად, ენერგიულად დაუჭირა მხარი საფრანგეთს[3]. ინგლისი იბრძოდა იმისათვის, რათა

---

[1] А. Александров, დასახ. ნაშრ., გვ. 17—18; Шарпантье, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[2] Augustin Bernard, დასახ. ნაშრ., გვ. 310—311.

[3] გერმანიის ამ პოზიციების შესახებ დაწვრილებით საუბარი ქვემოთ გვექნება.

რომელიმე სახელმწიფოს არ მოეპოვებინა ზედმეტი უფლებები. ესპანეთი თავის „ისტორიულ უფლებებს“ და მაროკოში „ცივილიზატორის როლს“ [1] ებღაუჭებოდა და მაროკოში თბილ ადგილს იჩემებდა. ასევე, ყველა სხვა სახელმწიფოც თანასწორი უფლებისათვის იბრძოდა. კონფერენციის დღის წესრიგში, უპირველეს ყოვლისა, „პროტექტორების უფლების“ საკითხი იდგა.. ევროპის სახელმწიფოთა ეს განსაკუთრებული უფლება, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ძირს უთხრიდა მაროკოს სულთნის სუვერენიტეტს. 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, მაროკოს სულთანმა მოითხოვა ამ უფლების გადასინჯვა. მადრიდისა და ლონდონის კაბინეტებმა „შეიწყნარეს“ სულთნის თხოვნა და საკითხი კონფერენციაზე გამოიტანეს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მათ მაროკოსადმი რაიმე ჰუმანური გრძნობები ამოძრავებდათ. მათ აწუხებდათ მხოლოდ ის, რომ საფრანგეთი „პროტექტორების უფლებით“ განსაკუთრებით ფართოდ სარგებლობდა, რაც მას მაროკოში სხვა სახელმწიფოებთან შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა. ინგლისისა და ესპანეთის კაბინეტების მიზანი იყო შეეზღუდათ საფრანგეთის ეს განსაკუთრებული პრივილეგიური მდგომარეობა მაროკოში.

1880 წლის 3 ივნისს კონფერენციამ მიიღო 18 მუხლისაგან შემდგარი დადგენილება, რომელიც ცნობილია „1880 წლის მადრიდის კონვენციის“ სახელწოდებით [2]. ეს კონვენცია წარმოადგენდა მაროკოსადმი ევროპის სახელმწიფოთა ოლმომრეობის ახალ ფაქტს. ამით მათ მაროკოს დამონების საქმეში ახალი ნაბიჯი გადადგეს.

კონვენცია დეკლარაციულად აცხადებდა მაროკოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს და ერთიანობას, ფაქტიურად კი ეს კონვენცია მაროკოს ამკარად ნახევრად კოლონიურ სახელმწიფოდ

---

[1] მაროკოში თავის „ცივილიზატორის როლის“ მაგალითად ესპანეთს მოჰყავდა იქ ფრანცისკანელი ბერების „მოღვაწეობა“, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის სიძულვილს იმსახურებდნენ და რომელთაც მაროკოელნი ყოველ ხელსაყრელ მომენტში ხოცავდნენ კიდეც, იხ. **Александров**, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[2] კონვენციის ტექსტი იხილე კრებულში: „**Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях**“, ч. I, М., 1925, გვ. 233, 234. იხ. აგრეთვე G. **Diercks**, დასახ. ნაშრ., გვ. 178—187. კონვენციას ხელს აწერდა მადრიდის კონფერენციის მონაწილე ყველა სახელმწიფო. რუსეთი შეუერთდა კონვენციას 1881 წლის აპრილის ტრაქტატით.

აქცევდა. კონვენცია ევროპის სახელმწიფოებს ნებას რთავდა მაროკოში შეეძინათ მიწები და უძრავ-მოძრავი ქონება (მუხლი მე-11). ევროპელთა საკუთრება მაროკოში ყოველმხრივ დაცული იყო, მიწის გადასახადს ევროპელები უხდიდნენ არა მაროკოს სულთანს, არამედ თავის კონსულებს (მუხლი მე-12). პროტექციორების უფლება კვლავ ძალაში დარჩა, მფარველობა ვრცელდებოდა უცხო სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ მყოფი პირების ოჯახის მთელს შემადგენლობაზე (მუხლები მე-2 და მე-6). მფარველობაში მყოფი მაროკოელები სულთნისადმი ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ, არ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ იურისდიქციას. ერთადერთი „შეღავათი" პროტექციორების საკითხში, რომელიც გაეწია მაროკოს მთავრობას, ის იყო, რომ ამიერიდან „პროტექციორებას" უნდა ჰქონოდა ოფიციალური ხასიათი. უცხოელებს თავიანთი საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის ყოველწლიურად უნდა ეუწყებინათ იმ პირთა სია, რომლებსაც ისინი მფარველობაში იყვანდნენ (მუხლი მე-7). სულთანს უნდა ეცნო მხოლოდ ასეთი „ოფიციალური", „კანონიერი" მფარველობა. სხვა სახის მფარველობა „უკანონოდ" ცხადდებოდა და არ დაიშვებოდა. ადვილი გასაგებია ამ მუხლის მხოლოდ ფორმალური ხასიათი: ამით ევროპელები სრულიადაც არ იზღუდებოდნენ „პროტექციორების" უფლებაში. ცხადია, არც ერთი ევროპელი არ დასტოვებდა თავის საგარეო საქმეთა მინისტრთან გასაგზავნი სიის გარეშე რომელიმე პროტექციორებულს, რადგანაც ამ სიის შედგენა მისივე საქმე იყო.

კონვენციის მე-17 მუხლის ძალით კონფერენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მაროკოს საქმეებში თანაბარი უფლებები მიენიჭა. ამ მუხლში ნათქვამი იყო: „კონფერენციაზე წარმოდგენილ ყველა სახელმწიფოს მიმართ მაროკო სცნობს „უმეტესი მფარველობის" უფლებებს. არსებითად მაროკოს მიმართ გატარებულ იქნა პრინციპი, რომელიც ცნობილია „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა" პრინციპის სახელით.

ევროპის სახელმწიფოებმა „მადრიდის კონვენციის" ძალით მაროკოს ხალხს მონობის ახალი მძიმე უღელი დაადგეს.

ერთი შეხედვით თითქოს მაროკოს საკითხი მოგვარდა, ევროპის სახელმწიფოებმა თითქოს საერთო ენა გამონახეს. „თითქოს არსებობდა რაღაც მდუმარებით მოცული შეთანხმება იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო არსებული მდგომარეობა სახიფათო გართულებათა მოსალოდნელობის

შიშით", — აღნიშნავს შარლ ბენუა[1]. სწორედ ეს „საშიშ გართულებათა" მოსალოდნელობის შიში ჰკვეცდა ევროპის სახელმწიფოთა გაზრდილ მადას მაროკოსადმი. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. ისინი შესაფერ მომენტს ეძებდნენ, რათა კვლავ განეახლებინათ ექსპანსიონისტური პოლიტიკა მაროკოსადმი. მაროკოთი დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა დღითი დღე მწვავდებოდა.

მაროკოს სულთანმა მულეი ჰასანმა (1876—1894 წწ.) სცადა ქვეყანა კრიზისიდან გამოეყვანა. იგი შეეცადა მაროკოს არმიის მოდერნიზებას, ცდილობდა შეექმნა არმია, რომელიც შესძლებდა ევროპის არმიებისადმი წინააღმდეგობის გაწევას. სამხედრო ინსტრუქტორებს იგი სხვადასხვა ქვეყნებიდან იწვევდა, რადგან არ სურდა ერთი რომელიმე ქვეყნის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. მან ჩაატარა კასაბლანკას ნავსადგურის რეკონსტრუქცია, ააგო იარაღის ქარხანა, გზავნიდა ახალგაზრდებს სასწავლებლად ევროპის ქვეყნებში. მაროკოს ცხოვრებას ერთგვარი გამოკეთება დაეტყო. მაგრამ ევროპელთა შეჩვა მაროკოში არ ცხრება. 1881—1882 წლებში ფრანგებმა ხელთ იგდეს საჰარაში მაროკოს კუთვნილი რამდენიმე ოაზისი. ესპანეთი 1891 წელს რიფის ტომების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებს ატარებს.

მაროკოს საგარეო ვაჭრობა იზრდება. 1848 წელს იგი შეადგენდა 15 მილიონ ფრანკს, 1883 წელს — 37 მილიონ 400 ათას ფრანკს, 1900 წელს — 85 მილიონ ფრანკს. მაგრამ ფაქტიურად მთელი ვაჭრობა ევროპელებმა იგდეს ხელთ. ამ საქმეში პირველობდა ინგლისი. მას მისდევდნენ საფრანგეთი და გერმანია[2].

---

[1] **Александров**, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[2] **Н. С. Лупкая**, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მაროკოს საკითხი ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში 1880—1904 წლებში, და ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება

§ 1. საფრანგეთის ბრძოლა მაროკოს ხელში ჩასაგდებად 1880—1904 წლებში

მადრიდის კონფერენციამ ცხადყო, რომ მაროკოს პრობლემას ამიერიდან საერთაშორისო მნიშვნელობა მიეცა. საფრანგეთი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას. მადრიდის კონფერენციის შედეგად საფრანგეთმა დაკარგა ის პრივილეგიური მდგომარეობა, რომელიც მას შერიფის იმპერიაში ეკავა. ამით აიხსნება ის დიდი გულისწყრომა, რომელსაც საფრანგეთში მადრიდის კონფერენციისადმი გამოხატავდნენ. საფრანგეთის უკან დახევა დროებითი მოვლენა იყო. იგი ფარ-ხმალს არ ყრიდა და ახალი შეტევისათვის შესაფერის მომენტს ელოდა. ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი ფრანგული კოლონიის შექმნის იდეა კვლავ დომინირებს საფრანგეთის პოლიტიკის მესვეურთა შორის.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში საფრანგეთი აძლიერებს კოლონიურ ექსპანსიას, რომელიც დაკავშირებულია საფრანგეთში ფინანსური კაპიტალის განვითარებასთან. „შემთხვევითი როდია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ საფრანგეთში სწორედ ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი კაპიტალის განსაკუთრებით სწრაფმა განვითარებამ, სამრეწველო კაპიტალის შესუსტებისას, გამოიწვია წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან ანექსიონისტური (კოლონიური) პოლიტიკის უკიდურესი გამწვავება“ [1].

---

[1] ვ. ი ლ ე ნ ი ნ, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 338.

აღნიშნულ პერიოდში კოლონიური პოლიტიკის ენერგიულ გამტარებელთა შორის გამოირჩეოდა ჟიულ ფერი, „ზომიერ რესპუბლიკელთა“ ერთ-ერთი ბელადი, რომელიც 1880—1881 და 1883—1885 წლებში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი იყო. მას გვერდში ედგა საგარეო საქმეთა მინისტრი ჟიულ ბარტელემი სენტ-ილერი. მათი საქმე განაგრძო ცნობილმა ისტორიკოსმა გაბრიელ ჰანოტომ, რომელსაც 1894—1898 წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. ჰანოტო კოლონიურ ექსპანსიას ისტორიულ აუცილებლობად სთვლიდა, რომელსაც დიდი მასშტაბის კომერციული სარგებლობა მოაქვს. კოლონიური პოლიტიკის აპოლოგეტებად გვევლინებოდნენ ლეონ გამბეტა, ისტორიკოსები ალფრედ რამბო, ვიქტორ ბორეგარი, ეკონომისტი პოლ ლერუა ბოლიე და სხვანი. შემდგომ კოლონიური ექსპანსიის პოლიტიკა უკიდურეს საზღვრებამდე მიიყვანეს დელკასემ, კლემანსომ, პუანკარემ და სხვებმა[1].

---

[1] XIX საუკუნის 80—90-იან წლებში კოლონიური პოლიტიკის პროპაგანდამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. ამ საქმეში მონაწილეობდნენ მთავრობის წევრები, ისტორიკოსები, ეკონომისტები და სხვები. ჟიულ ფერი აღნიშნავდა: საფრანგეთი, როგორც სამრეწველო სახელმწიფო, კოლონიურ ბაზებს საჭიროებს. ფრანგები უმაღლეს რასას ეკუთვნიან, ხოლო უმაღლეს რასას კი დაბალი რასების მიმართ გარკვეული უფლებები აქვს. ჩვენი მოვალეობაა აფრიკის ხალხებში, რომლებიც დაბალ რასას ეკუთვნიან, შევიტანოთ სამართლიანობა, მატერიალური და მორალური წესრიგი, კანონიერება და საზოგადოებრივი სათნოება. საფრანგეთი საზღვაო ქვეყანაა. მისთვის აუცილებელი და პირველხარისხოვანი საქმეა იქონიოს ქვანახშირის საბადოები. გემი ხომ ქვანახშირის მხოლოდ ორი კვირის მარაგს იტევს. ამიტომ დავიპყაროთ ჩვენ ტუნისი, საიგონი, კოხინხინი; ამისათვის გვჭირდება ჩვენ მადაგასკარი, ამიტომ დავიპყაროთ ჩვენ დიეგო სუარეცი და სხვ. თუ საფრანგეთი ხელს აიღებს იმპერიალიზმზე, პირველი რანგის სახელმწიფოს ნაცვლად იგი მესამე ან მეოთხე რანგის სახელმწიფოდ გადაიქცევა (იხ. Паркер Томас Муи, Империализм и Мировая политика, М.—Л., 1928, გვ. 13—14); 1884 წელს ჟიულ ფერი პალატაში ამბობდა: ამჩნევთ თუ არა თქვენ, რომ თანამედროვე ევროპის ყველა დიდი ერის წინაშე იმ მომენტში, როდესაც ისინი სამრეწველო ძლიერებას აღწევენ, დიდი მრისხანე პრობლემა, „ბაზრის პრობლემა“, წამოიჭრება, რომელიც სამრეწველო ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. განა შეიძლება თქმა იმისა, რომ კოლონიური პოლიტიკა თანამედროვე სახელმწიფოსათვის მხოლოდ ფუფუნებას წარმოადგენს? არა, ბატონებო! ეს პოლიტიკა ისევე აუცილებელია, როგორც ბაზარი (იხ. Ф. Ротштейн, Ранний империализм Англии и Франции. ჟურნ. „Исторический журнал“, 1939 წ., № 11, გვ. 101—103); ლეონ გამბეტა 1881 წელს წარმოთქმულ ერთ-ერთ სიტყვაში ამბობდა: ნუთუ თქვენ არ გრძნობთ, რომ ერი სულს ღაფავს ამ ძველ კონტინენტზე? ნუთუ

1881 წლის მაისში საფრანგეთმა ხელთ იგდო ტუნისი. ტუნისის ანექსია საფრანგეთის ფინანსური კაპიტალის ინტერესებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და მის მიერ უშუალოდ ნაკარნახევი.

ტუნისის ოკუპაციის ინიციატორი იყო საფრანგეთ-ეგვიპტის ბანკი, რომელსაც შესყიდული ჰქონდა ტუნისის სესხის ობლიგაციების უმეტესი ნაწილი. ტუნისის მთავრობამ სხვადასხვა დროის განმავლობაში საფრანგეთის მთავრობისაგან სესხად აიღო 200 მილიონი ფრანკი (უნდა აღინიშნოს, რომ ამ სესხიდან ტუნისმა მიიღო მთელი თანხის მხოლოდ $^1/_4$ ნაწილი, დარჩენილი $^3/_4$ მოხმარდა სხვადასხვა კომისიებს, პრემიებსა და საჩუქრებს). ტუნისის მთავრობას აღარ შეეძლო გადაეხადა ამ თითქმის ფიქტიური სესხის დიდი პროცენტები და სულ მალე ობლიგაციების კურსი დაეცა 500 ფრანკიდან 75 ფრანკამდე. ტუნისზე საფრანგეთის პროტექტორატის გავრცელების შემთხვევაში ტუნისის სესხის გარანტიას საფრანგეთის მთავრობა იკისრებდა, რაც უდიდეს მოგებას უქადდა საფრანგეთ-ეგვიპტის ბანკს. რომელსაც ტუნისის სესხის ფასიანი ქაღალდები დაბალი კურსით ჰქონდა შესყიდული[1]. ტუნისში ჯარების შეყვანისა და მისი ანექსიის

თქვენ არ ცდილობთ შექმნათ შორეული ბაზრები და ხელი შეუწყოთ აუცილებელ ექსპანსიას? ბატონებო, რატომაა ჩვენთვის აუცილებელი ეს ექსპანსია? იგი აუცილებელია ჩვენი მატერიალური კეთილდღეობის გაზრდისათვის (Паркер Томас Муи, დასახ. ნაშრომი, გვ. 14); ფრანგი ისტორიკოსი ვიქტორ ბორეგარი წერდა: ისტორიის შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომელიც აქსიომას უდრის: საფრანგეთს მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანას, ახასიათებს კოლონიზაციის გენია... საფრანგეთის მომავალი მის კოლონიებშია (იხ. V. Boregard, L'empire de la France, P., 1924, ციტირებულია Паркер Томас Муи, დასახ. ნაშრ., გვ. 15).

[1] ტუნისის ფინანსური დაკაბალება საფრანგეთმა ჯერ კიდევ 1863 წლიდან დაიწყო. ამ წელს საფრანგეთის ბანკებმა, ისარგებლეს რა ტუნისის მძიმე მდგომარეობით, ტუნისის მთავრობას თავს მოახვიეს კაბალური სესხი 39 მილიონი ფრანკის რაოდენობით. აქედან ბანკებმა ოპერატიული ხარჯების დაფარვის მიზნით 10 მილიონი ფრანკი დაქვითეს, 20 მილიონი გაქრა საკომისიო გადასახადებში, პრემიებში და სხვა „გამოქვითვებში". ტუნისმა რეალურად მიიღო მხოლოდ 5,5 მილიონი ფრანკი, ხოლო ამისათვის ვალდებულება იკისრა 15 წლის განმავლობაში გადაეხადა 63 მილიონი ფრანკი. ორი წლის შემდეგ ტუნისის მთავრობა იძულებული გახდა ეთხოვა ახალი სესხი, რომელმაც საფრანგეთის ბანკებს ხელში ჩაუგდო ტუნისის ყველა საბაჟო შემოსავალი. ყოველივე ამის შედეგად ტუნისი საფრანგეთის კაპიტალის კაბალაში აღმოჩნდა. (იხ. В. Крамер и В. Липецкий, Раздел черного материка. „Исторический журнал", 1941 г., № 5, გვ. 47—56; Гюи Дюбаль. Французский империализм в колониях. М., 1929, გვ. 115).

მოტივად საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ თითქოს ტუნისის ტერიტორიაზე მოსახლე კრუმირელთა ტომები თავს ესხმიან ალჟირის ტერიტორიას და მას ზიანს აყენებენ. ეს საესებით შეთხზული ამბავი იყო. საფრანგეთის საოკუპაციო არმიას ერთი კრუმირელიც კი არ შეხვედრია. ერთი გაზეთი ირონიულად წერდა: „ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ ფერის სამინისტრო 30.000 ფრანკს მისცემს მას, ვინც მოუყვანს მას ერთ კრუმირელს მაინც, რათა არმიას უჩვენონ იგი, როგორც ეგზემპლარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაზარზე კრუმირელები არ არიან“ [1]. ჟ. კლემანსო (შემდეგ ცნობილი იმპერიალისტი), რომელიც ამჯერად ოპოზიციაში ედგა ფერის სამინისტროს, ააშკარავებდა ტუნისის ავანტიურას, როგორც „ბირჟის ოინებს“. ჟიულ ფერი სრულიადაც არ ფარავდა იმპერიალისტურ ზრახვებს ტუნისისადმი. იგი აცხადებდა: ტუნისი აუცილებელია საფრანგეთისათვის. „როგორც ბაზარი ჩვენი საქონლისათვის“ [2] და, ამასთან ერთად, როგორც საუკეთესო მომგებიანი ასპარეზი კაპიტალის დაბანდებისათვის.

1881 წლის 12 მაისს საფრანგეთსა და ტუნისს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ტუნისში დამყარდა საფრანგეთის პროტექტორატი [3]. ტუნისი საფრანგეთის კოლონიური იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ტუნისის ოკუპაციით გადადგმულ იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩრდ. აფრიკის დიდი კოლონიური სამფლობელოს შექმნის საქმეში. რჩებოდა მაროკო, რომლის ხელში ჩაგდების შემდეგ განხორციელდებოდა საფრანგეთის დიდი ოცნება: ალჟირის, ტუნისისა და მაროკოს ერთად ფლობა, ანუ ჩრდ. აფრიკის დიდი ფრანგული კოლონიური იმპერიის შექმნა.

ფრანგები მაროკოს ალჟირზე და ტუნისზე გაცილებით უფრო მაღლა აყენებდნენ. შესანიშნავად გამოხატავდა საფრანგეთის იმპერიალიზმის სურვილებს ფრანგი პროფესორი ოგიუსტ მულიე (Mouliers), როდესაც წერდა: „რა დიდებული კოლონიური სამფლობელო გვექნება ჩვენ ჩრდილოეთ აფრიკაში—ტუნისი,

---

[1] Гюи Дюваль, დასახ. ნაშრომი, გვ. 25. 26.

[2] Л. С. Вульф, Экономический империализм в Азии и Африке. გვ. 51.

[3] ხელშეკრულების ტექსტი იხილე: Ю. В. Ключников и А. Сабанин, Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, часть I, М., 1925, გვ. 236.

ალჟირი და მაროკო. განსაკუთრებით მაროკო, რომელიც გაცილებით უფრო მეტს იწონის, ვიდრე ორივე დანარჩენი. მაროკო, შენ, აფრიკის შეუდარებელო ქვეყანავ, შენ ოდესმე იქნები, ჩვენ ამის სრული იმედი გვაქვს, ჩვენი კოლონიური გვირგვინის უმშვენიერესი მარგალიტი. ლამაზია ეს მარგალიტი და ყოველგვარ ყურადღებას იმსახურებს. ამ მეფურ საგანძურთან შედარებით რაოდენ მკრთალია მთელი ჩვენი დანარჩენი კოლონიები" [1].

საფრანგეთი შეუდგა ამ „ძვირფასი მარგალიტის" ხელში ჩაგდებას. უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთმა ხელი მიჰყო მაროკოს ეკონომიურად დამონებას. ეს პროცესი იწყება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან და XX საუკუნის დასაწყისში ფართო ხასიათს ღებულობს. საფრანგეთის იმპერიალიზმი რვაფეიასავით შემოეჭდო მაროკოს, ხელთ იგდო მაროკოს წიაღისეული, ნედლეულის წყაროები და შეუდგა მათ ექსპლოატაციას. მაროკო საფრანგეთის კაპიტალის დაბანდების საუკეთესო ბაზა გახდა. საფრანგეთმა მაროკოს ვაჭრობა და მრეწველობა თავის გავლენას დაუმორჩილა და მასზე კონტროლი დააწესა. XX საუკუნის დასაწყისიდან მაროკოს ექსპლოატაციაში ჩაება საფრანგეთის თითქმის ყველა ბანკი, მათ შორის: „პარიზისა და ნიდერლანდების ბანკი", „პარიზის გაერთიანებული ბანკი", „ალჟირისა და ტუნისის მიწის კრედიტი", „ბორდო-ბასანის კომერციული კომპანია" და სხვ. მაროკოში გაცხოველებული საქმიანობა გააჩაღეს საფრანგეთის მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა, რომლებიც მაროკოს ექსპლოატაციისათვის სპეციალურ ორგანიზაციებს ქმნიდნენ. ასეთები იყვნენ: „მაროკოს სამთამადნო მრეწველობის საზოგადოება" (Union des mines marocaines), რომლის ხელმძღვანელი და მთავარი მეპაიე იყო საფრანგეთის დიდი კაპიტალისტი შნედერი (Schneider), „მაროკოს კომპანია" (Compagnie Marocaine), „მაროკოს საზოგადოებრივ სამუშაოთა კომპანია" (Société Marocaine des Travaux publics) და სხვ. მაროკოს ექსპლოატაციაში უმთავრეს როლს შნედერ-კრეზოს ცნობილი ფირმა ასრულებდა და ძირითადად მის მიერვე იყო ნაკარნახევი ის დაპყრობითი პოლიტიკა, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა მაროკოს მიმართ ატარებდა [2]. ამ ფირმის ოფიციოზად აღიარებული გაზეთი

[1] Mohr, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[2] საფრანგეთის კაპიტალი ფართოდ შეიპრა მაროკოში და კონკურენტებს სულ უფრო და უფრო ავიწროებდა. განსაკუთრებით აქტიურობდა სააქციო საზოგადოება „შნედერ-კრეზო და კომპ". მაროკოს შესწავლის მიზნით იქ, საბღვაო ოფიცრის ჟ. დე კაკერეის მოგზაურობის შემდეგ, „შნედერ-კრეზოს საზოგადო-

„Echo de Paris“ სპეციალურ დარიგებასაც კი აძლევდა საფრანგეთის არმიას მაროკოში ომის წარმოების მეთოდების შესახებ: „გააჩანაგეთ ეს მოუდრეკელი მთიელები, რომელთა სიმამაცე შერწყმულია ბრიყვულ მრისხანებასთან. გადაბუგეთ ყველაფერი, რაც წინ გადაგეღობებათ. გადაუარეთ მათ ქვეყანას ატილას მსგავსად. ესაა ერთადერთი საშუალება, რომლითაც შესაძლებელია შთაუნერგოთ ამ ხალხს ჩვენდამი პატივისცემა“ [1]. ფრანგი სოციალისტი გიუსტავ ერვე, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ბრალს სდებდა იმაში, რომ მან თითქოს „შეურაცხყო“ საფრანგეთის არმია და ამიტომ პასუხისგებაში იქნა მიცემული, 1907 წლის 24 დეკემბერს სასამართლოს წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ამხელდა საფრანგეთის კოლონიური წრეების ოინებს და მაროკოს შესახებ ამბობდა: „მაროკოს საქმეებით დაინტერესებული საფრანგეთის ყველა სააქციო საზოგადოების ზურგს უკან შნედერის ფირმა დგას“ [2]. მაროკოთი დიდად დაინტერესებული იყო აგრეთვე შატილიონისა და კომანტრის ფირმა. საფრანგეთის ქიმიურ მრეწველობას იზიდავდა მაროკოს ფოსფორიტები, მძიმე ინდუსტრიას — შესანიშნავი ხარისხის რკინა, ტყვია, თუთია და სხვა; ლიონისა და მარსელის საპნის მრეწველობა დაინტერესებული იყო ჩრდ. მაროკოს ზეთოვანი მცენარეებით; საფრანგეთის რკინიგზისა და მეტალურგიის „მეფეები“ დიდი ხანი ოცნებობდნენ ტრანსაფრიკული რკინიგზის გაყვანაზე, რომელიც ინგლისელთა კაპქაიროს ფოლადის მაგისტრალს გადააჭარბებდა და საფრანგეთის

ებამ 1902 წლის 30 მაისს მაროკოში თავისი ფილიალი შექმნა, ე. წ. „მაროკოს კომპანია“ (Compagnie Marocaine). აქციონერთა შორის იყო ცნობილი კაპიტალისტი, მარსელელი გემთმეპატრონე ნიკოლა პაკე. ამ კომპანიამ ტანჟერში და ფეცში თავისი სააგენტოები გახსნა. კომპანიის აგენტი ფეცში ვაიერი სულთნის დიდი ნდობით სარგებლობდა. „შნედერ და კომპ“. საზოგადოებასთან ერთად მაროკოს ექსპლოატაციისა და იქ კაპიტალის დანერგვის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა „პარიზისა და ნიდერლანდების ბანკი“ (ბანკ დე პარი ე დე პეი-ბა) და „პარიზის გაერთიანებული ბანკი“ (ბანკ დე ლ'უნიონ პარიზიენ). ალხესირასის კონფერენციის შემდეგ შეიქმნა ახალი ბანკი — „ბანკ დ'ეტა დიუ მაროკ“, რომელსაც კონტროლს უწევდა საფრანგეთი „პარიზის ბანკის“ (ბანკ დე პარი) მეშვეობით. უფრო გვიან, 1912 წელს, ჩამოყალიბდა ახალი ფინანსური ორგანიზაცია „კომპანი ჟენერალ დიუ მაროკ“. მას ხელმძღვანელობდა აგრეთვე პარიზის ბანკი (ორგანიზებაში მონაწილეობდნენ სხვა ფინანსური ჯგუფებიც). იხ. A. Ayat, Марокко, М., 1958, გვ. 69, 85.

[1] Павлович, Борьба за Азию и Африку. გვ. 193.

[2] იქვე.

აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკულ საბაჟლობელოებს. შეაერთებდა.

საფრანგეთში სოკობივით გამრავლდა სპეციალური კომპანიები, რომლებიც მაროკოს ფართო და ყოველმხრივ ექსპლოატაციას ახდენდნენ. ასეთები იყო: „მაროკოს ელექტროენერგიის საყოველთაო კომპანია“, „მაროკოს ლუდის სახდელი ქარხნების საზოგადოება“, „მაღრიბის საფქვავთა აბზანაგობა“, „ქალაქების სასაკლაოთა საზოგადოება“, „მაროკოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“ და სხვ. საფრანგეთში ჩამოყალიბებულ იქნა მთელი რიგი „მეცნიერული“ საზოგადოებები, რომლებიც ფაქტიურად საფრანგეთის კოლონიური წრეების აგრესიულ ზრახვებს ემსახურებოდნენ და დიდ სამსახურს უწევდნენ მათ მაროკოში შეჭრისა და მისი დაპყრობის საქმეში. ამ „სამეცნიერო“ საზოგადოებათა შექმნის ინიციატორი იყო ცნობილი კაპიტალისტი, იმპერიალისტი და კოლონიური პარტიის მეთაური ეჟენ ეტიენი. ამ საზოგადოებათა შორის აღსანიშნავია: „Comité de l'Afrique française“, „Comité du Maroc“, „Mission scientifique du Maroc“ და სხვ., რომლებიც მაროკოში სპეციალურ ექსპედიციებს აწყობდნენ ადგილობრივი რესურსებისა და გეოგრაფიული პირობების შესასწავლად. გამოდიოდა სპეციალური ჟურნალები მაროკოს შესახებ, მათ შორის: „Le Maroc français“, „Annuaire du Maroc“ და სხვ.[1].

---

[1] ოფიციალურად „Comité du Maroc“ 1904 წელს შეიქმნა ეტიენის ინიციატივით. მისი ფაქტიური მოღვაწეობა უფრო ადრე დაიწყო. ეჟენ ეტიენი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში სათავეში ჩაუდგა მაროკოთი დაინტერესებულ ფრანგ კაპიტალისტთა ჯგუფს (ჯგუფში გაერთიანდნენ მსხვილი ფინანსისტები, მრეწველები, შაქრის ფაბრიკანტები, მსხვილი სახღვაო-სავაჭრო და საამშენებლო კომპანიათა დირექტორები, პოლიტიკური მოღვაწეები და სხვ.). ეტიენის გარშემო შემოიკრიბნენ საფრანგეთის კაპიტალის ისეთი მაგნატები, როგორებიც იყვნენ: ჟალიუზო და გოტშა, პეიტელი, ჟიულ რიუ. ჯგუფს მიემხრო „პარიზისა და ნიდერლანდების ბანკი“ და „შნედერ კომპ.“-ის საზოგადოება.

უკვე 1898 წლის დეკემბერში ეტიენმა აღნიშნული ჯგუფის სახელით მოითხოვა „მაროკოს ტუნისიფიცირება“. ჯგუფი არც ძალის გამოყენების წინაშე იხევდა უკან. ეტიენის ჯგუფის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს კარგად გამოხატავდა მარკიზი სენგონზაკი. იგი რუანში 1902 წლის 6 მაისს ერთ-ერთ გამოსვლაში ამბობდა: „მაროკოს შემუსვრისათვის საჭიროა იგი ცეცხლსა და მახვილს მიეცეთ. ამ მკაცრმა ღონისძიებამ ჩვენ არ უნდა 'შეგვაშინოს'“. იხ. А. Ашш, დასახ. ნაშრ., გვ. 65, 70.

საფრანგეთის ვაჭრობა მაროკოსთან მნიშვნელოვან ფარგლებს აღწევდა. ამ საქმეს რამდენიმე სავაჭრო ფირმა ემსახურებოდა. 1901 წლისათვის მაროკოსთან ვაჭრობაში საფრანგეთს მეორე ადგილი ეკავა ინგლისის შემდეგ. მაროკოსთან ვაჭრობას საფრანგეთში ემსახურებოდა შემდეგი ფირმები: „La Compagnie de navigation marocaine et arménienne (Comp. de N. Paquet)“ (მარსელი); „La Compagnie de navigation mixte (Comp. de Touache)“ (მარსელი); „La Compagnie havraise péninsulaire de navigation à vapeur“ (ჰავრი) და სხვ.[1]. ფრანგები კონტროლს უწევდნენ მაროკოს ფოსტას. მაროკოში დაარსებულ იქნა ფრანგული სკოლები.

დიდი იყო საფრანგეთის დაინტერესება მაროკოთი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, მოსახლეობის მატების მხრივ საფრანგეთში მეტად სავალალო მდგომარეობა იყო. ასე, მაგალითად, 1875—1910 წლების განმავლობაში საფრანგეთის მოსახლეობამ 35 მილიონიდან მხოლოდ 39 მილიონს მიაღწია, გერმანიაში იმავე პერიოდში მოსახლეობა 42 მილიონიდან 65 მილიონამდე გაიზარდა[2]. საფრანგეთში მწვავედ დაისვა სამხედრო კონტინგენტისა და იაფი მუშახელის საკითხი, რომლის მოგვარებას კოლონიების ხარჯზეც ფიქრობდნენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50—60-იან წლებში ფრანგი პუბლიცისტი და დიპლომატი პრევო-პარადოლი წერდა: „საფრანგეთსა და სხვა დიდ სახელმწიფოთა შორის ძალთა წონასწორობის აღსადგენად საჭიროა საფრანგეთის მოსახლეობის გაზრდა. მხოლოდ ამით შეუძლია საფრანგეთს შეინარჩუნოს საჭირო პატივისცემა. ამის საშუალება ჩვენ გვაქვს, მისი სახელია ალჟირი, ტუნისი, მაროკო“[3]. პროფესორი მულიე (Mouliers) ოცნებობს ფრანგულ ყაიდაზე გაწვრთნილ ბერბერთა და არაბთა ორმილიონიანი არმიის შექმნაზე: „სადღა იქნება ევროპის არმია, რომელიც გაუძლებს მას!“[4]. პროფესორის ეს ოცნება

---

[1] მაროკოსთან საფრანგეთის ვაჭრობის შესახებ იხილე **André Tardieu, La conférence d'Algesiras**, P., 1907, გვ. 21, 24; იხ. აგრეთვე **А. Аш**, დასახ. ნაშრ., გვ. 43—46, 56—58.

[2] **Павлович, Французский империализм**, გვ. 126.

[3] **Mohr**, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

[4] იქვე, გვ. 14.

საფრანგეთში პრაქტიკულად კიდეც განხორციელდა[1]. გარდა ამისა, კოლონიები, ამ შემთხვევაში მაროკო, იაფი მუშახელის საუკეთესო ბაზარს წარმოადგენდნენ. მაროკოში შეკრილი ფრანგი ბანკირები, ცალკეული კაპიტალისტები, გენერლები თუ სხვები იტაცებდნენ მაროკოს მიწა-წყალს. ადგილობრივი მოსახლეობის ექსპროპრიაცია ფართო ხასიათს ღებულობდა, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით იქმნებოდა „ფრინველივით თავისუფალი პროლეტარიატი". გარდა ამისა, გაღატაკებული, უმიწაწყლოდ დარჩენილი მაროკოელები იძულებულნი ხდებოდნენ ემათხოვრათ ანდა შარაგზაზე გამოსულიყვნენ და ყაჩაღობისათვის მიეყოთ ხელი. ორივე შემთხვევაში საფრანგეთი მოგებული რჩებოდა: კოლონიებში ძარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობის გახშირება ფრანგებს საბაბს აძლევდა ეტეხათ განგაში იქ „მშვიდობიანობისა" და „წესრიგის" დამყარების აუცილებლობის შესახებ, გაეგზავნათ ახალი საექსპედიციო კორპუსები, დაეკავებინათ ახალი სტრატეგიული პუნქტები. კოლონიებში თავისუფალი მუშახელის გამრავლებით ფრანგები ორმხრივ მოგებას ღებულობდნენ: უზრუნველყოფდნენ იაფი მუშახელით კოლონიებს და მეტროპოლიაში მუშახელის იმპორტს ახდენდნენ, რაც მათ საშუალებას აძლევდა შეემცირებინათ ხელფასი და წარმატებით ებრძოლათ მეტროპოლიის პროლეტარიატის წინააღმდეგ ხელფასის მომატების საკითხში[2].

დიდი იყო მაროკოს სტრატეგიული მნიშვნელობა. მისი ხელში ჩაგდებით საფრანგეთი გაბატონდებოდა ხმელთაშუა ზღვაზე, რომელიც ნაპოლეონ III-ის სიტყვებით რომ ვთქვათ, საფრანგეთის „შიდა, დახურულ ზღვად გადაიქცეოდა". მაროკოს გარეშე საფრანგეთს შეუძლებლად მიაჩნდა ჩრდ. აფრიკაში ბატონობის რეალობა, რადგანაც მაროკო, როგორც ჟიულ ფერი ამბობდა. „არის გასაღები ჩვენი სახლისა" (ე. ი. საფრანგეთის კოლონიებისა ჩრდ. აფრიკაში — გ. კ.). საფრანგეთის კოლონიურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ ამ „გასაღების" სხვის ხელში ჩაგდებას, რადგანაც მაშინ ის დიდი მსხვერპლი, რომელიც საფრანგეთმა გაიღო ალჟირსა და ტუნისში, ანულირებული იქნებოდა და საფრანგეთის ძლიე-

---

[1] ცნობილია, რომ პირველ იმპერიალისტურ ომში ფრანგების მხარეზე, სხვა კოლონიურ ნაწილებთან ერთად, იბრძოდა ე. წ. „მაროკოს დივიზია", რომელსაც საუკეთესო დამრტყმელი შენაერთის სახელი ჰქონდა დამსახურებული. დივიზიაში 23.000 მაროკოელი ირიცხებოდა, აქედან დაიღუპა 12.000 კაცი.

[2] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 192.

რება ხმელთაშუა ზღვაზე შეირყეოდა. მაროკოში მოკალათებული უცხო სახელმწიფო საფრანგეთის წინააღმდეგ აამხედრებდა ადგილობრივ ტომებს, რაც ალჟირში საფრანგეთის მდგომარეობას შეარყევდა[1]. დელკასე ოფიციალურად აცხადებდა: „მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრება მისი მთელ ჩრდ. აფრიკაში ბატონობის საწინდარია და თუკი სხვა რომელიმე სახელმწიფომაც მაროკოში ფეხი მოიკიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის ძლიერებას ჩრდ. აფრიკაში შეექმნება პერმანენტული საფრთხე და მოხდება მისი პარალიზება“[2]. პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი კოლრა აღნიშნავდა: „პოლიტიკური თვალსაზრისით მაროკოს დაპყრობა დიდი მნიშვნელოვანი საქმე იყო. მართლაც და, რა მრისხანე საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდით ჩვენ, თუკი რომელიმე მეტოქე დაგვასწრებდა და ჩვენს ნაცვლად მაროკოში დამკვიდრდებოდა. მაშინ ომის დროს ჩვენს აფრიკულ კოლონიებს დიდი საფრთხე შეექმნებოდა. გაგერმანელებული მაროკო გადაგვიჭრიდა ურთიერთობას დასავლეთ აფრიკასთან და ჩვენს ალჟირელ ქვეშევრდომებს აგვიმხედრებდა“[3].

იმორჩილებდა რა მაროკოს ეკონომიურად, საფრანგეთი დღის წესრიგში აყენებდა მის პოლიტიკურად დამორჩილებასაც, მის დაპყრობას და თავის კოლონიად გადაქცევას. ამასთან ერთად, ბუნებრივია, საფრანგეთს სურდა მაროკოს მონოპოლიური პფლობელი გამხდარიყო. ფრანგები აშკარად აცხადებდნენ, რომ მაროკო მხოლოდ საფრანგეთმა უნდა გამოიყენოსო. „კომერციულად ნეიტრალური მაროკო იქნებოდა კომერციულად ანტიფრანგული“,—წერდა ფრანგი ჟურნალისტი მარსელ დიუბუა[4]. „მაროკო განუყოფელია როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად“,— აღნიშნავდა ერთი ფრანგი მკვლევარი[5]. „ჩვენ არ შეგვიძლია მაროკო ვისმე გაეუყოთ“, — ამბობდა ეტიენი[6]. „ხსნა მონოპოლიაშიაო — ამბობდნენ კაპიტალისტები და აარსებდნენ კარტელებს, სინდიკატებს, ტრესტებს. ხსნა მონოპოლიაშიაო — ბანს აძლევ-

---

[1] **Augustin Bernard**, დასახ. ნაშრ., გვ. 316—317.

[2] **Tardieu**, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[3] **Семар**, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[4] **Die Grosse Politik der Europäischen Kabinette 1871—1914, Berlin, 1927**, ტ. XX, ნაწ. I, დოკუმენტი № 6535.

[5] **Mohr**, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[6] **Diercks**, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

დნენ მათ ბურჟუაზიის პოლიტიკური ბელადები და ჩქარობდნენ დაეტაცებინათ დედამიწის ჯერ კიდევ გაუყოფელი ნაწილები", — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი [1]. საფრანგეთის იმპერიალიზმი შეუდგა მაროკოს პოლიტიკურად დაპყრობის განხორციელებას.

საფრანგეთის პოლიტიკის მესვეურები ცდილობდნენ დაეფარათ მაროკოსადმი თავიანთი ნამდვილი ზრახვები. სიტყვა „დაპყრობა" ან მისი უფრო დიპლომატიური ფორმა — „პროტექტორატი" საფრანგეთის პოლიტიკოსთა ლექსიკონიდან გამორიცხული იყო. საფრანგეთში მეტად ორიგინალური ტერმინი შექმნეს, სახელდობრ, „pénétration pacifique", ანუ „მშვიდობიანი შეჭრა". მათ თავის ანექსიონისტურ ზრახვებს კიდევ უფრო ბუნდოვანი განმარტება გამოუნახეს, სახელდობრ, „ზეთის ლაქის პოლიტიკა" [2].

გერმანელებმა საფრანგეთის ზრახვები მაროკოს მიმართ „ტუნისიფიცირების" სახელით მონათლეს. ეს ტერმინი უფრო ახლოს იდგა ჰეშმარიტებასთან, ე. ი. საფრანგეთს სურდა ისეთივე პოლიტიკა გაეტარებინა მაროკოში, როგორიც თავის დროზე ტუნისის მიმართ გაატარა, ანუ სურდა მაროკოს დაპყრობა და იქ საფრანგეთის პროტექტორატის გაბატონება.

გარდა ამისა, საჭირო იყო „მშვიდობიანი შეჭრისა" და „ტუნისიფიცირების", ანუ მაროკოს დაპყრობის ფრანგული პოლიტიკის თეორიული „დასაბუთება". საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკის მესვეურებმა ორი „თეორიული" პრინციპი წამოაყენეს. მათ შეიძლება ვუწოდოთ „ტერიტორიულ-სტრატეგიული" და „ცივილიზატორული".

ტერიტორიულ-სტრატეგიული პრინციპი მეტად საეჭვო ლოგიკის ნაყოფი იყო. ფრანგები ამტკიცებდნენ, რომ ალჟირი, ტუნისი და მაროკო განუყოფელია, მთლიან ერთეულს ქმნიან გეოგრაფიულად, ისტორიულად, ეთნიკურად. აქედან გამომდინარეობს „ლოგიკური" დასკვნა: ის, ვინც ფლობს ალჟირსა და ტუნისს, უფლებამოსილია მაროკოზეც იბატონოს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 322.

[2] ეს იყო პოლიტიკა... წერს კალონი: „de la tache d'huile et de la progression pas à pas, c'était la formule de la pénétration pacifique". Général I. Caloni, La France au Maroc, P., 1937, გვ. 256. ფიქრობენ, რომ ამ ფორმულის ავტორი იყო ფრანგი დიპლომატი პოლ რევუალი (Paul Revoil), საფრანგეთის ელჩი მაროკოში, შემდეგ ალჟირის გენერალ-გუბერნატორი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფრანგეთს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ დაეშვა სხვა რომელიმე სახელმწიფოს მიერ მაროკოს ოკუპირება, რადგანაც საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკულ კოლონიებს ამ შემთხვევაში დიდი საფრთხე ელოდა. ამავე დროს, ფრანგების მტკიცებით, თვითონ მაროკოც საფრთხეს უქმნის მის მეზობლად მდებარე ალჟირს იმ ხშირი თავდასხმებით, რომელთაც მაროკოელი ტომები ალჟირის ტერიტორიის მიმართ ახდენენ.

ეს თეზისი, რომელიც საფრანგეთმა მაროკოს ოკუპაციის ერთ-ერთ საბაბად გამოიყენა, ახალი როდი იყო. ამის შესახებ ფრანგები უკვე ალჟირის ოკუპაციის შემდეგ გაიძახოდნენ. ალჟირისა და მაროკოს საზღვარზე მოსახლე მაროკოს მომთაბარე ტომები, მართალია, ახდენდნენ თავდასხმებს ალჟირის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ თავდასხმებს შემთხვევითი და სპორადული ხასიათი ჰქონდათ და სრულიადაც არ უქმნიდნენ ალჟირს ისეთ საფრთხეს, როგორც ამას ფრანგი ავტორები გვიხატავენ. ამ ბრალდებას საფრანგეთში ოფიციალური ხასიათი მიეცა. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი რუვიე აცხადებდა: „საფრანგეთისთვის აუცილებელია მაროკანული პოლიტიკის გატარება. მაროკოს სახელმწიფოს ევოლუციის მომავალი ფორმა და მიმართულება არსებით გავლენას მოახდენს ჩვენს ჩრდილო-აფრიკულ სამფლობელოთა ბედიღბალზე. უკვე სამოცი წელია, რაც მაროკოსთან მეზობლობა ალჟირში არეულობისა და მღელვარების მიზეზს ქმნის. იგი საფრთხეს უქმნის ალჟირის მშვიდობიან ცხოვრებას და მასთან ჩვენს ურთიერთობას. ჩვენს მოქალაქეთა ნორმალურ ცხოვრებას, ჩვენი სასაზღვრო პოსტების უშიშროებას...". პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს, რომ მაროკოს ტერიტორიაზე თავს იყრიან დიდი ბანდები, რომლებიც გამუდმებით თავს ესხმიან ალჟირს. „აგრესიას ეწევიან არა მარტო ცალკეული ბანდიტები, არამედ თავს გვესხმიან მთელი ბანდები, ბრბოები რამდენიმე ათასი კაცის. შემადგენლობით. ყველაფერი ეს გვაიძულებს ჩვენ, რომ მეზობელ სახელმწიფოს (მაროკოს) მოვთხოვოთ, მთელი რიგი ვალდებულებები შეასრულოს ჩვენს მიმართ...", — აცხადებდა რუვიე[1].

საფრანგეთის კოლონიური წრეების მტკიცებით მაროკო მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა, რომელსაც აკლია ყოველგვარი ორგანიზება, სახელმწიფო ხელისუფლება, სადაც სუფევს

[1] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

ანარქია, დეზორგანიზაცია, უწესოება, ყაჩაღობა; მაროკოში თავმოყრილია ხალხის სავსებით არაორგანიზებული მასა. ფრანგი გენერალი ი. კალონი (I. Caloni), აქტიური მონაწილე საფრანგეთის კოლონიური ავანტიურებისა, თავის წიგნს, რომელიც მაროკოს შეეხება. ეპიგრაფად წარუმძღვარებს შემდეგ ფრაზას: „მაროკოში არ არიან არც მოქალაქეები, არც სამხედროები — იქ მხოლოდ მაროკოელებია...“ [1]. „საჭიროა მოვუაროთ მაროკოს, ამ უპატრონო ავადმყოფს“, — აცხადებენ მაროკოს „სიბრალულით“ „გულაჩუყებული“ ფრანგები. ჩვენ არ გვინდა მაროკოს ანექსია, ოკუპაცია. პროტექტორატი, ჩვენ გვინდა იყოს ერთიანი, სუვერენული მაროკო, ჩვენ გვსურს სიწყნარე და წესრიგი სუფევდეს შერიფის იმპერიაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ალჟირისადმი მაროკოს მხრივ „აგრესიის“ საფრთხე და ჩვენს ეკონომიურ საქმიანობას ნორმალური განვითარების საშუალება მიეცეს. მაროკოს სულთანმა თავი ვერ გაართვა ქვეყნად ანარქიას, ამიტომ საჭიროა დახმარება გავუწიოთ მას. ჩვენ გვსურს „მშვიდობიანი შეჭრა“ და არა ოკუპაცია, ჩვენ გვსურს მაროკოს „ცივილიზება“; თუკი მაროკო გზას გაუხსნის საფრანგეთის კულტურას, იგი ედემის ბაღად გადაიქცევა; თუკი „ცივილიზებული“ საფრანგეთი გამოიჩენს ქველმოქმედებას და მაროკოში „წესრიგს დაამყარებს“, ამით საუკუნოებრივ ბედნიერებას მოუტანს მაროკოს ხალხს, — საქვეყნოდ გაიძახოდნენ ფრანგი იმპერიალისტები. ბაინც რას გულისხმობდა მაროკოში წესრიგისა და მშვიდობის დასამყარებლად „ცივილიზებული“ საფრანგეთის „მშვიდობიანი შეჭრა“? უპირველეს ყოვლისა მაროკოში რეფორმების გატარებას საფრანგეთის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელთაც უნდა მოეცვათ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფერო—სახელმწიფო მმართველობა, არმია, ადმინისტრაცია, პოლიცია, კანონმდებლობა, სამართალი, ფინანსები, საბაჟოები, სწავლა-განათლება და სხვ. ეს კი საბოლოოდ მაროკოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევას, საფრანგეთის დახმარებით „რეფორმირებულ“ და „განმტკიცებულ“ მაროკოს მთავრობის საფრანგეთის მარიონეტად გადაქცევას და მაროკოს პოლიტიკურად დამორჩილებას მოასწავებდა. ყოველივე ეს მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებას ნიშნავდა. ასეთ ვითარებაში საფრანგეთის

---

[1] „Au Maroc, il n'y a ni civils, ni militaires, il n'y a que marocains“. Général I. Caloni, დასახელებული ნაშრომი, თავფურცელი.

ფინანსური კაპიტალი მაროკოს მონოპოლიური მპყრობელი შეიქმნებოდა და მაროკოში სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონკურენციას თავიდან აიცილებდა.

საფრანგეთს ყველაზე მეტი უფლება აქვს მაროკოში „წესრიგი დაამყაროს“, რადგანაც მას მაროკოსთან განსაკუთრებული ხასიათის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები აკავშირებს. ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ მაროკო საფრანგეთის უშუალო მეზობელია (იგულისხმება ალჟირისა და მაროკოს მეზობლობა), მეორე მხრივ, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ყველაზე უფრო ფართო მასშტაბის ეკონომიური ურთიერთობა მაროკოსთან საფრანგეთს აქვს, — აცხადებდნენ ფრანგები[1].

---

[1] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 25, 26. დამახასიათებელია მაროკოს მიმართ საფრანგეთის პრეტენზიების ტარდიესეული „გამართლება“. ასე, მაგალითად, იგი ამტკიცებს, რომ მაროკოში საფრანგეთის სავაჭრო და მორალური მოღვაწეობა თავისი რეზულტატით მეტად მნიშვნელოვანია. კიდევ მეტი, თურმე ეს მოღვაწეობა „ჭეშმარიტად ინდივიდუალური და დემოკრატიულია“, რამდენადაც საფრანგეთ-მაროკოს შორის ვაჭრობის საერთო ოდენობიდან მნიშვნელოვანი ნაწილი მეორეხარისხოვან სავაჭრო კანტორების მხარეზე მოდის. ტარდიეს მიხედვით მაროკოსთან დაკავშირებულია საფრანგეთის „დემოკრატიული“ მასა. „შეისწავლეთ კარგად მაროკოში მოღვაწე ფრანგები, თქვენ აქ ნახავთ მებოსტნეებს, მეფუნთუშეებს, მიკიტნებს, ბაყლებს. მექანიკოსებს, წვრილ საზღვაო აგენტებს, ფარმაცევტებს; თქვენ აქ შეხვდებით ახალგაზრდებს ოვერნიდან უმნიშვნელო კაპიტალით... თქვენ აქ შეხვდებით. წარმოიდგინეთ, გადამდგარ მასწავლებლებსაც კი, რომლებიც ცდილობენ აქ ფრანგული ენა გააგრცელონ და ამით აქ ცივილიზაცია შეიტანონ. შეხვდებით ექიმებსაც... თურმე ისინი განმსჭვალულან ქველმოქმედური იდეებით, თურმე მათ კაცთმოყვარეობა ამოქმედებთ, როცა აქეთ მოდიან, რათა ხალხს დახმარება გაუწიონ. და ყველა ამის შემდეგ იტყვით ერთს,—აცხადებს ამ „დემოკრატიული“ მასის ინტერესების დამცველი ტარდიე, — რომ რეფორმები აუცილებელია მათ დასაცავად. მაროკოში ხომ ანარქიაა! ამ „კეთილ ხალხს“ ხომ ბანდიტები და ყაჩაღები ემუქრებიან! ასე ალამაზებს ტარდიე ფრანგულ ანექსიონისტურ განწყობას „დემოკრატიის დაცვის“ ნიღბით. ტარდიე აუგად იხსენიებს ჟან ჟორესს, რომელმაც ტარდიესეულ „დემოკრატიულ მასას“ სრულიად სამართლიანად „სპეკულანტები“ უწოდა. არა, აცხადებს ტარდიე, ეს ხალხი განუყოფელი ნაწილია მშრომელი საფრანგეთისა და მათი შრომის ნაყოფის დაცვა პატრიოტული სოლიდარობის სრულიად ელემენტარული ვალის მოხდაა. იხ. Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 27, 28.

რაოდენ გულწრფელია მასთან შედარებით დიდი ფრანგი მწერალი გი დე მოპასანი, რომელმაც თავის შესანიშნავ რომანში „ლამაზი მეგობარი“ ფარდა ახადა კოლონიალიზმს და ფინანსური კაპიტალი კოლონიური ექსპანსიის სულისჩამდგმელად წარმოგვიდგინა. ფინანსური კაპიტალის მაგნატი ვალტერი, აი, ვინ ხელმძღვანელობს კოლონიურ აგრესიას. საგარეო საქმეთა მინისტრი ლაროშ-მატიე ტიკინაა მის ხელში.

ამასთანავე ფრანგები ამტკიცებდნენ, რომ მაროკოში რეფორმების გატარებით ისინი არა მარტო თავიანთთვის აკეთებენ სასარგებლო საქმეს, არამედ ამით მთელ ევროპას უწევენ სამსახურს [1]. თეოფილ დელკასე ოფიციალურად აცხადებდა, რომ მაროკოში ადგილობრივი მთავრობის სისუსტის გამო აქ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ვაჭრობას საფრთხე ექმნებაო. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორება, მაროკოს ხელისუფლების განმტკიცება. ეს საქმე წილად უნდა ხვედეს საფრანგეთს, როგორც მეზობელ სახელმწიფოს; იგი ყველა სახელმწიფოს თანაგრძნობას მოიპოვებს, თუკი თავის გავლენით შესძლებს შექმნას მაროკოში წესრიგი და, ყოველ შემთხვევაში, ასატანი მდგომარეობა მაინც. ყოველივე ამას საფრანგეთი შესძლებს იმ შემთხვევაში, თუ ბოლოს მოუღებს მაროკოში არსებულ ანარქიას. საფრანგეთს მხოლოდ ეს „კეთილშობილური" გრძნობები ამოძრავებს, მას არავითარ შემთხვევაში არ სურს მაროკოში რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიების მოპოვება [2].

ცხადია, საფრანგეთის ამ განცხადებისა არავის არ სჯეროდა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ საფრანგეთს სურდა მაროკოზე თავისი პროტექტორატის დამყარება; არავის არ სჯეროდა, რომ საფრანგეთს სურდა მაროკოში „Status quo"-ს დაცვა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მაროკოზე პროტექტორატის გავრცელების შემდეგ მაროკოს კარები ისევე მჭიდროდ დაიხურებოდა, როგორც ინდო ჩინეთის, მადაგასკარის, ტუნისისა და საფრანგეთის სხვა კოლონიებისა [3].

გავეცნოთ, თუ როგორ შეუდგა საფრანგეთი მაროკოში „მშვიდობიანი შეჭრის" პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებას, ე. ი. მაროკოს ოკუპაციას და მასზე პროტექტორატის დამყარების ფრანგული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას.

მაროკოს დაპყრობის გეგმა, შემუშავებული საფრანგეთის მიერ, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა სამხედრო ხასიათის მოქმედებას მაროკოს სტრატეგიული პუნქტების ხელში ჩაგდების მიზნით, მაროკოს ტერიტორიაზე ჯარების შეყვანას, რის შედეგადაც ადვილი გახდებოდა მაროკოს მთავრობაზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა, რადგან ამით იგი იძულებული შეიქნებოდა „ეცნო" საფრანგეთის პროტექტორატი. მეორე მხრივ, ითვალის-

---

[1] **Tardieu**, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

[2] **Die Grosse Politik**, ტ. XX, ნაწ. 1. დოკ. №№ 6368, 6567.

[3] **Mohr**. დასახ. ნაშრ., გვ. 17.

წინებდა რა „მაროკოს საკითხის“ საერთაშორისო ხასიათს, საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა მაროკოთი დაინტერესებულ სახელმწიფოებთან დიპლომატიური გზით შეთანხმების მიღწევას. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში „მაროკოს საკითხის“ საერთაშორისო პრობლემად გადაქცევას ფრანგული პოლიტიკის დიდ შეცდომად სთვლიდნენ. თურმე საფრანგეთს ალჟირის დაპყრობის შემდეგ უშუალოდ მაროკოსათვის უნდა მიექცია ყურადღება და მოეხდინა მისი ოკუპირება, მაშინ ყველაფერი იოლად გათავდებოდა. საფრანგეთი სრულიად უმნიშვნელო მსხვერპლის გაღებითა და ყოველგვარი გართულებების გარეშე განახორციელებდა პროტექტორატს მაროკოზე, ე. ი. საფრანგეთს „მაროკოს საკითხი“ უნდა განეხილა, როგორც უშუალოდ ალჟირთან დაკავშირებული და არა როგორც ევროპის მასშტაბის პრობლემა[1].

1880—1898 წლების განმავლობაში საფრანგეთის პოლიტიკა მაროკოსადმი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ლოდინის, მეთვალყურეობისა და სიფრთხილის პოლიტიკა. საფრანგეთი თავის ანექსიონისტურ ზრახვებს ჯერჯერობით ვერ ახორციელებს. მისთვის მაროკოს პრობლემა მეტად რთული და დელიკატურია. ეს გამოწვეულია იმით, რომ მაროკოში მამაცი, თავისუფლების მოყვარე მეომარი ტომები ცხოვრობენ და, ამასთან ერთად, მაროკოს ბუნებრივი პირობები იქ საომარი ოპერაციების წარმოებას აძნელებს. გარდა ამისა, მთავარი მაინც ისაა, რომ მაროკოთი სხვა სახელმწიფოებიც დიდ დაინტერესებას იჩენენ.

ფრანგი ავტორი ტერიე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრებას ხელს უშლიდა და აგვიანებდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ხასიათის სიძნელეები[2]. ამიტომ საფრანგეთი ჯერჯერობით ამჯობინებს დარაჯად ედგას მაროკოს დამოუკიდებლობას, არ დაუშვას იქ სხვა სახელმწიფოს ზედმეტად განმტკიცება. ფრანგი მწერლის მოხდენილი თქმით, ამ შემთხვევაში საფრანგეთი ასრულებს „მოდარაჯე ქოფაკის“ როლს[3]. ასე, მაგალითად, როდესაც მაროკოს სულთნის ძმული ელ-ჰასანის სიკვდილის შემდეგ (1894 წლის 7 ივნისს) ევროპის სახელმწიფოები ყოყმანობდნენ ეცნოთ თუ არა ტახტის მემკვიდრე მულეი აბდ-ელ-აზიზი და ლაპარაკობდნენ მისი შესაძლო კონ-

---

[1] Bernard, დასახ. ნაშრ., გვ. 324.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6386.

[3] René Pinon, France et Allemagne (1870—1913), P., 1930. გვ. 130.

კურენტის შესახებ, მაშინ საფრანგეთის სამი კრეისერი ტანჟერში გამოჩნდა; ამით საფრანგეთი აფრთხილებდა ევროპას, რომ იგი არ დაუშვებს სხვა სახელმწიფოების ზედმეტ ჩარევას მაროკოს საქმეებში [1].

ამ პერიოდისათვის საფრანგეთს განსაკუთრებით აწუხებდა ინგლისის პოლიტიკის გააქტიურება მაროკოს საკითხში. ინგლისი საფრანგეთის ჯერჯერობით ყველაზე უფრო დიდი მეტოქე იყო მსოფლიო ასპარეზზე, როგორც მაროკოში, ისე ყველგან.

ინგლისელებმა მაროკოს სულთნის კარზე დიდ გავლენას მიაღწიეს ორი ინგლისელი აგენტის მაკ-ლენისა და ჰარისის წყალობით [2], რომლებიც დაახლოებულნი იყვნენ სულთანთან და მის

---

[1] **René Pinon**, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

[2] მაკ-ლენი გიბრალტარში მდგარი ინგლისის გარნიზონის ყოფილი უნტერ-ოფიცერი იყო. აქ იგი უზნეო, ავანტიურისტულ ცხოვრებას ეწეოდა და ვალებში ჩავარდა. ბოლოს, 1887 წელს, იძულებული გახდა გიბრალტარიდან გაქცეულიყო. მან გადასცურა სრუტე და თავი ტანჟერს შეაფარა. მალე იგი დაუახლოვდა მაროკოს სულთანს მულეი ელ-ჰასანს. უკანასკნელმა დააწინაურა იგი და მალე არმიის ერთ-ერთ ხელმძღვანელადაც კი გახადა. 1889 წელს მაკ-ლენმა სულთანს წარუდგინა თავისი თანამემამულე, გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი ვინმე ჰარისი, რომელმაც ასევე „დაიმსახურა“ სულთნის ნდობა და მისი უახლოესი მრჩეველი გახდა. ეს ორი მეგობარი ძარცვავდა მაროკოს მთავრობასა და ხალხს. სპეკულაციისა და ათასგვარი ბნელი მაქინაციების გზით მათ დიდი ქონება დააგროვეს. ჰარისმა, მაგალითად, ტანჟერის ახლოს შესანიშნავი ვილა აიშენა. ინგლისის ეს ორი აგენტი ასეთივე გავლენით სარგებლობდა მულეი ელ-ჰასანის მემკვიდრის აბდ-ელ-აზიზის კარზეც. მათი მოქმედება მიმართული იყო მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრების წინააღმდეგ. ხელს უწყობდა ინგლისური გაელენის ზრდას, აქეზებდა სულთანს დაეწყო „რეფორმების“ გატარება ინგლისელთა მონაწილეობით.

ინგლისის მეფე და მთავრობა მათ სამსახურს დიდად აფასებდნენ. როცა მაკ-ლენი მაროკოს ნაციონალურ კოსტუმში გამოწყობილი, მაროკოელ სხვა ელჩებთან ერთად ლონდონს ესტუმრა, იგი ლორდმა სოლსბერიმ საგანგებო სადილზე მიიწვია, ხოლო ინგლისის მეფემ მას სპეციალური აუდიენცია მოუწყო სანდრინჰემში. მეფე უღიმოდა და ტკბილად ესაუბრებოდა თავის ერთგულ ჯარისკაცს. „მადლიერმა სამშობლომ“ დიდად დააფასა მაკ-ლენის დამსახურება და მას ბარონეტის ტიტული უბოძა. მაკ-ლენის მაროკოში დაბრუნების შემდეგ ბირმინჰემის ქარხნებმა მუშაობა გააჩაღეს, რათა დროულად შეესრულებინათ დიდი დაკვეთა იარაღზე და საჯურველზე, რომელიც მათ მაროკოს მთავრობისაგან მიიღეს. მაკ-ლენისა და ჰარისის თარეში მაროკოში 1903 წლამდე გაგრძელდა, როცა სულთნის წინააღმდეგ ამხედრებულმა მაროკოელებმა აიძულეს იგი თავიდან მოეშორებინა ეს ორი აბეზარი, სხვა უცხოელ „მრჩეველებთან“ ერთად.

პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენდნენ. თავის ძმრივ. ფრანგებიც ცდილობდნენ მსგავსი გავლენა მოეპოვებინათ მაროკოს სამეფო კარზე.

1880 წელს მაროკოს სულთანმა სთხოვა ალჟირის გენერალ-გუბერნატორს გამოეგზავნა მისთვის არტილერიის ინსტრუქტორი ოფიცერი, რათა მას გაეწვრთნა მაროკოელი ჯარისკაცები. ეს მომენტი საფრანგეთის მთავრობამ სათანადოდ გამოიყენა და მაროკოს სულთნის კარზე მთელი სამხედრო მისია წარგზავნა, რომელიც შემდეგ უცვლელად იმყოფებოდა მაროკოში და მომდევნო წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ეს სამხედრო მისია დიდად უწყობდა ხელს მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრების საქმეს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორი როლი ითამაშა საფრანგეთმა სერ ჩარლზ უან სმიტის მეთაურობით მაროკოში მოქმედი ინგლისის სპეციალური მისიის მოღვაწეობის ჩაშლის საქმეში.

1899 წლიდან საფრანგეთის პოლიტიკაში მაროკოს მიმართ არსებითი გარდატეხა ხდება. როგორც ცნობილია, აღნიშნული წლიდან ინგლისი ბურების წინააღმდეგ ომში ჩაება და საკმაოდ დიდი წარუმატებლობა განიცადა. ამ მომენტით მშვენივრად ისარგებლა საფრანგეთმა და ხელი მიჰყო მაროკოს ტერიტორიების ოკუპაციას. 1899—1901 წლების განმავლობაში საფრანგეთმა დაიკავა მაროკოს მნიშვნელოვანი რაიონები, მათ შორის ტუატის ოაზისი, გურარა, ტიდიკელტი, ზუსფენა და სხვ. საფრანგეთი რკალივით შემოერტყა მაროკოს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ამიერიდან საფრანგეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა ე. წ. „სასაზღვრო ზონა“ ალჟირსა და მაროკოს შორის. მაროკოს ხალხი გმირულად ებრძოდა საფრანგეთს. ტუატის ოაზისის დასაცავად მაროკოს პროვინცია ტაფილელტიდან აირადი ინიციატივით 500 მოხალისე ბერბერი გამოეშურა. ისინი მამაცურად ეკვეთნენ საფრანგეთის საოკუპაციო რაზმს, დიდი ზარალი მიაყენეს მას, მაგრამ უთანასწორო ბრძოლას ვერ გაუძლეს და იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ [1]. მაროკოს სულთნის პროტესტი ამაო აღმოჩნდა. საფრანგეთის მთავრობა ცდილობს აიძულოს მაროკოს სულთანი სცნოს მომხდარი ფაქტი, ამავე დროს საფრანგეთის წარმომადგენელი ტანჟერში აუწყებს მაროკოს მთავრობას, რომ საფრანგეთის ხელისუფლება მკაცრ ზომებს მიიღებს მაროკოს

[1] С. Шарпантье. დასახ. ნაშრ., გვ. 25.

ტერიტორიაზე მოსახლე „ყაჩაღური ბანდების“ წინააღმდეგ; „ბაროკოს მთავრობა პასუხისმგებელია მათი მოქმედებისათვის“ [1].

1901—1902 წლების განმავლობაში საფრანგეთის მთავრობამ თავს მოახვია მაროკოს ორი უთანასწორო ხელშეკრულება, რომლებმაც მაროკოში საფრანგეთის „მშვიდობიანი შეჭრის“ პოლიტიკას ახალი ძალა შემატეს და ხელი შეუწყვეს მაროკოში საფრანგეთის გავლენის შემდგომ განმტკიცებას.

1901 წლის 3 აპრილს კებდენში მაროკოელების მიერ მოკლულ იქნა ფრანგი ვაჭარი პუზე (Pouzet). საფრანგეთის მთავრობამ ეს გარემოება სათანადოდ გამოიყენა. რევიუალმა მაროკოს მთავრობას მრისხანე ულტიმატუმი წაუყენა და მისი მოთხოვნით საფრანგეთის მთავრობამ ორი სამხედრო გემი გაგზავნა მაროკოში, რათა ამ ულტიმატუმს რეალური ძალა შემატებოდა. საბრძოლო გემებმა 16 მაისს ღუზა ჩაუშვეს ტანჟერში. საფრანგეთის პარლამენტში რიგი დეპუტატებისა მოითხოვდნენ, რომ მაროკოს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილიყო მოულოდნელი, სწრაფი სამხედრო თავდასხმის გზით. მთავრობამ ასეთი ღონისძიებისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავა; აღმოჩნდა, რომ მაროკოს დასაპყრობად საჭირო იყო სულ ცოტა 100.000 კაცი, დაახლოებით 2 მილიარდი ფრანკი და ორი წლის უსასტიკესი ბრძოლა [2]. გარდა ამისა, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ევროპის საბელმწიფოთა პოზიცია საფრანგეთის ასეთი მოქმედების შემთხვევაში. ისე რომ, საფრანგეთის მთავრობამ კვლავ ძველი ნაცადი ხერხი ირჩია — მაროკოში თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ შეჭრისა და დამკვიდრების მეთოდი.

შეშინებულმა სულთანმა სასწრაფოდ შეადგინა დელეგაცია და წარგზავნა იგი ბერლინსა და ლონდონში, რათა იქ შველა ეთხოვა. დელეგაციის სათავეში იყო სულთნის ფავორიტი, სამხედრო მინისტრი ელ-მენებხი. ივლისში ბერლინში ჩასულმა სულთნის მისიამ სრული ფიასკო განიცადა. გერმანიის კანცლერი ფონ ბიულოვი დასასვენებლად იყო ზღვაზე, ხოლო საგარეო საქმეთა სტატსმდივანი (მინისტრი) ბარონი ფონ რიხტჰოფენი — სოფლად. არც ერთმა მათგანმა არ სცნო საჭიროდ ჩამოსვლა და მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღება. სულთნის მისიას წილად ხვდა „ბედნიერება“ საუბრისა კრუპთან, რომელსაც შეუკვეთეს

---

[1] Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[2] Шарпантье, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

საარტილერიო შეიარაღების დიდი პარტია და სთხოვეს გამოეგზავნა მაროკოში გერმანელი ოფიცერი საარტილერიო საქმის დანერგვისათვის.

ინგლისშიც თითქმის ასეთივე ბედი ეწიათ სულთნის ემისრებს, რომელთა „ჩიჩერონეს“ როლს გაქნილი ინგლისელი სერჟანტი მაკ-ლენი თამაშობდა. მისიას ჰქონდა ხანგრძლივი აუდიენცია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ ლენსდაუნთან. მაროკოელები სთხოვდნენ ინგლისს, ჩარეულიყო საფრანგეთ-მარიკოს კონფლიქტში და მოეხდინა ზეგავლენა საფრანგეთზე მაროკოს დასაცავად. თავის მხრივ, როგორც ამას ფრანგი ავტორები ამტკიცებენ, სულთანი თითქოს მზად იყო ეცნო ინგლისის პროტექტორატი[1]. მაგრამ ინგლისის მთავრობამ მაროკოს ეს წინადადება არ მიიღო. ლორდმა ლენსდაუნმა სულთნის ელჩებს განუცხადა, რომ, მისი აზრით, მაროკოს პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა პარიზში უნდა მოხდეს. ინგლისის მთავრობა მხოლოდ ეკონომიურ და კომერციულ საკითხებს შეეხო (გზების, ნავსადგურების, შუქურების კეთილმოწყობა, ხიდების აგება, საკაბოტაჟო ნაოსნობის მოგვარება და სხვ.). ინგლისის ასეთი ლოიალური დამოკიდებულება მაროკოს საკითხისადმი, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას იმ მძიმე მდგომარეობით, რომელიც შეექმნა მას ბურებთან ომში წარუმატებლობის გამო. საფრანგეთთან ურთიერთობის გამწვავება ასეთ კრიტიკულ მომენტში, ჩანს, ინგლისელებს არ სურდათ[2].

---

[1] René Pinon, დასახ. ნაშრ., გვ. 9; Эрнест Лемонон, Англия и Германия, М.—Л., 1925, გვ. 44.

[2] არ უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისმა საერთოდ ხელი აიღო მაროკოს საქმეებზე, პირიქით, სწორედ ამ პერიოდში ინგლისის პრესა თუ ოფიციალური წრეები გაცხოველებულ კამპანიას ეწეოდნენ გიბრალტარის სრუტის სანაპიროს ნეიტრალიზაციის სასარგებლოდ და მიზნად ისახავდნენ არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ ამ სანაპიროს გადასვლა სხვა სახელმწიფოს ხელში. ინგლისმა საბოლოოდ უკუაგდო მთლიანად მაროკოს ხელში ჩაგდების იდეა, როგორც მეტად ძნელი და თავსატეხი პრობლემა. ინგლისმა ძირითად მიზნად დაისახა ტანჟერისა და, საერთოდ, გიბრალტარის სრუტის აფრიკული სანაპიროს ნეიტრალიზაცია. 1899 წელს ინგლისის კონსული ტუნისში თავის მთავრობას ურჩევდა: თუ საფრანგეთი იკისრებდა მაროკოში ვაჭრობის თავისუფლების დაცვას და დასთანხმდებოდა ტანჟერის ნეიტრალიზაციაზე, არ შეეშალათ ხელი მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრებისათვის. განსაკუთრებით მწვავედ დააყენა ინგლისმა ტანჟერისა და აფრიკის ჩრდ. სანაპიროს ნეიტრალიზაციის საკითხი 1901 წელს, როგორც გიბრალტარის უშიშროების ძირითადი საწინდარი. იხ. Pinon. დასახ. ნაშრ., გვ. 10; Лемонон, Очерк англо-французских

ყოველმხრივ იმედგაცრუებული სულთანი აბდ-ელ-აზიზი იძულებულია საფრანგეთის ნებას დაჰყვეს და მიიღოს მისი ყველა მოთხოვნა. სულთანმა თავისი რწმუნებულები ბენ სლიმანი და ელგებასი პარიზს წარგზავნა. მათ ხელი მოაწერეს საფრანგეთ-მაროკოს ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ცნობილია „1901 წლის 20 ივლისის ოქმის" სახელით. მომდევნო 1902 წლის 20 აპრილს ხელმოწერილ იქნა მეორე შეთანხმება, რომელიც პირველის გაგრძელებასა და დამატებას წარმოადგენდა. აღნიშნული ხელშეკრულების ძალით სულთანი სცნობდა საფრანგეთის მიერ ტუატისა და სხვა ოლქების ოკუპაციას და საფრანგეთის მიმართ კისრულობდა მთელ რიგ ვალდებულებებს, რომლებიც საფრანგეთს საშუალებას აძლევდნენ აგრესიული ზრახვები უფრო ფართოდ განეხორციელებინა. ამ ხელშეკრულებების ძალით საფრანგეთმა მთელი რიგი ეკონომიური ხასიათის პრივილეგიები მოიპოვა (სავაჭრო, საბაჟო და სხვა ხასიათის შეღავათები, უფლება საბაჟო გადასახადების ნაწილობრივ აკრეფაზე). რაც მთავარია, საფრანგეთს უფლება მიეცა ალჟირისა და მაროკოს საზღვარზე განეხორციელებინა პოლიციური სამსახური „წესრიგის დაცვის" მიზნით. საფრანგეთმა უფლება მოიპოვა დაესაჯა მაროკოელი ტომები, რომლებიც ალჟირის ტერიტორიის მშვიდობიანობას „ემუქრებოდნენ"; ამ მიზნით საფრანგეთს შეეძლო თვით მაროკოს ტერიტორიაზე ეწარმოებინა ოპერაციები. სამაგიეროდ საფრანგეთი „კეთილშობილურ" დახმარებას ჰპირდებოდა მაროკოს სულთანს მის იმპერიაში მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარების საქმეში. „დახმარება" გამოიხატებოდა იმაში, რომ საფრანგეთს ჯარები შეჰყავდა მაროკოს აღმოსაელეთ სასაზღვრო ოლქების ტერიტორიაზე. ამ ოლქების მართვა საფრანგეთის სპეციალურ სასაზღვრო კომისრებს დაევალათ. საფრანგეთს უნდა მიეწოდებინა მაროკოსათვის იარაღი და საჭურველი, გაეგზავნა ინსტრუქტო-

---

отношений. გვ. 40—41. ცნობილია აგრეთვე, რომ 1890—1901 წლებში, ინგლის-გერმანიის დაახლოების უშედეგო ცდების დროს, ჯოზეფ ჩემბერლენმა 1899 წლის 3 ნოემბერს გერმანიას შესთავაზა მთელი რიგი პუნქტები მაროკოს დასავლეთ, ატლანტის სანაპიროზე, იმ პირობით, რომ გერმანია სცნობდა ტანჟერისა და გიბრალტარის აფრიკულ სანაპიროს ნეიტრალიზაციას და იქ ინგლისის განსაკუთრებულ დაინტერესებას. იხ. Ф е й, დასახ. ნაშრ., გვ. 118; М. Н. П о к р о в с к а я. Возникновение мировой войны, М.—Л.. 1935, გვ. 47.

რები და სხვ.[1]. ეს „დახმარება“ და „ალჟირ-მაროკოს საზღვრების დაცვა“ საფრანგეთს საშუალებას აძლევდა „მშვიდობიანად შეჭრილიყო“ მაროკოში და მოებღინა თავისი გავლენის შემდგომი განმტკიცება. მაროკოს სულთნის „დასახმარებლად“ საფრანგეთის მიერ გამოგზავნილი რეგიმენტები ნამდვილად საოკუპაციო ნაწილებს წარმოადგენდნენ და „დახმარების“ ნიღაბქვეშ მაროკოს ანექსიას ახორციელებდნენ.

როცა 1902 წელს მაროკოს სულთანს ბრძოლა უხდებოდა აჯანყებულ ტომებთან, რომლებიც მაროკოში უცხოელთა თარეშის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, საფრანგეთი დახმარებას უწევდა სულთანს, უგზავნიდა არტილერიას, საჭურველს; საფრანგეთის ოფიცერ-ინსტრუქტორები წრთვნიდნენ სულთნის არმიებს. ამის შედეგად საფრანგეთი მაროკოს შეიარაღებულ ძალებს თანდათან თავის გავლენასა და კონტროლს უმორჩილებდა. 1903 წლის 31 მარტს ბაროკოს პროვინცია ფიგიგის მოსახლეობამ თავდასხმა მოახდინა ალჟირის ტერიტორიაზე. საფრანგეთში მთელი აურზაური ატეხეს; ეს ადგილობრივი ხასიათის სრულიად უმნიშვნელო თავდასხმა „აგრესიად“ მონათლეს[2] და, როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, „იძულებულნი გახდნენ“ ასეთი „უმსგავსოების“ წინააღმდეგ სასწრაფო ზომები მიეღოთ, მით უფრო, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ძალით საფრანგეთს საამისო „იურიდიული“ „უფლებაც“ ჰქონდა. ფრანგებმა „ბოროტმოქმედთა ბუნაგს“

---

[1] 1901—1902 წლების შეთახმებების შესახებ იხ. Bernard. დასახ. ნაშრ., გვ. 320, 321. 322: Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 14, 15, 44. 45; Ломонов, Очерк истории англо-французских отношений, გვ. 84: Виноград, Англия и Германия, გვ. 44—45; Семар. დასახ. ნაშრ., გვ. 11.

[2] მთელი რიგი ავტორების ცნობით, ფრანგები განზრახ უწყობდნენ ხელს მაროკოში შფოთსა და არეულობას, მფარველობდნენ აჯანყებულებს, აწვდიდნენ მათ იარაღს. რათა ამის შედეგად საბაბი ჰქონოდათ ეთქვათ: „მაროკოში არეულობაა“ და წესრიგის დამყარებისათვის იქ შეიარაღებული ძალები გაეგზავნათ. ფრანგი ავტორის ა. აიაშის ცნობით, სულთნის წინააღმდეგ ამხედრებულ ბუ ჰამარას ფრანგები ამარაგებდნენ ფულით. იხ. А. Аяш, დასახ. ნაშრ., გვ. 67. შარპანტიე აღნიშნავს: „ეს იყო მხოლოდ ოფიციალური საიდუმლო, რომ სულთნის წინააღმდეგ ამბოხებული რიფის კაბილებს (ბერბერებს) ფულს, იარაღსა და სურსათ-სანოვაგეს ფრანგები აძლევდნენ ხოლმე“. იხ. Шарпантье, დასახ. ნაშრომი, გვ. 47). მორელი წერს: „ინგლისური სარწმუნო წყაროები ამტკიცებენ, რომ მაროკოსა და ალჟირის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების განზრახ აჯანყებისკენ წაქეზება საფრანგეთის გეგმაშეწონილ პოლიტიკას წარმოადგენდა“. იხ. Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

უმოწყალო ბომბარდირება დაუწყეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაროკოს ტომების ყოველ ანტიფრანგულ გამოსვლას საფრანგეთის სამხედრო სარდლობა უსასტიკესი ტერორით უპასუხებდა.

ამავე დროს საფრანგეთის მთავრობა ევროპის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას შეუდგა მაროკოს საკითხში შეთანხმების მისაღწევად. ამ საქმის ინიციატორი და უშუალო ხელმძღვანელი იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ცნობილი ფრანგი დიპლომატი თეოფილ დელკასე[1]. იგი პირველ რიგში იტალიას შეუთანხმდა, შემდეგ — ესპანეთს და ბოლოს კი ინგლისს.

იტალია თავს „დიდი რომის" მემკვიდრედ სთელიდა. მას დიდი ხანია თვალი ეჭირა ჩრდ. აფრიკის ქვეყნებზე და მათ ხარჯზე ოცნებობდა შეექმნა დიდი კოლონიური იმპერია. საფრანგეთის მიერ ტუნისის დაპყრობამ იტალიის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც იგი თვით აცხადებდა ტუნისზე პრეტენზიას. ამიერიდან იტალიამ ორიენტაცია გერმანიაზე და ავსტრია-ჰუნგრეთზე აიღო. მიუხედავად უკანასკნელთან დიდი წინააღმდეგობისა, იგი 1882 წელს შეუერთდა კიდეც გერმანიისა და ავსტრია-ჰუნგრეთის კავშირს. ასე ჩამოყალიბდა ცნობილი „სამთა კავშირი". საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა დღითი დღე უარესდებოდა. იტალია გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა მაროკოსადმი და ოფიციალურად აცხადებდა: „იტალია დაინტერესებულია ხელი შეუშალოს ზედ მის ჰიშკართან დიდი აფრიკული სახელმწიფოს შექმნას. იტალია ყურადღებით ადევნებს თვალს ფრანგების მისწრა-

---

[1] თეოფილ დელკასე (1852—1923), ფრანგი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე, რევანშისტი და ფრანგული კოლონიური იმპერიის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მესვეური, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა როგორც ჟურნალისტი. კომენტატორი საგარეო ურთიერთობათა საკითხებისა. 1889 წელს იგი აირჩიეს პარლამენტში, 1894 წელს სათავეში ჩაუდგა ახლად ორგანიზებულ „კოლონიათა სამინისტროს". იგი დაახლოებული იყო ე.წ. „კოლონიურ პარტიასთან", ატარებდა აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას. 1898—1905 წლებში დელკასეს უცვლელად უკავია საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი (ამ პერიოდში რამდენიმე მთავრობა შეიცვალა). მისი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები იყო: აქტიური კოლონიური ექსპანსია, რუსეთთან და ინგლისთან კავშირი გერმანიის წინააღმდეგ. 1905 წელს მაროკოს პირველი კრიზისის შედეგად იგი გადადგა. 1911 წლამდე ჩრდილში იყო. 1911—1912 წლებში საფრანგეთის საზღვაო მინისტრია. 1913—1914 წლებში რუსეთშია ელჩად და დიდად უწყობს ხელს ომში რუსეთის ჩაბმას. 1914—1915 წლებში ვივიანის კაბინეტში იგი კვლავ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებს. 1915 წელს გადადგა და საერთოდ ჩამოშორდა პოლიტიკას.

ფებებს მაროკოში და ზრუნავს იმაზე, რომ მაროკოში „Status quo“ არ დაირღვეს“ [1].

იტალიის მთავრობა ყოველნაირად უწყობდა ხელს თავის კაპიტალის შეჭრას მაროკოში და იქ თავისი ვაჭრობისა და მრეწველობის დანერგვას. 1889 წელს იტალიამ მაროკოს სულთნის ნებართვით ქალაქ ფეცში იარაღის დიდი ქარხანა ააგო. მაროკოს მთავრობის დაკვეთით იტალიაში ჯავშნოსანი გემი აშენდა. იტალიის პრემიერი კრისპი ყოველნაირად ცდილობდა გაეზარდა იტალიის გავლენა მაროკოს სულთნის კარზე, მაგრამ, მიუხედავად დიდი სურვილებისა, იტალიას არ გააჩნდა საკმარისი ძალა გამკლავებოდა ისეთი სახელმწიფოების კონკურენციას მაროკოში. როგორიც იყო საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაროკოს საკითხში იტალიას თავისი ხმა ჰქონდა, რომელიც უეჭველად ანგარიშგასაწევი იყო.

1888 წელს დაიწყო საბაჟო ომი იტალიასა და საფრანგეთს შორის, რითაც საფრანგეთმა იტალიის ისედაც სუსტ ეკონომიკას ქანცი გაუწყვიტა. საფრანგეთს სურდა ამ გზით იტალიის ჩამოშორება „სამთა კავშირისაგან“. საბაჟო ომის წამომწყები თვით იტალიის მთავრობა იყო, რომელმაც ჩრდ. იტალიის სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის მიზნით აკრძალა იქ საფრანგეთის ფაბრიკატების შეტანა. საფრანგეთმა, თავის მხრივ, აკრძალა იტალიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეტანა საფრანგეთში. საფრანგეთის ბანკირებმა დასცეს იტალიის ფასიანი ქაღალდების კურსი; იტალიაში დაიწყო მასობრივი გაკოტრება. 1896—1898 წლებში იტალიის მდგომარეობა სავალალო. ეკონომიურ და ფინანსურ კრიზისს თან ერთვის დიდი მარცხი, რომელიც იტალიამ ეთიოპიის წინააღმდეგ ბრძოლაში განიცადა. 1900 წელს ეკონომიური კრიზისის შედეგად მდგომარეობა უკვე აუტანელი ხდება. თუ 90-იანი წლების ბოლომდე იტალიას ერთგვარი ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდა მისი მოკავშირე გერმანიის მხრივ. 1900 წლის კრიზისის გამო გერმანიას უკვე ამის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. შველა მხოლოდ საფრანგეთის ბანკებს შეეძლოთ და იტალიამაც ხელი მათკენ გაიწვდინა. ეს მომენტი დელკასემ მშვენივრად გამოიყენა, მან უზრუნველყო საფრანგეთის მხრიდან იტალიისთვის ფინანსური დახმარება [2]. იტალიამ მიიღო ფული

---

[1] G. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

[2] История дипломатии, ტ. II. გვ. 161—162.

და საფრანგეთის მადლიერი გახდა. ყოველივე ეს საწინდარი იყო საფრანგეთ-იტალიის დაახლოებისა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იტალია „სამთა კავშირში“ თავისი მდგომარეობით კმაყოფილი არ იყო, რადგანაც იტალიის სურვილებს — თურქეთის ხარჯზე გაეფართოებინა თავისი კოლონიური სამფლობელოები — წინააღუდგა ავსტრია-ჰუნგრეთი [1].

დელკასემ იტალიას წინადადება მისცა შეთანხმებოდა საფრანგეთს ჩრდ. აფრიკის გაყოფის საქმეში. დელკასე ორ საქმეს აკეთებდა: იტალიასთან დაახლოებით მას ბზარი შეჰქონდა ანტიფრანგულ „სამთა კავშირში“, ხოლო, მეორე მხრივ, მაროკოს საქმეებში გარკვეულ წარმატებას აღწევდა.

1900 წელს დეკემბერში საფრანგეთის ელჩმა რომში კამილ ბარერმა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვისკონტი ვენოსტამ ურთიერთ შორის გაცვალეს ნოტები, რომელთა ძალით იტალიამ ცნო საფრანგეთის უფლებები მაროკოში, ხოლო, თავის მხრივ, საფრანგეთმა აღიარა იტალიის უფლებები ტრიპოლზე და კირენაიკაზე [2]. არსებული შეთანხმების საფუძველზე 1902 წლის 1 ნოემბერს საფრანგეთსა და იტალიას შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია „ბარერ-პრინეტის შეთანხმების“ სახელით [3]. ორიენ მხარე ვალდებულებას კისრულობდა მტკიცე ნეიტრალიტეტი დაეცვა რომელიმე მათგანზე სიავ სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში ანდა მაშინ, როცა ერთ-ერთი ხელშეკრულების დამდები მხარეთაგანი იძულებული გახდებოდა ომი დაეწყო სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შეთანხმების ძალით იტალიის მონაწილეობა „სამთა კავშირში“ არარაობად იქცა [4].

---

[1] „Дипломатический словарь“, ტ. I, М., 1948. გვ. 209.

[2] „Международные отношения 1870—1918.“ Сборн. документов, под. ред. В. М. Хвостова, М., 1940, დოკ. № 76. გვ. 142—143.

[3] იხ. „Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях“, ნაწ. 1, დოკ. № 301, გვ. 305—306.

[4] გერმანიის, ავსტრია-ჰუნგრეთისა და იტალიის 1882 წლის 20 მაისის ხელშეკრულების მეორე მუხლის ძალით იტალია ვალდებული იყო გერმანიაზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხვევაში გერმანიის მხარეზე გამოსულიყო. მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ თუ ხელშეკრულების დამდებ ერთ ან ორ სახელმწიფოს თავს დაესხმის ორი ან რამდენიმე დიდი სახელმწიფო, რომლებიც ამ ხელშეკრულებაში არ მონაწილეობენ, მაშინ ერთდროულად ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა მხრისათვის ეს იქნება **casus foederis**. 1902 წლის 1 ნოემბრის საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება ყოველივე ამას, ცხადია, აბათილებდა.

ეს ხელშეკრულებები დელკასეს დიპლომატიის უეჭველი წარმატება იყო.

— ესპანეთთან მოლაპარაკება სულ სხვა გზით წარიმართა. ესპანეთს მაროკოსადმი გაცილებით უფრო მეტი პრეტენზიები ჰქონდა, ვიდრე იტალიას. გაითვალისწინა რა ეს, დელკასემ მოამზადა ახალი კომბინაცია, რომელიც მიზნად ისახავდა მაროკოს გაყოფას ესპანეთსა და საფრანგეთს შორის „საფრანგეთ-ესპანეთის პროტექტორატის" სახით. მოლაპარაკება საფრანგეთ-ესპანეთს შორის 1900—1903 წლების განმავლობაში წარმოებდა საესებით საიდუმლოდ. 1901 წელს დელკასე სენატში წარმოთქმულ სიტყვაში საფრანგეთ-მაროკოს ურთიერთობის საკითხს შეეხო და ხაზი გაუსვა საფრანგეთის მეგობრულ ზრახვებს მაროკოსადმი. „მაროკოს ელჩები, — თქვა მან, დარწმუნდებოდნენ და შეუძლიათ დაარწმუნონ თავიანთი ხელმწიფე იმაში, რომ საფრანგეთი, რომელიც ფლობს ალჟირს და ესაზღვრება მაროკოს ვეებერთელა სიერცეზე, რომელიც შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც ამ ქვეყანაში ხდება, რაც სავსებით გასაგები და კანონიერია, უცვლელად მიისწრაფვის შერიფის იმპერიის სიმშვიდის, კეთილდღეობისა და ხელშეუხებლობისაკენ" [1]. ნამდვილად კი დელკასე ყველასაგან ფარულად მაროკოს გაყოფის გეგმას ადგენდა.

მაროკოს გაყოფის გეგმა დელკასემ ესპანეთს შესთავაზა იმის შემდეგ, რაც მან 1900 წელს იტალიას ტრიპოლი „მიუძღვნა". 1901 წლის ზაფხულში დაიწყო მოლაპარაკება დელკასესა და ესპანეთის პრემიერ-მინისტრ სეგასტას შორის და 1902 წლის ნოემბრისათვის ხელშეკრულება მაროკოს გაყოფის შესახებ უკვე მზად იყო. საჭირო იყო მისი რატიფიკაცია [2]. შეთანხმების მიხედვით ესპანეთს უნდა მიეღო მთელი ჩრდილოეთი მაროკო ქ ფეცითა და ტაზათი, საფრანგეთს კი — სამხრეთ მაროკო ქ. მარაკეშით. სწორედ ამ მომენტში სეგასტას კაბინეტი გადადგა, ხოლო ახალმა კონსერვატიულმა მთავრობამ, რომელსაც მეთაურობდა სენიორ სილველა, ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, რაც ინგლისისადმი შიშის შედეგი იყო. სილველა აცხადებდა, რომ მაროკოს საკით-

---

[1] Лемонон, Англия и Германия, გვ. 45.

[2] Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 48, 49, 50; Pinon, დასახ. ნაშრ., გვ. 143, 144, 145. ესპანეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ იხ. აგრეთვე П. Дарместетер, История раздела Африки (1870—1919), М.—Л., გვ. 145, 146.

ხის გადაწყვეტა ინგლისის გარეშე შეუძლებელიაო, რომ ინგლისის წყარომა ესაანეთს კარგს არას მოუტანსო. ინგლისთან დამოკიდებულების გართულების შემთხვევაში ის დიპლომატიური მხარდაჭერა, რომელსაც საფრანგეთი ჰპირდებოდა ესპანეთს, სრულებითაც არ იყო საკმარისი, „მე ძილი სამუდამოდ დამიფრთხებოდა, თუკი ვიქნებოდი იმ მთავრობის წევრი. რომელიც იკისრებდა ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებაზეო“ [1], — აცხადებდა სილველას კაბინეტის მინისტრი მაურა. სილველა წერდა: „თვით განგება ჩაერია ამ საქმეში (ლაპარაკია ხელშეკრულების უარყოფაზე — გ. კ.), რათა ეჩვენებინა თავისი სიყვარული ესპანეთისადმი“ [2]. „განგების ძალას“ არა ნაკლებ ემადლიერებოდნენ ფრანგებიც, რადგანაც მან იხსნა საფრანგეთი მთავრობის შეცდომისაგან, რომლის წყალობით საფრანგეთმა კინაღამ ნახევარი მაროკო დაკარგა. „საფრანგეთისათვის დიდი ბედნიერება იყო ის, რომ ესპანეთში გამოჩნდა მინისტრი, რომელმაც უარყო ეს ჩვენი დამღუპველი კონვენცია. საჭიროა იკითხოს კაცმა, თუ როგორ დაუშვა საფრანგეთის მთავრობამ მისი მიღება“, — წერს ფრანგი ავტორი [3]. ესპანეთის მთავრობამ, გარდა იმისა, რომ უარყო ხელშეკრულება, ყველაფერი აცნობა ლონდონს. ინგლისელთა უკმაყოფილება დიდი იყო, მათ მაროკოში კონტრშეტევა დაიწყეს. ინგლისის მთავრობის დავალებით მისი ელჩი ნიკოლსონი მაროკოს სულთნის კარზე ცდილობს გავლენის შემდგომ განმტკიცებას, ცდილობს ხელთ ჩაუგდოს ინგლისის კაპიტალს მონოპოლიები, კონცესიები და ფინანსური პრივილეგიები მაროკოსათვის სესხის მიცემის განსაკუთრებული უფლების სახით. ერთდროულად მაროკოს წყლებში გაიგზავნა ინგლისის სამხედრო ხომალდი. საფრანგეთმა, თავის მხრივ, მაროკოს სულთანს რაბატში გაუგზავნა ტანჟერიდან ელჩი სენ-რენე დე ტაილანდიე წერილით. ამ წერილში საფრანგეთის მთავრობა მოაგონებდა მაროკოს სულთანს იმ ხელშეკრულებების შესახებ, რომელნიც დადებულ იქნენ აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის და რომელთა ძალით საფრანგეთს მაროკოში (ნამეტნავად კი ალჟირის საზღვრისპირა რაიონებში) განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები ენიჭებოდა. ტაილანდიე დაუახლოვდა მაროკოს ერთ-ერთ გავლენიან მინისტრს, რომელსაც „მეგობრული გრძნობით“ დიდი ფულადი ძღვენი მიართვა

---

[1] Морель. დასახ. ნაშრ., გვ. 50.

[2] იქვე.

[3] Pinon, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

და წინადადება მისცა უარეყო ყველა პროექტი, რომელსაც უცხო სახელმწიფოები წამოაყენებდნენ. მოსყიდული მინისტრი ყოველივე ამას გულდასმით ასრულებდა [1].

აღნიშნული ფარული მოლაპარაკება ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ოფიციალურად მხოლოდ 1904 წლის ზაფხულში გამოაშკარავდა ჰერცოგ ალმოდოვარ დელ რიოსა და სენიორ მაურას მიერ კორტესებში წარმოთქმული სიტყვებისა და სენიორ სილველას მიერ პრესაში სპეციალური წერილის გამოქვეყნების შემდეგ.

შესაძლოა, რომ თავის დროზე ყოველივე ამის გამოაშკარავებით დელკასეს რეპუტაცია შერყეულიყო, მაგრამ 1904 წელს, როცა დელკასემ საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე, კერძოდ, მაროკოს საკითხში, დიდ წარმატებას მიაღწია 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების სახით, მისთვის ამ ძველი, აწ გამოაშკარავებული შეცდომისათვის პასუხი აღარ მოუთხოვიათ.

§ 2. 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება და მისი მნიშვნელობა

1904 წელი საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია. ძველთაძველი ორი მტერი — ინგლისი და საფრანგეთი — ერთმანეთს დაუზეგობრდნენ და ეს მეგობრობა ოფიციალური შეთანხმებით გააფორმეს.

ევროპის ორი ძლიერესი და უძველესი სახელმწიფოს, ინგლისისა და საფრანგეთის, მეტოქეობის ისტორია ფეოდალიზმის ეპოქას უკავშირდება. „ასწლიანი ომი" (1337—1453) მათი პირველი დიდი შერკინება იყო. XVII—XVIII საუკუნის მიჯნაზე წინააღმდეგობამ ღრმა და ფართო ხასიათი მიიღო. უკვე კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი ეს ორი სახელმწიფო მსოფლიო პირველობისათვის იბრძვის. ინგლისის ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება უფრო მოწინავე იყო და გამარჯვებაც მისკენ გადაიხარა. XVIII საუკუნის განმავლობაში ინგლისმა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია (ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის 1701 — 1714 წწ., ომი ავსტრიული მემკვიდრეობისათვის 1740—1748 წწ., შვიდ-

[1] „Дипломатический словарь", ტ. I, გვ. 142.

წლიანი ომი 1756—1763 წწ.). მან ხელთ იგდო მსოფლიო სავაჭრო-კოლონიური პირველობა და XIX საუკუნის დამდეგისათვის მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. საფრანგეთის ბურჟუაზია ნაპოლეონ I-ის მეთაურობით ერთხელ კიდევ შეეცადა ბოლო მოეღო ინგლისელთა ძლიერებისათვის, მაგრამ ამაოდ. 1815 წელს დამარცხებულმა ნაპოლეონმა ორ უწვერულვაშო ახალგაზრდა ბრიტანელ საზღვაო ოფიცერს გადასცა თავისი დაშნა. ტყვედქმნილი იმპერატორი ინგლისელებმა შორეულ წმინდა ელენეს კუნძულზე გადაკარგეს. საფრანგეთმა ამ ხანგრძლივ ბრძოლაში თითქძის ყველა კოლონია დაკარგა.

1830 წლიდან ფრანგებმა კვლავ გააჩაღეს კოლონიური ექსპანსია, რომლის პირველი მსხვერპლი ალჟირი იყო. ამიერიდან ფრანგებმა ფართო კოლონიური პოლიტიკა წამოიწყეს. საფრანგეთის დროშა კვლავ გამოჩნდა ზღვას გაღმა ქვეყნებში: ეგვიპტეში. სუდანში, დასავლეთ აფრიკაში, მაროკოში, ტუნისში, ინდო-ჩინეთში და სხვაგან. როგორც ცნობილია. საფრანგეთის კოლონიურმა ექსპანსიამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მიიღო, როცა საფრანგეთის კაპიტალიზმი თავის უმაღლეს სტადიაში — იმპერიალიზმში გადაიზარდა. ბურჟუაზიული საფრანგეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა — ჟიულ ფერიმ, ლეონ გამბეტამ, გაბრიელ ჰანოტომ, დელკასემ, კლემანსომ, პუანკარემ და სხვებმა — კოლონიური ექსპანსია საფრანგეთის პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საგნად გახადეს.

1881 წელს ფრანგებმა ხელთ იგდეს ტუნისი. საფრანგეთი აფრიკის შუაგულისაკენაც მიიწევს. დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში მან ბრავალი ტერიტორია იგდო ხელთ: მდინარე კონგოს მარჯვენა ნაპირი, მიწები მდინარე უბანგის მიდამოებში. საჰარა, კუნძული მადაგასკარი. იმავე წლებში ფრანგები კვლავ შეუდგნენ ახალი ტერიტორიების დაპყრობას ინდო-ჩინეთში (აქ ფრანგები ჯერ კიდევ 60-იან წლებში შეიპრნენ). ფრანგებმა ხელთ იგდეს კოხინხინი, ანამი, ტონკინი და ლაოსი. ბრიტანეთთან ერთად გაიყვეს სიამი. საფრანგეთის კაპიტალი ფართოდ შეიპრა ჩინეთში, სადაც ფრანგებმა თავიანთი გავლენის სფერო მოიპოვეს. XIX საუკუნის დამლევს საფრანგეთმა მნიშვნელოვანი კოლონიური იმპერია შექმნა და, როგორც კოლონიურმა სახელმწიფომ, ინგლისის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა.

XIX საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობაში ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმი წამყვან როლს ასრულებდა. საფრანგეთისა და ინგლისის ინტერესები მწვავედ ეჯახე-

ბოდნენ ერთმანეთს კოლონიებისათვის ბრძოლაში; მათ შორის ურთიერთობა მუდამ გამწვავებული იყო, ხშირად ომის საფრთხეც იქმნებოდა.

განსაკუთრებით დიდი გართულება გამოიწვია 1898 წელს ე. წ. „ფაშოდას ინციდენტმა“. 1896 წლიდან ინგლისის მთავრობამ ხელი მიჰყო სუდანის დაპყრობას. 1898 წელს ინგლისელთა სარდალმა ლორდმა კიტჩენერმა ქალაქი ხარტუმი დაიპყრო და ჯარები მდინარე ნილოსის დაყოლებით დასძრა. მის შესახვედრად ფრანგებმა რაზმი გამოგზავნეს კაპიტანი მარშანის მეთაურობით. ფრანგებს გადაწყვეტილი ჰქონდათ არ დაეშვათ ინგლისელების მიერ სუდანის მთლიანად ხელში ჩაგდება, შეეჩერებინათ კიტჩენერის წინსვლა. 1898 წლის 10 ივლისს მარშანის რაზმი სოფელ ფაშოდასთან ინგლისელთა რაზმს შეხვდა. კიტჩენერმა მარშანს წინადადებით მიმართა დაეტოვებინათ ფაშოდა, ხოლო ინგლისის მთავრობა საფრანგეთის მთავრობას ომით დაემუქრა. ომი საფრანგეთსა და ინგლისს შორის ბეწვზე ეკიდა; საფრანგეთი იძულებული გახდა უკან დაეხია. მარშანმა ბრძანება მიიღო დაეტოვებინა ფაშოდა. საფრანგეთში სიტყვა „ფაშოდა“ ნაციონალური შეურაცხყოფის სინონიმად იქცა. იგი მეორე „სედანად“ მონათლეს.

მაგრამ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, როცა „თავისუფალი“ კაპიტალიზმი საბოლოოდ იმპერიალიზმში გადაიზარდა, საერთაშორისო ურთიერთობაში კარდინალური გარდატეხა ხდება. მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში ჩაება ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ძლიერი გერმანია, რომელმაც მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მოითხოვა და ბრძოლისათვის გაფაციცებით მზადება იწყო. ინგლისისა და საფრანგეთის წინაშე ახალგაზრდა გერმანიის სახით დიდი საფრთხე აღიმართა, რადგანაც გერმანია, უპირველეს ყოვლისა, მათ დაუპირისპირდა. გერმანიამ დიდი საფრთხე შეუქმნა ბრიტანეთის მსოფლიო ბატონობას, მის კოლონიურ ძლიერებას; ამიერიდან ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმი საერთაშორისო ურთიერთობაში ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. ინგლისი, რომელიც „სხვისი ხელით ნარის გლეჯას“ იყო მიჩვეული, ეძებს მოკავშირეს, რომელსაც გერმანიასთან მომავალ გარდუვალ ომში გამოიყენებს. მან ასეთად საფრანგეთი მიიჩნია. არჩევანი სწორი აღმოჩნდა. საფრანგეთ-გერმანიის ანტაგონიზმმა ფართო ხასიათი მიიღო და ყოველ დღე ძვწავდებოდა. გერმანიისადმი საერთო შიშმა ეს ორი ძველი მეტოქე — ინგლისი და საფრანგეთი — ურთიერთს დაუახლოვა. მათი ტრა-

დიციული მტრობა მეგობრობით შეიცვალა. ცნობილი გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე ბეტმან-ჰოლვეგი მოხდენილად შენიშნავდა: „საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთს ეხვევიან არა იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ, არამედ იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირად სძულთ გერმანია“.

ინგლისი გრძნობდა გერმანიის ძალასა და მეტოქეობის უნარს. ინგლისს აშინებდა გერმანიის საბრძოლო შეიარაღების ზრდა, განსაკუთრებით—გრანდიოზული სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენების პროგრამა. გერმანიის გავლენა მსოფლიო ბაზარზე იზრდება. გერმანული საქონელი ინგლისურს თითქმის ყველგან მეტოქედ ევლინება. დიდი აურზაური გამოიწვია XIX საუკუნის დამლევს გერმანიის საქარხნო-საფაბრიკო ცნობილმა დაღმა: „Made in Germany“ (დამზადებულია გერმანიაში). საქონელი აღნიშნული დაღით თვით საკუთრივ ინგლისში გამოჩნდა და ინგლისურ საქონელს, ინგლისშივე დამზადებულს, უდიდესი კონკურენცია გაუწია. ინგლისში საშინელი განგაში ატეხეს: „ინგლისის ინდუსტრია საფრთხის წინაშეა, მოსპეთ გერმანელი კონკურენტიო“, — გაიძახოდნენ ინგლისელი ჯინგოისტები. 1897 წელს ინგლისის ჟურნალში „Saturday Review“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „დაე, განადგურდეს გერმანია“. სტატიაში ნათქვამი იყო შემდეგი: ევროპაში არსებობს ორი დიდი, ურთიერთ მოწინააღმდეგე, შეურიგებელი ძალა, ორი დიდი ერი, რომელსაც სურს მთელი მსოფლიო თავის დომენად აქციოს და მისგან სავაჭრო ხარკი მოითხოვოს — ესაა ინგლისი და გერმანია. გერმანელი კომივოიაჟერი და ინგლისელი მოხეტიალე ვაჭარი გააფთრებით ეცილებიან ერთმანეთს დედამიწის ყოველ კუნჭულში. მილიონი წვრილ-წვრილი შეტაკება უდიდესი, ჯერ არნახული ომის საბაბს ქმნის. ხვალ რომ გერმანია აღგვილ იქნას პირისაგან მიწისა, ზეგ უკვე არ იქნებოდა მსოფლიოში არც ერთი ისეთი ინგლისელი, რომელიც ამით კიდევ უფრო გამდიდრებული არ აღმოჩნდებოდეს. ძველად ხალხი წლობით იბრძოდა ხოლმე რომელიღაც ქალაქის ან მემკვიდრეობის გამო. ნუთუ მან არ უნდა დაიწყოს ახლა ომი ყოველწლიურად 5 მილიარდი სავაჭრო მოგებისათვის?“

გერმანიის ვაჭრობა სულ უფრო და უფრო ფართოვდება. თუ 1870 წელს გერმანიას ვაჭრობის მოცულობით მსოფლიოში მეოთხე ადგილი ეკავა, 1900 წლისათვის იგი უკვე მეორე ადგილზე გამოვიდა. XX საუკუნის დამდეგს გერმანიის სავაჭრო ფლოტმა მეორე ადგილი დაიკავა, 1870 წელს კი მას მხოლოდ მეხუთე

ადგილი ეჭირა. 1870 წელს გერმანიის კომერციული ფლოტი გემს ითვლიდა, 1902 წელს კი—დაახლოებით 1200-ს.

განსაკუთრებით აფიქრებდა ინგლისს გერმანიის მიერ მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა, რომელიც 1898 წლიდან დაიწყო. ინგლისელებმა, რომელთაც მტკიცედ სწამდათ, რომ ბრიტანეთის იმპერიის არსებობა გერმანიის ზღვებზე გაბატონებასთან საკმებით შეუთავსებელია, თავის მხრივ, საზღვაო ფლოტის რეკონსტრუქციისა და შემდგომი გაძლიერების უფრო გრანდიოზული პროექტი შეიმუშავეს. ჯერ კიდევ 1889 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო „აქტი საზღვაო დაცვის შესახებ" (Naval defence act), ხოლო XIX საუკუნის დამლევს ინგლისში გაბატონდა პრინციპი, რომლის თანახმად ინგლისს უნდა ჰქონოდა ფლოტი, რომელიც ადვილად გაუსწორდებოდა რომელიმე ორი საზღვაო სახელმწიფოს ფლოტს, ერთად აღებულს. ეს პრინციპი მოკლედ გამოიხატებოდა ცნობილი დევიზით: „two powers standard". 1900 წელს ინგლისი სამხედრო ფლოტის განვითარების ტემპებით შორს იტოვებდა საფრანგეთს, რუსეთსა და ჩ. ა. შ. შ: გერმანიის ფლოტი ჯერჯერობით სუსტი იყო. 1900 წელს გერმანიამ ახალი სამხედრო-საზღვაო პროგრამა მიიღო (20 წლის ვადით). გერმანიის ფლოტი ამიერიდან გიგანტური ტემპებით შენდება. გერმანია ზედიზედ აგებს ზემძლავრ ხომალდებს. ინგლისელებმა გერმანიის ახალ სამხედრო ხომალდებს დაუპირისპირეს ახალი ტიპის ხომალდები, რომელთაც „დრედნოუტები" უწოდეს („დრედნოუტი" საზოგადო სახელად იქცა ასეთი ტიპის პირველი სამხედრო ხომალდის სახელწოდების საფუძველზე. „Dreadnought"— „უშიშარი", ასე უწოდეს ინგლისელებმა ამ ახალი ტიპის პირველ ხომალდს). ერთი დრედნოუტი თავისი სიმძლავრით სამ დიდ სახაზო ჯავშნოსანს უდრიდა. მალე გერმანელებმაც ააგეს ასეთივე ტიპის სამხედრო ხომალდი. ინგლისელებმა ახლა „ზედრედნოუტების" (Superdreadnought) შენება დაიწყეს. დაიწყო ინგლის-გერმანიის, ე. წ. საზღვაო შეჯიბრება. აღნიშნულმა გარემოებამ გერმანიისა და ინგლისის ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა. სანამ გერმანია კონტინენტურ სახელმწიფოდ რჩებოდა, იგი მთელი თავისი მილიტარისტული ძლიერებით ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიისათვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ზღვაზე, ალბიონის უპირატესობას ზღვებზე საგრძნობლად შეეკვეცა ფრთები.

1904 წლისათვის „საზღვაო შეჯიბრებიდან“ გამომდინარე ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. 1904 წლის 25 ივნისს კილში მოეწყო გერმანიის სამხედრო ფლოტის დათვალიერება. ვილჰელმმა აქ მოიწვია ინგლისის მეფე ედუარდ VII. როგორც ჩანს, ვილჰელმ II-ეს სურდა ინგლისის პოლიტიკურ ხელმძღვანელთათვის საკუთარი ძალა ეჩვენებინა. შთაბეჭდილება მართლაც მოულოდნელი იყო. ინგლისელებმა საკუთარი თვალით იხილეს გერმანიის საზღვაო ძლიერების თავისებური ტრიუმფი. გერმანელებს ჩრდილოეთ ზღვაში ჰყავდათ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული 8 საბაზო გემი, რომელნიც ჩრდილოეთ ზღვაში განლაგებულ ინგლისის ფლოტის ხომალდებს არაფრით არ ჩამორჩებოდნენ. ინგლისში დიდი პანიკა დაიწყო. ინგლისის პრესამ სასტიკი განგაში ატეხა „ზღვებზე გერმანული საშიშროების“ შესახებ. 1904 წლის ნოემბერში სამხედრო და საზღვაო უწყების ორგანომ „Army and Navy Gazette“ დაბეჭდა სტატია გერმანიასთან, მისი სამხედრო ფლოტის განადგურების მიზნით, პრევენტიული ომის აუცილებლობის შესახებ. ანალოგიური სტატია დაბეჭდა ინგლისურმა გავლენიანმა და გავრცელებულმა ჟურნალმა: „Vanity Fair“. 1904 წლის დეკემბერში ინგლისის საზღვაო სარდლობამ მსოფლიოს ყველა კუთხეში (ხმელთაშუა ზღვა, შორეული აღმოსავლეთი, წყნარი ოკეანის აუზი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სანაპიროები) ინგლისის გაფანტული ფლოტის კონცენტრირება იწყო ჩრდილოეთ ზღვაში. 1905 წლის 3 თებერვალს ინგლისის საამირბაროს სამოქალაქო ლორდმა არტურ ლიმ წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, სადაც იგი გერმანიის ფლოტის განადგურებას მოითხოვდა. „სამგზის კურთხეულია ის, — ამბობდა იგი,— ვინც პირველ დარტყმას ახორციელებს. მე იმედი მაქვს, რომ საშიშროების შემთხვევაში ბრიტანეთის ფლოტი შესძლებს განახორციელოს პირველი და მასთან ძლევამოსილი, გამანადგურებელი დარტყმა მანამდე, სანამ მეორე სახელმწიფო შეიტყობს, რომ ომი გამოცხადებულია“.

1904 წლის დამლევსა და 1905 წლის დამდეგს დაიწყო ე. წ. „საფლოტო პირველი პანიკა“ (First Naval Scare), რამაც ურთიერთობა გერმანიასა და ინგლისს შორის კიდევ უფრო გაამწვავა[1].

---

[1] Н. П. Полетика, Проблема создания континентального блока во внешней политике Германии в период первого Марокканского кризиса (1904—1905 гг.), „Ученые записки БГУ им. Ленина“, выпуск XXX, Минск, 1956, გვ. 167—168.

გერმანიისა და ინგლისის ინტერესები მწვავედ შეეჯახნენ ერთმანეთს აგრეთვე ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ გერმანია თურქეთში გაბატონებით დიდად იყო დაინტერესებული, რაც გერმანიისთვის ჯერ ახლო და შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში დამკვიდრების საწინდარი უნდა გამხდარიყო. გერმანელები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ე. წ. ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საქმე. ეს რკინიგზა გერმანელებს სპარსეთის ყურემდე მიიყვანდა და ხელს შეუწყობდა მათ დამკვიდრებას მცირე აზიასა და მესოპოტამიაში. გერმანია თურქეთზე გაბატონების შემთხვევაში ბოსფორსა და დარდანელს თავის კონტროლს დაუმორჩილებდა. ბაღდადის რკინიგზა მისთვის ინდოეთისკენ, ჩინეთისკენ და იაპონიისკენ უმოკლესი მანძილი იქნებოდა. საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა სუეცის არხის უშიშროება. აქაც გერმანული გავლენა მოიკიდებდა ფეხს. ჩაიშლებოდა ტრანსარაბეთის (ძეწამული ზღვიდან — სპარსეთის ყურემდე) რკინიგზის მშენებლობის ინგლისური გეგმა. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, გასაგებია, თუ როგორ შეხვდებოდა ინგლისი გერმანიის განზრახვას ხელთ ეგდო ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საქმე.

ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის გეგმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში შემუშავდა (გზა იწყებოდა ჰამბურგიდან, გაივლიდა ბერლინს, პრაღას, ვენას, ბუდაპეშტს, ბელგრადს, სოფიას, კონსტანტინეპოლს; აქედან გადასერავდა მთელ მცირე აზიას, მესოპოტამიას; გაივლიდა ქ. ბაღდადს და მიაღწევდა სპარსეთის ყურეს). ამ გზის მშენებლობის დაფინანსების საქმეს ხელი მოჰკიდეს გერმანელმა ბანკირებმა. 1888 წელს გერმანელმა კაპიტალისტმა კაულამ მოახერხა თურქეთის მთავრობისაგან შეეძინა უკვე გაყვანილი გზა ბოსფორიდან იზმიდამდე. ამასთან მიიღო უფლება განეგრძო გზის მშენებლობა იზმიდიდან ანკარამდე. ამ საქმის რეალიზაციისათვის მან შექმნა ე. წ. ანატოლიის რკინიგზათა საზოგადოება. ვილჰელმ II პირად დაინტერესებას იჩენდა ამ გზის მშენებლობის საქმეში. 1889 წელს იგი ჩავიდა თურქეთში, დაათვალიერა რკინიგზა და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება გზა სპარსეთის ყურემდე მიეყვანა. 1893 წელს გერმანელებმა მოიპოვეს უფლება განეგრძოთ გზის მშენებლობა კონიამდე. ეს სამუშაო 1896 წლისთვის დამთავრდა. 1898 წელს ვილჰელმი ესტუმრა თურქეთის სულთანს. ამ ვიზიტს მოჰყვა შეთანხმება გერმანიის ბანკსა და თურქეთის მთავრობას შორის — რკინიგზის გაყვანის შესახებ კონიიდან ბაღდადამდე და სპარსეთის ყურემდე. 1899

წლის 23 დეკემბერს „გერმანიის ბანკის" წარმომადგენელმა დოქტორმა სიძენსმა თურქეთთან ე. წ. „წინასწარ შეთანხმებას", ანუ კონია-ბაღდად-სპარსეთის ყურე—რკინიგზის მშენებლობის კონცესიისა და ექსპლოატაციის აქტს, მოაწერა ხელი. ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობას უკიდურესად ამწვავებდა.

ბუნებრივია, ინგლისი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა გერმანელთა ამ საქმიანობას, მაგრამ ბურებთან მწვავე ომი ინგლისს გერმანიის სრული ალაგმვის საშუალებას არ აძლევდა. ამან გერმანელებს მცირე აზიაში მოქმედების ერთგვარი თავისუფლება მისცა, მაგრამ ინგლისელები მხოლოდ დროებით იხევდნენ უკან.

ამრიგად, გერმანიის მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ ინგლისის კოლონიურ ძლიერებას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. მათ შორის ანტაგონიზმი XX საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. მათ შორის ომის გარდუვალობა ყველასათვის აშკარა იყო.

ინგლისმა მომავალი ომისათვის მოკავშირედ საფრანგეთი გაითვალისწინა და მასთან დაახლოებას შეუდგა. თავის მხრივ, საფრანგეთიც სიამოვნებით ეგებებოდა ამ მეგობრობას გერმანია ხომ მისთვის არანაკლებ საშიში იყო. საფრანგეთსაც სურდა გერმანიის განადგურება, რის შემდეგაც იგი დაიბრუნებდა ელზას-ლორენს, მოიშუშებდა 1870 წელს დამარცხებით მიყენებულ ყველა იარას, თავს დაიზღვევდა იმ მეტოქეობისაგან, რომელსაც გერმანია ეკონომიურად და პოლიტიკურად უწევდა საფრანგეთს მსოფლიო კოლონიურ ასპარეზზე. გერმანიასთან ომის შემთხვევაში საფრანგეთს ეყოლებოდა ძლიერი მოკავშირე დიდი ბრიტანეთის სახით.

ინელია იმის თქმა, თუ რომელი მხარე იყო ურთიერთ დაახლოებით უფრო დაინტერესებული. ერთ ხანს საფრანგეთი, რომელიც რუსეთთან — ხმელეთზე საკმაოდ ძლიერ ქვეყანასთან — იმყოფებოდა კავშირში და მისი იმედით მოქმედებდა, ინგლისელებს „მეგობრობას" ძვირად უფასებდა. მაგრამ რუსეთმა უკვე XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან თავისი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი შორეულ აღმოსავლეთში დააბანდა; იგი თანდათან ღრმად იფლობოდა შორეული აღმოსავლეთის კოლონიურ ავანტიურაში. ყოველივე ამის შედეგად გერმანიას ევროპაში მოქმედების მეტი თავისუფლება მიეცა. 1904 წლის დასაწყისში რუსეთი იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება და საკმაოდ დიდი წარუმატებლობა განიცადა. საფრანგეთს გერმანიის მხრივ საშიშროება ძილს

უფრთხობს, რუსეთიდან დახმარების მიღების იმედი უკვე აღარა აქვს და, ამდენად, ინგლისთან დაახლოება მისთვის საჭირო და აუცილებელია.

საფრანგეთ-ინგლისის დაახლოების ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე, ინგლისის მეფე ედუარდ VII, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასე, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ლენსდაუნი, საფრანგეთის ელჩი ინგლისში პოლ კამბონი და სხვ. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 1904 წლის 8 აპრილს და ცნობილია „გულითადი შეთანხმების", „Entente cordiale", ანუ, მოკლედ, „ანტანტის" სახელით. ინგლის-საფრანგეთის შეგობრულ შეთანხმებას საფუძვლად დაედვა ამ ორ სახელმწიფოს შორის კოლონიურ საკითხებში არსებული მწვავე წინააღმდეგობათა მოგვარება. მათ შეთანხმების მიხედვით „მეგობრულად" გაიყვეს ყველა სადავო ტერიტორია. მათ შორის ნიუფაუნდლენდი, სენეგამბია, სიამი, მადაგასკარი, ახალი ჰებრიდის კუნძულები, ეგვიპტე და მაროკო. ეს ორი უკანასკნელი შეთანხმების ძირითად პუნქტებს წარმოადგენდნენ. ეგვიპტე წილად ხვდა ინგლისს, ხოლო მაროკო — საფრანგეთს. „იყოფენ აფრიკას", — ასე ახასიათებდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამ შეთანხმებას[1].

ინგლის-საფრანგეთის ანტანტის შესაქმნელად მოლაპარაკება დაიწყო 1902 წელს ინგლისის ინიციატიით.

1902 წელს ბალფურის კონსერვატორულმა კაბინეტმა გერმანიასთან ომის მომზადების პოლიტიკა წამოიწყო. გავიდა „ბრწყინვალე იზოლაციის" (Splendid isolation) ცნობილი ბრიტანული დიპლომატიური დოქტრინის პერიოდი, როცა მსოფლიოს მბრძანებელი ინგლისი, დარწმუნებული თავის ძლიერებაში, დარწმუნებული იმაში, რომ მას მეტოქე არ ჰყავს, სხვა სახელმწიფოებთან ხანგრძლივი კავშირების დადებისა და ხელშეკრულებების გაფორმებისაგან თავს იკავებდა და ინარჩუნებდა „თავისუფალი ხელების" პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას, ე. ი. იგი ინარჩუნებდა მოქმედების სრულ თავისუფლებას და ჰქონდა საშუალება კრიტიკულ მომენტში კავშირით შეკვროდა მას, ვინც მისთვის უფრო გამოსადეგი იყო.

ამიერიდან მდგომარეობა შეიცვალა, ინგლისს მეტოქეები გამოუჩნდნენ, მათ შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე საშიში იყო გერმანია. ახლა ინგლისის მმართველი წრეები ცდი-

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, გვ. 621.

ლობენ შექმნან ანტიგერმანული სამხედრო ბლოკი და გერმანიის იზოლაცია მოახდინონ.

ინგლის-საფრანგეთს შორის შეთანამების შესახებ მოლაპარაკება ოფიციალურად, როგორც აღვნიშნეთ, 1902 წლიდან დაიწყო მაგრამ ურთიერთ დაახლოებისა და ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანად მოგვარების სიმპტომებმა ადრეც იჩინეს თავი, დღიდან თეოფილე დელკასეს დანიშვნისა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტროის პოსტზე. ამბობენ, რომ მან 1898 წლის ივნისში, როცა საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი ჩაიბარა, თქვა, რომ ამიერიდან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა ინგლისთან დაახლოება იქნებაო[1]. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: დელკასეს პირველივე ღონისძიება სწორედ ამ პრინციპს უპასუხებს. ასე, მაგალითად, 1899 წლის 21 მარტს „ფაშოდას კონფლიქტის“ რეგულირების შედეგად ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებულ იქნა შეთანხმება აღმოსაელეთ და ცენტრალურ აფრიკაში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ (მეთანხმებას ხელს აწერდნენ: ინგლისში საფრანგეთის ელჩი პოლ კაბონი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლორდი სოლსბერი). ხელშეკრულების თანახმად საფრანგეთმა მიიღო დასავლეთი სუდანი, ხოლო ინგლისი კი მტკიცედ დამკვიდრდა ზემო ნილოსის აუზში, ამასთანავე ინგლისმა საბოლოოდ დაიმკვიდრა სუდანის დანარჩენი ნაწილი და ნილოსის მთელი აუზი. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ინგლისმა და საფრანგეთმა აფრიკაში სადავო საკითხები ძირითადად გადაწყვიტეს. 1899—1901 წწ. ინგლისის პოლიტიკის ძირითადი საზრუნავი ინგლის-ბურების ომია. ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას ამ წლებში ძირითადად ამ ომთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრავენ.

1902 წლიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოლაპარაკება ინგლისსა და საფრანგეთს შორის სადავო კოლონიური პრობლემების გადასაწყვეტად ახალი ძალით გაიშალა. მოლაპარაკება შეეხებოდა სიამში გავლენის სფეროების განსაზღვრას, ნიუფაუნდლენდის წყლებში თევზჭერას, ახალი ჰებრიდის კუნძულების გაყოფასა და სხვ. მთავარი და ძირითადი იყო მაროკოსა და ეგვიპტის საკითხი.

---

[1] Сидней Фей. Происхождение мировой войны, ტ. I, გვ. 113.

„ეგვიპტის საკითხი“ ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაში ერთ-ერთი ურთულესი და ძველთაძველი პრობლემა იყო. ამ ქვეყნის ხელში ჩაგდება ორივე სახელმწიფოსათვის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა. ინგლისმა აჯობა საფრანგეთს და უკვე 1882 წლიდან ჯარები შეიყვანა ეგვიპტეში, მოახდინა მისი ოკუპაცია და მტკიცედ მოიკიდა იქ ფეხი. ეგვიპტის დაპყრობას ინგლისისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სხვა ყველაფერთან ერთად უზრუნველყოფდა აგრეთვე ინგლისის ბატონობას სუეცზე. საფრანგეთი არ სცნობდა ინგლისელების მიერ ეგვიპტის ოკუპაციას და ინგლისს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა.

ინგლისის დიპლომატია აუცილებლად მიიჩნევდა ეგვიპტის საკითხის გადაწყვეტას, ანუ ეგვიპტეზე ინგლისის უფლებების ცნობას. ამის სანაცვლოდ იგი საფრანგეთს მაროკოს სთავაზობდა.

1902 წელს საფრანგეთის დიპლომატია ინგლისთან მოლაპარაკების დროს ცდილობდა მაროკოს საკითხი თავის სასარგებლოდ ისე მოეგვარებინა, რომ ეგვიპტე მაროკოს სანაცვლო არ გამხდარიყო; ფრანგები ყოველნაირად გაურბოდნენ მაროკოს საკითხის დაკავშირებას ეგვიპტის საკითხთან. ისინი ცდილობდნენ ინგლისის თანხმობა იაფად ბიეღოთ, ე. ი. დაეთმოთ ტანჯერი და მაროკოს სანაპირო ზოლი ესპანეთისათვის გადაეცათ. ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება 1902—1903 წლებში მეტად ორჭოფულ პირობებში მიმდინარეობდა. საფრანგეთი ორმხრივ თამაშს ეწეოდა. როგორც ვნახეთ, იგი ინგლისის გარდა ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა იტალიასთან და ესპანეთთან. ესპანეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების ჩაშლამ გარკვევით შეცვალა დელკასეს გეგმები. დელკასე დარწმუნდა, რომ მაროკოს საკითხის გადაწყვეტა ინგლისის გარეშე არ შეიძლებოდა, ამიტომ ეგვიპტის საკითხში დათმობა აუცილებელი იყო.

1902 წლის ივლისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაროკოში მოქმედების ახალი გეგმა შეიმუშავა. მაროკოში „Statius quos“-ს დაცვის პრინციპი უკუგდებულ იქნა და აშკარად დაისვა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მაროკოს გაყოფის საკითხი. ამ გეგმის მიხედვით სხვა პრეტენდენტ სახელმწიფოებს სათანადო კომპენსაციები უნდა მიეღოთ. ინგლისი უნდა დაკმაყოფილებულიყო მაროკოში თავისუფალი ვაჭრობის უფლებით, ტანჯერისა და სანაპირო ზოლის ნეიტრალიზაციის აღიარებით. სრულიადაც არ იყო გამორიცხული, რომ ინგლისი, გარდა ამისა, სხვა კომპენსაციასაც მოითხოვდა; ამ შემთხვევაში გადაკვრით ლაპარაკი იყო საფრანგეთის მიერ ეგვიპტეზე ხელის

აღების შესახებ. ესპანეთი მიიღებდა მაროკოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს. სხვათა შორის, საფრანგეთს მხედველობაში გერმანიაც ჰყავდა. ცხადია, გერმანია არ დაკმაყოფილდებოდა მაროკოში თავისუფალი ვაჭრობის უფლების მოპოვებით, რადგანაც მას მაროკოს ტერიტორიაც აინტერესებდა. კერძოდ, პირველ რიგში, გერმანიას სურდა მადნეულით მდიდარი სუზის რაიონი და ნავსადგური აგადირი. საფრანგეთის გეგმის თანახმად გერმანიას უნდა მიეღო კომპენსაცია. მაგრამ არა მაროკოში, არამედ პორტუგალიის კოლონიურ სამფლობელოებში, რომლებზედაც გერმანიამ „მიიღო" უფლებები ინგლისის მხრიდან[1]. თავის მხრივ საფრანგეთიც მზად იყო „დაეთმო" ეს კოლონიები გერმანიისათვის, თუკი იგი მაროკოს საბოლოოდ დაივიწყებდა.

ეს გეგმა სადირექტივოდ გადაეცა კამბონს, მაგრამ მან იგი მიიღო ცნობად და არა სახელმძღვანელოდ, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც გერმანიას ეხებოდა. კამბონს თავისი გეგმა ჰქონდა. მისი პოლიტიკა მიმართული იყო ინგლის-საფრანგეთის ბლოკის შეკვრისაკენ, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო გაძიზნული.

პოლ კამბონი[2], ლენსდაუნთან გამართული ორი საუბრის დროს (1902 წლის 23 ივლისს და 6 აგვისტოს), იმ საბაბით, რომ

---

[1] იგულისხმება ინგლის-გერმანიის 1898 წლის 30 აგვისტოს ხელშეკრულება პორტუგალიის კოლონიების გაყოფის შესახებ. ბურებთან მძიმე ომში ჩაბმულმა ინგლისმა, რომელსაც სურდა თავიდან აეცილებინა კონტინენტურ სახელმწიფოთა ანტიინგლისური შესაძლო დაახლოება, მიიღო გერმანიის წინადადება პორტუგალიის კოლონიების ურთიერთ გაყოფის შესახებ, იმ პირობით, რომ გერმანია შეწყვეტდა ბურებისადმი მხარდაჭერის პოლიტიკას. ინგლისელები და გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ ფინანსურ კრახამდე მისულ პორტუგალიას მისცემდნენ სესხს, ხოლო საწინდრად აიღებდნენ მის კოლონიებს და შემდეგ მათ „მეგობრულად" გაიყოფდნენ. მაგრამ ინგლისმა „უმუხთლა" გერმანიას. ხელშეკრულების დადებისთანავე ფარული დიპლომატია აღმოუჩინა პორტუგალიას და იგი ფინანსური გაჭირვებიდან გამოიყვანა. ამასთან აღსთქვა, რომ დაიცავდა მისი კოლონიების ხელშეუხებლობას, რაც გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დადებული ხელშეკრულებით. ყოველივე ამის შედეგად 1898 წლის ხელშეკრულება, ცხადია, არ განხორციელებულა: გერმანია ინგლისელებმა „ყინულზე გააცურეს".

[2] პოლ კამბონი (1843—1924), ცნობილი ფრანგი დიპლომატი, 1872—1882 წწ. ადმინისტრაციულ თანამდებობებზეა (იყო რამდენიმე დეპარტამენტის პრეფექტი), ხოლო 1882 წელს ტუნისის მთავარი რეზიდენტია. 1886—1890 წლებში ელჩია მადრიდში, 1890—1898 წლებში ელჩადაა კონსტანტინეპოლში, 1898—1920 წწ. საფრანგეთის ელჩია ინგლისში. იგი ანტანტის ერთ-ერთი შემოქმე-

მაროკოელები პერმანენტულ საფრთხეს უქმნიან ალჟირის ტერიტორიას, ფართოდ შეეხო მაროკოს პრობლემას და ინგლისს მისი „გულწრფელად" განხილვა შესთავაზა. ამასთანავე, მან საჭიროდ სცნო განსაზღვრული ყოფილიყო ორივე მხარის დამოკიდებულება მაროკოსადმი იმ მომენტისათვის, როცა შერიფის იმპერია „შინაგანი უწესრიგობის" გამო ქაოსში აღმოჩნდებოდა. კამბონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ინგლისის ინტერესები მაროკოში მეტად შეზღუდულია და ძირითადად თავმოყრილია ტანჟერის ირგვლივ, მაშინ როდესაც, საფრანგეთი სასიცოცხლოდაა დაინტერესებული (ალჟირთან მაროკოს მოსაზღვრეობის გამო) იმაში, რომ შერიფის იმპერიაში წესრიგი და სიმშვიდე სუფევდეს და იქ არ მოხდეს რომელიმე სხვა სახელმწიფოს დამკვიდრება. ტანჟერის შესახებ შეთანხმება ადვილად მისაღწევია. ტანჟერი ინტერნაციონალიზებულ უნდა იქნეს, ხოლო მისი მომიჯნავე ტერიტორია შეიძლება გადაეცეს სუსტ ესპანეთს, რომლის მხრივ რაიმე სერიოზული საშიშროება მოსალოდნელი არ არის. სხვა სახელმწიფოები ანგარიშში არ უნდა იქნან მიღებულნი. იტალია ვერავითარ პრეტენზიას ვერ განაცხადებს, ხოლო გერმანიას, რომელიც არ წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის ქვეყანას, მაროკოში არავითარი უფლებები არა აქვს. ასე რომ, კამბონის აზრით, მაროკოს საკითხის რეგულირება შეუძლიათ მხოლოდ ინგლისსა და საფრანგეთს. კამბონი უფრო ფართოდ სვამდა საკითხს: თუკი მაროკოსთან ერთად მოგვარებული იქნება სხვა, შედარებით მცირე მნიშვნელობის მქონე, სადავო საკითხები, მაგალითად, სიამისა, მაშინ საერთოდ ლიკვიდირებული იქნება ყოველგვარი წინააღმდეგობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ეს ორი სახელმწიფო შესძლებს იცხოვროს „გულითადი შეთანხმებით", ისინი გახდებიან მთელს ევროპაში მშვიდობიანობის ბურჯად და ერთიანი ძალით შესძლებენ წინააღუდგნენ აგრესიის საფრთხეს გერმანიის მხრივ. ამგვარად, კამბონი უკვე სთავაზობდა ინგლისს გერმანიის წინააღმდეგ კავშირს[1]. საკითხის ესოდენ ფართოდ

დია. მაროკოს პირველი კრიზისის შემდეგ მისი ინიციატივით განხორციელდა ე. წ. გრეი-კამბონის შეთანხმება ინგლისისა და საფრანგეთის გენ. შტაბების კოორდინაციული მოქმედების შესახებ. ვილჰელმ II მას „გერმანიის უსაშინელეს მტერს" უწოდებდა. როგორც ცნობილია, მოგვიანებით პ. კამბონი ანტანტის ანტისაბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო.

[1] პოლ კამბონის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ 1902 წლის განმავლობაში იხ. „Дипломатический словарь", ტ. I, გვ. 142—143.

დაყენებამ გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისზე, რომლის ურთიერთობა გერმანიასთან ღრმად მწვავდებოდა. მაგრამ ლორდი ლენსდაუნი ჯერჯერობით ყოყმანობდა, საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა გერმანიასთან ურთიერთობის გაწყვეტა და საფრანგეთთან ბლოკის შეკვრა.

1903 წელს ინგლისსა და გერმანიას შორის წინააღმდეგობა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საქმეში კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მოლაპარაკება გერმანიისა და ინგლისის ფინანსისტებს შორის ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაში მათი თანამონაწილეობის შესახებ ჩაიშალა, ინგლისმა ფაქტიურად ბოიკოტი გამოუცხადა რკინიგზის მშენებლობის საქმეს; ბრიტანეთის პრესა დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ბაღდადის გზა გერმანიას პირდაპირ მიიყვანს ინდოეთის მისადგომებთანო[1]. ინგლისის მთავრობა ყოველნაირად უშლიდა ხელს გერმანიის მიერ აღნიშნული გზის გაყვანას. ბაღდადის კონფლიქტს ზედ დაერთო, ე. წ. ვენესუელას კონფლიქტი[2]. 1902 წელს ინგლისმა თავი დააღწია ბურებთან ომს. ამიერიდან მას საჭიროდ აღარ მიაჩნდა მობოდიშებოდა გერმანიას. ინგლისის დიპლომატიამ რუბიკონი გადალახა და შეუდგა საფრანგეთთან დაახლოების პრაქტიკულად განხორციელებას. დაიწყო ახალი ეტაპი მოლაპარაკებისა (1903 წლის გაზაფხულიდან 1904 წლის გაზაფხულამდე).

---

[1] „История дипломатии", ტ. II, გვ. 160.

[2] ვენესუელას კონფლიქტი 1902—1903 წწ. წარმოიშვა. იგი აღმოცენდა. ერთი მხრივ, ინგლისს, გერმანიასა და იტალიას და, მეორე მხრივ, ვენესუელას შორის. საბაბად იქცა ვენესუელას მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული სამი სახელმწიფოს მოქალაქეთათვის ვალის გადაუხდელობა და მის მიერ ვენესუელაში სამოქალაქო ომის დროს მათთვის მიყენებული ზარალის გადახდაზე უარის თქმა. გერმანიამ და ინგლისმა, მალე იტალიამაც, ვენესუელას წყლებში გემები შეიყვანეს და დესანტები გადასხეს. ამერიკის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა, რომელსაც გერმანიის აგრესია აშინებდა, საიდუმლო მოლაპარაკება გაბა ინგლისთან. ინგლისმა და იტალიამ მიიღეს ამერიკის შ. შ. წინადადება საკითხის საარბიტრაჟო გზით მოგვარების შესახებ. მაგრამ გერმანიამ უარყო ეს წინადადება და განაგრძო სამხედრო მოქმედება. გერმანიამ ვენესუელას ახალი ბომბარდირება მოაწყო ხღვიდან. რუზველტი განაგრძობს ზეგავლენის მოხდენას ინგლისზე. სადაც გერმანიისადმი უკმაყოფილება ყოველდღე იზრდებოდა. ინგლისი ამერიკას ნეიტრალიტეტს დაჰპირდა. მაშინ რუზველტი გერმანიის წინააღმდეგ უფრო აქტიურად მოქმედებს, აიძულებს გერმანიას უკან დაიხიოს და მიიღოს ამერიკის წინადადება არბიტრაჟის შესახებ.

საფრანგეთთან დაახლოების ინიციატორის როლში ახლა ინგლისის მეფე ედუარდ VII გამოდის[1]. 1903 წლის მაისში იგი პარიზს ესტუმრა. მისი ვიზიტი საფრანგეთ-ინგლისის მეგობრობის აშკარა დემონსტრაციად გადაიქცა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ლუბემ „ძვირფას" სტუმარს ელისეს სასახლეში საზეიმო სადილი გაუმართა, სადაც პრეზიდენტმა და მეფემ ურთიერთს ბრწყინვალე სიტყვებით მიმართეს. მეფე ამბობდა: „განა საჭიროა გითხრათ, თუ რაოდენ სიხარულით გამოვეშურე მე პარიზს, სადაც, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, მე არა ერთხელ ვყოფილვარ და ჩუდამ მზარდი კმაყოფილება მიგრძვნია აქ ჩამოსვლით. ამ ქალაქთან მე მაკავშირებს მრავალი ბედნიერი და მარად წაუშლელი მოგონება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებულმა მტრობამ დრო მოჭამა. მე არ ვიცი სხვა ორი ისეთი სახელმწიფო, რომელიც ესოდენ დაინტერესებული იყოს ურთიერთ ბედნიერებით, რომელთა გაფურჩქვნა ასე ძლიერ იყოს დამოკიდებული ერთმანეთზე, როგორიცაა საფრანგეთი და ინგლისი. შესაძლოა წარსულში იყო გაუგებრობა და მიზეზები გარკვეული წინააღმდეგობისათვის, მაგრამ ყოველივე ამან, საბედნიეროდ, ჩაიარა და დავიწყებულია. ჩემი მუდმივი ზრუნვის საგანია ამ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობის განმტკიცება. მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ ყველანი (იგულისხმებიან პარიზში მყოფი ინგლისელები — გ. კ.), რომელნიც ამ მშვენიერ ქალაქში საფრანგეთის სტუმართმოყვარეობით სარგებლობთ, დამეხმარებით მე ამ მიზნის განხორციელებაში"[2]. ედუარდ VII დაესწრო სამხედრო დათვალიერებას ვენსენში, დოლს — ლონშანში და სხვ. დავიწყებას მიეცა ინგლის-საფრანგეთის ძველთაძველი მტრობა, საფრანგეთი და ინგლისი ახლა ძმობას ეფიცებიან ერთმანეთს. ორი თვის შემდეგ, 6—9 ივლისს, პრეზიდენტი ლუბე, თეოფილ დელკასეს თანხლებით, ლონდონს ჩავიდა საპასუხო ვიზიტით. ინგლისში მას მეფური შეხვედრა მოუწყვეს. ბეკინგჰემის გაჩირაღდნებული სასახლე

[1] მეფე ედუარდ VII, ვიქტორიას ვაჟი, მეფობდა 1901—1910 წწ. მან დიდი როლი შეასრულა ინგლის-რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის დაახლოების საქმეში. გერმანიაში იგი ხედავდა ინგლისის მსოფლიო ბატონობის ყველაზე უფრო საშიშ მტერს. ბიულოვი და ვილჰელმ II მას გერმანიის დაუძინებელ მტრად და ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების შეჰოქმედად მიიჩნევდნენ.

[2] იხ. Фей, დასახ. ნაშრ., გვ. 114, ციტ. Gooch, History of Moderne Europe, 1878—1919. გვ. 338, 339. იხ. აგრეთვე Sidney Lee, King Edward VII, ტ. II, გვ. 221; Э. Лемонон, Очерк истории англо-французских отношений, М.—Л., 1925, გვ. 65.

აღტაცებით შეეგება პრეზიდენტსა და მინისტრს. ინგლისის ბეჭე ქება-დიდებას ასხამდა ძვირფას მეგობრებს. იმართებოდა ბანკეტები და შეხვედრები. მაგრამ დელკასე მხოლოდ საპარადო ცერემონიებისათვის როდი იყო აქ ჩამოსული. მან ლენსდაუნთან საქმიანი საუბარი გააჩაღა მომავალი შეთანხმების გარშემო. დელკასეს წასვლის შემდეგ მოლაპარაკება პოლ კამბონმა გააგრძელა. ინგლისმა გამოამჟღავნა თავისი ზრახვები. საფრანგეთისაგან მოითხოვა ეცნო ინგლისის მიერ ეგვიპტის ოკუპაცია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეჰპირდა იგი საფრანგეთს მაროკოს დათმობას. ფრანგები თვლიდნენ, რომ ინგლისი მაროკოს მეტად ძვირად აფასებდა. კამბონსა და ლენსდაუნს შორის ხანგრძლივი და ვაჭრული მოლაპარაკება დაიწყო. მათი კამათი ვაჭრების დავას უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე დიპლომატებისას.

იმავე 1903 წელს საფრანგეთ-ინგლისის დაახლოების საქმეში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. 1903 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა „კონვენცია არბიტრაჟის“ შესახებ. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე ყველა სადავო საკითხი, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთს შორის წამოიჭრებოდა, განსახილველად უნდა გადასცემოდა საარბიტრაჟო სასამართლოს. ინიციატივა ასეთი ხელშეკრულებისა ინგლისის სავაჭრო პალატის პრეზიდენტს სერ თომას ბარკლაის ეკუთვნის ჯერ კიდევ 1900—1901 წლებიდან. ბარკლაის გაჰყვა ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საფრანგეთთან ნორმალური ვაჭრობით იყო დაინტერესებული. მოძრაობას ფართოდ გამოეხმაურა აგრეთვე საფრანგეთის ბურჟუაზიაც. ამ მოძრაობამ, რომელიც „პაციფიზმის“ სამოსელში იყო გახვეული, ბევრი საზოგადოებოივი ორგანიზაციის მხარდაჭერა ჰპოვა, მათ შორის ტრედ-უნიონებისა. საფრანგეთსა და ინგლისს შორის არსებულ სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარების მომხრეთა რიცხვმა იმატა. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. მოძრაობაში ჩაებნენ ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტთა წევრები.

1900 წელს სერ თომას ბარკლაიმ პარიზში ბრიტანეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენელთა დიდი მიღება მოაწყო. მან ბრწყინვალე ბანკეტი გამართა, რომელსაც 800 კაცი დაესწრო. ამის შემდეგ საფრანგეთის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელები ესტუმრნენ ლონდონს. მალე ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტების წევრებმაც ურთიერთ ვიზიტები მოაწყვეს.

1903 წლის მაისში საარბიტრაჟო სასამართლოს მომხრეებმა საფრანგეთის პარლამენტის წევრთაგან შექმნეს საზოგადოება „Groupe de l'Arbitrage International". ამ საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ'ესტურნელ დე კონსტანი. ეს საზოგადოება. მოითხოვდა, რომ ინგლის-საფრანგეთს შორის არსებული ყველა სადავო საკითხი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ყოფილიყო გადაწყვეტილი. 1903 წლის ივლისში აღნიშნული საზოგადოების წევრები, ზოგიერთი ფრანგი მსხვილი ვაჭრისა და მეწარმის თანხლებით, ლონდონს გაემგზავრნენ. უკვე დუვრში სტუმრებს დიდი აღტაცებით შეხვდნენ. ნავსადგურში თავი მოიყარეს ქალაქის სავაჭრო პალატის წარმომადგენლებმა, ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრებმა და სხვებმა. ორკესტრი „მარსელიოზას" უკრავდა. იმავე საღამოს სტუმრები ლონდონში ჩავიდნენ, სადაც მათ ზღაარული შეხვედრა მოუწყვეს და ვესტმინისტერის სასახლის დარბაზებში ბრწყინვალე ბანკეტი გაუმართეს. ბანკეტს ესწრებოდა ლორდთა და თემთა პალატის ორასამდე დეპუტატი, მათ შორის — რამდენიმე მინისტრი და ექს-მინისტრი, რომელთა შორის პრემიერ-მინისტრი ბალფურიც იყო. ბანკეტზე საპროგრამო სიტყვით გამოვიდა დ'ესტურნელ დე კონსტანი. თავის სიტყვაში მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყველა მტკივნეული და სადავო საკითხი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაში არსებობს, უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით, საარბიტრაჟო სასამართლოს საშუალებით.

ამ ვიზიტებსა და ბანკეტებს და საერთოდ მთელ ამ მოძრაობას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, საარბიტრაჟო სასამართლოს რაღა რეალური ძალა არ შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ აქ უფრო საინტერესოა ეს ფართო მასშტაბის ტენდენცია ამ ორი ქვეყნის დაახლოებისა. საინტერესოა ის, რომ დაახლოებისა და სადავო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრის სურვილები, ესოდენ ფართოდ გავრცელებული როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, საწინდარი იყო იმისა, რომ მოლაპარაკება დელკასესა და ლენსდაუნს შორის უკეთესისაკენ წარმართულიყო[1].

---

[1] აღნიშნულის შესახებ იხ. „Les Parlementaires français à Londres, 21—24 juillet 1903". ჟურნალში: „La Paix par le Droit", №№ 8 და 9; ციტ. ლ. კომაროვსკის სტატიაში: Л. Комаровский, Англо-французский третейский договор. ჟურნ. „Русская мысль", ტ. I, 1904, გვ. 30—50.

ვესტმინსტერის სასახლეში გამართულ ბანკეტზე გამოსული ორატორები (მათ შორის ბალფური, კემპბელ-ბანერმანი, ჩემბერლენი) ფართოდ სვამენ საკითხს, ლაპარაკობენ ამ ორი დიდი ერის ინტერესთა ერთიანობის შესახებ, აღნიშნავენ, რომ არსებობს ყოველგვარი საფუძველი ამ ორ სახელმწიფოს შორის გულითადი შეთანხმების მიღწევისა. 23 ივნისს საფრანგეთის დეპუტატებმა ინახულეს სიტი, დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის ეს ცენტრი; ინახულეს რატუშა, სადაც მათ დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. შემდეგ სტუმრები ბირჟის შენობისაკენ გაემართნენ. ბირჟის საქმოსნები ფრანგებს „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ. „გაუმარჯოს საფრანგეთს“, „გაუმარჯოს ლუბეს“, — გაიძახოდნენ ისინი. იმღერეს „მარსელიოზა“ და ინგლისის ჰიმნი „God save the King“. სტუმრები ეწვიენენ, აგრეთვე, მეფის სასახლეს ვინძორში. ედუარდი ირლანდიაში იყო და დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა ლონდონში არყოფნის გამო.

1903 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი „კონვენცია არბიტრაჟის შესახებ“ ძირითადში ითვალისწინებდა შემდეგს: ჰააგის 1899 წლის 29 ივლისის კონვენციის[1] მონაწილე ორივე სახელმწიფო, აღნიშნული კონვენციის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, შეთანხმდნენ, რომ იურიდიული ხასიათის ყველა სადავო საკითხი, ანდა ისეთი, რომელიც ეხება დიპლომატიური გზით გადაუწყვეტელ ხელშეკრულებათა გაგებას, განსახილველად გადაეცემა მუდმივ საარბიტრაჟო სასამართლოს, დაწესებულს ჰააგის 1899 წლის 29 ივლისის კონვენციით. მაგრამ იმ პირობით, რომ ეს საკითხები არ შელახავდნენ ორივე სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს, მათ დამოუკიდებლობასა და ღირსებას, ან არ შელახავ-

---

[1] ჰააგის 1899 წლის 29 ივლისის კონვენცია. რუსეთის წინადადებით 1899 წლის 18 მაისს ჰააგაში მოწვეულ იქნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 27 სახელმწიფო: ავსტრია-ჰუნგრეთი, გერმანია, ბელგია, ჩინეთი, დანია, ესპანეთი, ჩ. ა. შ. შ., მექსიკა, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, იტალია, იაპონია, ლუქსემბურგი, ჩერნოგორია, ნიდერლანდები, ირანი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სერბია, სიამი, შვეცია, ნორვეგია, შვეიცარია, თურქეთი, ბულგარეთი. კონფერენციის ოფიციალური მიზანი იყო მშვიდობის დაცვა და შეიარაღების შეკვეცა. ცხადია, ამ კონფერენციამ შეიარაღების შემცირების საქმეში რაიმე რეალურ შედეგს ვერ მიაღწია. მიღებულ იქნა რამდენიმე კონვენცია და დეკლარაცია ტიპიური ბურჟუაზიულ-პაციფისტური შინაარსისა. მათ შორის—კონვენცია საერთაშორისო სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესახებ. ამ კონვენციას ეყრდნობოდნენ 1903 წლის 14 ოქტომბრის ხელშეკრულების მესვეურები.

დნენ შესამე სახელმწიფოს ინტერესებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ხელს მოაწერდნენ სპეციალურ კომპრომისს, რომელშიც ზუსტად განსაზღვრავდნენ სადავო საგანს, საარბიტრაჟო სასამართლოს რწმუნებათა მასშტაბს და ყველაფერს, რაც სასამართლოს შემადგენლობასა და საქმის წარმოებას შეეხება. შეთანხმება ხუთი წლით იყო განსაზღვრული[1].

ამ შეთანხმებამ ვერ გაამართლა საზოგადოების ფართო წრეების ინტერესი. მისი კომპეტენცია მხოლოდ იურიდიული საკითხებით შემოიფარგლა. მას შეეძლო ემოქმედა მხოლოდ მომავალში, როცა ყველა სადავო კოლონიური პრობლემა გადაწყვეტილიყო ფარული მოლაპარაკების გზით ინგლის-საფრანგეთის საერთო პოლიტიკური ხასიათის შეთანხმების დადების შემდეგ.

მოლაპარაკება ინგლისსა და საფრანგეთს შორის გრძელდება. იგი ფრიად საიდუმლო ხასიათს ატარებს. არც ერთ მხარეს არ სურს სხვა ჩარიოს მსუქანი ლუკმის გაყოფის საქმეში. ბრიტანეთის მთავრობა კვლავ დაჟინებით მოითხოვს საფრანგეთისაგან უარი თქვას ეგვიპტეზე, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია საფრანგეთს მაროკოს ხელში ჩაგდების იმედი იქონიოს. ამასთან დაკავშირებით ინგლისის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას სპეციალური მემორანდუმითაც მიმართა 1903 წლის 1 ოქტომბერს. საფრანგეთის დიპლომატიას სურს უფრო იაფად შეიძინოს მაროკო, იგი კვლავ ცდილობს, ინგლისელებმა ეგვიპტის საკითხი დაუკავშირონ მაროკოს საკითხს. ჩვენ ეგვიპტეში დიდი ინტერესები გვაქვს,—ამბობდნენ ფრანგები,—მაშინ როდესაც ინგლისს მაროკოში არავითარი ინტერესები არა აქვს. ამდენად, ფრანგების აზრით, ისინი ღებულობენ არაეკვივალენტურ კომპენსაციას. პოლ კამბონი ლენსდაუნთან საუბარში 1903 წლის 7 ოქტომბერს ამბობდა, რომ ინგლისი საფრანგეთს მაროკოს სახით უთმობს „იმედს და არა ხელშესახებ რეალობას, მაშინ როდესაც, მისგან მოითხოვს უარის თქმას იმ რეალურად მოპოვებულ უფლებებზე და უპირატესობებზე, რომლებიც მას ეგვიპტეში გააჩნია". მართლაც და, ბოლოს და ბოლოს, ინგლისი საფრანგეთს უთმობდა, ასე ვთქვათ, „მაროკოს დაპყრობის უფლებას", მაშინ როდესაც, საფრანგეთს უნდა დაეთმო მრავალი რეალური უფლება და პრი-

[1] იხ. Traité d'Arbitrage entre la France et l'Angleterre, ჟურნ. „La Justice Internationale", 1903, № 4—5, გვ. 237—239. იხ. აგრეთვე ჟურნალი „La Paix par le Droit", 1903, ოქტომბერი, გვ. 389—391. ციტ. „Русская мысль", ტ. I, 1904, გვ. 45.

ვილეგია, რომლებიც მას ეგვიპტეში უკვე კარგა ხანია მოპოვებული ჰქონდა (საფრანგეთის ბანკირები ეგვიპტის ფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს განაგებდნენ; ფრანგი კაპიტალისტები მონაწილეობდნენ ეგვიპტის რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფის, ნაესადგურების მართვის საქმეში, ჰქონდათ მრავალი სავადასხვა ხასიათის კონცესიები). გარდა ამისა, ფრანგებს ხომ მაროკოში სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან მოუხდებოდათ შეჯახება. გასაგებია, რომ ფრანგებმა ინგლისელებს ეგვიპტის საფასურად მაროკოს გარდა კიდევ სხვა დათმობა მოსთხოვეს, კერძოდ, ინგლისის კოლონია გამბია, რომელიც სოლივით იყო შეჭრილი ატლანტის სანაპიროზე სენეგამბიასა და გვინეას შორის. ეს მოთხოვნა ფრანგებმა შენიღბული სახით წამოაყენეს. ისინი აცხადებდნენ, რომ თუკი ინგლისი მათ გადასცემს გამბიას, მაშინ ნიუფაუნდლენდის დასავლეთ სანაპირო წყლებში თევზის ჭერის მონოპოლიურ უფლებებზე (ეს უფლება ფრანგებს მოპოვებული ჰქონდათ 1713 წლის უტრეხტის ზავით) ნაწილობრივ უარს ვიტყვითო. ეს მონოპოლია ინგლისსა და საფრანგეთს შორის გაუთავებელი წინააღმდეგობის საფუძველს ქმნიდა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დამლევს ამ მონოპოლიამ საფრანგეთისათვის დაკარგა მნიშვნელობა, რადგან თევზი იქ ნაკლებად მოიპოვებოდა. ამგვარად, გამბიის მოთხოვნა ფაქტიურად ფრანგების მიერ ეგვიპტეზე უარის თქმის კომპენსაცია იყო. ლენსდაუნმა უარყო ფრანგების მოთხოვნა. საკმაოდ აღშფოთებული კამბონი ლენსდაუნს ეუბნებოდა: „წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ უარი ვთქვით დავთმოთ ჩვენი უფლებები ეგვიპტეში, დავეყრდენით რუსეთსა და გერმანიას და მათი დახმარებით სიძნელეები შეგიქმენით, როგორღა დააღწევთ თქვენ მათ თავს?“ [1].

აქვე კამბონი ინგლისელებს მიუთითებდა, რომ მათთვის ახლა ეგვიპტის საკითხის მოგვარების ყველაზე ხელსაყრელი მომენტი დადგა, რადგან ინგლისთან მოლაპარაკებას აწარმოებს ისეთი მინისტრი (დელკასე), რომელიც შესძლებს იკისროს პასუხისმგებლობა ასეთ შეთანხმებაზე. თუ თქვენ ამ მომენტს ხელიდან გაუშვებთ, იგი აღარ განმეორდება, — აფრთხილებდა კამბონი ინგლისელებს.

ამასთანავე, კამბონი ურჩევდა დელკასეს არ შეეცვალა თავისი აზრი და მაროკოს გარდა დაჟინებით მოეთხოვა სხვა კომ-

[1] Дипломатический словарь, ტ. I, გვ. 144.

პენსაციაც. „ეგვიპტის საკითხში ჩვენთან შეთანხმებით ინგლისელები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, ვიდრე მაროკოს საკითხის მათთან შეთანხმება ჩვენ გვაინტერესებს. მათი დაყოლიება შეუძლებელი გახდება, თუკი ჩვენ მათ ვაგრძნობინებთ, რომ მაროკოს საკითხის გადაწყვეტით ძალზე ვართ დაინტერესებულნი", — სწერდა კამბონი დელკასეს.

მოლაპარაკებას ბოლო არ უჩანდა. ორივე მხარე წვრილმან. ჩარჩულ ვაჭრობას ეწეოდა. „იცოდეთ, რომ ფორეინ ოფისში საკითხების გადაწყვეტა ისევე წარმოებს, როგორც სიტის კანტორაშიო", — ასე აფასებდა პოლ კამბონი ბრიტანეთის დიპლომატიას. ასეთივე დახასიათება შეიძლება მიეცეს საფრანგეთის დიპლომატიასაც.

ფრანგები, მაროკოს გარდა, კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ სხვა კომპენსაციას. ფრანგებმა ახლა გამბიის ნაცვლად მოითხოვეს მიწები მდ. ნიგერის მარჯვენა ნაპირზე, ლაგოსის ჰინტერლანდში. ამ მიწების დაპატრონება ,ფრანგებს მდ. ნიგერის სანაოსნო ნაწილთან დააკავშირებდა. ინგლისელებმა ამაზეც უარი თქვეს. პარლამენტის წინაშე როგორ გავამართლოთ ის, რომ ნაკლებად ღირებულ ნიუფაუნდლენდში ჩვენ ესოდენ მდიდარი მიწები მოგეციოთო, — აღნიშნავდა ლენსდაუნი. იგი თანახმა იყო საფრანგეთისათვის დაეთმო მიწები ნიგერიაში, სოკოტის რაიონში. ამით ფრანგებს მდინარე ნიგერსა და ტბა ჩადს შორის მიმოსვლის გაუმჯობესების საშუალება მიეცემოდათ. ფრანგებმა იუკადრისეს ეს „საჩუქარი". მოლაპარაკება ჩიხში მოემწყვდა. 27 იანვარს მოლაპარაკება კვლავ განახლდა. ახლა დელკასე მოითხოვს საფრანგეთისათვის ლოს კუნძულების გადაცემას, რომელნიც სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდნენ საფრანგეთის გვინეის ნავსადგურ კონაკრის მისადგომებთან.

მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებამ მდგომარეობა არსებითად შეცვალა. საფრანგეთის მდგომარეობა შეირყა. რუსეთს აღარ ძალუძს მხარი დაუჭიროს საფრანგეთს. გერმანია გააქტიურდა. „საფრანგეთისათვის ინგლის-საფრანგეთის დაახლოების საკითხი უფრო მწვავედ დაისვა, ვიდრე ინგლისისათვის. საფრანგეთს აღარ შეეძლო დაყოვნება, რადგან შორეულ აღმოსავლეთში ომმა რუსეთის ძალები მოაცილა გერმანიის საზღვრებს. საფრანგეთი კვლავ მარტოდმარტო აღმოჩნდა მეტისმეტად საშიშ აღმოსავლელ მეზობლის პირისპირ" [1]. ყოველივე ამან დააჩქარა საფ-

[1] История дипломатии, т. II, გვ. 161.

რანგეთის დაახლოება ინგლისთან. დელკასემ უკუაგდო სიჯიუტე და ინგლისთან კომპრომისი არჩია.

ასევე ინგლისელებმაც კომპრომისი და ფრანგებთან შეთანხმება მიიჩნიეს უმჯობესად. როგორც ცნობილია, ინგლისმა რუსეთ-იაპონიის ომის მომზადებისა და გაღვივების საქმეში დიდი ენერგია დახარჯა, ხოლო შემდეგ კი იგი დაინტერესებული იყო ამ ომის ლოკალიზაცია მოეხდინა, რადგან რუსეთის მხარეზე საფრანგეთის გამოსვლის შემთხვევაში ინგლისი იაპონიის მხარეზე უნდა გამოსულიყო. ეს არ შედიოდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოლიტიკის გეგმებში. ის ხომ ყოველთვის ამჯობინებდა ნარი სხვისი ხელებით ეგლიჯა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლენსდაუნი იმედოვნებდა, რომ საფრანგეთთან შეთანხმების შემთხვევაში საფრანგეთის ნეიტრალიტეტი რუსეთ-იაპონიის ომში უფრო მტკიცე იქნებოდა[1], რაც ინგლისისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, იაპონიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად რუსეთის მხარეზე რომელიმე სახელმწიფოს გამოსვლის შემთხვევაში (იგულისხმებოდა რუსეთის მოკავშირე საფრანგეთი) ინგლისიც ვალდებული იყო ჩაბმულიყო ომში იაპონიის მხარეზე. ორივე მხარე კომპრომისზე მიდის და ცდილობს რაც შეიძლება მალე მოათავოს საქმე.

1904 წლის გაზაფხულზე მოლაპარაკება დამთავრდა და 1904 წლის 8 აპრილს შეთანხმება მიღწეულ იქნა. მას ხელს აწერდნენ პოლ კამბონი და ლორდი ლენსდაუნი. იგი „გულითადი შეთანხმების" (Entente cordiale) სახელითაა ცნობილი და ოფიციალურად გამოსაქვეყნებელი და საიდუმლო ნაწილებისაგან შედგებოდა. ოფიციალური, გამოსაქვეყნებელი ნაწილი სამ განყოფილებას შეიცავდა: 1) კონვენცია ნიუფაუნდლენდისა და სენეგამბიის შესახებ; 2) დეკლარაცია ეგვიპტისა და მაროკოს შესახებ; 3) დეკლარაცია სიამის, მადაგასკარისა და ახალი ჰებრიდის კუნძულების შესახებ[2].

---

[1] История дипломатии, ტ. II, გვ. 161.

[2] ტექსტი იხ. კრებულში „Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях", ნაწ. I, დოკ. № 306, გვ. 313—315. ტექსტი და დელკასეს განმარტებითი ბარათი იხ. ჟურნ. „La Justice Internationale", 1904, № 9. იხ. Livre Jaune, 1904, Accords conclus le 8 avril 1904 au sujet du Maroc, de l'Egypte, de Terre-Neuve etc. იხ. აგრეთვე ბრიტანეთის Blue Book, 1904 წ.

კონვენცია ნიუფაუნდლენდის შესახებ ითვალისწინებდა საფრანგეთის მიერ ნიუფაუნდლენდის წყლებში თევზის ჭერის მონოპოლიურ უფლებებზე უარის თქმას. ამის საფასურად საფრანგეთმა ინგლისისაგან მიიღო ლოს კუნძულები; მდ. გამბიაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება; აღმოსავლეთ ნიგერიის საზღვრები საფრანგეთის სასარგებლოდ შესწორდა. გარდა ამისა, ფრანგებს უფრო თავისუფალი მიმოსვლის საშუალება მიეცათ მდ. ნიგერსა და ტბა ჩადს შორის.

დეკლარაცია სიამის შესახებ ითვალისწინებდა სიამის გაყოფას მდ. მენამის მიხედვით ორ ნაწილად. ინგლისის გავლენის სფეროდ გამოცხადდა დასავლეთი რაიონი, საფრანგეთის გავლენის სფეროდ— აღმოსავლეთი. ინგლისმა უარყო ყოველგვარი პრეტენზიები საფრანგეთის მიმართ კუნძულ მადაგასკარზე შემოღებული საბაჟო ტარიფის გამო. ახალი ჰებრიდის კუნძულებზე შეიქმნა ინგლის-საფრანგეთის კონდომინიუმი.

მთავარი და ძირითადი იყო „დეკლარაცია ეგვიპტისა და მაროკოს შესახებ". აღნიშნულის ძალით საფრანგეთმა ინგლისს ეგვიპტე „დაუთმო", ხოლო ინგლისმა, თავის მხრივ, საფრანგეთს მაროკო „უბოძა". ინგლისის მთავრობა აცხადებდა, რომ „მას არა აქვს განზრახვა შეცვალოს ეგვიპტის პოლიტიკური მდგომარეობა". საფრანგეთის მთავრობის განცხადებით „საფრანგეთი ხელს არ შეუშლის ინგლისელთა მოქმედებას ამ ქვეყანაში" (I მუხლი). გარდა ამისა, „ჩას არა აქვს განზრახვა შეცვალოს მაროკოს პოლიტიკური მდგომარეობა". ინგლისის აღიარებით საფრანგეთს, როგორც სახელმწიფოს, რომლის სამფლობელოები ფართოდ ესაზღვრება მაროკოს, უფლება აქვს თვალყური ადევნოს „ამ ქვეყანაში სიმშვიდეს და დახმარება აღმოუჩინოს მას ყველა საჭირო ადმინისტრაციულ, ეკონომიურ, ფინანსურ და სამხედრო ხასიათის რეფორმებში". ინგლისის მთავრობა აცხადებდა, რომ „იგი ხელს არ შეუშლის საფრანგეთის ამ მიმართებით მოქმედებას" (მუხლი II). ამასთანავე, ორივე მხარე თანასწორად უფლებამოსილი იქნება ეგვიპტესთან და მაროკოსთან ვაჭრობის საქმეში 30 წლის ვადით (მუხლი IV); დაუთმო რა საფრანგეთს მაროკო, ინგლისს მხედველობიდან არ გამოპარვია გიბრალტარის უშიშროების საკითხი. დეკლარაციის VII მუხლის ძალით იკრძალებოდა რაიმე სიმაგრის ან სტრატეგიული ნაგებობის აგება მაროკოს სანაპიროზე, გიბრალტარის რაიონში. ორივე მხარე აცხადებდა, რომ იგი სცნობს და პატივს სცემს ესპანეთის ინტერესებს მაროკოში (მუხლი VIII). ორივე მთავრობა შეთანხმდა ერთმანეთისათ–

ვის დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოეჩინა მაროკოსა და ეგვიპტის შესახებ დეკლარაციაში აღნიშნული პირობების განხორციელების საქმეში (მუხლი IX).

1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების საიდუმლო ნაწილი[1] მხოლოდ მაროკოსა და ეგვიპტეს შეეხებოდა. აქ საფრანგეთისა და ინგლისის ხელისუფალნი აშკარავებდნენ თავიანთ ნამდვილ ზრახვებს. ოფიციალური ხელშეკრულების I მუხლის საწინააღმდეგოდ, სადაც გამოცხადებულ იყო, რომ მათ არა აქვთ განზრახვა შეცვალონ მაროკოსა და ეგვიპტის პოლიტიკური მდგომარეობა, საიდუმლო ნაწილში მათ ასეთი რამ დასაშვებად მიაჩნდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ საფრანგეთმა მაროკოზე, ხოლო ინგლისმა ეგვიპტეზე მოიპოვა პროტექტორატის გამოცხადების ან ანექსიის უფლება. უფრო სწორად, ეს უფლება მათ ერთმანეთს მიანიჭეს.

ხელშეკრულების თანახმად, მაროკოს ტერიტორიის ნაწილი საფრანგეთს ესპანეთისათვის უნდა დაეთმო: სახელდობრ, მაროკოს ჩრდ. სანაპირო რაიონის უდიდესი ნაწილი. ასეთი კომბინაცია ინგლისისათვის სასარგებლო იყო და, ჩანს, მის მიერვე იყო ნაკარნახევი, რადგანაც აქ სუსტი ესპანეთის დამკვიდრებით გიბრალტარის უშიშროება მტკიცედ იქნებოდა უზრუნველყოფილი. აღნიშნულ ტერიტორიას ესპანეთი მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებას იკისრებდა, რომ იგი ამ ტერიტორიას სხვას არავის დაუთმობდა.

ესპანეთი 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების საჯარო მუხლების გამოქვეყნებას გარკვეული უკმაყოფილებით შესვდა. ესპანეთი გულისწყრომას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას გვერდი აუარეს, მოექცნენ როგორც „quantité négligeable"-ს[2]. ესპანეთის ელჩი პარიზში მარკიზი ლეონ კასტილიო დელ მუნი დელკასესთან საუბარში აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა აღნიშნული შეთანხმების გამო, რადგანაც, როგორც აცხადებდა იგი, ორ სახელმწიფოს სრულიადაც არ ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა მაროკოს ბედი. ამისათვის მაროკოთი დაინტერესებული სხვა სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობა იყო საჭირო. „საფრანგეთ-ინგლისის ამ კონვენციას, — განაცხადა მან, —

---

[1] საიდუმლო ნაწილის ტექსტი იხილე კრებულში: „Международная политика новейшего времени", ნაწილი I, დოკ. № 307, გვ. 315—316. იხ. Blue Book, Treaty Series, 1911, იხ. E. D. Morel, Morocco in Diplomacy, London, 1912; გაზეთი „Temps", 1911, № 1.

[2] Фей, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

სერიოზული შედეგები მოჰყვება და გამოიწვევს წინასწარ ძნელად გასათვალისწინებელ გართულებებს"-ო[1]. სულ მალე ეს ყოველგვარ რეალურ ძალას მოკლებული „ესპანური ქედმაღლობა" დაკმაყოფილებულ იქნა. ესპანეთისათვის ცნობილი გახდა 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების საიდუმლო მუხლები, რომლებითაც იგი მაროკოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის მფლობელი ხდებოდა. მისთვის ოცნება სინამდვილედ იქცა. ესპანეთი მყის გვერდში ამოუდგა თავის „მწყალობლებს".

1904 წლის 3 ოქტომბერს საფრანგეთსა და ესპანეთს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომელიც აგრეთვე საჯარო და საიდუმლო ნაწილებისაგან შედგებოდა[2]. საჯარო ნაწილის თანახმად ესპანეთი უერთდებოდა და იზიარებდა 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას და საფრანგეთთან ერთად აცხადებდა, რომ მტკიცედ დაიცავდა შერიფის იმპერიის ერთიანობას და სულთნის სუვერენიტეტს. საიდუმლო ნაწილის ძალით კი საფრანგეთმა და ესპანეთმა მაროკო ურთიერთ შორის გაიყვეს და მისი დაპყრობის უფლებით აღიჭურვნენ. ესპანეთმა მიიღო მაროკოს ჩრდ. სანაპირო რაიონი, საფრანგეთმა კი დანარჩენი მაროკო დაიმკვიდრა. თუ შერიფის მთავრობა შეწუვეტს არსებობას ან უძლური აღმოჩნდება მართოს ქვეყანა, ანდა თუ საფრანგეთი და ესპანეთი გადაწყვეტენ სხვადასხვა მიზეზების გამო, რომ „Status quo"-ს დაცვა მაროკოში შეუძლებელია — ესპანეთს თავის ზონაში მოქმედების სრული თავისუფლება ენიჭება, ე. ი. როცა საფრანგეთი თავის ზონაში დააწესებს პროტექტორატს ან მოახდენს მაროკოს ტერიტორიის უშუალო ანექსიას, ასევე მოიქცევა ესპანეთიც თავის ზონაში. ესპანეთი ვალდებულებას იღებს არ განასხვისოს მისდამი კუთვნილი ტერიტორია, არ დაუთმოს იგი ვისმე, თუნდაც დროებით ან ნაწილობრივ. ტანჯერი რჩება ნეიტრალურ ქალაქად, როგორც დიპლომატიური კორპუსის სამყოფელი. შეთანხმების უკანასკნელ მუხლში (მე-16) აღნიშნულია, რომ ეს კონვენცია გამოქვეყნდება მაშინ, როცა მისი გამოქვეყნება არ გამოიწვევს რაიმე უხერხულობას. აქ ისინი ალბათ გულისხმობდნენ იმ მომენტს, როცა ესპანეთი და საფრანგეთი საბოლოოდ დაიპყრობდნენ მაროკოს.

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6481.

[2] ტექსტი იხ. „Международная политика новейшего времени", ნაწ. I, საჯარო—გვ. 120, საიდუმლო—გვ. 318—319.

საფრანგეთის, ინგლისისა და ესპანეთის მთავრობები გულმოდგინედ უმალავდნენ საკუთარ ხალხს „საიდუმლო დიპლომატიით“ მიღწეულ წარმატებას, რომელიც ხალხს ომსა და გაჭირვებას უქადდა. კაპიტალისტებს კი — მოგებისა და სიმდიდრის ახალ წყაროს [1].

---

[1] როცა მიღწეულ იქნა ესპანეთსა და საფრანგეთს შორის შეთანხმება მაროკოს საკითხში, საფრანგეთის მთავრობამ ხელშეკრულების ტექსტი ინგლისის მთავრობას გაუგზავნა პოლ კამბონის ხელით. ეს უკანასკნელი ლორდ ლენსდაუნისადმი გაგზავნილ წერილში სთხოვდა მას მტკიცედ დაეცვა საიდუმლო მუხლების სრული კონფიდენციალობა. საპასუხო წერილში ლენსდაუნი ამშვიდებდა კამბონს. მოგვყავს ამ წერილების ტექსტი, როგორც ბურჟუაზიული „საიდუმლო დიპლომატიის“ კარგი ნიმუში:

I. პოლ კამბონი ლორდ ლენსდაუნ: „ძვირფასო ლორდო ლენსდაუნ, მე დამავალეს გაცნობოთ თქვენ ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ეს-ეს არის დაიდო საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მაროკოს შესახებ. ხელშეკრულება ხელმოწერილია ამა თვის (ოქტომბრის) სამს, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრსა და ესპანეთის პარიზელი ელჩის მიერ. იგი შედგება საერთო დეკლარაციისაგან, რომელიც გამოქვეყნდება, და კონვენციისაგან, რომელიც საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ბატონმა დელკასემ დამავალა მე გადმოგცეთ ამ ხელშეკრულების ტექსტი... ამასთანავე მიუთითა, რომ ამას მეტად კონფიდენციალური ხასიათი აქვს და გთხოვთ თქვენ, რომ ეს კონვერცია სრული საიდუმლოებით შეინახოთ...“

II. ლენსდაუნი კამბონს: „ძვირფასო ბ-ნო კამბონ, მე მქონდა სიამოვნება მიმეღო თქვენი წერილი დღევანდელი თარიღით (6 ოქტ.)... ბე მგონი საჭირო არაა დამატება იმისა, რომ ჩვენთვის საესებით გასაგებია ამ კონვენციის კონფიდენციალური ხასიათი.... ჩვენ შევინახავთ, დავიცავთ ამ საიდუმლოს. უფრო მოკლე დოკუმენტი, ანუ „დეკლარაცია“ (შეთანხმების საჯარო ნაწილი), დადებული ორივე სახელმწიფოს შორის, როგორც მე ვფიქრობ, განკუთვნილია გამოქვეყნებისათვის“. წერილების სრული ტექსტი იხ. Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 57, 58.

საინტერესოა ისიც, რომ როგორც ინგლისელები, ასევე ფრანგები აცხადებდნენ, რომ შეთანხმების მიღწევა ორივე მხარისათვის დიდი მსხვერპლის გაღების შედეგად განხორციელდაო. როზბერიმ თავის სიტყვაში 1904 წლის 10 აპრილს განაცხადა: „სახელმწიფომ, რომელიც გიბრალტარს ფლობს, შეიძლება ინანოს იმის გამო, რომ მან მაროკო დიდ სამხედრო სახელმწიფოს დაუთმო...“ იხ. Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 51; რენე პინონი წერს: საფრანგეთს მეტად ძვირად დაუჯდა ინგლისთან დაახლოება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეგვიპტის დაკარგვა, რომელიც ჩვენ შევწირეთ 1904 წელს, ელზას-ლორენის დაკარგვის შემდეგ ყველაზე უფრო დიდი კატასტროფაა. René Pinon, დასახ. ნაშრ., გვ. 145, 146. კაიო (Caillaux) თავის წიგნში „აგადირი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა მრავალი რამ დათმო ინგლისისა და ესპანეთის სასარგებლოდ, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეულია იმ პრინციპების უარყოფა, რომლებისთვისაც საფრანგეთი ესოდენ ხანგრძლივად იბრძოდა (ე. ი. ეგვიპტე—გ. კ.). XIX საუკუნის განმავლობაში საფრანგეთი შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა ეგვიპ-

საფრანგეთისა და ინგლისის მმართველი წრეები აღტაცებულნი იყვნენ თავიანთი შემოქმედების ნაყოფით — 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებით, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ მათი ერთობლივი მოქმედების საწინდარი იყო.

„საფრანგეთი თავის საუკუნოებრივ, მრისხანე მტრის ხელიდან, რომელიც ცნობილი იყო თავისი დაუთმობლობით, სიხარბით, თავისი სარგებლიანობის უდრეკი დაცვით, ღებულობდა მნიშვნელოვან ჯილდოს და ძვირფას შენაძენს. ყოველგვარი გაუგებრობა და ცილობა ერთბაშად იქნა მოგვარებული საფრანგეთისათვის სავსებით სასარგებლოდ; ფრანგების ყოველივე სურვილი და შორეული ოცნებაც კი აღსრულდა. ინგლისი საფრანგეთისადმი მტრულ და საეჭვო დამოკიდებულებას ერთბაშად სცვლიდა სავსებით მეგობრული და თავაზიანი პოლიტიკით. ყველაფერი ეს იმდენად გასაოცარი იყო, რომ ზოგიერთი ევროპელი დიპლომატი ინგლისის პარლამენტის მბრივ გარკვეულ პროტესტს ელოდა, მაგრამ მსგავსი რამ არ მომხდარა. ინგლისის ხელმძღვანელი პარტიების მიერ შეთანხმება მიღებულ იქნა სავსებით უდრტვინველად“ [1]. ინგლისსა და საფრანგეთში ქებათა ქებას ასხამდნენ ამ შეთანხმებას და მას გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე ეს ოფიციალურად იყო მიჩნეული. ეს იყო არა მარტო ჩვეულებრივი შეთანხმება კოლონიების საკითხში, არამედ—ორი ერის დაახლოება, შერწყმა ერთიანი მოქმედებისათვის. ლორდი ბალფური 1904 წლის 6 მაისს გამართულ ბანკეტზე ამბობდა: „ესაა გარიგება, რომლითაც დამთმობი მხარე

ტეს... ახლა კი ჩვენ ეს იდეალი (ეგვიპტე) გავცვალეთ დაპყრობის თავისუფლებაზე (ივულისხმება მაროკო, ასე უწოდებს კაიო ინგლისის მიერ საფრანგეთს უფლებების ცნობას მაროკოზე). ავტორი გულს იმშვიდებს იმით, რომ საფრანგეთისთვის მისი აფრიკული იმპერიის — ალჟირის, ტუნისის, მაროკოს—მთლიანი ფლობა აუცილებელი იყო. ამდენად შეიძლება არ ჩაითვალოს დანაკლისად უარის თქმა მამაპაპისეულ სახელოვან ტრადიციებზე... (ეგვიპტის დაპყრობის სურვილები), G. Caillaux, Agadir. P.. 1921, ციტირებულია სემარის მიხედვით, იხ. Семар, დასახ. ნაშრ., გვ. 17; რასაკვირველია, მარტო „აფრიკის იმპერიის მთლიანი ფასადის“ ფლობისათვის როდი დაუახლოვდა საფრანგეთი ინგლისს, მარტო ამისათვის როდი დათმო „მამაპაპური სახელოვანი ტრადიციები“. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება მათი აშკარა კავშირი იყო გერმანიის წინააღმდეგ. საფრანგეთს ეგვიპტის საკითხში საწუწუნო არა ჰქონდა რა, მას ეგვიპტეში უფლებები და პოზიციები უკვე 1898 წელს ფაშოდასთან წარუმატებლობის შემდეგ თითქმის მთლიანად ჰქონდა დაკარგული,

[1] Е. В. Тарле, Европа в эпоху империализма 1871—1919, М.—Л., 1928, გვ. 135.

არ განიცდის, ან თითქმის არ განიცდის ზარალს, მაშინ როდესაც, მიმღები მხარე ღებულობს ყოველივეს, რაც მისთვის არსებითად საჭიროა“ [1]. 1904 წლის 3 ნოემბერს საფრანგეთის პარლამენტში დეპუტატმა პოლ დეშანელმა განაცხადა, რომ „შეთანხმება არა მარტო გარიგებაა, არამედ მეტიც, იგი გამომხატველია ახალი საერთაშორისო სიტუაციისა“ [2]. საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე პიშონი ასე აფასებდა ანტანტის მნიშვნელობას: „ინგლისელები და ფრანგები ინსტინქტურად გრძნობენ, რომ შეთანხმება არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საიმედო საშუალება, რომელიც მათ შეუძლიათ დაუპირისპირონ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ კომბინაციებს“ [3].

ინგლისისა და საფრანგეთის დაახლოების შემდეგ უკვე განისაზღვრა ძალთა განლაგება მომავალი იმპერიალისტური ომისათვის. გერმანიას და მის ევროპელ მოკავშირეებს ამიერიდან დაუპირისპირდნენ ინგლისი და საფრანგეთი, ხოლო 1907 წლიდან მათ შეუერთდა საფრანგეთის ძველი მოკავშირე რუსეთი, რომელმაც ინგლისთან სადავო საკითხები მოაგვარა დაახლოებით ისეთივე გზით, როგორც — საფრანგეთმა და ინგლისმა 1904 წელს. ასე შეიქმნა, ე. წ. „სამთა შეთანხმება“, რომელიც დაუპირისპირდა „სამთა კავშირს“.

ამგვარად, 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების მნიშვნელობა დიდი იყო. იგი გზას უხსნიდა ინგლის-საფრანგეთის ერთობლივ მოქმედებას და ბრძოლას გერმანიის წინააღმდეგ. ამ შეთანხმების ძალით „ინგლისმა და საფრანგეთმა გაიყვეს თითქმის უკანასკნელი ნაწილი „თავისუფალი“ კოლონიური ტერიტორიებისა. აღმოჩხერეს რა ურთიერთ ჭიშპობა, მათ შეიქმნეს საშუალება გერმანიის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედებისათვის. ხელშეკრულების ტექსტში სიტყვაც კი არ იყო თქმული გერმანიის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ, მაშინ როდესაც სწორედ ეს თანამშრომლობა აძლევდა 8 აპრილის შეთანხმებას პირველხარისხოვანი ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობას“ [4]. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

---

[1] Лемонон, Очерк истории англо-французских отношений, გვ. 71.

[2] იქვე, გვ. 76.

[3] იქვე, გვ. 68.

[4] История дипломатии, ტ. II, გვ. 164.

ასე ახასიათებდა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების საბოლოო მიზანს: „ემზადებიან გერმანიასთან საომრად“[1].

თვით ინგლისელებიც კი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამ შეთანხმების ანტიგერმანულ ხასიათს. ლოიდ ჯორჯი თავის მემუარებში მოგვითხრობს: საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმების გამოცხადების დღეს მე ვესტუმრე ლორდ როზბერის საკუთარ მამულში. იგი შემეგება შემდეგი სიტყვებით: „მე ვფიქრობ, რომ თქვენ, ისევე როგორც ყველა, კმაყოფილი ხართ საფრანგეთთან ამ შეთანხმებით. მე ვუპასუხე, რომ აღტაცებული ვარ, ხელშეკრულებამ მშვიდობა დაამყარა! მან მომიგო: „თქვენ ყველა ცდებით. ბოლოს და ბოლოს ეს ნიშნავს ომს გერმანიასთან“ (ხაზი ჩვენია—გ. ჯ.)[2]. დელკასე, ეს ფრთხილი დიპლომატიც კი, რომელიც შეთანხმებას მხოლოდ კოლონიურ გარიგებად აცხადებდა, იძულებულია თქვას: „ეგვიპტის დათმობამ ბევრი ფრანგი შეაწუხა, მაგრამ მათ, როგორც რეალურ პოლიტიკოსებს, უნდა აერჩიათ ან ეგვიპტე და მასთან დაკავშირებული იმედები, ან სურვილი ელზას-ლორენის დაბრუნებისა. როგორც ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებმა, მათ უკანასკნელი ირჩიეს“[3], ე. ი. ეგვიპტე დათმეს, რათა გერმანიასთან მომავალ ომში ინგლისის კავშირი ეშოვათ. ელზას-ლორენის პრობლემის გადაჭრა ხომ გერმანიასთან ომის გარეშე არ გადაწყდებოდა.

შეთანხმების მიღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ აღმოცენებულმა „მაროკოს პირველმა კრიზისმა“ ცხადი გახადა შეთანხმების ასეთი ხასიათი. ინგლის-საფრანგეთის „გულითადი შეთანხმება“ აშკარად სამხედრო კავშირის ხასიათს ღებულობს; ორივე სახელმწიფოს გენერალურ შტაბებს შორის დაიწყო, ე. წ. „საუბრები (conversations) გერმანიის სამხედრო და საზღვაო ძალების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების კოორდინაციისათვის.

* * *

1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების შემდეგ საფრანგეთმა განსაკუთრებული აქტიურობით მიჰყო ხელი ხელშეკრულებით მოპოვებული „უფლებების“ პრაქტიკულად განხორციელებას. საფ-

---

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, გვ. 621.

[2] Давид Ллойд Джордж, Военные мемуары, т. I, М., 1934, გვ. 32.

[3] Sidney Lee, King Edward VII, ტ. II, გვ. 254. შენიშვნა 1.

რანგეთის მმართველი წრეები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ამიერიდან მათთვის მაროკოში გზა ხსნილი იყო.

1904 წლის ზაფხულში საფრანგეთის ბანკებმა მაროკოს თავს მოახვიეს კაბალური ვალი. სწორედ ამ მომენტში მაროკოს სულთანი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, რომელიც უკიდურესობამდე იყო მიყვანილი მაროკოში ამტყდარი შინაგანი აჯანყებების შედეგად. კრიზისი 1901 წლიდან დაიწყო და დასაწყისშივე მძაფრი ხასიათი მიიღო. სულთანი იძულებული გახდა სატახტო ქალაქი — მარაკეში — დაეტოვებინა და ფეცში გადასულიყო (1902 წლის მარტი). 1902 წელს აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ომარ სერბუნი, ბუ ჰამარად წოდებული. სულთნის არმიას მან რამდენიმე დამარცხება აგემა. ინგლისელები მას „საფრანგეთის აგენტ-პროვოკატორად“ სთვლიდნენ; ბუ ჰამარა, მათი მტკიცებით, საფრანგეთის მიერ იყო წაქეზებული და მისგან ღებულობდა ფარულ დახმარებას. სათანადო მასალების უქონლობის გამო ჩვენ ამის შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა ცნობილია, რომ ბუ ჰამარა იარაღს ალჟირიდან ღებულობდა[1].

როგორც უკვე ითქვა[2], საფრანგეთმა კარგად გამოიყენა ბუ ჰამარას აჯანყებით მაროკოში შექმნილი მდგომარეობა და იქ თავისი გავლენა შესამჩნევად განამტკიცა; სავსებით დასაშვებია ვიფიქროთ, რომ საფრანგეთი განზრახ, პროვოკაციულად აძლერევდა წყალს. მაროკოს ხელისუფლებამ მხოლოდ დიდი გაჭირვებით შეძლო აჯანყების ლიკვიდაცია (1909 წელს, სულთან მულეი ჰაფიდის დროს)[3]. ბუ ჰამარას აჯანყებასთან ერთად რიფის ოლქში 1903 წლიდან ერთ-ერთი ტომის ბელადის რაისულას მეთაურობით ახალი ამბოხება დაიწყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბუ ჰამარა კარგად იყენებდა მაროკოელი ხალხის უკმაყოფილებას, რომელსაც მაროკოში ევროპელთა თარეში იწვევდა. სულთნის ხელისუფლებას ევროპელთა მეგობრად და სამშობლოს მოღალატედ აცხადებდა. ბუ ჰამარას აჯანყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ყოფილა, თუმცა მასში ასეთი მოძრაობის ზოგიერთი ელემენტი გარკვევით შეიმჩნევა.

უკვე 1903 წელს სულთანი იძულებული გახდა ევროპის ბანკირებისათვის სესხი ეთხოვა. აღნიშნული წლის განმავლობაში

---

[1] G. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 127, 132; А. Аяш, Марокко, გვ. 67.

[2] იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 74 და შენიშვნა 2 იმავე გვერდზე.

[3] ტყვედქმნილი ბუ ჰამარა გალიაში შეაგდეს და ლომს დააგლეჯინეს.

სულთანმა საფრანგეთის, ბრიტანეთისა და ესპანეთისაგან დაახლოებით 800.000 გირვანქა სტერლინგი ისესხა. 1904 წლის ზაფხულისათვის მან დაფარა ვალი, რის შედეგადაც მაროკოს სახელმწიფო სრული ფინანსური გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა. სწორედ ამ მომენტს ელოდა თეოფილ დელკასე. მისი ინიციატივით საფრანგეთის ცნობილმა „პარიზისა და ნიდერლანდების ბანკმა“ (Banque de Paris et Pays-Bas) 1904 წლის 12 ივნისს მაროკოს სულთანს სესხად მისცა 62,5 მილიონი ფრანკი, წლიური 5%-ის ანგარიშით. ამ სესხის ემისიას თან ახლდა საფრანგეთის ფინანსისტების მხრივ მოხერხებული მანევრები, რის შედეგადაც სულთანმა რეალურად მიიღო მხოლოდ 48 მილიონამდე ფრანკი, ხოლო პროცენტები სესხის ნომინალური ოდენობის მიხედვით უნდა ეხადა. მიღებული თანხიდან ნაწილი ისევ 1903 წლის სესხის დაფარვას მოხმარდა. პროცენტების განაღდების ანგარიშში სულთანი იძულებული გახდა საფრანგეთისათვის დაეთმო მაროკოს საბაჟოებისა და სახელმწიფოს შემოსავლის 60%[1]. საფრანგეთის კონტროლს დაუმორჩილდა მაროკოს თითქმის ყველა პირველხარისხოვანი სავაჭრო ნავსადგური (კასაბლანკა, საფი, ტეტუანი, ლარაში, რაბატი, ტანჯერი, მაზაგანი, მოგადორი). ვალის შედეგად მაროკო საფრანგეთის კაპიტალის კაბალაში აღმოჩნდა[2]; საფრანგეთის კაპიტალისტები, ითვალისწინებდნენ რა მაროკოს გაკოტრებას, მას ტუნისის ბედს უწინასწარმეტყველებდნენ[3].

1904 წლის მაისში მაროკოში ახალ გართულებას ჰქონდა ადგილი. მაროკოს ურჩი ტომების ბელადმა რაისულამ ტყვედ ჩაიგდო და გაიტაცა ორი ამერიკელი მოქალაქე — პერდიკარისი და ვარლეი. ჩ. ა. შ. შ. მთავრობა აღაშფოთა რაისულას მოქმედებამ. პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის სპეციალური ბრძანებით ამე-

---

[1] 1904 წლის სესხი სულთანს თავს მოახვია საფრანგეთის ბანკების კონსორციუმმა, რომელშიაც შედიოდნენ: „კონტუარ დ'ესკონტ“, „კრედი ენდუსტრიელ ე კომერსიალ“, „სოსიეტე მარსეიზ დე კრედი“. „ბანკ დე ლ'იუნიონ პარიზიენ“ (აქ გაერთიანებული იყო მირაბოს, მალეს, შლიუმბერგერისა და ნიფლიცის პროტესტანტული საბანკო კანტორები). ხელმძღვანელ როლს „ბანკ დე პარი ე დე პეი-ბა“ ასრულებდა. სესხის ორგანიზებაში მონაწილეობდა აგრეთვე „კომპანი მაროკენ“. А. Аяш, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

[2] „ამრიგად, შერიფის იმპერია მახეში გაება, საიდანაც მას თავის დაღწევა აღარ შეეძლო“,—შენიშნავს აიაში, А. Аяш, დასახ. ნაშრ., იქვე.

[3] 1904 წლის 12 ივნისის სესხის შესახებ იხ. Александров, დასახ. ნაშრ., გვ. 24; Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 38; G. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 108, 127, 128.

რიკის ფლოტმა მაროკოს წყლებში დემონსტრაცია მოაწყო. ტყვეების განთავისუფლების საქმეში საფრანგეთის მთავრობაც ჩაერია. რაისულამ მიიღო 70.000 დოლარი და ამერიკელი მოქალაქეები გაანთავისუფლა. ფრანგებს ამით კიდევ ერთი საბაბი მიეცათ დაემტკიცებინათ, რომ „რეფორმების“ გატარება აუცილებელი და საჩქაროაო, რომ რეფორმების გატარებით საფრანგეთი არა მარტო თავისთვის, არამედ მაროკოს ხალხისა და მასთან ეკონომიური ურთიერთობის მქონე ყველა სახელმწიფოსათვის სასარგებლო საქმეს გააკეთებსო. ამავე დროს მაროკოს ნავსადგურ ლარაშში მცირედი მღელვარება მოხდა. ეს საკმარისი იყო ფრანგებისათვის, რათა მათ იქ „წესრიგის დასამყარებლად“ კრეისერი გაეგზავნათ. დაახლოებით იმავე პერიოდში ფიგიგის რაიონში (ალჟირ-მაროკოს საზღვარზე) რამდენიმე ახალი სამხედრო რაზმი იქნა შეყვანილი. ამავე დროს გადადგმულ იქნა ახალი ნაბიჯები მაროკოში საფრანგეთის სამხედრო კონტროლის შემდგომ განმტკიცებისათვის. ჯერ კიდევ 1903 წელს საფრანგეთმა აიძულა სულთანი დაეთმო მისთვის მაროკოს მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი სამხედრო ნაწილების ორგანიზების უფლება. 1904 წლის ზაფხულში საფრანგეთმა ასეთივე უფლება მოიპოვა ტანჟერის მიმართაც. მალე საფრანგეთმა ასეთივე უფლებები გაავრცელა კასაბლანკაზე, რაბატსა და ლარაშზე. ზემოაღნიშნულ პუნქტებში სამხედრო რაზმები ფრანგულ ყაიდაზე იწრთვნებოდნენ ფრანგი ინსტრუქტორ-ოფიცრების ხელმძღვანელობის ქვეშ.

დაბოლოს, საფრანგეთის მთავრობა შეუდგა მაროკოში ფართო რეფორმების გატარებისათვის ბზადებას. რეფორმები უნდა ჩატარებულიყო საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელობით, მის მიერ წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით და უნდა შეხებოდა: არმიას, მმართველობას, პოლიციას, გზებს, საზღვრებს, სახელმწიფო ბანკსა და ფინანსებს, საბაჟოებს, სასალხო განათლებას, სანიტარულ ღონისძიებებსა და სხვ. საფრანგეთის მთავრობაჰ ამ პროგრამის განხორციელება მიანდო საფრანგეთის რეს. პუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელს ტანჟერში, სენ-რენე ტაილანდიეს. იგი 1905 წლის იანვრის დასაწყისში ამალის თანხლებით, რომელშიც სამხედრო რაზმი შედიოდა, ფეცისაკენ გაემართა, სადაც მაროკოს სულთანი და მთავრობა იყო მაშინ. საფრანგეთის წარმომადგენლები მაროკოს სულთნის კარზე ჩვეულებრივი ცერემონიებით იქნენ მიღებულნი. სენ-რენე ტაილანდიე შეუდგა თავისი მისიის განხორციელებას. რეფორმების პროექტი პირველ რიგში ითვალისწინებდა: 1. მაროკოს არმიის რეორგანიზაციას

ფრანგების დახმარებით; 2. ხელშეკრულების ხელმოწერას სულთანსა და საფრანგეთის მთავრობას შორის, რომლის ძალითაც სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური გავლენა მაროკოში უნდა აღმოფხვრილიყო; 3. მაროკოს ფულად ფონდებზე საფრანგეთის კონტროლის დაწესებას[1]. საფრანგეთის მიერ შემუშავებული რეფორმების საერთო პროგრამის განხორციელება მოასწავებდა მაროკოს „ტუნისიფიცირებას", ე. ი. ტუნისისდაგვარად მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის გავრცელებას[2]. მაროკოს საკითხში სწორედ ამ მომენტიდან იწყება არსებითი გარდატეხა.

კაიზერისეული გერმანია, რომელიც აქამდე „მაროკოს საკითხში" ოფიციალურად თითქმის სრულ ლოიალობას იჩენდა, აქტიურად და დემონსტრაციულად ჩაერია მაროკოს საქმეებში. „გერმანიის დიპლომატიამ საქმე დაიწყო იმით, რომ წააქეზა მაროკოს სულთანი საფრანგეთის ზრახვების უარსაყოფელად"[3], ხოლო 1905 წლის 31 მარტს გერმანიის კაიზერი ვილჰელმ II ტანჟერში ჩავიდა. კაიზერის ვიზიტი წინასწარ მომზადებული იყო გერმანიის რაიხსკანცლერ ფონ ბიულოვის მიერ.

მაროკოს სულთანმა ძვირფასი სტუმრის შესახვედრად თავისი ბიძა, აბდ-ელ-მელიქი გაგზავნა. ნაპირზე გადმოსულ ვილჰელმს ბედაური მიაგებეს. საზეიმოდ მორთული ქუჩებით იგი გერმანიის დიპლომატიური კორპუსის შენობისკენ გაემართა, სადაც ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა და სულთნის დელეგაციის წინაშე წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, რომელმაც მალე მთელი ევროპა შეძრა: „დღეს მე ვესტუმრე მაროკოს სულთანს, როგორც დამოუკიდებელ ხელმწიფეს. მე ვიმედოვნებ, რომ თავისუფალი მაროკო, სულთნის სუვერენული ხელისუფლების ქვეშ, ღიად დარჩება ყველა ერის მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის, ყოველგვარი მონოპოლიებისა და ანექსიების გარეშე, სრული თანასწორობის პირობებში... ჩემი ჩამოსვლა ტანჟერში მიზნად ისახავს აუწყოს ყველას, რომ მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი გამოვიყენო ჩემს ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა წარმატებით დავიცვა გერმანიის ინტერესები მაროკოში"... საფრანგეთის დიპლომატიური აგენტის გრაფ შერისეს გასაგონლად, რომელიც იმპერატორს წარუდგა, ჩვეულებრივი დიპლომა-

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6538.

[2] История дипломатии, ტ. II, გვ. 168.

[3] იქვე.

ტიური ეტიკეტის მიხედვით თაყვანი სცა და საფრანგეთის მთავრობის სახელით მიესალმა მის ჩამობრძანებას. კაიზერმა თქვა: „მე მსურს გერმანიასა და ყველა სხვა ქვეყანას მოვუპოვო აქ ვაჭრობის თავისუფლება და სრული თანასწორობა... მივიჩნევ რა სულთანს, როგორც თავისუფალ ხელმწიფეს, მე მსურს მისი ინტერესების დაცვის პირობების შესახებ მხოლოდ მას შევუთანხმდე...“ ვილჰელმი აღნიშნავდა, რომ იგი შესაძლებს მიაღწიოს თავის კანონიერ მოთხოვნათა ყველას მიერ აღიარებას და იმედს გამოთქვამდა, რომ საფრანგეთიც სათანადოდ სცემდა პატივს ამ მოთხოვნებს. ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ გაფითრებული გრაფი შერისე შეეცადა რაღაც ეპასუხა იმპერატორისათვის, მაგრამ ვილჰელმმა აგრძნობინა მას თავის დაკვრით, რომ მასთან საუბარი დაამთავრა. თავჩაქინდრული, ფერდაკარგული გრაფი გაშორდა იმპერატორს. ვილჰელმს არც ფეცში მყოფი სენ-რენე ტაილანდიე და მისი მოღვაწეობა გამოპარვია მხედველობიდან. „...რაც შეეხება რეფორმებს, რომელთა აქ გატარება სულთანს განუზრახავს, — ამბობდა კაიზერი, — მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა მეტად ფრთხილად მოქმედება, საჭიროა ანგარიში გაეწიოს მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებს და აცილებულ იქნას საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევა“: „არ შეიძლება მაროკოში ევროპული წესების ხელაღებით შემოტანა, რეფორმებმა არ უნდა შელახონ ადგილობრივი ადათები და ზნე-ჩვეულებანი, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ყურანს... ამიტომ,—ამბობდა ვილჰელმი, — ამ საკითხებში განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს მაროკოს წარჩინებულთა რჩევას... არ უნდა გატარდეს რეფორმები მათი თანხმობის გარეშე და გერმანიის მთავრობასთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე“ [1]. „მე არ მსურს მაროკოში მეორე ტუნისი ვიხილო“,—განაცხადა დაბოლოს ვილჰელმმა კერძო საუბარში [2].

ვილჰელმ II ტანჟერში დიდხანს არ გაჩერებულა. დილის 9 საათზე ჩამოსული, 3 საათზე უკვე გემზე იყო და გზას განაგრძობდა. კაიზერის პირით გერმანია უცხადებდა ინგლისს და

---

[1] ვილჰელმ II-ის მიერ ტანჟერში წარმოთქმული სიტყვების ტექსტი იხილე კრებულში: „Международные отношения 1870—1918 гг.“. დოკ. № 80. გვ. 155. ვილჰელმის ტანჟერში ყოფნის შესახებ ვრცელ ანგარიშს იძლევა ვილჰელმის მრჩეველი ბარონი ფონ შენი. იხილე Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6589.

[2] G. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

საფრანგეთს, რომ იგი არ სცნობს 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებას, რომ იგი არ დაუშვებს მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრებას, რომ თვითონ არანაკლებ დაინტერესებულია მაროკოთი და ყოველივე ძალას იხმარს თავისი ინტერესების უზრუნველსაყოფად. გერმანიის მხრივ „ეს იყო საფრანგეთის საჯარო, თავხედური გამოწვევა“ [1].

საფრანგეთში დიდი შეშფოთება სუფევდა. იქ ჯერჯერობით კარგად ვერ გაეგოთ, რას მოასწავებდა ყოველივე ეს, უბრალო „ბლეფს“ თუ ომის აშკარა საფრთხეს. გერმანია სწორედ ომით იმუქრებოდა. „მაროკოს საკითხი“ საერთაშორისო ურთიერთობის კოშმარად გადაიქცა. ასე დაიწყო „მაროკოს პირველი კრიზისი“, რომელიც მთელი ერთი წლის განმავლობაში საფრთხეს უქმნიდა ევროპის მშვიდობიანობას, რადგანაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მისი გადაზრდა სისხლისმღვრელ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში.

როგორი იყო გერმანიის ინტერესები მაროკოსადმი? რით აიხსნება გერმანიის ესოდენ ხანგრძლივი დუმილი? რატომ სწორედ 1905 წლის მარტში გამოამჟღავნა გერმანიამ მაროკოს მიმართ თავისი ნამდვილი ზრახვები? რას უქადდა მსოფლიოს გერმანიის ჩარევა მაროკოს საქმეებში? როგორ წარიმართა მაროკოს პირველი კრიზისი? აი ის კითხვები, რომლებიც პასუხის გაცემას მოითხოვენ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მაროკოსადმი გერმანიის დამოკიდებულების საერთო ისტორია მოვხაზოთ; ზედმეტად არ მიგვაჩნია აგრეთვე გერმანიის კოლონიური პოლიტიკის ზოგადი სურათიც წარმოვადგინოთ.

---

[1] История дипломатии, ტ. II, გვ. 169.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

გერმანიის გამოსვლა მსოფლიო კოლონიურ ასპარეზზე

§ 1. მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის სამზადისი გერმანიაში

1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სარკეებიან დარბაზში პრუსიის მეფე ვილჰელმ I გერმანიის იმპერატორად გამოაცხადეს. გაერთიანებული გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი ხარობდა თავისი შემოქმედებით. გერმანიის „ზევიდან“ „რკინითა და სისხლით“ გაერთიანების ბისმარკისეული გეგმა განხორციელდა. ამიერიდან გერმანიის ისტორიაში სრულიად ახალი პერიოდი დაიწყო. „გაჩნდა ახალი მტაცებელი, 1871 წელს შეიქმნა ახალი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც განუზომლად უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისი... გერმანიის კაპიტალიზმის ეს სწრაფი განვითარება იყო განვითარება ახალგაზრდა და ძლიერი მტაცებლისა“[1]. გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარება წარმოებდა გიგანტური ტემპებითა და ნახტომებით. გერმანიამ მრეწველობის განვითარების ტემპებით საგრძნობლად გაუსწრო ინგლისსა და საფრანგეთს. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში კაპიტალიზმი იმპერიალიზმში გადაიზარდა.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის მრეწველობა თავისი სიძლიერით აღემატებოდა ინგლისისა და საფრანგეთისას. მრეწველობის საერთო ზრდის სურათი 1870—1913 წლებში შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ინგლისში მრეწველობის ზრდა უდრიდა

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, ომი და რევოლუცია, თხზ., ტ. 24, გვ. 486.

127%-ს, საფრანგეთში — 203%-ს, გერმანიაში კი — 471%-ს. სამრეწველო პროდუქცია 1880—1900 წლებში ინგლისში გაიზარდა 49%-ით, საფრანგეთში — 65%-ით, გერმანიაში — 163%-ით. ჩ. ა. შ. შ. — 208%-ით [1]. გერმანიის მრეწველობას ახასიათებდა კონცენტრაციის მაღალი ხარისხი, რაც ფართო საფუძველს ქმნიდა მონოპოლიური კავშირების შექმნისათვის. თუ 1865 წელს გერმანიაში 4 კარტელი იყო, 1875 წელს მათი რიცხვი ორჯერ გაიზარდა, 1885 წელს გერმანიაში უკვე 90 კარტელია, 1890 წელს—210, 1905 წელს—385, 1911 წელს—550—600 [2]. „გერმანიაში არ არის ტრესტები, არის „მხოლოდ" კარტელები, მაგრამ გერმანიას განაგებს კაპიტალის სულ რაღაც 300 მაგნატი",—აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი [3]. 1900 წელს ფოლადის გამოდნობაში გერმანიას მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს ჩ. ა. შ. შ. შემდეგ, თუჯის გამოდნობაში ევროპაში მეორე, ხოლო მსოფლიოში — მესამე ადგილი, ასევეა ქვანახშირის მოპოვებაშიც. გერმანიაში იმპერიალიზმი უაღრეს განვითარებას აღწევს. „აქ ჩვენ გვაქვს „უკანასკნელი სიტყვა" თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკისა და იმ გეგმაშეწონილი ორგანიზაციისა, რომელიც ექვემდებარება იუნკრულ-ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს", — წერდა ვ. ი. ლენინი [4]. ამასთანავე გერმანიის იმპერიალიზმს ახასიათებდა უაღრესი აგრესიულობა და რეაქციულობა.

გერმანიის გამოსვლა კოლონიური ექსპანსიის ასპარეზზე გვიან მოხდა, როცა მსოფლიო უკვე ძირითადად განაწილებული იყო ძველ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ინგლისმა, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ, რუსეთმა და სხვებმა უკვე მოასწრეს კოლონიების უდიდესი ნაწილის მითვისება. გერმანიის მონოპოლიური კაპიტალის კოლონიურ მისწრაფებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ იმპერიალისტური ომით

---

[1] И. Гольдштейн и Р. Левина, Германский империализм, М., 1947, გვ. 54.

[2] Г. Козлов, Германский разбойничий империализм, М., 1944, გვ. 15.

[3] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია. თხზ., ტ. 22, გვ. 269.

[4] ვ. ი. ლენინი, „მემარცხენე" ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ, თხზ., ტ. 27, გვ. 405.

ძველი იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. გერმანიის კაპიტალიზმის ამ დაგვიანებული, მაგრამ სწრაფი განვითარებით აიხსნება სწორედ მისი უკიდურესად აგრესიული ხასიათი. მსოფლიოს დაპყრობის იდეა, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა გერმანული იმპერიალიზმის პოლიტიკაში, მოასწავებდა სისხლიან ომს ინგლისთან, საფრანგეთთან, რუსეთთან. ამ ომისათვის გერმანიის იმპერიალიზმს ერთგული მოკავშირე ჰყავდა მილიტარიზმის სახით.

ვ. ი. ლენინი გერმანიის იმპერიალიზმს „იუნკრულ-ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს" უწოდებს. „იმ ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც იმპერიალიზმი ფეოდალური ნაშთებისაგან უკვე გაწმენდილ ნიადაგზე განვითარდა, გერმანული იმპერიალიზმი ყალიბდებოდა და მწიფდებოდა ისეთ ქვეყანაში, სადაც პრუსიული იუნკერი ბატონობდა. განვითარდა რა ამ პირობებში და გადაეხლართა რა ფეოდალურ ურთიერთობათა ნაშთებს, გერმანული იმპერიალიზმი გამოვიდა როგორც უაღრესად რეაქციული და აგრესიული ძალა" [1]. იმპერიალისტური გერმანიის სახელმწიფო მმართველობის სადავეები და არმიის ხელმძღვანელობა იუნკრების ხელში იყო. „იუნკრულ-მონარქიული ბიუროკრატიისა და უკიდურესად განვითარებული მილიტარიზმის სახით გერმანიის მონოპოლიურმა კაპიტალმა ჰპოვა ბასრი იარაღი, როგორც მუშათა კლასის დათრგუნვისათვის, ასევე მსოფლიოს შეიარაღებული ძალებით ხელახალი გადანაწილებისათვის" [2].

გერმანიის მონოპოლიურ კაპიტალსა და რეაქციულ იუნკრობას შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა. იუნკრობა, განასახიერებდა „პრუსიელობის ყველაზე უფრო რეაქციულ თვისებებს": „უხეში, აღვირახსნილი ძალის კულტი, მონური მორჩილების მოთხოვნა, არმიაში პრუსიული სამხედრო წვრთნისა და ჯოხის დისციპლინის დანერგვა, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ვერაგობა და პროვოკაცია" [3],—საუკეთესო ძალას წარმოადგენდა მუშათა კლასისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში; იუნკრობა დესპოტიზმისადმი მონური მორჩილების კულტს ნერგავდა გერმანელ ხალხში; ყოველგვარი ზეთოდებით ამტკიცებდა სამხედრო-ბიუროკრატიულ სახელმწიფო წყობილებას, რომელიც აუცი-

---

[1] მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ, თბილისი, 1943, გვ. 74.

[2] Гольдштейн и Лозина, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

[3] მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ, გვ. 3.

ლებელი იყო მონოპოლისტური კაპიტალისათვის, მშრომელთა ექსპლოატირებული მასების მორჩილებაში ყოლისათვის და აგრესიული, ყაჩაღური პოლიტიკის გატარებისათვის. თავის მხრივ, იუნკრობაც დიდად მოსურნე იყო დაპყრობითი პოლიტიკისა, როგორც ახალი მიწების ხელში ჩაგდების, არმიის გაზრდისა და სამხედრო კასტის გავლენის ზრდის საშუალებისა, რის შედეგადაც გაძლიერდებოდა მისი საკუთარი კლასი, კლასი იუნკრებისა, რომელსაც არმიაში ხელმძღვანელი პოსტები ეკავა[1]. ამასთანავე, გერმანიის მონოპოლიური კაპიტალის მაგნატთა შორის ჩვენ არა ერთ დიდგვაროვან არისტოკრატს ვხვდებით. მათ შორის აღსანიშნავია: პრინცი კარლ ჰოჰენლოე ერინჰენი, თავადი ხრისტიან კრაფტ ჰოჰენლოე ერინჰენი, თავადი მაქს ეჰონ ფიურსტენბერგი, ჰერცოგი ფრანც ფონ რატიბორი და სხვ.[2]

გარდა ამისა, სწორედ იუნკრობა იყო პრუსიული მილიტარიზმის „სახელოვანი" ტრადიციების მატარებელი. პრუსიული მილიტარიზმი აუცილებელი საშუალება იყო გერმანიის იმპერიალიზმისათვის „დიდი ომის" საწარმოებლად. „კაპიტალისტური საზოგადოება, რომელსაც ფორმალურად ჯერ კიდევ არ დაუმორჩილებია სახელმწიფო, — წერდა ენგელსი,—იძულებულია ნამდვილი მმართველობა მონარქიულ-ბიუროკრატიულ-იუნკრულ საბემკვიდრეო კასტას დაუთმოს და იმით დაკმაყოფილდეს, რომ საერთოდ და მთლიანად გადამწყვეტ როლს საბოლოო ანგარიშით მისი საკუთარი ინტერესები თამაშობენ..."[3]. გერმანიაში იმპერიალიზმი და მილიტარიზმი მჭიდროდ გადაეხლართნენ ურთიერთს, ისე, როგორც არსად. ახალი გერმანული მილიტარიზმი, რომლის სოციალურ-ეკონომიური საფუძველი იმპერიალიზმი გახდა, მსოფლიოს მოევლინა როგორც უსაშინელესი ძალა. ძველი პრუსიულ-იუნკრული სამხედრო-ფეოდალური ტენდენციები, გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულ მისწრაფებებთან ერთად, დიდ საფრთხეს უქადდა კაცობრიობას. იუნკრებსა და კაპიტალის მაგნატებს შორის არსებული ეს რეაქციული მჭიდრო კავშირი მტკიცედ დამკვიდრდა გერმანიის ცხოვრებაში. პრუსიის იუნკრობა ოტო ფონ ბისმარკის ხელმძღვანელობით წამყვან როლს ინარჩუნებდა ახლად

---

[1] Козлов, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[2] Лифман. Фондовый капитализм, М., 1930, გვ. 145.

[3] ენგელსის წერილი ა. ბებელისადმი, 1892 წლის 19 თებერვალი. ციტ. კრებულიდან „მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ", გვ. 61—62.

გაერთიანებულ გერმანიაში. კავშირი იუნკრებსა და მონოპოლიური კაპიტალის მაგნატებს შორის გერმანიაში კიდევ უფრო განმტკიცდა პირველ იმპერიალისტურ ომამდელ პერიოდში, კაიზერ ვილჰელმ მეორის ბატონობის დროს.

მსოფლიო ასპარეზზე გამოსული გერმანიის სახელით ფონ ბიულოვი აცხადებდა: „ევროპამ თავის წრეში დაუშვა ახალი წევრი, რომელსაც აქვს არა მარტო საკუთარი ინტერესები, არამედ შესაძლებლობაც გააჩნია მათ დასაცავად“ [1]. გერმანიის იმპერიალიზმი აქტიურად შეუდგა თავისი ინტერესების განხორციელებას.

გერმანიის ახალგაზრდა, სწრაფი განვითარების გზაზე მდგარმა ბურჟუაზიამ ჯერ კიდევ ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის არსებობის პერიოდში დააყენა კოლონიების შეძენის საკითხი. გერმანული კოლონიური პოლიტიკის პიონერებად მისიონერები და სავაჭრო კომპანიები გვევლინებიან. მათთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდნენ ე. წ. ჰანზის ქალაქები, განსაკუთრებით — ჰამბურგი. უკვე 1833 წელს ჰამბურგელმა ვაჭრებმა სავაჭრო ურთიერთობა გააბეს დასავლეთ და სამხრეთ აფრიკასთან. 1864 წელს გერმანიაში შეიქმნა კომპანია დასავლეთ აფრიკასთან სავაჭროდ. კომპანიის კაპიტალი 700.000 მარკას უდრიდა. 70-იან წლებში ჩამოყალიბდა დიდი გერმანული კომერციული საზოგადოება „Mission Handels-Aktengesellschaft“, რომელმაც ფართო კოლონიური საქმიანობა წამოიწყო [2]. გერმანიის ცალკეული ფირმები, მათ შორის ჰამბურგისა და ბრემენის ცნობილი სავაჭრო-საზღვაო საზოგადოებები, საკუთარი ინიციატივით ხელთ იგდებენ მთელ რიგ პუნქტებს აფრიკის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროებზე, ახალ გვინეაზე, ოკეანიის კუნძულებზე, სამოაზე და სხვ. და იქ სავაჭრო ფაქტორიებს აარსებენ. ისინი ბისმარკისაგან მოითხოვენ, რათა მან მხარი დაუჭიროს მათ ინიციატივას და აქტიურად ჩაებას კოლონიურ პოლიტიკაში. მათ მოთხოვნებს მხარს უჭერენ გერმანიის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფინანსური კაპიტალის მაგნატები.

---

[1] Бернгард фон Бюлов, Державная Германия, Петроград—Москва, 1915, გვ. 4.

[2] საინტერესო მასალა გერმანიის კოლონიური პოლიტიკის შესახებ XIX საუკუნის 70—80-იან წლებში მოტანილია ხეიფეცის სტატიაში „К истории колониальной политики германского империализма в 70—80-х годах XIX века“, „Ученые записки Кабардинского государственного педагогического института“, выпуск VII, Нальчик, 1955.

70—80-იან წლებში გერმანიის ბურჟუაზიამ განსაკუთრებული სიმწვავით დასვა კოლონიების საკითხი და მის ირგვლივ ფართო პროპაგანდა გააჩაღა. 1879 წელს გამოდის ვინმე ფაბრის წიგნი სათაურით: „საჭიროებს თუ არა გერმანია კოლონიებს?“. აქ ავტორი ამტკიცებს, რომ გერმანია, ეკონომიური ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა სახელმწიფოებთან თანასწორად საჭიროებს კოლონიებს; გერმანიამ ხელი უნდა მიჰყოს კოლონიების დაპყრობას. ავტორი მიუთითებს კიდეც დასაპყრობ ობიექტებზე. ესენია: სამოა, ახალი გვინეა, ბორნეო, ფორმოზა, ცენტრალური აფრიკა და სხვა. ეს წიგნი გერმანიის მზარდი იმპერიალიზმის ინტერესებს გამოხატავდა[1]. აღნიშნული პერიოდისათვის კოლონიური პროპაგანდა ფართო ხასიათს ღებულობს, იწერება უამრავი წიგნი და ბროშურა კოლონიების დაპყრობის აუცილებლობის შესახებ. 1885 წლისათვის გერმანიაში ასეთი ნაშრომების 30 ტომამდე დაგროვდა[2]. ამ პროპაგანდის ინიციატორები გერმანიის სამრეწველო, სავაჭრო და ფინანსური წრეები იყვნენ, მათ შორის: ფინანსისტი ადოლფ ფონ ჰანზემანი, ცნობილი ბანკის „Diskonto-Gesellschaft“-ის ერთ-ერთი მესვეური, ბლაიხრედერი (იგი აფინანსებდა „სამხრეთ ზღვებზე ვაჭრობის საზოგადოებას“), დიდვაჭარი ვოერმანი და სხვ. ფრანკფურტის ზავის წინ, როცა ცნობილი გახდა, საფრანგეთმა დიდი კონტრიბუცია უნდა იკისროსო, ბრემენელ და ჰამბურგელ ვაჭართა ჯგუფმა მოითხოვა, რომ საფრანგეთს კონტრიბუციის ანგარიშში ზოგიერთი კოლონია დაეთმო. ამასთანავე, ისინი პირადი რისკითა და ინიციატივით კვლავ განაგრძობდნენ გაცხოველებული კოლონიური ოპერაციების წარმოებას და დაჟინებით მოითხოვდნენ მთავრობისაგან, რათა მას მხარი დაეჭირა მათი საქმიანობისათვის. მთავრობამ სათანადო ნაბიჯებიც გადადგა. 1876 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება კუნძულ ტონგას ბელადთან. ჰამბურგის ფირმა „Godeffroy“ სამოაზე და წყნარ ოკეანეში დიდ საქმიანობას აჩაღებს, რაშიც ცდილობს გერმანიის მთავრობის ჩათრევას. გოდფრუას ფირმამ სამოას კუნძულებზე უკვე 1857 წლიდან მოიკიდა ფეხი და 1859 წლისათვის თითქმის მთელ იქაურ მიწა-წყალს მონოპოლიურად დაეპატრონა. 70-იანი წლების დამლევს ფირმა იქ 160.000 პრუსიულ მორგენ მიწას ფლობდა. 1879 წელს გერმანიის მთავრობამ

---

[1] Юг, Империализм на черном континенте, М., 1929, გვ. 9.

[2] Паркор Томас Мун, Империализм и мировая политика, М.—Л., 1923, გვ. 15.

სამოას კუნძულის ბელადებთან დადო ხელშეკრულება, რომელიც ხელს უწყობდა გერმანიის ეკონომიურ შეჭრას ამ კუნძულზე. ვოერმანის დიდი ფირმა აფრიკითაა დაინტერესებული და აგიტაციას ეწევა ამ კონტინენტზე გერმანიის დამკვიდრებისათვის. გერმანელი კაპიტალისტი ვებერი, რომელსაც სამხრეთ აფრიკაში ალმასების დიდი საბადოები ჰქონდა, მოითხოვს ტრანსვაალზე გერმანიის პროტექტორატის გამოცხადებას. ვებერთან და ვოერმანთან ერთად გერმანიის მიერ აქტიური კოლონიური პოლიტიკის გაჩაღებას მოითხოვენ მრეწველების, ფინანსისტებისა და ვაჭრების ფართო წრეები, ბრემენელი ვაჭრის ლუდერიცის, ფონ მალტცის, პრინც ჰოჰენლოეს, ფრიდრიხ კოლინის, დოქტორ კარლ პეტერსისა და სხვათა სახით. მაგრამ ბისმარკისათვის, რომელიც „ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეპოქაში, როცა იმპერიალიზმი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული, კოლონიური პოლიტიკის პრობლემები არ იდგა... წინა პლანზე“ [1]. კოლონიების დაპყრობის საქმეში ბისმარკი კარგა ხანს გარკვეულ ინდიფერენტიზმს იჩენდა. იგი ე. წ. „კონტინენტურ პოლიტიკას“ ატარებდა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ახალგაზრდა გერმანიის იმპერიის შენარჩუნება და გაძლიერება, გერმანიისათვის ევროპაში ჰეგემონიის მოპოვება. ბისმარკის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. მათი სახით იგი ხედავდა ევროპაში გერმანიის გაბატონების ძირითად მოწინააღმდეგეებს, რომელთა ტერიტორიების ხარჯზეც სურდა მას „დიდი შუაევროპული სახელმწიფოს“ შექმნა. აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას ბისმარკი გაურბოდა იმის გამოც, რომ არ სურდა ინგლისთან ურთიერთობის გამწვავება. რაც გერმანიის ახალგაზრდა იმპერიის განმტკიცებისათვის საზიანო იქნებოდა. ამით აიხსნება ბისმარკის გარკვეული გულგრილობა კოლონიური საკითხებისადმი. საყოველთაოდ ცნობილია ბისმარკის სიტყვები: „მე სრულიადაც არ მსურს კოლონიები, ისინი მხოლოდ სინეკურათა შექმნას ემსახურებიან; ესაა ყოველივე, რასაც ამჟამად ინგლისი ღებულობს თავის კოლონიებისგან, ისევე, როგორც, თუ გნებავთ, ესპანეთი; და ჩვენთვის, გერმანელებისათვის, კოლონიები იგივე იქნებოდა, რაც ფარჩა და აბრეშუმი პოლონელი აზნაურისათვის, რომელსაც არ გააჩნია პერანგი აბრეშუმის ტანისამოსის ქვეშ ჩასაცმელად“ [2].

---

[1] История дипломатии, ტ. II, გვ. 100.

[2] Ю г. დასახ. ნაშრ., გვ. 9.

შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ბისმარკი წინააღმდეგი იყო საერთოდ კოლონიური პოლიტიკისა. პირიქით, მას ღრმად სწამდა, რომ იმპერიალიზმის გზაზე დამდგარი გერმანიისათვის კოლონიური ექსპანსია ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. როდესაც, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ბისმარკს შეეკითხნენ, თუ რა გზით შეიძლება შეჩერდეს ინგლის-გერმანიის მტრობა და მეტოქეობა, მან უპასუხა, რომ იცის მხოლოდ ერთი საშუალება: „გერმანიის მრეწველობის ზრდის შეჩერება", მაგრამ ამ ღონისძიების გატარებას ბისმარკი „მიუღებლად" სთვლიდა [1]. 70—80-იან წლებში ბისმარკი გერმანიის მრეწველობის განვითარებისათვის საკუთარ, ადგილობრივ ბაზასაც საკმარისად მიიჩნევდა: „ჩვენს ხელთ არის ფართო ბაზარი 50 მილიონი სულისაგან შემდგარი, ჩვენს ხელთ არის ელზას-ლოტარინგია. როდის შევძლებთ ჩვენ აქ შევქმნათ ყველაფერი საჭირო — რკინიგზები, ფაბრიკები, როდის შევძლებთ ჩვენ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ხალხის მყიდველობითი მოთხოვნილება? ამისათვის მრავალი ათეული წელია საჭირო და აბა რად გვინდა ვიფიქროთ აფრიკისათვის, რად გვინდა ჩვენ იგი?" [2]. მაგრამ, ამავე დროს, ბისმარკს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია გერმანიაში იმპერიალიზმის სწრაფი განვითარებისათვის, რომელიც დღითიდღე სულ უფრო და უფრო მწვავედ აყენებდა კოლონიების შეძენის საკითხს. 1884 წლიდან ბისმარკი ფაქტიურად ჩაება კოლონიურ საქმიანობაში. 1889 წლის იანვარში ბისმარკმა რაიხსტაგში განაცხადა: „თავდაპირველად მე არ ვიყავი კოლონიური პოლიტიკის მომხრე, მე ამ საქმეში სამართლიანი დაეჭვების უფლება მქონდა. მხოლოდ საზოგადოებრივი აზრისა და უმრავლესობის ზემოქმედებამ მაიძულა კაპიტულაციაზე წავსულიყავი და დავმორჩილებოდი მას" [3]. გარდა ამისა, ბისმარკზე გავლენა მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ საერთაშორისო ურთიერთობა გერმანიის ასეთი მოქმედების სასარგებლოდ ვითარდებოდა. „საფრანგეთის მიერ ტუნისის, ინგლისის მიერ ეგვიპტის, რუსეთის მიერ თურქმენეთის დაპყრობამ უკიდურესად გაამწვავა საფრანგეთ-იტალიის, ინგლის-საფრანგე-

---

[1] Ф. Нотович, К вопросу о зачинщиках войны, ჟურნ. „Историк марксист", 1938, № 4, გვ. 22.

[2] М. Павлович, Основы империалистической политики, М., 1921, გვ. 22.

[3] Гольдштейн и Левина, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

ი.ასა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა. ამ სახელმწიფოთა შორის ჭიშპობა უზრუნველყოფდა გერმანიის მდგომარეობას ევროპაში"[1].

1883 წელს ბრემენელმა ვაჭარმა ადოლფ ლიუდერიცმა, რომელმაც სანაპიროებზე დააარსა კოლონია ანგრა-პეკენა, ბისმარკისაგან დაჟინებით ითხოვა მხარდაჭერა და გერმანიის სახელმწიფოს მიერ ამ კოლონიაზე ოფიციალური უფლების გამოცხადება. ეს ტერიტორია ლიუდერიცმა შანტაჟისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოტყუების გზით იგდო ხელთ. 1862 წელს ლიუდერიცის რწმუნებული ფოგელზანგი ყურე ანგრა-პეკენასთან (სამხრ.-დას. აფრიკა) გადავიდა ნაპირზე და იქ მოსახლე ჰოტენტოტთა ერთი ტოტის ბელადის — ფრიდრიხსისგან „შეიძინა" ტერიტორია 380 კვ. კმ. ოდენობით. ამ მიწებისათვის მან ფრიდრიხსის მისცა 200 შაშხანა, 2.000 მარკა და რამდენიმე ცალი... სათამაშო ჯარისკაცთა ფიგურები. შემდეგ ანგრა-პეკენაში თვით ლიუდერიცი გაემართა და ასეთივე ხასიათის „შესყიდვების" გზით ეს ტერიტორია გააფართოვა[2]. 1883 წლის ბოლოს ბისმარკმა ლიუდერიცის თხოვნა დააკმაყოფილა და კაპშტადტში დეპეშა გაგზავნა, სადაც იუწყებოდა, რომ ლიუდერიცის ფირმა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში მოქმედებს ოფიციალურად, გერმანიის მთავრობის დავალებით. 1884 წლის 24 აპრილს კი ბისმარკმა ლიუდერიცის კოლონიაზე უკვე გერმანიის პროტექტორატი გამოაცხადა. ეს იყო პირველი გერმანული კოლონია, „ვერმანიის სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა". იმავე 1884 წლის 15 ოქტომბერს გერმანიის პროტექტორატი გამოცხადდა ტოგოსა და კამერუნზე, სადაც ადრე ბრემენის ცნობილი ვოერმანის ფირმა მოქმედებდა. შეძენილ იქნა ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. ამ ოპერაციაში მთავარი როლი შეასრულა ბანკირთა ჯგუფმა ჰანზემანის მეთაურობით, რომელსაც მხარს უჭერდა ბისმარკი. ახალ გვინეაზე გერმანელთა ბატონობის გავრცელებაში დიდი დამსახურება მიუძღვის გერმანელ მეცნიერს დოქტორ ფინშს. ახალ გვინეასთან ერთად გერმანიამ დაიმკვიდრა სოლომონის კუნძულთა ჯგუფი და კუნძულთა ჯგუფი, რომელსაც შემდეგ ბისმარკის არქიპელაგი ეწოდა. 1885 წელს

---

[1] История дипломатии, ტ. II, გვ. 72.

[2] В. Голант. Германский империализм в Африке, „Исторический журнал", 1942, № 7, გვ. 101—106.

გერმანელებმა ხელთ იგდეს აგრეთვე ე. წ. მარშალის კუნძულები. ამ დროს გერმანიის კოლონიურ ექსპანსიაში დიდ როლს ასრულებდა „გერმანიის კოლონიზაციის საზოგადოება“ („Gesellschaft für deutsche Kolonisation“), დაარსებული 1884 წელს ცნობილი კოლონიური მოღვაწის დოქტორ კარლ პეტერსის მიერ. ეს საზოგადოება შემდეგ, 1887 წელს, გაერთიანდა ჯერ კიდევ 1882 წელს დაარსებულ „Deutschen Kolonialverein“-თან და ცნობილია „Deutsche Kolonialgesellschaft-ის სახელით. „გერმანული კოლონიური საზოგადოების“ წევრთა რიცხვმა 1885 წელს 10.000-ზე მეტს მიაღწია[1]. ეს საზოგადოება გერმანიის მთავრობას აქტიურ კოლონიურ ექსპანსიისაკენ მოუწოდებდა. საზოგადოების სათაოში გერმანიის ფინანსური და მიწათმფლობელი მაგნატები იდგნენ (მსხვილი მრეწველები და ფინანსისტები: ბრიუნინგი, შტუმი, ზიგლე და სხვ. მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატიის წარმომადგენლები: ჰერცოგი ფონ რატიბორი, თავადი ჰოჰენლოე-ლანგენბურგი და სხვ.). დოქტორმა პეტერსმა, უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროს მიაპყრო თვალი და იქ გერმანიის კოლონიის მოსაწყობად ფართო აგიტაცია გააჩაღა. იქ, ზანზიბარის სულთნის სამფლობელოში, 1882 წლიდან მოღვაწეობდნენ ძმები დენბარტები, რომელთაც გერმანიის სამხედრო ფლოტის დახმარებით ხელთ იგდეს ოლქი გაპა. ეს იყო გერმანელთა პირველი დასაყრდენი პუნქტი აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მალე პეტერსმა გერმანიის ბურჟუაზიის სხვადასხვა წრეებისაგან 4 მილიონი მარკა მოაგროვა; 1885 წელს პეტერსი იულკესთან და პფაილთან ერთად ფარულად გადავიდა აღმოსავლეთ აფრიკაში. ზანზიბარის სულთნის სამფლობელოებში. აქ მან ადგილობრივი მთავრების მოსყიდვის, დაპირებებისა და ძალადობის გზით 150.000 კვ. კმ. ტერიტორია იგდო ხელთ. იმავე წელს გერმანიის მთავრობამ აქ თავისი დროშა აღმართა. ეს იყო გერმანიის კიდევ ერთი ახალი კოლონია, ე. წ. „გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკა“. გერმანიაში აღტაცებულნი იყვნენ პირველი წარმატებებით. გერმანელი ისტორიკოსი დიტრიხ შეფერი (ლეოპოლდ ფონ რანკეს მიმდევარი) კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ჩვენ უკვე დავადექით ამ გზას (კოლონიურ ექსპანსიის გზას—გ. კ.), მაგრამ პირველი მერყეევი ნაბიჯების გადადგმის პერიოდი, რომელსაც გვერდი ვერ აუარა ვერც ერთმა ერმა, ჩვენ უკვე გადავ-

[1] Паркер Томас Мур, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

ლახეთ და ყოველ ახალ ათეულ წელიწადში ჩვენი წინსვლა სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდება"[1].

XIX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოს განაწილება დასასრულს უახლოვდება. ბრძოლა დედამიწის ჯერ კიდევ გაუყოფელი ნაწილების დატაცებისათვის მწვავე ხასიათს ღებულობს. ამ ბრძოლაში გერმანიაც აქტიურად ჩაება. ამ დროისათვის ბისმარკისეული „კონტინენტური პოლიტიკა" შეიცვალა იმპერიალისტური „მსოფლიო პოლიტიკით" (Weltpolitik). გერმანიის იმპერიალიზმის „მსოფლიო პოლიტიკა", უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა გერმანიის დიდი კოლონიური იმპერიის შექმნას, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში — „გავლენის სფეროების" მოპოვებას. მსოფლიო პოლიტიკა წარმოუდგენელია კოლონიური პოლიტიკის გარეშე (Keine Weltpolitik ohne Kolonialpolitik) — ასეთი იყო გერმანიის იმპერიალიზმის დევიზი. იმპერიალისტური „მსოფლიო პოლიტიკა" მიზნად ისახავდა გერმანიისათვის მსოფლიო ბატონობის მოპოვებას. „Weltmacht oder Niedergang", — გაიძახოდნენ გერმანელი იმპერიალისტები; „Deutschland über alles, über alles in der Welt", ასეთი იყო მათი ჰიმნი. ბისმარკის დროს შეძენილი, შედარებით მცირე კოლონიები სრულიადაც აღარ აკმაყოფილებდა გერმანიის ფინანსურ კაპიტალს; მან გაცილებით უფრო გრანდიოზული გეგმები დაისახა.

1891 წელს გერმანიაში ჩამოყალიბდა იმპერიალისტურ-მილიტარისტულ-შოვინისტური, ე. წ. „პანგერმანისტული საზოგადოება" (Allgemeiner Deutscher Verband)[2], რომლის ორგანიზატორები და მფარველები იყვნენ გერმანიის მონოპოლიური კაპიტალის მაგნატები: კრუპი, შტუმი, კორდორფი, ტისენი, სტინესი და სხვ. გამოხატავდა რა გერმანიის ფინანსური კაპიტალის ინტერესებს, ეს ორგანიზაცია ქადაგებდა, უპირველეს ყოვლისა, ფართო კოლონიური ექსპანსიის აუცილებლობას. იგი მოუწოდებდა გერმანიის მთავრობას შეექმნა გერმანიის დიდი კოლონიური იმპერია აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში, ინგლისის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ბელგიისა და სხვა ძველი კოლონიური სახელმწიფოების ხარჯზე; არ სჯერდებოდნენ რა კოლონიურ ექსპანსიას, პანგერმანისტები დაჟინებით მოითხოვდნენ მთავრობისაგან განეხორციელებინა „დიდი შუაევროპული სახელმწიფოს" შექმნის

[1] Дитрих Шефер, История колоний, Петербург, 1913, გვ. 111.

[2] პანგერმანისტების შესახებ, იხ. Ф. А. Ротштейн, Из истории прусско-германской империи, М.—Л., 1948.

აგრესიული გეგმა. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „რომ არა მარტო ახლად აღმოჩენილ, არამედ ძველ ქვეყნებშიც იმპერიალიზმს შედეგად მოსდევს ანექსიები, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება“ [1].

გერმანელი იმპერიალისტები თავის ანექსიონისტურ ზრახვებს ევროპის ხალხების წინააღმდეგ მიმართავდნენ და ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიების დაპყრობას მოითხოვდნენ. პანგერმანისტების გეგმით ბელგია, ჰოლანდია, დანია და შვეიცარიის ნაწილი გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ; საფრანგეთისათვის უნდა წაერთმიათ პა-დე-კალეს სანაპირო, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონი, და ლონგვისა და ბრიეს რკინით მდიდარი ოლქები. პანგერმანისტებს სურდათ რუსეთის დანაწილება, მისთვის ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და კავკასიის წართმევა; მათ სურდათ პოლონელი ხალხისა და ბალკანეთის სლავების დამონება. ავსტრია-ჰუნგრეთი გერმანიის იმპერიას შეუერთდებოდა და იგი ბალკანეთთან ერთად გერმანიის პლაცდარმი გახდებოდა, საიდანაც უნდა წარმართულიყო გერმანული „შეტევა აღმოსავლეთისაკენ, ცნობილი „Drang nach Osten“ [2]. პანგერმანისტები თურქეთითაც დიდ დაინტერესებას იჩენდნენ. ისინი მოითხოვდნენ მის გადაქცევას გერმანიის კოლონიად. თურქეთში დამკვიდრების შემდეგ ისინი იმედოვნებდნენ გერმანული გავლენა გაევრცელებინათ მთელს ახლო აღმოსავლეთზე, მთელს მუსლიმანურ სამყაროზე. „დიდი შუაევროპული სახელმწიფოს“ შექმნის იდეა ახალი როდი იყო. ჯერ კიდევ 1859 წელს მარქსი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ამ თეორიას, რომლის მიხედვით „გერმანულის გამოკლებით, ევროპის ყველა რასა იხრწნება, საფრანგეთი დაქვეითებას განიცდის; იტალია თავის თავს განსაკუთრებულად ბედნიერად უნდა სთვლიდეს იმით, რომ იგი გადაქცეულია გერმანულ ყაზარმად; სლავურ ტომებს აკლიათ ზნეობრივი თვისებები, აუცილებელი იმისათვის, რომ თავიანთი თავი თვითონ განავონ; ინგლისი კი გარყვნილია ვაჭრობით. ამრიგად, მტკიცე რჩება მხოლოდ გერმანია...“ [3]. ასეთივე სარკაზმით ლაპარაკობს ამ „თეორიის“ შესახებ ენგელსიც: „ეს „დიდი

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 376.

[2] История дипломатии, ტ. II, გვ. 108—109.

[3] К. Маркс, Перспективы войны в Пруссии, Маркс и Энгельс, соч., ტ. XI, ნაწ. II, გვ. 118.

შუაევროპული სახელმწიფო“ უნდა იყოს ერთგვარი აღორძინება გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიისა და, ალბათ, მას დანარჩენ მიზნებთან ერთად აგრეთვე მხედველობაში უნდა ჰქონდეს შემოერთება, ვასალური სახელმწიფოების სახით, ოდესღაც ავსტრიის კუთვნილებაში მყოფი ნიდერლანდებისა და, აგრეთვე, ახლანდელი ჰოლანდიისა. გერმანელთა სამშობლო ამ შემთხვევაში გაიშლებოდა თითქმის ორჯერ უფრო ფართოდ იმ საზღვრებზე, სადაც ამჟამად გერმანული მეტყველება ღერს; თუ ეს ყველაფერი მართლა განხორციელდება, მაშინ გერმანია ევროპის არბიტრი და ბატონი გახდება... გერმანულ სათნოებას და ახალგაზრდა „შუაევროპულ სახელმწიფოს“ აბსოლუტურად ყველაფერი მოეპოვება, რათა მოკლე დროის განმავლობაში დაიპყროს მსოფლიო ბატონობა ხმელეთსა და ზღვაზე და ახალი ისტორიული ერა გადაშალოს, როცა გერმანია ბოლოს, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, კვლავ გახდება მეთაური, რომლის ჭკუაზეც დანარჩენი ხალხები ითამაშებენ“ [1]. იმპერიალიზმის ეპოქაში ამ აგრესიულმა განწყობილებამ ცხოველმყოფელი ძალა მიიღო; იგი მოქმედების პროგრამად იქცა.

გერმანია უმაღლეს რასას ეკუთვნის, გერმანიის კულტურა უმაღლესი კულტურაა — ამტკიცებდნენ პანგერმანისტები. იგი უფლებამოსილია იბატონოს მსოფლიოზე. „მეფე—პრუსიის სათავეში, პრუსია—გერმანიის სათავეში, გერმანია—მსოფლიოს სათავეში“,—ასეთი იყო გერმანიის მსოფლიო ბატონობის პანგერმანისტული ფორმულა.

პანგერმანისტები დიდ აგიტაციას აჩაღებენ თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელებისათვის, რისთვისაც იყენებენ პრესას, ლიტერატურას, იწვევენ ყრილობებს. მათი ერთ-ერთი ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ჩვენ ველარ ავიტანთ იმ მდგომარეობას, როცა მთელი მსოფლიო ინგლისელების, ფრანგების, რუსებისა და იაპონელების საკუთრება გახდა. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ბხოლოდ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ უმნიშვნელო წვლილით, რომელიც ბედმა გვარგუნა. დრონი იცვალნენ და ჩვენ რეგვენები აღარა ვართ. ამჟამად გერმანიისათვის ის კი არაა საინტერესო, თუ როგორ მიმდინარეობს მისი შინაგანი საქმეები, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ წარმართავს იგი თავის საქმეებს მსოფლიოში. მხოლოდ კოლონიების შეძენით შევძლებთ ჩვენ ჩვენთვის მომავლის უზრუნველ-

[1] Ф. Энгельс, По и Рейн, Маркс и Энгельс, соч., т. XI, ნაწ. II, გვ. 6—7.

ყოფას“ [1]. პანგერმანისტების აგიტაცია გერმანელ ხალხს დიდ უბედურებას უქადდა, ეს იყო აგიტაცია მომავალი მსოფლიო იმპერიალისტური ომისა. „გერმანია რომ მძარცველობისა და უსამართლობის ყაჩაღური სახელმწიფოა, გერმანია რომ დამნაშავეა ომში, გერმანია რომ საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას, — ყველა ეს შეიძლება ნამდვილად დავამტკიცოთ პანგერმანისტების იმ გამოსვლებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ომის წინ“, — წერდა გერმანელი ისტორიკოსი [2].

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან გერმანიის კაიზერი ვილჰელმ II და მისი მთავრობა, გაიმსჭვალნენ რა პანგერმანისტული იდეებით, იმპერიალისტური „მსოფლიო პოლიტიკის“ გზას დაადგნენ. მათი სახით გერმანიის ფინანსურმა კაპიტალმა ერთგული მსახური პოვა.

1896 წლის 18 იანვარს ვილჰელმმა განაცხადა: „გერმანიის იმპერია მსოფლიო სახელმწიფო უნდა გახდეს. გერმანიის საქონელმა, მეცნიერებამ და მრეწველობამ ოკეანეები უნდა გადალახონ“-ო [3]. 1898 წელს 17 დეკემბერს ვილჰელმს აუდიენცია ჰქონდა გერმანელ მოგზაურ დოქტორ ესერისთან, რომელიც კამერუნიდან დაბრუნდა. კაიზერმა განუცხადა ამ მოგზაურს: „დღე იცოდნენ იმ ბატონებმა (გერმანიის კოლონიების ადმინისტრაციამ — გ. კ.), რომ ისინი იქ გაგზავნილნი არიან მხოლოდ იმისათვის, რომ გზა გაუხსნან და მფარველობა გაუწიონ გერმანიის კაპიტალს...“. შემდეგ მან მოგზაურს ორდენი უბოძა და დაუმატა: „მე დიდად აღტაცებული ვარ, როცა ვხედავ, რომ თქვენ, ესოდენ მდიდარი ადამიანი, საფრთხეში აგდებთ თქვენს სიცოცხლეს, იტანთ გაჭირვებას და უბედურებას და ცდილობთ, რომ ჩვენს კოლონიებშიც გავრცელდეს გერმანიის კაპიტალის მადლი. მე ყოველგვარ მფარველობას გაეუწევ ჩვენს გერმანულ კაპიტალს...“ [4]. 1889 წლის 17 ივნისს ჰამბურგში, კრეისერ „თავად ბისმარკის“ წყალში ჩაშვებისას, იმპერატორმა განაცხადა: „ჩემი პრინციპია

---

[1] O. Nippold, Der deutsche Chauvinismus, Berlin, 1913, გვ. 73—74.

[2] V. Valentin, Deutschlands Aussenpolitik von Bismarcks Abgang bis zum Ende des Weltkriegs, Berlin, 1921, გვ. 46.

[3] Б. Ишханян, Развитие милитаризма и империализма в Германии, Петроград, 1917, გვ. 84.

[4] იქვე.

ყველგან, სადაც კი შემეძლება, აღმოვაჩინო ახალი პუნქტები და ისინი კოლონიებად გადავაქციო“ [1].

1897 წლის 6 დეკემბერს ბერნჰარდ ფონ ბიულოვმა, რომელიც მა'მინ გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი, ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რაიხსტაგში განაცხადა: „ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ არ უნდა მოხდეს გერმანიის გამორიცხვა იმ შეჯიბრებიდან, რომელსაც ადგილი აქვს სხვა ხალხებს შორის მდიდარი პერსპექტივების მქონე ქვეყნებზე ბატონობის სფეროში. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა გერმანელი თავის ერთ მეზობელს უთმობდა მიწას, მეორეს — ზღვას, თავისთვის კი იტოვებდა ზეცას, სადაც მეფობს მხოლოდ თეორია... ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ხელი შევუწყოთ და განვავითაროთ ჩვენი ზღვაოსნობა, ვაჭრობა და მრეწველობა... ჩვენ მოვითხოვთ ადგილს მზის ქვეშ“ [2].

1897 წელს იწყება გერმანიის ექსპანსია შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, ჩინეთში. ამ წლის 14 ნოემბერს გერმანელებმა ხელთ იგდეს ყურე კიაო-ჩაო (ცზიაოჯოუ), შანდუნის პროვინციაში. ჩინეთის მთავრობა იძულებული იყო 1898 წლის მარტის ხელშეკრულებით კიაო-ჩაო გერმანიისათვის იჯარით „გადაეცა“ 99 წლის ვადით. ამავე ხელშეკრულების ძალით გერმანიამ მიიღო საკონცესიო უფლებები შანდუნის პროვინციაში მთამადნეულის საექსპლოატაციოდ და იქ რკინიგზების გასაყვანად. ამიერიდან შანდუნის პროვინცია გერმანიის „გავლენის სფეროდ“ გადაიქცა. 1899 წ. გერმანიამ ხელთ იგდო სამოას კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში და ესპანეთისაგან მარიანისა და კაროლინის კუნძულები შეიძინა. 1900—1901 წლებში გერმანიამ სხვა სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩინეთში „იხეტუანის“ („ბოქსიორთა“) აჯანყების ჩაქრობაში.

XIX საუკუნის 90-იან წლებში გერმანიამ თავისი კოლონიური ექსპანსია ახლო აღმოსავლეთისაკენაც მიმართა. უპირველეს ყოვლისა, იგი მიზნად ისახავდა თურქეთზე გავლენის მოპოვებას. სწორედ ამ ზრახვების განხორციელებას ემსახურებოდა ცნობილი ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის გრანდიოზული წამოწყება.

---

[1] Ишхания, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[2] Международные отношения 1870—1918, დოკ. № 65, გვ. 125, 126.

გერმანია ოდნავადაც არ იყო კმაყოფილი მიღწეულით. XIX საუკუნის დამლევს მსოფლიოს განაწილება ძირითადად დამთავრდა, გერმანიამ დღის წესრიგში დააყენა „მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების“ საკითხი, ე. ი. სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთათვის მათ მიერ ადრე დაპყრობილი კოლონიებისა და მოპოვებული „გავლენის სფეროების“ წართმევა. „მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება“ და გერმანიისათვის მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალით, სისხლიანი ომების საშუალებით. გერმანია ენერგიულად შეუდგა ამ ომისათვის მზადებას. თავის მომავალ მოწინააღმდეგედ გერმანია ითვალისწინებდა ძირითადად ინგლისს, რუსეთსა და საფრანგეთს. „გერმანიის პოლიტიკა, დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან, სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება. მისი პროვოკაციები სულ უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობს. ყოველივე ამის ფინალი იყო 1914 წლის ომი და კრახი, რომელიც მას მოჰყვა 1918 წელს“ [1]. გერმანიის „იუნკრულ-ბურჟუაზიულმა იმპერიალიზმმა“ და მისმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა ომი თავისი აგრესიული ზრახვების გარდუვალ და ერთადერთ საშუალებად დაისახეს. გერმანიაში მომავალი ომის კულტმა დაისადგურა. გერმანიის იმპერიალიზმი მსოფლიოს „შეჯავშნული მუშტით“ დაემუქრა. ცნობილი გერმანელი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე ფონ ბერნჰარდი, რომლის წიგნი: „გერმანია და უახლოესი ომი“ (Deutschland und der nächste Krieg, 1912) გერმანიის იმპერიალიზმის სახარებად იქცა, შემდეგ „სიბრძნეს“ ქადაგებდა: „...თუ ჩვენ გვსურს ჩვენ ხალხს მსოფლიო ერის მდგომარეობა მოვუპოვოთ, მთელი იმედები ხმალზე უნდა დავამყაროთ..., იარაღის გარეშე ძნელია განვახორციელოთ ჩვენი პოლიტიკური მიზნები, შევინარჩუნოთ ჩვენი ახლანდელი ძლიერება და უზრუნველვყოთ ჩვენი მომავალი. აქედან გამომდინარე, ჩვენ რაც შეიძლება უკეთ უნდა ვემზადოთ ამ ომისათვის...“. პანგერმანისტი გენერალი ფონ ვროხემი ერთ-ერთ თავის სიტყვაში ურჩევდა გერმანელ ხალხს: „მახვილი მუდამ ამოწვდილი გქონდეთ... ჩვენთვის მეტად საშიშია სენტიმენტალიზმი, კაცთმოყვარეობა, მოსაწყენი ქადაგება მშვიდობიანობისა და კოსმოპოლიტიზმის შესახებ, ჩვენ უნდა მოვამზადოთ ახალი თაობა მომავალი მრისხანე დღეებისათვის, როცა გერმანიის არსებობის

[1] История дипломатии, ტ. II, გვ. 110.

საკითხი იარაღით გადაწყდება“ [1]. გერმანია ემზადებოდა ამ „მრისხანე დღეებისათვის“.

გერმანიის იმპერიალიზმს ერთგული მოკავშირე აღმოუჩნდა პრუსიული მილიტარიზმის სახით, რომელიც ამიერიდან საერთო გერმანულ მილიტარიზმად იქცა. მისი მიზანი უკვე მკაფიოდ განისაზღვრა: მას გერმანიის ფინანსური კაპიტალის ექსპანსიური ზრახვებისათვის უნდა გაეწია სამსახური. ვილჰელმ II-ის სახით გერმანულმა იმპერიალიზმმა „უკიდურესად წონასწორობას მოკლებული და ბატონობისმოყვარულობით შეპყრობილი თავისი მებრძოლი წარმომადგენელი ჰპოვა ტახტზე, ჰპოვა ადამიანი, რომელიც არავითარი ავანტიურის წინაშე უკან არ იხევდა, რომელიც მზად იყო თავისი აგრესიული მიზნების გულისათვის მილიონობით ადამიანები ომის ქარცეცხლში გადაესროლა“ [2]. იმპერატორმა მილიტარიზმი უკიდურეს ფორმებამდე მიიყვანა. „მე არ დავზოგავ არავითარ ძალას იმისათვის, რომ გერმანიას მსოფლიოში გაბატონებული სახელმწიფოს მდგომარეობა (Weltmachtstellung) მოეუპოვო“ [3], — განაცხადა მან 1900 წლის 3 ივნისს და მოქმედების გეგმაც შეიმუშავა: საჭიროა ომი, საჭიროა გამარჯვება. გერმანია სამხედრო ბანაკად უნდა გადაიქცეს, უნდა გატარდეს შეიარაღების პოლიტიკა (Rüstungspolitik), რის შედეგადაც გერმანია კბილებამდე უნდა შეიარაღდეს (Ausrüstung bis auf die Zähne), საჭიროა სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის (Flottenpolitik) აქტიურად გატარება, მძლავრი ფლოტის აგება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეებრძოლო „ზღვათა ბატონს“ ინგლისს და მსოფლიო ჰეგემონობა წაართვა მას. კაიზერული გერმანია შეუდგა თავისი პროგრამის განხორციელებას. საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ „ზარბაზნის მეფის“ — კრუპის ცნობილი ფირმის ზრდა. 1845 წელს კრუპის ქარხანაში ესენში 122 მუშა იყო, 1871 წელს— 16 ათასი, ხოლო 1902 წელს აქ უკვე 40 ათასი მუშაა [4]. გერმანიის სამხედრო ბიუჯეტი 1879 წელს 428 მილიონ მარკას უდრიდა, 1899 წელს — 926 მილიონს, 1909 წელს — 1.615 მილიონს, ხოლო 1913 წელს — 2.087 მილიონს [5]. გერმანიის იმპერიალისტებმა კრუპის პატივსაცემად სპეციალური ჰიმნიც კი შექმნეს: „კრუ-

---

[1] Ишхания, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[2] მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ, გვ. 76.

[3] Ишхания, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

[4] Гольдштейн и Левина, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

[5] იქვე.

პის სახელი გერმანიის სახელია“ (Krupps Ehre — Deutschlands Ehre).

ვილჰელმ მეორე შეუდგა გერმანიის არმიის მომზადებას მომავალი ომისათვის. 1888 წლის 15 ივნისს მან განაცხადა: „ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით, მე და არმია. ჩვენ ერთმანეთისთვისა ვართ გაჩენილნი და გვსურს მარად ერთად ვიყოთ მტკიცედ შეკავშირებულნი—ნებითა ღვთისითა, მშვიდობიანობასა თუ ქარიშხლის დროს“ [1]. ვილჰელმ II მოქმედებდა პრუსიის მეფის ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ის ცნობილი პრინციპით: სახელმწიფოს ყველა მცხოვრები დაბადებულნი არიან იარაღის სატარებლად და ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ბრძანებას. კაიზერს სურდა, გერმანიის ყველა ჯანსაღი მამაკაცი ჯარისკაცად ექცია. „თუ საჭირო იქნა, ჩემი ბრძანებით თქვენ უნდა ესროლოთ მშობლებს, ძმებსა და ნათესავებს“ [2], ეუბნებოდა ვილჰელმი ჯარისკაცებს. 1900 წელს მან ჩინეთში მიმავალ ჯარისკაცებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „როგორც კი მიაღწევთ დანიშნულ ადგილს, მტკიცედ გახსოვდეთ, რომ მათი (ჩინელების—გ. კ.) შებრალება არ შეიძლება (Pardon wird nicht gegeben). ტყვეები არ წამოიყვანოთ. გამოიყენეთ თქვენი იარაღი ისე, რომ ჩინელებმა ათასი წლის შემდეგაც ვერ გაბედონ ალმაცერად შეხედონ გერმანელს, მსგავსად ატილას ჰუნებისა, რომელთაც დღესაც იგონებენ ლეგენდებსა და ზღაპრებში“ [3]. მართლაც, კრუპის იარაღით კბილებამდე შეიარაღებულ, ფეოდალური, შუასაუკუნეობრივი უმკაცრესი რეაქციული მეთოდებით გაწვრთნილ კაიზერისეულ ჯარისკაცთან ატილას ჰუნი მშვიდობიანობის ანგელოზად წარმოგვიდგება.

ამზადებდა რა გერმანიის არმიას მომავალი ომებისათვის, ვილჰელმ II გერმანიის მმართველ წრეებთან ერთად შეუდგა დიდი სამხედრო ფლოტის შექმნას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ადმირალმა ტირპიცმა. 1898 წელს გერმანიის რაიხსტაგმა მიიღო დიდი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენების გრანდიოზული პროგრამა. პროგრამის მიხედვით გერმანიას უნდა შეექმნა მძლავრი სამხედრო ფლოტი და გამხდარიყო უძლიერესი სამხედრო-საზღვაო სახელმწიფო. გერმანიის იმპერიალიზმი ინგლისის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა. „ინგლისის ფლოტს, — სწერდა ვილჰელმ II ბიულოვს 1899 წლის ოქტომბერში, — შეუძლია

---

[1] **Ишханян**, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

[2] იქვე, გვ. 72.

[3] იქვე, გვ. 38.

არ ჰქონდეს შიში რაიმე კოალიციისა, რადგანაც გერმანიას პრაქტიკულად არ გააჩნია არავითარი ფლოტი, ამიტომ მე არ მაქვს საშუალება უარვყო ნკაცრი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. უპირველეს ყოვლისა, მე უზრუნველყოფილი უნდა გავხდე ფლოტით. როცა 20 წლის შემდეგ ფლოტის აგება დამთავრდება, მე სხვა ენით დავიწყებ ლაპარაკს" [1]. „მე ვერ მოვისვენებ, სანამ ფლოტსაც იმავე სიმაღლემდე არ ავიყვან, რომელსაც ჩვენმა არმიამ მიაღწია" [2], — ამბობდა ვილჰელმი. პროგრამის პუნქტებისთანავე დაიწყო გერმანიის ფლოტის შენება. იმავე 1898 წელს პირველი ზეძლავრი ხომალდი იქნა წყალში ჩაშვებული. როცა, სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, ღრმად მოხუცი ექსკანცლერი გერმანიისა ოტო ფონ ბისმარკი ესტუმრა გერმანიის უდიდეს ნავსადგურ ჰამბურგს და იხილა შორეული რეისით მიმავალი უზარმაზარი საოკეანო გემი, წამოიძახა: „დიახ, ეს სხვა ქვეყანაა, ახალი ქვეყანა!" [3].

ყოველი ახალი გემი გერმანიის იმპერიალისტთა და მათი იმპერატორის ვილჰელმ II-ის აუწერელ სიხარულს იწვევდა. იმპერატორი თითქმის ყველა ახალი გემის წყალში ჩაშვებას ესწრებოდა და მუდამ მზად ჰქონდა ხოლმე აგრესიული განწყობილებით აღსავსე სიტყვები.

გერმანიის საზღვაო ძლიერების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იმპერიალუსტურ-მილიტარისტულმა ორგანიზაციამ, ე. წ. „ფლოტის კავშირმა" (Flottenverein), რომელიც 1898 წლის დასაწყისში შეიქმნა და იმავე წლის ბოლოს 853 წევრს ითვლიდა. გერმანიამ ბოლო უნდა მოუღოს ინგლისელთა ბატონობას ზღვებზე და თვით უნდა დაიკავოს მისი ადგილი ზღვებზე და ოკეანეებზე — აი, რას ქადაგებდა ეს კავშირი. ამ კავშირს მფარველობდნენ და აფინანსებდნენ გერმანიის ფინანსური კაპიტალის მაგნატები. მარტო კრუპმა ორგანიზაციის სასარგებლოდ ნახევარი მილიონი მარკა გაიღო. 1900 წელს ორგანიზაციის წევრთა რიცხვმა 246.967-ს მიაღწია, ხოლო პირველი იმპერიალისტური ომის წინ იგი მილიონამდე წევრს ითვლიდა [4]. პირველი იმპერიალის-

---

[1] Международные отношения 1870—1918, დოკ. № 64, გვ. 125.

[2] Ишхания, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

[3] А. Еругалимский, Бисмарк как дипломат. იხ. О. Бисмарк, Мысли и воспоминания, т. I, М., 1940. გვ. XVII.

[4] Б. Б. Жерве, Германия и ея морская сила, Петроград, 1914, გვ. 39.

ტური ომის წინ გერმანიამ მსოფლიოში ფლოტის სიძლიერით მეორე ადგილი დაიკავა.

გერმანიის იმპერიალიზმი მადლიერი იყო კაიზერისა. გერმანიის ფინანსური კაპიტალის მაგნატი და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე კარლ ჰელფერიხი ქება-დიდებას ასხამს ვილჰელმს, გერმანიის კოლონიური პოლიტიკის ინიციატორს, გერმანიის საზღვაო და სახმელეთო ძალების შემოქმედს[1]. 1913 წლის 15 ივნისს, ვილჰელმ II-ის მეფობის 25 წლისთავზე, გერმანელმა იმპერიალისტებმა თავიანთი ჰიმნი—„Deutschland über alles"—ახლებურად დაამღერეს: „Deutschlands Kaiser über alles, über alles in der Welt".

ამგვარად, გერმანიის იმპერიალიზმი გერმანიის ხალხს ომისკენ მიაქანებდა, მსოფლიო იმპერიალისტურ ომისაკენ, რომელიც გენიალურად იწინასწარმეტყველა ფრიდრიხ ენგელსმა. 1887 წელს იგი წერდა: „პრუსია-გერმანიისათვის ახლა უკვე შეუძლებელია სხვა ომი, გარდა მსოფლიო ომისა, და ეს იქნებოდა წინათ უნახავი მოცულობის, უნახავი ძალის მსოფლიო ომი. რვიდან ათ მილიონამდე ჯარისკაცი დაახრჩობს ერთმანეთს და შეჭამს ამასთან ევროპას მთლად ერთიანად იმ ზომამდე, რა ზომითაც იგი ჯერ კიდევ არასდროს არ შეუჭამია კალიის უთვალავ გროვას. ოცდაათწლიანი ომით გამოწვეული გაჩანაგება,—შეკუმშული სამიოთხი წლის მანძილზე და გავრცელებული მთელს კონტინენტზე, შიმშილი, ეპიდემია, საყოველთაო გაველურება, როგორც ჯარისა, ისე ხალხთა მასებისაც, გამოწვეული მწვავე გაჭირვებით, უიმედო არევ-დარევა ჩვენი ხელოვნური მექანიზმისა ვაჭრობაში, მრეწველობაში და კრედიტის დარგში; ყოველივე ეს მთავრდება საყოველთაო გაკოტრებით..."[2]. ამ ომში ენგელსი გერმანიის უეჭველ დაბარცხებას ითვალისწინებდა. „შენიშვნებში გერმანიის შესახებ" ენგელსი წერდა: „პრუსიის მთავრობა იძულებულია პოლიტიკური ომები აწარმოოს ისეთი ინტერესების გულისათვის, რომლებიც დაშორებულია ხალხისაგან, რომელთაც არასდროს არ შეუძლიათ ნაციონალური აღფრთოვანების გამოწვევა... ამ კონფლიქტში პრუსიის სახელმწიფო და პრუსიის არმია დამარცხდებიან, და ეს მოხდება, ალბათ, რუსეთთან ომში, ომში, რომელიც შეიძლება

[1] K. Helfferich, Deutschlands Volkswohlstand 1888—1913, Berlin, 1917. არის რუსული თარგმანი, „Развитие народного хозяйства Германии, 1888—1913", М., 1920.

[2] მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ, გვ. 76.

გაგრძელდეს ოთხი წელიწადი და რომელიც მისცემს პრუსიას მხოლოდ სატკივარს და ტყვიით გახვრეტილ ძკლებს“ [1]. ეს წინასწარმეტყველება გერმანიის დამარცხების შესახებ, როგორც ცნობილია, სავსებით გამართლდა.

მომავალი მტაცებლური ომისათვის გერმანიასთან ერთად ენერგიულად ემზადებოდნენ მსოფლიოს ყველა იმპერიალისტები. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის „მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის“ ბრძოლის შედეგად აღმოცენებული წინააღმდეგობანი კატასტროფულ, შეურიგებელ ხასიათს ღებულობდნენ. ომი გარდუვალი იყო, რადგანაც „კაპიტალიზმის დროს წარმოუდგენელია, შეუძლებელია გაყოფის სხვა რაიმე საფუძველი, სხვა რაიმე პრინციპი, გარდა ძალისა“ [2]. და 1914 წელს დაიწყო კიდეც მსოფლიო იმპერიალისტური ომი.

მაგრამ იყო მომენტები 1914 წლამდეც ე. წ. „მაროკოს კრიზისების“ სახით, რომლებიც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ე. წ. „მაროკოს საკითხის“ ირგვლივ წარმოშობილ ღრმა წინააღმდეგობათა შედეგს წარმოადგენდნენ, როცა ევროპაში ომის გაჩაღების საქმე ბეწვზე ეკიდა.

§ 2. გერმანიის მაროკოთი დაინტერესება და პირველი ნაბიჯები მაროკოს ხელში ჩაგდების მიზნით

გერმანია ხარბი თვალით შეჰყურებდა მდიდარ და საუკეთესო სტრატეგიული მდებარეობის მქონე მაროკოს და მისი ხელში ჩაგდება სურდა.

მაროკოთი გერმანიის დაინტერესების ისტორია შედარებით ხანმოკლეა ისევე, როგორც გაერთიანებული და შემდეგ იმპერიალისტური გერმანიის ისტორია, თუმცა გაერთიანებამდეც გერმანიის ცალკეული სახელმწიფოები და სავაჭრო ქალაქები მაროკოსადმი გარკვეულ დაინტერესებას იჩენდნენ და მასთან ურთიერთობას ამყარებდნენ. ეს ურთიერთობა თავს იჩენს უკვე XVIII საუკუნეში და ძირითადად განისაზღვრება მაროკოში გერმანიის სახელმწიფოების სავაჭრო ინტერესების დაცვისათვის ბრძოლით.

1750 წლიდან ხანგრძლივი მოლაპარაკება იწყება მაროკოს სულთანთან სავაჭრო ხელშეკრულებების დადების, საკონსულო-

---

[1] მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ, გვ. 66.

[2] ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. III, თბ., 1933, გვ. 126.

ების მოწყობისა და სხვათა თაობაზე. მოლაპარაკების ინიციატორები იყვნენ გერმანიის მხრიდან ქ. ჰამბურგი და პრუსიის სახელმწიფო. მხოლოდ 1805 წელს იქნა მიღწეული შეთანხმება და დაიდო პირველი სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გერმანიის სახელმწიფოებს გარკვეული პრივილეგიები მიენიჭათ. მაროკოსთან სავაჭრო ხელშეკრულება გერმანელებს საკმაოდ ძვირად დაუჯდათ. სულთნის მოსყიდვისათვის მათ 20 ათასი პესო გადაიხადეს. გერმანელებმა მიიღეს მაროკოში საკონსულოების გახსნის უფლება; ამავე დროს სულთანი კისრულობდა დაეცვა გერმანელთა სავაჭრო გემები ბერბერ მეკობრეთა თავდასხმებისაგან, რისთვისაც მას გერმანელებისაგან ყოველწლიურად 5.000 პესო უნდა მიეღო. მაგრამ ნაპოლეონის ბატონობის პერიოდში გერმანიის სახელმწიფოებს ამ ხელშეკრულებით თითქმის არ უსარგებლიათ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რაიმე ცვლილებები მაროკოსა და გერმანიის სახელმწიფოთა ურთიერთობაში არ მომხდარა. გერმანელი ვაჭრები უჩიოდნენ მეკობრეების მიერ შევიწროებას. პრუსიის სახელმწიფომ ხელზე დაიხვია ეს გარემოება და 1856 წელს მაროკოს წყლებში სამხედრო გემი „დანციგი“ გაგზავნა პრინც ადალბერტის მეთაურობით, მეკობრეების ალაგმვის საბაბით. ფაქტიურად კი პრუსიის ხელისუფლებას სურდა სამხედრო მუქარის გზით მაროკოს სულთანზე გარკვეული ზეგავლენა მოეხდინა და იგი იძულებული გაეხადა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო; მას სურდა მაროკოსათვის თავს მოეხვია ახალი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. მაგრამ პრუსიის მთავრობის გეგმები ჩაიშალა; რიფელმა მამაცმა მეკობრეებმა სასტიკი დამარცხება აგემეს პრინც ადალბერტს.

XIX საუკუნის 60—70-იანი წლებიდან, როცა ყალიბდება ერთიანი გერმანია, როცა იზრდება და მტკიცდება გერმანიის ახალგაზრდა კაპიტალიზმი, მაროკოთი დაინტერესება სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. 1873 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების ძალით, ტანჟერში გერმანიის მინისტრ-რეზიდენტად დაინიშნა თეოდორ ვებერი. იმავე წელს მაროკოში გაემგზავრა ორი გერმანელი მეცნიერი როლფი და ლენცი ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და ენერგეტიკული რესურსების შესწავლის მიზნით. 1886 წელს გემით „ჰოლტპი“ კასაბლანკაში გაიგზავნა გერმანიის დელეგაცია მაროკოს ვაჭრებთან ხელშეკრულებების დასადებად და, საერთოდ, მაროკოსთან ვაჭრობის შესაძლებლობათა შესასწავლად. 1894 წლიდან გერმანიას მაროკოში უკვე სრულუფლებიანი ელჩი ჰყავს, რომლის რეზიდენცია ტან-

ერი იყო. 1895 წლიდან გერმანიის საკონსულოები გაიხსნა მაროკოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ცენტრში (ფეცი, მაზაგანი, რაბატი, საფი, ლარაში, მოგადორი, მარაკეში). გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლებად მაროკოში ჩვენ ვხვდებით ისეთ ცნობილ პირებს, როგორებიცაა: გრაფი ტატენბახი, კიულმანი, დოქტორი ვასელი, ფრიდრიხ როზენი და სხვ. მაროკოში გერმანიის რჩეულ დიპლომატთა გაგზავნა მოწმობს მაროკოთი გერმანიის განსაკუთრებულ დაინტერესებას.

1880 წელს გერმანია მონაწილეობას ღებულობს მადრიდის საერთაშორისო კონფერენციაში და გარკვეულ როლს თამაშობს მაროკოს საკითხის გადაწყვეტაში.[1] ამ კონფერენციაზე გერმანია მაროკოში თავისი სავაჭრო ინტერესების დაცვით კმაყოფილდება; რაიმე აგრესიულ ზრახვებს მაროკოს მიმართ იგი არ ავლენს და არც რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური უფლებების მოპოვებაზე აცხადებს პრეტენზიას. აგრესიული ზრახვებისა და განსაკუთრებული პოლიტიკური უფლებების მოპოვების პრეტენზიების მჭონე სახელმწიფოს როლში, როგორც ვიცით, გამოდიოდა საფრანგეთი, ხოლო ოტო ფონ ბისმარკი ყოველნაირად უწყობდა ხელს და აქეზებდა საფრანგეთის ასეთ მოქმედებას.

როგორც ცნობილია, ბისმარკს ეშინოდა დამარცხებული საფრანგეთისა. აქედან გამომდინარე, ბისმარკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო საფრანგეთის იზოლირება, მისი უვნებელყოფა, მასში რევანშისტული განწყობილების აღმოფხვრა. ამ პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად ბისმარკს მიაჩნდა კოლონიური ექსპანსიებისაკენ საფრანგეთის წაქეზება, რასაც იგი გულმოდგინედ ახორციელებდა კიდეც. ბისმარკი იმედოვნებდა, რომ ამ შემთხვევაში საფრანგეთის ძალები დაბანდებულნი იქნებოდნენ შორს აფრიკაში ან აზიაში, ხოლო საფრანგეთში რევანშისტული განწყობილება შესუსტდებოდა, იგი დაივიწყებდა სედანსა და ელზას-ლორენს. ფრანგი მკვლევარი ლემონონი ბისმარკის შესახებ მოხდენილად შენიშნავს: „მასზე ბედნიერი არავინ იყო, როცა იგი ხედავდა ჩვენს არმიას ევროპიდან შორს მიმავალს, სადღაც აფრიკის უდაბნოებში თუ ინდო-ჩინეთისაკენ“ [1]. ამასთანავე. ბისმარკს სურდა საფრანგეთის კოლონიურ ექსპანსიებისკენ წაქეზების გზით უთანხმოება ჩამოეგდო ამ უკანასკნელსა და ევროპის სხვა

---

[1] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 142.

სახელმწიფოებს შორის, პირველ რიგში — ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

ცნობილია, რომ 1878 წელს ბერლინის კონგრესზე კულისებს უკან მდგომმა ბისმარკმა მხარდაჭერა აღუთქვა საფრანგეთს, რომელსაც ტუნისის დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი. ბისმარკი პირდაპირ აქეზებდა საფრანგეთს ამ ავანტიურისაკენ. „ტუნისის მსხალი დამწიფდა და თქვენთვის დადგა დრო მოწყვიტოთ იგი... თუ თქვენ ამ ნაყოფს კვლავ ხეზე დატოვებთ, იგი წახდება ან სხვა ვინმე მოწყვეტს ადვილად“, — ეუბნებოდა ბისმარკი საფრანგეთის ელჩს ბერლინში სენ-ვალიეს[1]. ბერლინის კონგრესიდან პარიზს დაბრუნებული საფრანგეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი და საფრანგეთის დელეგაციის მეთაური ბერლინის კონგრესზე ვადიქტონი იკვეხნიდა, რომ მან ტუნისი „პორტფელით ჩამოიტანა...“[2]. 1881 წელს საფრანგეთმა, როგორც ვიცით, ტუნისის ანექსირება მოახდინა; ამას მოჰყვა ტუნისით არანაკლებ დაინტერესებული იტალიის გააფთრება, რომელიც ანტიფრანგულ ბანაკში აღმოჩნდა გერმანიასთან ერთად.

როგორც ზევით ვთქვით, ასეთივე პოლიტიკას დაადგა ბისმარკი მაროკოს საკითხშიც. 1880 წლის 23 აპრილს გერმანიის მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა, რომ მას მაროკოში არავითარი ინტერესები არა აქვს, რომ იგი მხარს უჭერს მაროკოში საფრანგეთის პოლიტიკას[3], ხოლო გერმანიის დელეგატს მადრიდის კონფერენციაზე ბისმარკი სპეციალური ინსტრუქციით ავალებდა ემოქმედა საფრანგეთთან ერთად, რომელსაც მაროკოში, როგორც მოსაზღვრე სახელმწიფოს, განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა[4].

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია მადრიდის კონფერენციაზე საფრანგეთის „მომხრედ“ გამოდიოდა, მან მაინც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მაროკოში საკუთარი ეკონომიური ინტერესების განმტკიცების თვალსაზრისით. თუკი მადრიდის კონფერენციამდე მაროკოს საქმეებში ძირითადად ინგლისი და საფრანგეთი დომინირებდნენ, ამიერიდან, კონვენციის მე-17 მუხლის

---

[1] Фой, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[2] Лемонон, Очерк истории англо-французских отношений, გვ. 9.

[3] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 168, იხ. აგრეთვე Louis Maurice, La Politique Marocaine de L'Allemagne, P., 1916, გვ. 5, 6.

[4] Фей, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

ძალით, როგორც ცნობილია, ყველა სახელმწიფომ მაროკოში მოქნედების თანასწორი უფლებები მოიპოვა, მათ შორის გერმანიამაც.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. გერმანიის კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში დასასრულს უახლოვდება. გერმანია მოითხოვს „ადგილს მზის ქვეშ". გერმანიის იმპერიალიზმმა, რომელმაც, როგორც ვიცით, გერმანიის დიდი კოლონიური იმპერიის შექმნა მოიწადინა, მაროკოს ხელში ჩაგდება დასვა დღის წესრიგში და ამ საქმის განხორციელებას შეუდგა.

90-იანი წლების დასაწყისშივე გერმანელმა მრეწველებმა, ბანკირებმა, ვაჭრებმა, მაროკოს მკვლევრებმა, კოლონიურმა მოღვაწეებმა და პოლიტიკოსებმა გერმანიის მთავრობას მტკიცე მოთხოვნა წაუყენეს: აქტიურად დაინტერესებულიყო მაროკოს საქმეებით, ბელთ ეგდო მაროკოს ტერიტორიის ნაწილი მაინც, ნავსადგური ან ქვანახშირის ბაზა გერმანიის გემებისათვის. ხელი შეეწყო და დაეცვა გერმანიის ეკონომიური ინტერესები მაროკოში[1].

გერმანიის მთავრობა სათანადოდ გამოეხმაურა ამ მოთხოვნებს. 1886 წელს მოეწყო დიდი სავაჭრო ექსპედიცია მაროკოში, 1890 წელს დადებულ იქნა პირველი ოფიციალური სავაჭრო ხელშეკრულება მაროკოსა და გერმანიას შორის; 1896 წელს ვილჰელმ II-ემ მიიღო გადაწყვეტილება მაროკოში შეეპრილიყო. ამ გადაწყვეტილებამდე კაიზერი შემდეგმა გარემოებამ მიიყვანა. მას მოუვიდა ყალბი ცნობა (გაურკვეველია რა გზით) იმის შესახებ, რომ საფრანგეთს სურს ხელთ იგდოს კანარიის კუნძულები. მაშინ კაიზერმა გადაწყვიტა, რომ გერმანიას თავის სასარგებლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოეხდინა კომპენსირება რომელიმე „მსუქანი" ნაჭრით. ასეთ ობიექტად ვილჰელმმა მაროკო აირჩია და ბრძანება მისცა საზღვრო ხომალდს „მოლტკეს" დაეპყრო მაროკოს რომელიმე ნავსადგური. თავადი ხლოდვიგ ჰოჰენლოჰე (გერმანიის რაიხსკანცლერი 1894—1900 წწ.) წინააღუდგა იმპერატორის ასეთ გადაწყვეტილებას და ძლივს დაარწმუნა კაიზერი, რომ გერმანიის ასეთი მოქმედება გაამწვავებდა მდგომარეობას და დიდ საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევდა. ვილჰელმმა უკან წაიღო თავისი გადაწყვეტილება[2]. 1899 წელს კაიზერის ბრძანებით მაროკოს

[1] Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[2] А. С. Ерусалимский, Внешняя политика и дипломатия германского империализма, გვ. 195.

წყლებში, მაროკოს მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, სამი ხომალდი („Charlotte", „Stosch", „Bussard") გაიგზავნა [1].

მაროკოთი გერმანიის დაინტერესება ყოველდღიურად მატულობს. მისი გადაწყვეტილება ამ მდიდარი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის ხელში ჩაგდების შესახებ სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდება.

ცნობილია, რომ ფინანსურ კაპიტალს შეუძლია დაიმორჩილოს თვით ისეთი სახელმწიფოც კი, რომელიც სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობს. მაგრამ მისთვის უფრო მოსახერხებელია და მიზანშეწონილია დამორჩილება ისეთი ქვეყნისა, რომელიც პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ჰკარგავს და უმორჩილდება დიდ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „ნახევრად კოლონიური ქვეყნები ტიპიურია, როგორც „შუათანა" ამ მხრივ. გასაგებია, რომ ბრძოლა ამ ნახევრად დამოკიდებული ქვეყნებისათვის განსაკუთრებით უნდა გამწვავებულიყო ფინანსური კაპიტალის ეპოქაში, როდესაც დანარჩენი მსოფლიო უკვე განაწილებული იყო" [2]. დამახასიათებელია, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა ე. წ. ნახევრად დამოკიდებულ ქვეყნებისათვის სწორედ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს გაიშალა.

ნახევრად დამოკიდებული ქვეყნებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მისწრაფება ჩინეთის, თურქეთის, სპარსეთის, ეგვიპტის დამორჩილებისაკენ. ნახევრად დამოკიდებულ ქვეყანათა ასეთ რიცხვს ეკუთვნოდა მაროკოც.

როგორც ზევით დავინახეთ, მაროკოთი დაინტერესებას იჩენდნენ საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი. მაროკოთი დაინტერესებულ სახელმწიფოთა რიცხვს მიემატა აგრეთვე გერმანიაც. გერმანიის ფინანსურმა კაპიტალმა მაროკოსათვის ბრძოლა ფართოდ გააჩაღა სწორედ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში, როცა „დანარჩენი მსოფლიო უკვე განაწილებული იყო". ამასთანავე, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მაროკოს მიმართ აგრესიის პრაქტიკულად განხორციელება საფრანგეთის

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6512.

[2] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 326.

იმპერიალიზმმაც, რასაც მოჰყვა გერმანიასა და საფრანგეთს შორის არსებულ შეურიგებელ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება, რომელმაც 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის მეთანხმების შემდეგ კატასტროფული ხასიათი მიიღო.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „უახლესი კაპიტალიზმის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს უმსხვილეს მეწარმეთა მონოპოლისტური კავშირების ბატონობა. ასეთი მონოპოლიები ყველაზე მტკიცედ მაშინ, როდესაც ერთი იგდებს ხელთ ნედლი მასალის ყველა წყაროს, და ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი გულმოდგინებით მიმართავენ კაპიტალისტთა საერთაშორისო კავშირები თავიანთ ძალღონეს იმისაკენ, რომ გამოჰგლიჯონ მოწინააღმდეგეს კონკურენციის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ შეისყიდონ, მაგ., რკინისმადნიანი მიწები ან ნავთის წყაროები და ა. შ. მარტო კოლონიათა მფლობელობა იძლევა მონოპოლიის წარმატების სრულ გარანტიას მეტოქესთან ბრძოლის ყოველი შემთხვევითობის წინააღმდეგ — თვით ისეთ შემთხვევითობამდე, მოწინააღმდეგეს რომ მოესურვებინა თავი დაეცვა კანონით სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ. რაც უფრო ბაღალია კაპიტალიზმის განვითარება, რაც უფრო ძლიერ საგრძნობია ნედლეულის ნაკლებობა, რაც უფრო მწვავეა კონკურენცია და გამოდევნება ნედლეულის წყაროებისა მთელ მსოფლიოში, მით უფრო გააფთრებულია ბრძოლა კოლონიების შესაძენად“ [1]. სწორედ მაროკოს ნედლეულის წყაროები იზიდავდა გერმანიის იმპერიალიზმს, რომელიც საგრძნობლად განიცდიდა მათ ნაკლებობას; განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იგი მაროკოს რკინისა და სპილენძის ძვირფასი და უხვი მადნეულით.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის დასაწყისისათვის მეტალურგიის განვითარება გერმანიაში კოლოსალურ ფარგლებს აღწევს. უკვე საგრძნობი ხდება მადნის ნაკლებობა, მიუხედავად იმისა, რომ 1870 წლიდან გერმანიის ხელთ იყო ელზას-ლორენის რკინის უმდიდრესი საბადოები, რომელთა მარაგს 2 მილიარდ ტონამდე ანგარიშობენ. ერთხანს გერმანიის მეტალურგიისათვის რკინის მადნის ეს გიგანტური წყარო საკმარისი იყო, მაგრამ როცა „გერმანიამ მსოფლიო იმპერიალისტური პოლიტიკა გააჩაღა, როცა გერმანიის გაბატონებულმა აგრარულ-მეტალურგიულმა

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 327.

ჯგუფებმა მთელ მსოფლიოზე გერმანიის ჰეგემონიის გავრცელების მეგალომანური გეგმები შეიმუშავეს, ცხადია, გერმანიისათვის ელზას-ლორენი აღარ კმაროდა“ [1]. გერმანია იძულებული ხდება უცხო სახელმწიფოებიდან დიდი რაოდენობით შემოზიდოს რკინის მადანი, ძირითადად შვეციიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან (ცნობილი ბრიეს მადანი), ალჟირიდან და სხვ. 1900 წელს გერმანიამ 4 მილიონი ტონა რკინის მადანი შემოზიდა, ხოლო შემდეგ წლებში წლიურად შემოაქვს საშუალოდ 5 მილიონი ტონა. 1908 წელს გერმანიამ შემოზიდა 8 მილიონი ტონა, 1910 წელს—10 მილიონი, 1911 წელს—12 მილიონი, 1913 წელს—14 მილიონი [2].

გერმანელები გულმოდგინედ ეძებენ რკინის მადანს, ემზადებიან რკინით მდიდარი რაიონების დასაპყრობად. მათ განსაკუთრებით ხიბლავთ საფრანგეთის რკინის ცნობილი საბადოები ბრიეში, მის ანექსიაზე ფიქრობენ და ამით ბისმარკის, მათი აზრით, ამ არა შორსმჭვრეტელი ადამიანის, „შეცდომის“ გამოსწორებას ლამობენ, რომელმაც ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი (საფრანგეთის განადგურება 1870 წელს) და არ იგდო ხელთ, ელზას-ლორენთან ერთად, ბრიეს რკინით მდიდარი რაიონი; სათანადოდ არ შეუწყო ხელი გერმანიის კაპიტალისტებს კოლონიების დაპყრობის საქმეში, მაშინ როდესაც იგი საფრანგეთს საშუალებას აძლევდა გაეფართოებინა კოლონიური სამფლობელოები. გერმანელები აცხადებდნენ, რომ საჭირო იყო ბისმარკის „შეცდომების“ გამოსწორება: გერმანიამ დიდი კოლონიური იმპერია უნდა შექმნას, ამასთანავე, ევროპის სახელმწიფოებს უნდა წაერთვას ნედლეულით მდიდარი ტერიტორიები და მეტალურგიული რაიონები [3], მათ შორის საფრანგეთს — რკინის მადნით მდიდარი ბრიეს, მერთისა და მოზელის რაიონები, ნორმანდიის სამთამადნო რაიონები; გარდა ამისა გერმანელი იმპერიალისტები მიზნად ისახავდნენ ბელგიისა და ლუქსემბურგის მეტალურგიული რაიონების დაპყრობასაც; ისინი ხარბი თვალით შესცქეროდნენ ბალტიისპირეთის, პოლონეთის, უკრაინის სამთამადნო და მეტალურგიულ რაიონებს და მათ ხელში ჩაგდებას ლამობდნენ.

წიაღისეული ნედლეულით უხვად დაჯილდოებული მაროკო გერმანიის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. უპირველეს

---

[1] Павлович, Империализм, Л., 1925, გვ. 221.

[2] იქვე, გვ. 220.

[3] იქვე, გვ. 221, 222.

ყოველისა, გერმანიას იზიდავდა მაროკოს უმაღლესი ხარისხის რკინის მადანი და სპილენძის საბადოები. გერმანიაში სპილენძის მოხმარება საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. გერმანიის ელექტროწარმოება და ქიმიური მრეწველობა, რომელთაც XX საუკუნის დასაწყისისათვის დიდ განვითარებას მიაღწიეს და მსოფლიოში მოწინავე ადგილი დაიკავეს, უხვად ხთქავდა სპილენძს. სპილენძზე ბზარდ მოთხოვნილებას აყენებდა მანქანათმშენებლობა, ტელეგრაფისა და ტელეფონის წარმოება, საოჯახო ნივთების წარმოება და სხვ. სპილენძის მსოფლიო მოხმარების ზრდა კოლოსალურ ფარგლებს აღწევს. 1880 წელს იგი უდრიდა სულ 10.000 ტონას, 1900 წელს—500.000 ტონას, 1903 წელს—600.000 ტონას, 1904 წელს—644.000 ტონას[1]. ამასთანავე, როგორც ცნობილია, სპილენძი იშვიათ მეტალთა რიგს ეკუთვნის და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სპილენძის მსოფლიო მოხმარების საერთო ოდენობიდან მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიაზე მოდიოდა, ადვილად გასაგები გახდება ის დიდი დაინტერესება სპილენძით, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში. გერმანიამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო დაჰპატრონებოდა მაროკოს რკინასა და სპილენძს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ფინანსური კაპიტალისათვის მნიშვნელობა აქვს ნედლეულის არა მარტო უკვე აღმოჩენილ წყაროებს, არამედ აგრეთვე შესაძლებელ წყაროებსაც, ვინაიდან ჩვენს დროში წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდება ტექნიკა, და დღეს უვარგისი მიწები — ხვალ შეიძლება გამოსადეგი გახდეს, თუ გამოიძებნება ახალი ხერხები (ხოლო დიდ ბანკს შეუძლია ამისათვის მოაწყოს ინჟინრების, აგრონომების და სხვ. საგანგებო ექსპედიცია), თუ დაიხარჯება დიდძალი კაპიტალი. იგივე ეხება მინერალურ სიმდიდრეთა გამოკვლევას, ამა თუ იმ ნედლეულის მასალის დამუშავებისა და უტილიზაციის ახალ წესებს და სხვ.. აქედანაა ფინანსური კაპიტალის აუცილებელი მისწრაფება — გააფართოოს სამეურნეო ტერიტორია და საერთოდ თვით ტერიტორიაც კი. ისე როგორც ტრესტები ახდენენ თავიანთი ქონების კაპიტალიზაციას ორმაგი თუ სამმაგი შეფასების გზით, რისთვისაც ითვალისწინებენ მომავალში „შესაძლებელ“ (და არა დღევანდელ) მოგებას, ითვალისწინებენ მონოპოლიის შემდგომ

---

[1] Павлович. Империализм и борьба за великие железнодорожные и морские пути будущего, Л., 1925, გვ. 177.

შედეგებს, ასევე ფინანსური კაპიტალი საერთოდ მიისწრაფვის იმისაკენ, რომ ხელში ჩაიგდოს რაც შეიძლება მეტი მიწა, როგორიც უნდა იყოს იგი, სადაც უნდა იყოს და რა გზითაც უნდა იყოს, ითვალისწინებს ნედლეულის შესაძლებელ წყაროებს და ეშინია არ ჩამორჩეს გაუნაწილებელი მსოფლიოს უკანასკნელი ნაჭრებისათვის ან უკვე განაწილებული ნაჭრების გადანაწილებისათვის გააფთრებულ ბრძოლაში“ [1]. გაუნაწილებელი მსოფლიოს ერთერთი უკანასკნელი ნაჭერი—მაროკო ნედლეულის შესაძლო მეტად მნიშვნელოვან წყაროებს შეიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ მაროკოს ბუნებრივი სიმდიდრე ნაკლებად იყო შესწავლილი, მაინც, არსებული ცნობების მიხედვით, რომლებიც ძირითადად ზერელე დაკვირვების შედეგი იყო, ჩანდა, რომ მაროკოს მთები და ნიადაგი ძვირფასი ნედლეულის დიდ მარაგს შეიცავდა [2]. სპილენძისა და რკინის გარდა აქ პოულობდნენ ოქროს, ვერცხლს, ირიდიუმს, პალადიუმს, სურმას (ანტიმონს), მოლიბდენს, ნავთს, მარგანეცს, ქვანახშირს, კობალტს, ფოსფატებს, ანტრაციტს, გვარჯილას, თაბაშირს, კირს, გოგირდს, ცარცს, ძვირფას საკერამიკო თიხას და სხვ. ეს აურაცხელი სიმდიდრე მადას უღვიძებდა გერმანელ საქმოსნებს. მაროკოს ხელში ჩაგდებისა და იქ დიდი მასშტაბის გეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარების შემდეგ ეს ქვე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 328—329.

[2] მაროკოს ბუნებრივი პირობების შესწავლას გერმანელმა მეცნიერებმა ადრე მოჰკიდეს ხელი და გარკვეული, თუმცა არასაკმარისი წარმოდგენა შეუქმნეს ევროპას იმ დიდი სიმდიდრის შესახებ, რომელიც ამ ქვეყანაში იმალებოდა. მათ გაუღვიძეს მადა გერმანელებს მაროკოს მიმართ. ამ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია: 1) Gerhard Rolfs, Reise durch Marokko, Bremen, 1869; მ ი ს ი ვ ე, Bevölkerung von Marokko, Berlin, 1872; მ ი ს ი ვ ე, Bei den Zeltbewohner in Marokko, „Globus XXVII, 1875; მ ი ს ი ვ ე, Sozialpolitische Zustände in Marokko, 1881; მ ი ს ი ვ ე, Marokkanische Städtenbilder, Wien, 1893 და სხვ. 2) K. v. Fritsch, Reisebilder aus Marokko, Halle, 1879; მ ი ს ი ვ ე, Uber die geologische Verhältnisse von Marokko, Halle, 1881 და სხვ. 3) Oskar Lenz, Timbuktu, Reise durch Marokko, die Saharen und die Sudan, Leipzig, 1884. 4) Jannasch Robert, Die deutsche Handelsexpedition 1886, Berlin, 1887. 5) Quedenfeld, Reisen und Reiseverhältnisse im Sultanat Marokko, Berlin, 1886; მ ი ს ი ვ ე, Einteilung und Verbreitung der Berberbevölkerung („Zeitschrift für Ethnologie“, Bd. XX, 1881). საინტერესოა აგრეთვე Paul Schnell-ის, Theobald Fischer-ისა და სხვათა ნაშრომები.

ყანა რომ გერმანიის ინდუსტრიისათვის ნედლეულის საუკეთესო ბაზად გადაიქცეოდა, ეს ღიმად სწვამდათ მათ და აჩქარებდნენ მაროკოს დაპყრობას.

მაროკოს რკინის, სპილენძისა და სხვა ნედლეულის ხელში ჩაგდებისათვის განსაკუთრებით დაინტერესებული იყო გერმანიის ცნობილი მეტალურგიული ფირმა „ძმები მანეს მანები“ („Mannesmannröhren-Werke“, იგივე „Société Mannesmann frères“). ეს იყო ევროპისა და მსოფლიო ბაზრებით სახელმოხვეჭილი მილსაგლინავი წარმოების დიდი მონოპოლისტური გაერთიანება. მძიმე მრეწველობის ვეებერთელა კომბინატი, ქვანახშირის მაღაროებით, ბრძმედებით, ფოლადის ჩამომსხმელი უზარმაზარი ქარხნებით და სხვ. მანესმანების ფირმა იყო მაროკოში გერმანიის იმპერიალიზმის შეჭრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური ინიციატორი. სწორედ ეს ფირმა უკარნახებდა, რკინისა და ფოლადის სხვა მეფეებთან ერთად, გერმანიის მთავრობას მის პოლიტიკას მაროკოს მიმართ. სწორედ მათ მიუძღვით ბრალი მაროკოს კონფლიქტების აღმოცენებაში. „ძმები მანესმანების როლი მაროკანულ გართულებათა საქმეში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია იმ კოლოსალური გავლენისა, რომელსაც ახდენენ, საერთოდ, მეტალურგიული ტრესტები თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაზე, კერძოდ კი მსოფლიო ომის აღმოცენებაზე და, ამავე დროს, იგი უტყუარი დამამტკიცებელია იმისა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კოლონიურ პოლიტიკაში ნედლეულის წყაროების მონოპოლისტურად ფლობის საკითხს“ [1]. მანესმანების ფირმას განსაკუთრებით დიდი ბრალი მიუძღვის 1911 წელს მაროკოს ახალი, ე. წ. აგადირის კრიზისის გაღვივების საქმეში [2].

მანესმანებთან ერთად მაროკოს ექსპლოატაციაში აქტიურად ჩაებნენ კრუპის, „Marks und K°“ (ჰანბურგი), ვიქტორ შტერლინგის (ლაიპციგი), დერკენის (ვაველსბერგი), ჰერმანისა (ნიურენბერგი) და ჰაუსის (ვაისენბურგი) ცნობილი მონოპოლიური გაერთიანებები [3]. ტანჟერში მოღვაწეობდა ჰესნერისა და იოახიმსონის ფირმა (Firma Haeßner und Joachimsohn), ფეცში — რიხტერის

---

[1] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 170.

[2] 1—10 წელს მაროკოში მანესმანების მოღვაწეობას გერმანიის მთავრობამ „თეთრი წიგნის“ სპეციალური გამოშვება მიუძღვნა.

[3] Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 24, 25.

ფირმა (Firma M. Richter). გერმანელი კაპიტალისტები მთელ რიგ არაგერმანულ ფირმებშიც მონაწილეობდნენ, მაგალითად: შნედერ-კრეზოს ცნობილ „Union des mines marocaines"-ს აქციათა 20% კრუპის ფირმას ეკუთვნოდა, „Société Marocaine des Travaux publiques" ფირმის აქციათა 30% ასევე გერმანელ კაპიტალისტთა ხელთ იყო. 1900—1905 წწ. განმავლობაში გერმანიის ეკონომიური გავლენა მაროკოში მეტად განმტკიცდა. აქ ორმოცამდე გერმანული ფირმა მოღვაწეობდა, ხოლო გერმანიის კაპიტალდაბანდება ამ პერიოდში დაახლოებით 10 მილიონი მარკით განისაზღვრებოდა[1]. გერმანელმა კაპიტალისტებმა ხელთ იგდეს მრავალრიცხოვანი კონცესიები: ნავსადგურების აგებაზე (მათ შორის ისეთი გრანდიოზული საქმე, როგორიც იყო ტანჟერის ჯებირის მშენებლობა), გზების გაყვანაზე, ტელეგრაფისა და ფოსტის მოწყობაზე, ქალაქების კეთილმოწყობაზე (ელექტროგანათება, კანალიზაცია, წყალსადენი, კომუნალური ნაგებობანი და სხვ.). 1905 წელს ვილჰელმ II-ის ტანჟერში ჩასვლის შემდეგ „Deutsche Bank"-მა მაროკოს სულთანს თავს მოახვია სესხი 10 მილიონი მარკის რაოდენობით.

გერმანიის იმპერიალისტებს მხედველობაში ჰქონდათ, აგრეთვე, მაროკოს შესანიშნავი, ნოყიერი ნიადაგი და საუცხოო კლიმატი, რაც აქ სოფლის მეურნეობის განვითარების მდიდარ პერსპექტივებს სახავდა. მათი სანუკვარი ოცნება იყო მაროკო „პურის ბელტად" გადაექციათ[2]. გერმანელებმა კარგად იცოდნენ, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობდნენ ალჟირი და ტუნისი საფრანგეთის მარცვლეულით მომარაგების საქმეში. მარცვლეული კულტურის განვითარების თვალსაზრისით მაროკოში გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა იყო, ვიდრე პირველ ორში. ითვალისწინებდნენ რა ამას, გერმანელები ამბობდნენ, რომ ათი წლის შემდეგ ჩრდ. აფრიკა მეორე არგენტინად გადაიქცევა და იგი საუკეთესო „აგრარული დანამატი" იქნება გერმანიის იმპერიისათვის[3]. ამ დროისათვის გერმანელები მაროკოდან უხვად სარგებლობდნენ როგორც საკვები, ისე საწარმოო მნიშვნელობის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, მათ შორის რქოსანი საქონლით, ცხვრებით, თხებით, გამოჰქონდათ ცერცვეული, მწვარე ნუში,

---

[1] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 168.

[2] Mohr, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[3] იქვე, გვ. 36.

კვერცხი, თაფლი, ცვილი, ინდის ხურმა, ფინიკის ნაყოფი, პროვანსის ზეთი, ფრთოსანი, მატყლი, ხორბალი და ქერი[1], კაუჩუკის მცენარე და სხვა.

გერმანელ იმპერიალისტებს მაროკო თვალწინ ეხატებოდათ როგორც საუკეთესო ადგილი გერმანელი კოლონისტების დასახლებისათვის. მორი წერდა: „მაროკო არის თვალუწვდენელი, არაჩვეულებრივად მდიდარი ტერიტორია, სადაც შესაძლებელია უხვად იქნას მოპოვებული პურეული და სხვა საკვები საშუალება, იგი შესაძლებელია გადაიქცეს ღვინისა და მცენარეული ზეთების მოპოვების საუკეთესო ქვეყნად, შესანიშნავ კოლონიად, თეთრი ადამიანისათვის დიდი მომავალის მქონე ტერიტორიად“[2]. პანგერმანისტული მოძრაობის ერთ-ერთი ცნობილი ხელმძღვანელი გრაფი იოახიმ პფაილი ამტკიცებდა: არსებობს თავისუფალი ქვეყანა მაროკო, რომლის ხელში ჩაგდება გერმანიის მთავრობას შეუძლია, სადაც გერმანელს შეუძლია გამდიდრდეს და გაბედნიერდეს. საჭიროა და შესაძლებელია სწორედ მაროკოში გაიგზავნოს ის 32 ათასი გერმანელი ემიგრანტი, რომელიც ყოველწლიურად სტოვებს სამშობლოს და ბედის საძიებლად ამერიკაში მიემართება. ეს ხალხი მაროკოში ჰპოვებს საუკეთესო კლიმატს და პირობებს მათი ენერგიისა და შრომისმოყვარეობის გაშლისათვის[3]. გერმანელი დოქტორი ფლორიკე აღნიშნავდა: „რად უნდა ხდებოდეს ჩვენი გლეხობის გარდახვეწა ჩრდ. ამერიკაში, სადაც ისინი ითქვიფებიან გერმანელებისადმი მტრულად განწყობილ შტატებში და ამდენად თავის სამშობლოსათვის დაკარგულები ხდებიან, ან რატომ უნდა მიემართებოდნენ ისინი ჩვენ საკუთარ კოლონიებში. აქ ხომ ისინი მომაკედინებელი კლიმატის მსხვერპლნი ხდებიან და საერთო საქმისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ? ამავე დროს, მათ მოსახურეობას სთავაზობს ჯანსაღი, ხელუალებელი მიწა, ზედ ევროპასთან მდებარე (ლაპარაკია მაროკოზე—გ. კ.). ამ შესანიშნავი ნიადაგის დამუშავება მათ დიდ სარგებლობასა და კეთილდღეობას მოუტანს; ამავე დროს მათ შეუძლიათ დარჩნენ თავის საყვარელ სამშობლოს შვილებად“[4].

---

[1] 1894—1900 წლებში მაროკოს მთავრობამ აკრძალა მარცვლეულის გატანა, ხოლო 1901 წლიდან კვლავ ნება დართო.

[2] Mohr, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[3] Александров, დასახ. ნაშრ., გვ. 23; Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 172; Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

[4] Шарпантье, Нищий у порога Европы, С.—П., 1906, გვ. 50.

გერმანია გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა მაროკოსთან ვაჭრობისადმი. მართალია, მაროკოსთან გერმანიის ვაჭრობას ხანგრძლივი ისტორია არა ჰქონდა, მაგრამ უკვე 1904—1905 წლებისათვის მან ამ ვაჭრობაში მესამე ადგილი დაიკავა, ინგლისისა და საფრანგეთის შემდეგ[1].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ოფიციალური სავაჭრო ხელშეკრულება ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებულ იქნა 1890 წლის პირველ ივნისს. ამ ხელშეკრულების ინიციატორი იყო მაროკოში გერმანიის პოლიტიკის ცნობილი გამტარებელი გრაფი ტატენბახი და დოქტორი იანაში, გერმანიის „საექსპორტო ბანკის" დირექტორი და „კომერციული გეოგრაფიის ცენტრალური გაერთიანების" (Zentralverein fur Handelsgeographie) პრეზიდენტი. უკანასკნელმა 1886 წელს მაროკოში სავაჭრო დელეგაცია მიაელინა, ხოლო 1890 წელს დააარსა პირველი რეგულარული სავაჭრო-საზღვაო ხაზი ჰამბურგი-მაროკო. მალე გერმანიისა და მაროკოს ვაჭრობის სამსახურში რამდენიმე საზღვაო-სავაჭრო საზოგადოება ჩაება, მათ შორის: „ოლდენბურგ-პორტუგალიის"-„ვორმანის ხაზი" (Wörman-Linie), „სლომანის ხაზი" (Sloman Linie), „ლევანტის ხაზი" (Levant-Linie), ჰამბურგ-ამერიკის ხაზი, აღმოსავლეთ აფრიკის ხაზი და სხვ.

გერმანიას მაროკო სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც აინტერესებდა. გერმანიის იმპერიალიზმმა, რომელიც მსოფლიო ჰეგემონიაზე პრეტენზიას აცხადებდა, დღის წესრიგში დააყენა საზღვაო კომუნიკაციების ხელში ჩაგდების საკითხი, როგორც აუცილებელი პირობა ამ ჰეგემონიისათვის. ამ მხრივ მაროკო გერმანიის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა, რადგანაც მაროკოს ხელში ჩაგდებით მსოფლიო მნიშვნელობის ორი საზღვაო მაგისტრალი (ატლანტის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვისა) გერმანიის კონტროლს დაუმორჩილდებოდა. „მაროკო არის ერთადერთი დასაყრდენი, რომელიც შეუძლია გამოიყენოს გერმანიის ფლოტმა, რათა საერთაშორისო გართულებათა შემთხვევაში უზრუნველყოს თავისუფალი მიმოსვლა ატლანტსა და სუეცს შორის", — ამბობდა გრაფი პფაილი[2]. მაროკოს ატლანტის სანაპიროს ან თუნდაც მისი ნაწილის ფლობა ჩვენი საოკეანო

---

[1] გერმანიასა და მაროკოს შორის ვაჭრობის შესახებ იხილე Mohr, დასახ. ნაშრ., გვ. 40, 41; Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 136, 137 და სხვ.

[2] Александров, დასახ. ნაშრ., გვ. 23; Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ურთიერთობისათვის დიდად მნიშვნელოვანი დასაყრდენი იქნებაო [1], — აცხადებდნენ გერმანელები და მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ ამ საქმის განხორციელებას.

ამგვარად, გერმანიის იმპერიალიზმისათვის მაროკოს ხელში ჩაგდებას დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ბიულოვი ასე განსაზღვრავდა გერმანიისათვის მაროკოს მნიშვნელობას: „უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (1894—1904 წწ.— გ. კ.) გერმანიის ვაჭრობა შერიფის იმპერიაში სულ უფრო და უფრო წინ მიდის და უტოლდება საფრანგეთისას". ამასთან ბიულოვს მიაჩნია, რომ მაროკოში აგრარული საქმიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობანი იჩენენ თავს. მაროკოს გერმანიის სამთამადნო მრეწველობამ მიაპყრო განსაკუთრებით თვალი, — აცხადებს ბიულოვი, — რათა ამ ქვეყნის უმდიდრეს მინერალურ საგანძურში პოვოს შემცველი თავის რაინის საბადოებისათვის, რომლებიც მზარდი კონკურენციის გამო საკმარისნი აღარ არიან. ბიულოვი დაასკვნის: „ძალზე სწრაფად კლებულობს იმ ქვეყანათა რიცხვი, სადაც შესაძლებელია თავისუფალი ვაჭრობა და განუსაზღვრელი სამეურნეო მოღვაწეობა, ამიტომ მაროკოს ჩვენთვის დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს" [2].

გერმანიის იმპერიალიზმი მზად იყო ხელთ ეგდო მთელი მაროკო, მაგრამ, თუკი მაროკოს გაყოფა მოხდებოდა, მაშინ გერმანია დასავლეთ მაროკოს იჩემებდა. მაროკოს კარგად მცოდნე თეობალდ ფიშერი აღნიშნავდა, რომ გაყოფის შემთხვევაში გერმანიას წილად უნდა ხვდეს დასავლეთი მაროკო, ატლანტიდან ატლასამდე, რაბატის სამხრეთით მადნეულით მდიდარ სუზის ოლქითურთ [3].

„მაროკო ჩვენ გვსურს ყოველ მიზეზს გარეშე, ჩვენ ხელთ უნდა ვიგდოთ იგი თუნდაც ომის ფასად" [4], — გაიძახოდნენ პანგერმანისტები. პანგერმანისტების ეს მოთხოვნა მაროკოს საკითხში გერმანიის მთავრობის მოქმედების პროგრამა გახდა. პანგერ-

---

[1] Georg Kampffmeier, Marokko, Halle, 1903, გვ. 109.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6523, გვ. 212. „Bei der fortschreitenden Verminderung der Länder, in denen noch freier Absatz und unbeschränkte wirtschaftliche Betätigung möglich sind, hat Marokko deshalb für uns eine nicht zu unterschätzende Bedeutung", — აცხადებს ბიულოვი. ასეთივე შეფასებას აძლევს მაროკოს ფონ მიულბერგი (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე). იხ. Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6526.

[3] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

[4] Александров, დასახ. ნაშრ., გვ. 23; Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

მანისტები მაროკოს ხელში ჩაგდებას უკვე 1903 წელს მოითხოვდნენ; მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ მაროკოს ის ტერიტორია, რომელიც ატლანტის ოკეანის სანაპიროსთან მდებარეობდა. მიწა-წყალი რაბატიდან სუზამდე არაჩვეულებრივად მდიდარია რკინის მადნით, ხოლო საუკეთესო შავი ნიადაგი სოფლის მეურნეობას უხვ მოსავალს უქადის,— ამბობდნენ პანგერმანისტები და ამ ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ქადაგებდნენ [1].

გერმანია ყოველმხრივ ცდილობდა შეენიღბა თავისი აგრესიული ზრახვები. უპირველეს ყოვლისა, გერმანიის მთავრობა აცხადებდა, რომ იგი იცავს შერიფის იმპერიის ხელშეუხებლობას და სულთნის სუვერენიტეტს, რომ იგი მომხრეა შენარჩუნებულ იქნეს მაროკოში „Status quo“. ეს იყო გაფრთხილება მაროკოთი დაინტერესებული სხვა სახელმწიფოებისა (განსაკუთრებით კი საფრანგეთისა), რომლებიც ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ მაროკო, წაერთმიათ გერმანიისათვის გემრიელი ლუკმა. სწორედ მაროკოს ხალხის მფარველად, შერიფის იმპერიის ხელშეუხებლობისა და სულთნის სუვერენიტეტის დამცველად გამოაცხადა თავი ტანჟერში წარმოთქმულ სიტყვაში ვილჰელმ II-ემ. მაროკოს მიმართ ეს დემონსტრაციული ზრუნვა, როგორც ე. ვ. ტარლე აღნიშნავს, „გერმანიის დიპლომატიისათვის წარმოადგენდა საუკეთესო შენიღბვას მაროკოსათვის საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“ [2]. ამასთანავე, როგორც შემდეგ დავინახავთ, გერმანიამ მაროკოსათვის ბრძოლის დროს ამ შენიღბვის გარდა აშკარა ძალადობისა და მუქარის პოლიტიკასაც მიმართა. „შენიღბვისა და მუქარის ხერხების კომბინაციის“ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ცნობილი ბრძოლა საფრანგეთსა და გერმანიას შორის მაროკოსათვის [3], — აღნიშნავს აკადემიკოსი ტარლე. იფარებდა რა მაროკოს სუვერენიტეტის დამცველის ნიღაბს, გერმანიის იმპერიალიზმს სურდა მაროკოდან საფრანგეთის გაძევება და იქ მისი ადგილის დაკავება. ამავე დროს ვიცით, რომ ამ „მზრუნველის“ როლს საფრანგეთიც იჩემებდა. ამის შესახებ ე. ვ. ტარლე აღნიშნავს: „ყველაზე უფრო კურიოზულია ის, რომ სწორედ იგივე „ზრუნვა“ მაროკოელებზე წამოყენებულ იქნა, თავის მხრივ, საფრანგეთის დიპლომატიის მიერაც გერმანიის წინააღმდეგ მაროკოს იმპერიისათვის ხანგრძლივი ბრძოლის დროს“ [4].

---

[1] А. Норден, Уроки Германской истории, М., 1948, გვ. 19.
[2] История дипломатии, ტ. III, გვ. 750.
[3] იქვე.
[4] იქვე.

მაროკოს ხალხისა და სახელმწიფოს მფარველის როლში გამოსვლასთან ერთად გერმანიის მთავრობა აცხადებდა, რომ იგი იცავს მაროკოში „ღია კარებისა“ და ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორი უფლების პრინციპებს. საფრანგეთს სურს მონოპოლიური მფლობელი გახდეს მაროკოსი. თუ ეს განხორციელდა, მაშინ სხვა სახელმწიფოები დაკარგავენ მაროკოში მოქმედების უფლებას, საფრანგეთი მკიდროდ ჩაკეტავს მაროკოს სხვა სახელმწიფოთათვის ისევე, როგორც ჩაკეტა მან ტუნისი, მადაგასკარი, ინდო-ჩინეთი და სხვ. ჩვენ კი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ინტერესებს ვიცავთ, როცა სასტიკ წინააღმდეგობას ვუწევთ საფრანგეთის ასეთ განზრახვას. ჩვენ გვსურს ყველა სახელმწიფო თანასწორად უფლებამოსილი იყოს მაროკოსთან ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროშიო, აცხადებდნენ გერმანელები[1]. ამ შემთხვევაში გერმანიის დიპლომატია ცდილობდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი თავის სასარგებლოდ წარემართა და ამით ერთგვარი დასაყრდენი ეპოვა საფრანგეთის წინააღმდეგ მაროკოსათვის ბრძოლის საქმეში. აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ საფრანგეთიც ყველა სახელმწიფოს ინტერესთა დამცველად აცხადებდა თავს, როდესაც მაროკოში წესრიგისა და მშვიდობიანობის დამყარების თაოსნობას იჩემებდა.

გერმანიის იმპერიალისტები საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ მათ სურთ მაროკოში „ცივილიზაციის“ შეტანა. მაროკო, აცხადებენ ისინი, „ნახევრად ბარბაროსული ქვეყანაა“[2], ესაა მხოლოდ ტერიტორია, არაორგანიზებული, უპატრონო მიწა-წყალი, ყოველგვარ წესრიგსა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ნორმალურ პირობებს მოკლებული. „თუ დავსვამთ კითხვას: სადაა ქვეყანა ბუნებრივი სიმდიდრით ასე უხვად დაჯილდოვებული, ნაკლებად დასახლებული, შესანიშნავი კლიმატით, რომელიც მარადიულ გაზაფხულს გვაგონებს, სადაც არ არის არც სახელმწიფო ბიუჯეტი, არც სახელმწიფო ვალი, არც სახელმწიფო ხარჯები, არც ერთი კილომეტრი რკინიგზა, არც ტელეგრაფი, გზატკეცილები, სავაჭრო ნაგებობანი, შუქურები და სხვა; ქვეყანა, რომელიც ევროპის კარიბჭესთან მდებარეობს, რომელსაც შეუძლია გამოკვებოს 30—40 მილიონი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მსოფლიო ვაჭრობაში

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6521, 6553, 6558, 6571, 6576 და სხვ. იხ. აგრეთვე „Zur europäischen Politik“. დოკ. № 4, გვ. 55.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6517, გვ. 204.

მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღოს? ბევრმა იცის, რომ ეს ქვეყანა მაროკოა. აქ თანამედროვე ინდუსტრიამ ჯერ კიდევ ვერ გაიდგა ფესვები, ხელუხლებლად ძინავს მაროკოს მიწის ქვეშ უმდიდრეს საგანძურს, ძლივს არსებობს იქ უსუსური ვაჭრობა; ხნავენ, სთესენ, მოსავალს იღებენ ისეთივე წესით, როგორც 2000 წლის წინ იყო...",—წერს დოქტორი მორი[1]. მას „გული სტკივა" იმის გამო, რომ ეს სამოთხე გადაქცეულია „მწუხარებით მოცულ უდაბნოდ" და თუ მაროკო გზას გაუხსნის ცივილიზაციას, იგი „ახალ ჰესპერიდების ბაღად გადაიქცევა", — ამტკიცებს იგი[2]. „ცივილიზატორის" ნიღაბით სურდათ დაეფარათ გერმანელებს თავიანთი აგრესიული ზრახვები მაროკოსადმი, ასევე იქცეოდნენ, როგორც ვიცით, ფრანგი იმპერიალისტებიც. მაროკოში ცივილიზაცია მე უნდა შევიტანოო, — გაიიახოდა გერმანია, ე. ი. მას სურდა მაროკო თავის კოლონიად გაეხადა; ცივილიზატორის მისია მე უნდა დამეკისროსო, — უპასუხებდა საფრანგეთი და მას თავის კოლონიურ გვირგვინში მაროკოს მარგალიტის მომავალი ბრჭყვიალი ეხატებოდა. პირისპირ წამდგარი ეს ორი „ცივილიზატორი" მზად იყო საკითხი იარაღით გადაეწყვიტა.

დღის წესრიგში დგებოდა მაროკოში, თითქოსდა „ცივილიზაციის" შეტანის მიზნით, რეფორმების გატარების საკითხი. როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთმა დაიჩემა მაროკოში რეფორმების გატარების უფლება და მის პრაქტიკულად განხორციელებას შეუდგა, რაც დაევალა სენ-რენე ტაილანდიეს. ყოველივე ეს მოასწავებდა მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებას; გერმანია, ცხადია, სასტიკად წინააღუდგა საფრანგეთის ამ განზრახვას, რადგანაც იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ამ შემთხვევაში მისთვის მაროკო დაკარგული იქნებოდა[3]. გერმანიის იმპერიალიზმი, საერთოდ, წინააღმდეგი არ იყო რეფორმებისა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს რეფორმები მას თვითონ უნდა გაეტარებინა, ე. ი. მაროკოზე გერმანიის პროტექტორატი უნდა დამყარებულიყო; ამიტომ უშლიდა იგი ხელს საფრანგეთს მაროკოში რეფორმების გატარების საქმეში. ფონ ბიულოვმა მაროკოში გერმანიის ხელმძღვანელობით რეფორმების გატარების მეტად თავისებური პროექტი შეიმუშავა. მან წამოაყენა პრინციპი

---

[1] M o h r, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 34.

[2] იქვე.

[3] გერმანიის მთავრობის შეხედულებაზე სენ-რენე ტაილანდიეს მისიისა და, საერთოდ, მაროკოში რეფორმების ფრანგული პოლიტიკის შესახებ იხ. Die Grosse Politik, ტ XX, ნაწ. I, დოკ. № 6538, გვ. 237, 238, 239.

ინტერნაციონალური ხასიათის რეფორმებისა, ე. ი. საფრანგეთთან ერთად რეფორმებში მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიას, ბელგიას, ჰოლანდიას, შვეიცარიასა და, საერთოდ, მადრიდის კონფერენციაში მონაწილე ყველა სახელმწიფოს. ბიულოვი ფიქრობდა, რომ ამ შემთხვევაში იგი ხსენებულ სახელმწიფოებთან ერთად შექმნიდა ბლოკს, ხოლო საფრანგეთი, რომელსაც მარტოს სურდა რეფორმების გატარება, იზოლირებული აღმოჩნდებოდა, მისი გეგმები ჩაიფუშებოდა, რეფორმების გატარებაში უფლებამოსილ სახელმწიფოთა ჯგუფში გერმანია უძლიერესი იქნებოდა და რეფორმებიხ საქმეს თავის სასარგებლოდ წარმართავდა, მით უფრო, რომ სხვა სახელმწიფოები ძალზე ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი მაროკოთი. ტარდიე აღშფოთებულია ბიულოვის ასეთი გეგმის გამო: „რეფორმების საქმეში ჩვენ გვარგუნებდნენ იმავე წილს, რომელიც განკუთვნილი იყო ყველასათვის ერთნაირად — ბელგიისათვის, შვეიცისათვის ან ჰოლანდიისათვის, — აცხადებს „შეურაცხყოფილი“ ტარდიე,—ერთი სიტყვით, ეს იყო მოსპობა ყოველივე იმისა, რაც ჩვენ უნდა შეგვენარჩუნებინა და დაგვეცვა“ [1].

გერმანიას სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა საფრანგეთის ცნობილი არგუმენტი, რომლითაც იგი მაროკოსადმი განსაკუთრებულ უფლებებს იჩემებდა და ე. წ. „მშვიდობიანი შეჭრის“ აგრესიულ გეგმას ამართლებდა, სახელდობრ, მაროკოელთა თავდასხმები ალჟირის ტერიტორიაზე, ანუ, ფრანგი იმპერიალისტების ინტერპრეტაციით, „მაროკოს აგრესია ალჟირის წინააღმდეგ“. გერმანიის საგარეო პოლიტიკის ცნობილი ხელმძღვანელი, ბარონი ფონ ჰოლშტაინი აცხადებდა: „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ საფრანგეთს, როგორც მაროკოს მეზობელს, უფრო დიდი უფლებები აქვს, ვიდრე ჩვენ. თუკი აღიარებული იქნება მეზობლობიდან გამომდინარე დაპყრობის უფლება, მაშინ აქამდე არსებული საერთაშორისო სამართალი ყირამალა დადგება და უცნაურ შედეგებამდე მივალთ“ [2]. გერმანელი

---

[1] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 46,

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6521. „Daß Frankreich als Nachbar in Marokko ein stärkeres Recht hat als wir, kann keinenfalls zugegeben werden. Ein aus der Nachbarschaft herzuleitendes Recht auf Aneignung würde, falls anerkannt, das bisherige Völkerrecht auf den Kopf stellen und zu merkwürdigen Konsequenzen führen...“, — აცხადებს ჰოლშტაინი.

დიპლომატი და ორიენტალისტი ფრიდრიხ როზენი წერდა, რომ საფრანგეთი მუდამ თავდაცვის საბაბით აწარმოებდა დაპყრობით ომებს, რისთვისაც ყოველ სრულიად უმნიშვნელო შემთხვევას არაჩვეულებრივად გაბერავდა ხოლმე. თურმე „ალჟირისა და მაროკოს საზღვარზე ორი გლეხის წაკინკლავება საფრთხეს უქმნიდა საფრანგეთის ხელისუფლების უშიშროებას პარიზში“,—აცხადებდა ირონიულად როზენი[1]. მაგრამ გერმანიის პოლიტიკოსებიც არანაკლებ უსუსურ არგუმენტებს ეჭიდებოდნენ მაროკოს მიმართ თავიანთი აგრესიული ზრახვების შესანიღბად. ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთში გერმანიის ელჩის თავადი რადოლინის „მოსაზრებანი“. გერმანიას, აცხადებს იგი, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია უარი თქვას მაროკოზე, რომელსაც ესოდენ მდიდარი მომავალი აქვს. გერმანიამ ამისათვის ყოველგვარი საშუალება უნდა იხმაროს. საფრანგეთს სურს მაროკოში წესრიგის დამყარების მიზნით პოლიცია და სხვა რაზმები შექმნას და უხელმძღვანელოს, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. თუ საფრანგეთი გზავნის მაროკოს წყლებში სამხედრო ფლოტს, განა გერმანიას არა აქვს იგი? გერმანიის სამხედრო ფლოტი მაროკოს დასავლეთ სანაპიროს უნდა მიადგეს. რატომ ჩვენ არ უნდა დავიპყროთ მაროკოში გავლენის სფეროები? ჩვენ უნდა დავიწყოთ „მშვიდობიანი და ეკონომიური“ შეჭრა დასავლეთიდან ისევე, როგორც ამას საფრანგეთი ახორციელებს აღმოსავლეთიდან. ნაირსახეობისათვის ჩვენს ასეთ მოქმედებას შეიძლება „მეცნიერული შეჭრა“ ეუწოდოთ[2]. მეტისმეტად საინტერესო და, შეიძლება ითქვას, პირდაპირ განსაცვიფრებელი „ნიღაბია“. შეიძლებოდა მივსალმებოდით თავად რადოლინის გამომგონებლობით ტალანტს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „ნიღაბი“ მისი ორიგინალური ქმნილება როდია. მან იგი კოლონიური პოლიტიკის დიდოსტატების — ინგლისელთა არსენალიდან ამოიღო.

---

[1] Friedrich Rosen, Aus einem diplomatischen Wanderleben, B. I, Berlin, 1931, გვ. 142.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6524. რადოლინი ამბობდა: „Bei Gelegenhait können sich auch unsere Kriegsschiffe an der Westküste Marokkos zeigen. Läßt Frankreich sich nicht zu Konzessionen herbei, so können wir die pénétration pacifique et économique vom Wosten her beginnen, wie es Frankreich im Osten tut. Dieses Vorgehen kann man auch zur Abwechslung als pénétration scientifique bezeichnen, wie England im Tibetgebiet...“.

არანაკლებ საინტერესოა გერმანელი მკვლევრის გუსტავ დირკსის „მეცნიერული" აღმოჩენა. როგორც ცნობილია, V საუკუნეში ჩრდილო აფრიკაში ვანდალების გერმანულ-ბარბაროსული სახელმწიფო შეიქმნა. ამ ისტორიული ფაქტის საფუძველზე დირკსი კალმის ერთი მოსმით ამტკიცებს, რომ მაროკოში მოსახლე ბერბერთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ გერმანელებს ენათესავება. მართალია, იგი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ჩრდ. აფრიკის უძველესი მოსახლეობა ქამიტური მოდგმისაა, რომ ამ მოდგმას ეკუთვნიან ბერბერებიც, მაგრამ ყველა არა! ბერბერულ მოსახლეობას შორის, განსაკუთრებით კი რიფის მთიანეთში, იქ, სადაც ბერბერები ყველაზე უკეთ არიან შემონახულნი, ეხვდებით დიდი რაოდენობით ქერათმიან, ცისფერთვალება, მაღალი ტანის ინდივიდებს (ე. ი. „არიელის" კლასიკურ ტიპს), გვაუწყებს დირკსი; აქვე იგი იშველიებს კომპეტენტურ ფრანგ ეთნოგრაფებს, თუმცა, რატომღაც არ ასახელებს მათ. თურმე ამ ბერბერთა რიცხვი თითქმის იმდენივეა, რამდენიც შავთმიანი ბერბერებისა. საიდან წარმოდგებიან ეს ქერათმიანი, ტანმსხვილი, ცისფერთვალება წმინდა გერმანული ტიპის მცხოვრებლები? — კითხულობს ავტორი და თვითონვე დაასკვნის: საერთო მოსაზრება იხრება იქითკენ, რომ ისინი ვანდალებისაგან წარმოდგებიან[1]. ამ იაფფასიანი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად იგი აცხადებს: „533 წელს ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს სარდალმა ველიზარიუსმა დაიპყრო ჩრდილოეთ აფრიკა... ხომ არ შეიფარეს ბიზანტიელებისაგან დევნილი ვანდელები მთიელმა კაბილებმა (ე. ი. ბერბერებმა—გ. კ.) და ამგვარად, ხომ არ გახდნენ ისინი წინაპრები რიფის მოსახლეობის ღონიერ, ცისფერთვალება ელემენტისა?"[2].

რად დასჭირდა დირკსს ასეთი მანიპულაციები? პასუხი, ეფიქრობთ, ადვილი გასაცემია. წიგნი იწერებოდა იმ პერიოდში, როცა მაროკოს პირველი კრიზისი ღვივდებოდა, როცა გერმანია იარაღს აჟღარუნებდა და მაროკოს გულისათვის ომის ხანძარს უქადდა ცსოფლიოს. დირკსმა კალამი აღმართა და შეუდგა მტკიცებას, რომ მაროკოში გერმანელების ძმები ცხოვრობენ, ამიტომ სრულიად გამართლებულია გერმანიის პრეტენზიები ამ ქვეყნის მიმართო. გერმანიის იმპერიალიზმისათვის მან ახალი, უკვე „ორიგინალური" ნიღაბი გამოძერწა. შენიღბული და ამავე დროს შეჯავშნული გერმანიის იმპერიალიზმი ემზადებოდა მარო-

---

[1] G. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[2] იქვე, გვ. 54.

კოში თავისი გეგმების განხორციელებისათვის. „Die Grosse Politik"-ში მოთავსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ გერმანიის მმართველ წრეებს უკვე 1904 წლის დასაწყისში ჰქონდათ მიღებული გადაწყვეტილება, განეხორციელებინათ თავიანთი აგრესიული ზრახვები ნაროკოს მიმართ და დაეწყოთ შერიფის იმპერიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები[1]. მაროკოში საფრანგეთის „აღმოსავლეთიდან შეჭრის" საპასუხოდ გერმანიამ გადაწყვიტა განეხორციელებინა, თავის მხრივ, მაროკოში „დასავლეთიდან შეჭრა".

საქმე შემდეგნაირად წარიმართა: 1904 წლის 7 მარტს ფეცის ფაშამ (ქალაქის თავმა) დააპატიმრა მაროკოელი მკვიდრი ელ ბერნუსი, რომელიც გერმანიის ერთ-ერთი ფირმის აგენტი და გერმანიის პროტეჟე იყო. გერმანიის მთავრობა, კერძოდ კი კანცლერი ფონ ბიულოვი, აღაშფოთა მაროკოს ხელისუფლების ამ „უმსგავსო ძალმომრეობამ" და „საოცარმა ბოროტმოქმედებამ". გერმანიის კონსულმა ფეცში დოქტორმა ვასელმა სულთნის საგარეო საქმეთა მინისტრს ბენ სლიმანს გერმანიის მთავრობის სახელით მრისხანე ნოტა წარუდგინა ელ ბერნუსის დაუყონებლივ განთავისუფლებისა და მის დატყვევებაში დამნაშავეთა სასტიკად დასჯის შესახებ[2]. გერმანიის მთავრობას მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა ვიღაც ელ ბერნუსის ინტერესების დაცვას, არამედ, საერთოდ, მაროკოელთა თვალში გერმანიის პრესტიჟის დაცვას. გერმანელი დიპლომატის ფონ ბრიუნინგის განცხადებით, თუ გერმანია მოითმენდა ამ „შეურაცხყოფას" და თავის პროტეჟეებს ბედის ანაბარა მიატოვებდა, მაშინ მაროკოს ხალხსა და ხელისუფლებას შეექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გერმანიას არ ძალუძს მის მფარველობაში მყოფი მაროკოელების დაცვა, რომ იგი საერთოდ უძლურია; ამ შემთხვევაში გერმანიას აღარც ერთი პროტეჟე აღარ შერჩებოდა, რაც გერმანიის ეკონომიური ინტერესებისათვის მაროკოში მეტად საზიანო იქნებოდა, რადგანაც იქ ფართო და ინტენსიური ეკონომიური საქმიანობა პროტეჟირებულთა გარეშე თითქმის შეუძლებელი იყო. მოკლედ, გერმანიის პრესტიჟი მაროკოელთა თვალში დაეცემოდა[3].

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6512, 6513, 6515, 6516, 6517, 6524, 6525, 6529, 6532, 6533, 6534 და სხვ.

[2] იქვე, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6512, გვ. 197.

[3] იქვე, დოკ. № 6517, გვ. 204.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ფონ ბრიუნინგს სავსებით სარწმუნოდ მიაჩნია ელ ბერნუსის დატყვევების საქმეში ფრანგების პროვოკაციული როლი. ამით მათ სურთ, აცხადებს იგი, მაროკოს მოსახლეობის თვალში გერმანული პროტექციის გაუფასურება, მისი მნიშვნელობის დისკრედიტირება [1].

იმავე მარტის თვეში მაროკოში მოკლულ იქნა „Kölnische Zeitung"-ის კორესპონდენტი ეინზე გენტი.

ფონ ბიულოვმა ელ ბერნუსის დატყვევება და გენტის მკვლელობა ხელზე დაიხვია, საბაბად გამოიყენა, მაროკოში სამხედრო ოპერაციების დაწყება გადაწყვიტა და იმპერატორს, უპირველეს ყოვლისა, მაროკოს წყლებში სამეიდრო ესკადრის გაგზავნა მოსთხოვა [2]. მარტო რაიხსკანცლერი როდი იყო ამ აზრისა, მას გვერდში ედგა გერმანიის ხელისუფალთა ძირითადი ნაწილი. ფონ ბრიუნინგი აცხადებდა, რომ მაროკოელთა დაყოლიება მხოლოდ უმკაცრესი ზომებით შეიძლება და მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაწყებულიყო ენერგიული მოქმედება მათ წინააღმდეგ [3]. გერმანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი (მინისტრი) ბარონი ოსვალდ ფონ რიხტჰოფენი სავსებით ეთანხმება ბრიუნინგს და დასძენს, რომ ამისათვის მომენტი განსაკუთრებით ხელსაყრელიაო [4].

ბარონ ფონ მენტცინგენის (გერმანიის ელჩი მაროკოში, რომელიც მალე კიულჩანმა შეცვალა) აზრით გენტის მკვლელობა,

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6517. ბრიუნინგი აღნიშნავს: „Es ist wohl möglich, daß Frankreich von diesem Gesicht-punkte aus die marokkanische Regierung in ihrer provozierenden Haltung uns gegenüber ermutigt, um damit den Wert der deutschen Protektion bei der marokkanischen Bevölkerung zu diskreditieren und dadurch indirekt die unbequemen deutschen Konkurrenten in ihren Handelsinteressen zu schädigen".

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6512.

[3] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6517. ბრიუნინგის მტკიცებით: „Aus der vorstehend gekenuzeichneten Situation ergibt sich für mich die Notwendigkeit prompten und energischen Handelns. Die Marokkaner halten Nachsicht für Schwäche und lassen sich nur durch scharfe Maßregeln zur Raison bringen".

[4] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, გვ. 205, შენიშვნა 2. „Auch meine Ansicht, doch wird der Moment richtig zu wählen sein",—აცხადებს ფონ რიხტჰოფენი.

ელ ბერნუსის დატყვევება და სხვა გერმანიის მიერ მაროკოს მიმართ ძალის გამოყენების საუკეთესო მოტივაციაა, რომელიც, როგორც იგი ამბობდა, „ჩვენ შეიძლება კვლავ ვეღარ ვპოვოთ“ [1].

საკითხავია, რატომ იყო გერმანიისათვის მომენტი ხელსაყრელი და, როგორც თვითონ ამბობდნენ, შესაძლოა „განუმეორებელი“? მარტო გენტის მკვლელობა და ელ ბერნუსის დატყვევება როდი ქმნიდა ამ ხელსაყრელ მომენტს. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება რუსეთ-იაპონიის ომს. როგორც ცნობილია, 1904 წლის 27 იანვარს (9 თებერვალს) იაპონია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს რუსეთის ციხე-სიმაგრე პორტ-არტურს და სერიოზული ზარალი მიაყენა იქ განლაგებულ რუსეთის სამხედრო ესკადრას. დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. რუსეთის ცარიზმი ყელამდე ჩაეფლო ამ ომში. ყოველივე ამის შედეგად საფრანგეთის პოზიციები ევროპაში შესუსტდა, აქ გართულებათა შემთხვევაში მას აღარ ჰქონდა თავისი მოკავშირის, მეფის რუსეთის დახმარების იმედი. აქედან გამომდინარე, გერმანიის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ ამჯერად საფრანგეთის მხრივ მაროკოში გერმანიის „დასავლეთიდან შეჭრის“ წინააღმდეგ რაიმე ენერგიული ზომების მიღება გამორიცხული იყო, რომ საფრანგეთი ვერ გაბედავდა რუსეთის დახმარების გარეშე გერმანიის წინააღმდეგ ომს, ხოლო რუსეთს მაშინ დახმარების თავი არ ჰქონდა.

ამასთანავე, გერმანიის ხელისუფალთა მტკიცებით, საფრანგეთი ვერ შეედავებოდა გერმანიას მაროკოს მიმართ ძალის გამოყენების უფლებაში. აკი თვითონაც ასე მოიქცა ვაჭარ პუზეს მკვლელობის დროს; ინგლისელები და ფრანგები ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოითმენდნენ, რომ მსგავსი „შეურაცხყოფა“, რომელიც მაროკოელებმა გერმანელებს მიაყენეს, ბათთვის ვისმე მიეყენებინა [2].

გერმანიის ხელისუფალთ მხოლოდ ერთი გარემოება აფიქრებდა. ვილჰელმ II-ემ 1904 წლის 16 მარტს ესპანეთის მეფე ალფონს XIII-თან საუბრისას ვიგოში განაცხადა, რომ გერმა-

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6515. მენტიცენი აღნიშნავს, რომ გენტის მკვლელობა, ელ ბერნუსის დატყვევება გერმანიას: „Zurzeit eine Motivierung zu gewaltsamen Einschreiten liefert, wie wir sie vielleicht nicht wieder finden werden“.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6517, გვ. 204, 205.

ნიას მაროკოში არავითარი პოლიტიკური ინტერესები არა აქვს..., რომ გერმანია მაროკოში არავითარ განსაკუთრებულ უფლებას არ თხოულობს[1]. ვილჰელმს ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ახალგაზრდა მონარქის გულის მოგება სურდა, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ „მაროკო ანდალუზიის გაგრძელებაა, რომ ესპანეთი ატლასში მთავრდება...“ კაიზერის ეს „დაუფიქრებელი“ განცხადება საგონებელში აგდებდა მაროკოში გერმანიის შეჭრის გეგმის შემოქმედებს. ასეთი განცხადების შემდეგ მაროკოს მიმართ სამხედრო ოპერაციების დაწყება ხომ ჩირქს მოსცხებდა მათ მბრძანებელს? მაგრამ გამართლება ადვილად იქნა გამონახული, დაახლოებით ასეთ ფორმებში: მართალია, არ გვინდოდა მაროკოს მიმართ ძალა გეეხმარა, მაგრამ იძულებულნი ვართ და განა ვინმე მოითმენდა იმ საშინელ შეურაცხყოფას, რომელიც მაროკომ გერმანიას მიაყენა?[2].

გადაწყვეტილება განხორციელებას მოითხოვს. ბარონმა ფონ შენტცინგენმა ბიულოვს წარუდგინა კიდეც მაროკოს მიმართ სამხედრო ოპერაციების წარმოების, მისი აზრით, ყველაზე უფრო სასურველი გეგმა. უპირველეს ყოვლისა, სულთანს ულტიმატუმი უნდა გაეგზავნოს... ამის შემდეგ იწყება გერმანიის სამხედრო ფლოტის მოქმედება. ძირითადი ძალები ოპერაციას აწარმოებენ მაროკოს დასავლეთ, ატლანტის სანაპიროს გასწვრივ. მათ ხელთ უნდა იგდონ მთელი რიგი პუნქტები, პირველ რიგში აგადირი, მნიშვნელოვანი ნავსადგური. ამასთანავე, ერთი სამხედრო ხომალდი ტანჟერში უნდა ჩავიდეს, ხოლო მეორემ მაროკოს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ უნდა იცუროს, მაროკოს ამ სანაპირო ზოლში მყოფ გერმანელთა უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამავე დროს, საჭიროა გერმანელთა გამოყვანა მაროკოს შიდა ტერიტორიიდან, ქერძოდ, მარაკეშიდან[3]. ანალოგიური გეგმა წამოაყენა აგრეთვე თავადმა რადოლინმა, რომელმაც, როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის აგრესიას მაროკოსადმი „მეცნიერული შეჭრა“ დაარქვა.

ამგვარად, მოსალოდნელი იყო ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელება. მაგრამ გერმანიის დამოკიდებულებამ მაროკოსადმი

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6513, გვ. 200.
[2] იქვე, დოკ. № 6516, გვ. 203.
[3] იქვე, დოკ. №№ 6515, 6524, 6532, 6533.

სრულიად ახალი ხასიათი მიიღო ჩვენთვის უკვე ცნობილი საფრანგეთ-ინგლისის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების შედეგად, გერმანიის მთავრობამ უარყო თავისი განზრახვა მაროკოში სამხედრო ოპერაციების დაწყების შესახებ და მაროკოს მიმართ სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა, პოზიცია მასთან დაახლოებისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისა.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

გერმანია და 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება

§ 1. რატომ გაიგეს 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება გერმანიაში

გერმანიაში ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესაძლებლობას მაროკოს საკითხში 1904 წლამდეც ითვალისწინებდნენ. ასე, მაგალითად, 1900 წლის 24 აგვისტოს ჰოლშტაინი სწერდა ბიულოვს: „ისე როგორც თქვენ, მეც სერიოზულად ვშიშობ, რომ მაროკოს საკითხი კვლავ წამოიჭრება. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ სოლსბერი ფრანგებს გადასცემს თუ ტანჯერს არა, მაროკოს მთელ შიდა ტერიტორიას ატლანტის ოკეანემდე მაინც, რათა ამით ისინი სხვა საკითხებში დათმობაზე წაიყვანოს, მაგალითად, ჩინეთში ან იანცზიში. შესაძლებელია აგრეთვე, იგი ამას ჩადის მხოლოდ იმისათვის, რომ ფრანგების წინსვლამ ატლანტის ოკეანისკენ იძულებულჰყოს გერმანია გამოვიდეს საფრანგეთის წინააღმდეგ"[1]. ამასთანავე, ჰოლშტაინი მოითხოვდა, რომ გერმანიის ხელისუფლებას სერიოზული ზომები მიეღო ინგლის-საფრანგეთის ასეთი შესაძლო გარიგების წინააღმდეგ.

1903 წლის 4 ოქტომბერს გერმანიის ელჩი ლონდონში გრაფი პაულ ვოლფ მეტერნიხი სწერდა ბიულოვს: „იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი, ინგლისი და ესპანეთი შეთანხმდებიან მაროკოს გაყოფის გეგმის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია ჯერ ვაუწყოთ აღნიშ-

[1] Бернгард Бюлов, Воспоминания, М.—Л., 1935. зз. 194.

ნულ სამ სახელმწიფოს, რომ არ ვცნობთ დაყოფის გეგმას, რომელშიც ჩვენ არ ვმონაწილეობთ...“[1] მეტერნიხს სჯერა, რომ ინგლისი, საფრანგეთისათვის მაროკოს დათმობის შემთხვევაში, თავისთვის მოითხოვს ეგვიპტეს, რაზედაც საფრანგეთი სიამოვნებით დათანხმდება. „საფრანგეთმა დიდი ხანია ჯვარი დაუსვა ეგვიპტეს და დიდი სიამოვნებით დაუთმობს ინგლისს მაროკოს საფასურად იმ მცირედ პოლიტიკურ გავლენას, რომელიც მას ჯერჯერობით კიდევ შერჩენია ეგვიპტეში...“[2]

რაც შეეხება 1904 წლის მოლაპარაკებას ლონდონსა და პარიზს შორის, ამის შესახებ ბერლინის კაბინეტი საკმაოდ ინფორმირებული იყო. მან იცოდა, რომ შეთანხმება ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეულია, რომ დღეს თუ ხვალ ამ ორ სახელმწიფოს შორის ხელმოწერილი იქნება ხელშეკრულება, რომ ამ მოლაპარაკების დროს მაროკოს საკითხი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა[3].

1904 წლის 23 მარტს ოფიციალურ სადილზე დელკასემ აუწყა გერმანიის ელჩს პარიზში თავად ჰუგო ფონ რადოლინს, რომ უახლოეს დღეებში მოხდება ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ხელმოწერა და გააცნო მას მომავალი ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები (ცხადია, გამოსაქვეყნებელი ნაწილიდან). ამიერიდან გერმანიისათვის ცნობილი გახდა მაროკოს საკითხში ინგლის-საფრანგეთის გარიგების შინაარსი. ამაოდ არწმუნებდა დელკასე რადოლინს, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს შერიფის იმპერიის მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვას; რადოლინისათვის ნათელი იყო, რომ ეს ხელშეკრულება მოასწავებდა მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის გამოცხადებას. რადოლინი აღნიშნავდა: „საუბრის დროს დელკასე გულმოდგინედ ცდილობდა გვერდი აეხვია სიტყვა „პროტექტორატისათვის“, რაც სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ საფრანგეთის სურვილი, მოიპოვოს მაროკოში გავლენა იქაური მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით, პროტექტორატს უდრის“[4].

---

[1] Бюхов, Воспоминания, გვ. 264.

[2] იქვე.

[3] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6365, 6366, 6367.

[4] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, № 6368. თავადი რადოლინის ცნობა პარიზიდან. რადოლინი დაწვრილებით გადმოსცემს 23 მარტის საუბარს: „Das Wort „Protektorat“ hat Herr Delcassé in sciner Unterhaltung sorgfältig vermieden, was aber nicht ausschließt, daß der von Frankreich erstrebte Einfluß auf die Ordnung der Verhältnisse in Marokko

ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე საფრანგეთის, ინგლისისა და თვით გერმანიის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა მისი ტექსტი (საიდუმლო მუხლების გამოკლებით) და გერმანიის მთავრობას საშუალება მიეცა დეტალურად გასცნობოდა მის შინაარსს. ამასთანავე, გერმანიის მთავრობამ იცოდა, რომ არსებობდა აგრეთვე საიდუმლო მუხლებიც. ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ რეიტერის სააგენტომ გამოაცხადა, რომ ხელშეკრულება შეიცავს მრავალ საიდუმლო მუხლს, რომლებიც არ იქნებიან გამოქვეყნებულნიო[1]. გარდა ამისა, გერმანიისთვის ცნობილი იყო, რომ საიდუმლო მუხლები ახლავს, აგრეთვე, საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმებასაც. 1904 წლის 8 ოქტომბერს საფრანგეთის გაზეთმა „Le Temps"-მა გამოაქვეყნა კოლონიური პარტიის მეთაურის ეტიენის ინტერვიუ, რომელშიაც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ეტიენს გააცნეს საიდუმლო მუხლები ხელშეკრულებისა[2]. რაც შეეხება საიდუმლო მუხლების შინაარსს, გერმანიის მთავრობისათვის იგი უცნობი იყო 1911 წლამდე, როცა ნოემბრის თვეში საფრანგეთის გაზეთებმა „Le Matin" და „Le Temps" აღნიშნული საიდუმლო მუხლები გამოაქვეყნეს[3]. გერმანიას რომ სცოდნოდა ამ მუხლების არსებობა 1904 წლისათვის, ცხადია, ამის შესახებ მითითებებიც იქნებოდა გერმანულ დოკუმენტთა ისეთ კრებულში, როგორიცაა „Die Grosse Politik". ასეთს ჩვენ აქ ვერ ვპოვებთ. აქ წარმოდგენილი დოკუმენტები გვამცნობენ, რომ გერმანიის მთავრობა მარჩიელობდა საიდუმლო მუხლების შინაარსის შესახებ. მაგალითად, ეყრდნობოდა რა ბელგიის ელჩის ნათქვამს, ბიულოვი ფიქრობდა, რომ ამ საიდუმლო მუხლებში ლაპარაკია რაინის საზღვრების შესახებ და სხვ.[4]

გერმანიის მთავრობისათვის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ოფიციალური ნაწილიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ

---

einem Protektorate gleichkommt", — იტყობინება რადოლინი. ამ დოკუმენტს თან ახლავს კაიზერის შენიშვნები რადოლინის აღნიშნულ ცნობაზე. ვილჰელმ II-ეს საკუთარი ხელით წაუწერია: „ასეა"... 23 მარტის საუბრის შესახებ იხილე აგრეთვე „Международные отношения 1870—1918", დოკ. № 87, გვ. 155—156.

[1] Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[2] იქვე, გვ. 86.

[3] იქვე.

[4] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6383.

ნათლად წარმოედგინა საქმის ვითარება. საფრანგეთმა დაიწყო ძიება მაროკო, მოიპოვა მასზე პროტექტორატის დამყარების უფლება, — ასეთი იყო გერმანიის მთავრობის ღრმა რწმენა. საფრანგეთს სურს მონოპოლიურად დაეპატრონოს მაროკოს, შემოიერთოს შერიფის იმპერია და თავის კოლონიად აქციოს, რის შემდეგ იგი მაროკოდან ყველა სხვა სახელმწიფოს გამოდევნის, მათ შორის, ცხადია, გერმანიასაც. ეს გერმანიას უქადის განუზომელ ეკონომიურ ზარალს: გერმანია დაკარგავს შესანიშნავ ქვეყანას, სადაც მის ეკონომიურ საქმიანობას ესოდენ დიდი პერსპექტივები ესახებოდა, დაკარგავს ნედლეულის შესანიშნავ ბაზას, დაკარგავს ქვეყანას, სადაც შეიძლებოდა უხვი კონცესიების მიღება, ფართო ვაჭრობა და სხვა, კარგავს ზღვებზე გერმანიის ბატონობისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქვეყანას. ასეთი იყო გერმანიაში გაბატონებული აზრი [1].

გარდა ეკონომიური ზარალისა, გერმანიის მთავრობას აწუხებს გერმანიის სახელმწიფოს პრესტიჟი. ინგლისმა და საფრანგეთმა აბუჩად აიგდეს გერმანიის იმპერია, მაროკოს საკითხის გადაწყვეტისას მას არაფერი ჰკითხეს, გვერდი აუარეს მაშინ, როდესაც შერიფის იმპერიაში მას დიდი ინტერესები ჰქონდა, გერმანია შეურაცხყოფილია და ამ შეურაცხყოფას იგი არაფის აპატიებს, — აცხადებდნენ გერმანიის მმართველები. თუ ჩვენ მოვითმენთ ამ შეურაცხყოფას, რომელიც მოგვაყენეს მაროკოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წავაქეზებთ ყველას ასევე მოგვექცნენ სხვა ადგილასაც, — ამბობდა ჰოლშტაინი [2]. რუსეთის ელჩს გერმანიაში გრაფ ფონ ოსტენ-საკენს ბიულოვმა განუცხადა, რომ მაროკოს საკითხი „მისთვის და, განსაკუთრებით კი, იმპერატორისათვის ღირსების საკითხად გადაიქცა. მონარქიული მოსაზრებიდან გამომდინარე, თქვა ბიულოვმა, იმპერატორმა მტკიცედ გადაწყვიტა, არავითარ დათმობაზე არ წავიდეს, რომელსაც შეუძლია ზარალი მიაყენოს მის ავტორიტეტს, პიროვნებასა და გვირგვინის პრესტიჟს, როგორც გერმანიაში, ისე ევროპაში“ [3].

გერმანიის მთავრობამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო არ დაეშვა მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრება, ყოველგვარი ღო-

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6521, 6523, 6526.

[2] იქვე, № 6521, გვ. 209. „Lassen wir uns aber jetzt in Marokko stillschweigend auf die Füße treten, so ermutigen wir zur Wiederholung anderswo“,—ამბობდა ჰოლშტაინი.

[3] Красный Архив, 1930, т. 4—5 (41—42), გვ. 26.

ნისბეება ეხმარა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ლიკვიდაციისათვის. ეს გადაწყვეტილება უფრო მტკიცე გახდა მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ამ შეთანხმებას უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა, რომ აქ საქმე ეხებოდა არა მარტო მაროკოს დაკარგვას, არამედ იმას, რომ 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება ნიშნავდა ინგლისისა და საფრანგეთის კავშირს გერმანიის წინააღმდეგ, რომ ეს შეთანხმება ნიშნავდა გერმანიის დამარცხებას საერთაშორისო ასპარეზზე, გერმანიის იზოლაციას. ამგვარად, მაროკოს საკითხმა აშკარად საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ამიერიდან გერმანიისათვის მაროკოსათვის ბრძოლას მიენიჭა ორმაგი მნიშვნელობა: ეკონომიური და პოლიტიკური. ეკონომიური თვალსაზრისით საჭირო იყო მაროკოდან საფრანგეთის გამოძევება, რათა მისი ადგილი თვითონ გერმანიას დაეჭირა, ხოლო მაროკოს საკითხში ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისადმი სასტიკი წინააღმდეგობის გაწევით, გერმანიის მთავრობას სურდა შეემოწმებინა, თუ რაოდენ მტკიცე და მყარი იყო ინგლის-საფრანგეთის ეს შეთანხმება, ანუ მათი კავშირი გერმანიის წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობის საბოლოო მიზანი იყო ამ შეთანხმების ერთის დარტყმით ჩაშლა.

1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება განსაკუთრებით ძილს უფრთხობდა გარმანიის საგარეო პოლიტიკის მაშინდელ ხელმძღვანელებს ფონ ჰოლშტაინსა[1] და ბიულოვს, რომელსაც, ე. ვ. ტარლეს მოხდენილი თქმით, ჰოლშტაინი ხელმძღვანელობდა[2]. ჰოლშტაინი და ბიულოვი საგარეო პოლიტიკას ძირითადად მცდარ პრინციპებზე აგებდნენ. ეს მცდარი პრინციპები, რომელნიც ჰოლშტაინის მიერ იქნენ შემუშავებულნი და რომელთაც ბიულოვი არსებითად იზიარებდა, შემდეგი სახით

---

[1] ბარონი ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰოლშტაინი (1837—1909), გერმანელი დიპლომატი, დაწინაურდა ჯერ კიდევ ბისმარკის დროს, რომელმაც იგი 1876 წელს საგარეო საქმეთა უწყების აპარატში მიიღო. მართალია, მას არასდროს არ ჰქონია დიდი თანამდებობა (ბოლომდე დარჩა მრჩეველ-მომხსენებლის თანამდებობაზე), მაგრამ ფაქტიურად საგარეო საქმეთა სამინისტროს მთელ მუშაობას ჰოლშტაინი წარმართავდა. იგი გამოირჩეოდა დიდი მეხსიერებითა და შრომისმოყვარეობით: ზეპირად იცოდა ყველა პრეცედენტი და კაზუსი. ბისმარკი არ იშორებდა მას და მალე ოჯახის მეგობრადაც გაიხადა. ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იგი კაპრივის კანცლერობის პერიოდში. განსაკუთრებით გაიზარდა მისი გავლენა ბიულოვის დროს. 1906 წელს ალხესირისის კონფერენციის შემდეგ ფონ ჰოლშტაინი გადადგა.

[2] **История дипломатии**, ტ. III, გვ. 750.

წარმოგვიდგებიან: წინააღმდეგობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, განსაკუთრებით კი ინგლისსა და რუსეთს შორის, შეურიგებელია და აუცილებლად გამოიწვევს მათ შორის ომს. აქედან გამომდინარე, ბიულოვი და ჰოლშტაინი შემდეგ დასკვნებს აკეთებდნენ და მათ საგარეო პოლიტიკაში ახორციელებდნენ კიდეც: გერმანიამ, რომელსაც ყველა ეფერება, ამ დიდ სახელმწიფოთა შორის არც ერთს არ უნდა მისცეს უპირატესობა, მაგრამ, ამავე დროს, მას შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდეც მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი. უნდა გაეთამაშოს ხან ერთს, ხან მეორეს... ხან ერთი უნდა დააშინოს მეორეს მხარეზე გადასვლით, ხან მეორე და ასეთი გზით მათ დათმობები უნდა გამოსტყუოს. საბოლოო არჩევანი გერმანიამ უნდა მიიღოს მაშინ, როცა შეტაკება მოწინააღმდეგეთა შორის უკვე გარდაუვალი გახდება, მაშინ ისინი გერმანიისადმი ყოველგვარ დათმობაზე წავლენ, ოღონდ კი მისი კეთილგანწყობა მოიპოვონ... მაშინ გერმანიას შეუძლია მოითხოვოს დიდი საფასური და მიიღებს კიდეც. სწორედ ამ პრინციპებით სულდგმულობდნენ გერმანიის პოლიტიკის მესაჭენი, როცა მათ ორგზის (1898 წელს) უარყვეს დელკასეს წინადადება კოლონიურ და ფინანსურ საკითხებში შეთანხმებებისა და თანამშრომლობის შესახებ, სამგზის უარყვეს (1898, 1899 და 1901 წლებში) ჯოზეფ ჩემბერლენის წინადადება კავშირის შესახებ ანალოგიური კომპენსაციების საფუძველზე. ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა გერმანიის დიპლომატიას განუწყვეტელი გამოძალვის გზით იძულებული გაეხადა საფრანგეთი და ინგლისი გერმანიის მიმართ დათმობაზე წასულიყვნენ კოლონიურ საკითხებში[1]. 1904 წლის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების სახით ამ პოლიტიკამ კატასტროფული მარცხი განიცადა[2]. ბიულოვი და ჰოლშტაინი ამ მარცხის გამოსწორებას ლამობენ და ფართო შეტევას აჩაღებენ ინგლის-საფრანგეთის აღნიშნული შეთანხმების წინააღმდეგ. მათ გვერდში ამოუდგა, აგრეთვე, კაიზერიც.

გერმანიის ხელმძღვანელებმა უკიდურეს ზომას მიმართეს: თავიანთ მოწინააღმდეგეებს ომით დაემუქრნენ. გერმანიის მმართველთათვის ნათელი იყო, რომ ეს იქნებოდა არა ადგილობრივი ხასიათის ომი, არა ომი მაროკოსათვის, არამედ მსოფლიო იმპერიალისტური ომი, ომი მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის,

[1] **Дипломатический словарь**, ტ. I, გვ. 320, 500.

[2] ამას უნდა დავუმატოთ მოგვიანებით, 1907 წელს რუსეთის შეერთება ანტანტასთან, აგრეთვე იტალიის განდგომა და სამთა შეთანხმების ბანაკში გადასვლა.

რომელსაც ესოდენ გულმოდგინებით ამზადებდნენ ვილჰელმ II, ფონ ბიულოვი და სხვები. ამასთანავე, მაროკოს საკითხი ამ ომისათვის საუკეთესო საბაბი იქნებოდა. „აბუჩად აგდებული“ სახელმწიფოს როლში გამოსული გერმანია ფიქრობდა, რომ ადვილად ჰპოვებდა გამართლებას საზოგადოებრივი აზრის თვალში, ისტორიის სამსჯავროს წინაშე. მაროკოს კონფლიქტს არ ჰქონდა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, იგი ომის ხანძარს უქადდა მთელს მსოფლიოს. აკი თვით ბიულოვი ამბობდა: „ყოველი ევროპული კონფლიქტი დიდ ომში გადაზრდის საშიშროებას შეიცავდა“-ო[1]. გერმანია წარბშეუხრელად მიაბიჯებდა ამ ომისაკენ. „ცბიერი ალბიონი“ სიამოვნებით ღებულობდა ამ გამოწვევას... მაროკოს კონფლიქტი აახლოებდა ომს საფრანგეთსა და გერმანიას შორის, რაც ინგლისის იმპერიალიზმის სანუკვარი ოცნება იყო. ინგლისში მოუთმენლად ელოდნენ იმ მომენტს, როცა საფრანგეთი გერმანიასთან ომში ჩაებმოდა და ინგლისისათვის ესოდენ საძულველ კონკურენტს—გერმანიის ახალგაზრდა იმპერიალიმზს — ილაჯს გაუწყვეტდა. ამ შემთხვევაში საფრანგეთი ინგლისს გაუწევდა სამსახურს, ხოლო ინგლისი კი კვლავ განახორციელებდა „სხვისი ხელით ნარის გლეჯის“ ტრადიციულ პოლიტიკას.

§ 2. „დუმილისა და ლოდინის პოლიტიკა“ გერმანიაში. გერმანელების ანტიფრანგული ინტრიგები მაროკოში

უკვე 1905 წლის 19 აპრილს სირაკუზში მყოფი ვილჰელმ II, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით შეშფოთებული, სადირექტივო წერილს უგზავნის თავის რაიხსკანცლერს ფონ ბიულოვს და მოითხოვს მისგან ენერგიულ მოქმედებას მაროკოში გერმანიის ინტერესების დასაცავად. ამავე დროს მიუთითებს, რომ საჭიროა ფრთხილად მოქმედება, რადგანაც ინგლისის პრესა სასტიკად ილაშქრებს გერმანიის წინააღმდეგ, აცხადებს, რომ ინგლის-გერმანიას შორის არსებული წინააღმდეგობა მწვავე და შეურიგებელია[2]. ჩანს, მიხვდა კაიზერი, თუ რას მოასწავებდა გერმანიისთვის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება; ჩანს, მიხვდა იგი, რომ ეს შეთანხმება აშკარად ანტიგერმანული კავშირის მომასწავებელი იყო.

---

[1] Бюлов, Воспоминания, გვ. 39.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6378, გვ. 22—23.

ბიულოვი ამშვიდებს იმპერატორს, ამცნობს მას, რომ გერმანიის ინტერესები მაროკოში განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იქნება. ამავე დროს იგი გულს არ იტეხს და ცდილობს დაარწმუნოს ვილჰელმი, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება არაა მყარი და ხანგრძლივი, რომ ამ შეთანხმებას სულ ახლო მომავალში ფიასკო მოუვა[1]. ცხადია, ეს იყო მბრძანებლის წინაშე თავის მართლება მოხელისა, რომელმაც საქმე გააფუჭა; აკი ბიულოვი სულ მუდამ გაიძახოდა: ინგლის-საფრანგეთის დაახლოება შეუძლებელიაო. ცხადია, ბიულოვი თავის მართლებას ცდილობს, თორემ მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი საქმის ნამდვილი ვითარება და „ანტანტის“ წინააღმდეგ შეტევისათვის ემზადებოდა კიდეც.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის აქტიური, დემონსტრაციული ჩარევა მაროკოს საქმეებში ვილჰელმ II-ის ტანჟერში ჩასვლით დაიწყო, რასაც მოჰყვა მაროკოს კრიზისის გამწვავება. ევროპაში ომის საფრთხე შეიქმნა. გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა შეტევისათვის მზადება ადრე დაიწყეს, შეიძლება ითქვას, ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების ხელმოწერის პირველ დღიდანვე. ბიულოვ-ჰოლშტაინის პოლიტიკა მაროკოს საკითხში ტანჟერში ვიზიტამდე გარეგნულად წარმოგვიდგება, როგორც „ლოდინისა და პირქუში დუმილის“ თვალთმაქცური პოლიტიკა. „ჩვენ მდუმარედ და დიდი ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური მაროკოში საფრანგეთის პოლიტიკას... საფრანგეთი ვერ გაბედავს მაროკოსთან ომის დაწყებას, როცა მის ზურგს უკან დგას მდუმარებით მოცული გერმანია“,—ამბობდა ბიულოვი[2]. კანცლერი გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს ასეთ დარიგებას აძლევდა: „ჩვენი ქცევა ამ ურთიერთობაში (მაროკოს საკითხში— გ. კ.) ჯერჯერობით, სფინქსის მდგომარეობას უნდა მოგვაგონებდეს, რომელიც გარშემორტყმულია ცნობისმოყვარე ტურისტებით, ხოლო იგი კი სდუმს, არაფერს ამჟღავნებს“[3].

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX. ნაწ. I, დოკ. № 6379, გვ. 23—24.

[2] იქვე, დოკ. № 6558, გვ. 257, 258.

[3] იქვე, დოკ. № 6573. ბიულოვის წერილი რიხტჰოფენს, მიულბერგს, ჰოლშტაინს: „Wenn die Diplomaten nach Tanger und Marokko fragen, so bitte ich, ihnen gar nichts zu antworten und dazu ein ernstes und impassibeles Gesicht zu machen. Unsere Haltung in dieser Beziehung gleiche vorläufig derjenigen der Sphinx, die, von neugierigen Touristen umlagert, auch nichts verrät“.

რით უნდა აეხსნათ ეს „დუმილისა და ლოდინის“ პოლიტიკა, „სფინქსისებური მდგომარეობა“? პასუხი ადვილია: აქ საქმე უხება ხელსაყრელი მომენტის შერჩევას. ბიულოვი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობას, რა მოუვა ამ ომში საფრანგეთის მოკავშირეს — მეფის რუსეთს, დამარცხდება იგი თუ გამარჯვებას მოიპოვებს „ამომავალი მზის ქვეყანასთან“ (იაპონიასთან) ბრძოლაში? ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ჩამავალი მზის ქვეყნის“ (მაროკოს) ბედის გადაწყვეტის საქმეში. რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში გერმანიას საფრანგეთის დაჩოქების ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, ხოლო რუსეთის დამარცხების შემდეგ კი გერმანია იმედოვნებდა, რომ ადვილად მოუგრეხდა კისერს საფრანგეთს. რომელსაც გერმანიასთან ომის შეთხვევაში, რუსეთის დახმარების გარეშე, არ შეეძლო რაიმე წარმატების იმედი ჰქონოდა. რუსეთ-იაპონიის ომი ხელ-ფეხს უხსნიდა გერმანიას ევროპაში მოქმედებისათვის. ცნობილია, რომ კაიზერი ყოველნაირად აქეზებდა ნიკოლოზ II-ს ამ ომისაკენ და ცდილობდა, რომ ეს ომი რაც შეიძლება ხანგრძლივი ყოფილიყო, რათა გერმანიას საერთაშორისო ცილობის ასპარეზზე ადვილად მოეთბო ხელი. 1905 წლის მაისის დასაწყისში ვიტე შეშფოთებული ეუბნებოდა პეტერბურგში ინგლისის საელჩოს მრჩეველს სპრინგ-რეისს, რომ იაპონიასთან ომის გაგრძელება რუსეთის, როგორც ევროპის ცივილიზებული სახელმწიფოს, სრული პარალიზებისა და გერმანიისათვის დასავლეთ ევროპაში მოქმედების თავისუფლების მომასწავებელიაო[1].

ბიულოვი ხელსაყრელ მომენტს ელოდა დაშნის ამოწვდენისათვის, მანამდე კი მან მაროკოში ფარული ინტრიგები გააჩაღა, რათა ხელი შეეშალა იქ საფრანგეთის მიერ 1904 წლის შეთანხმებით მოპოვებულ უფლებათა განხორციელებისათვის, ანუ მაროკოში საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებისათვის და გამოედევნა საფრანგეთი მაროკოდან. 1904 წლის 12 აპრილს რაიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში ბიულოვი ამბობდა, რომ მაროკოში გერმანიას მხოლოდ ეკონომიური ინტერესები აქვს, მას არ უნდა ეშინოდეს იმისა, რომ რომელიმე სახელმწიფოს ამ ინტე-

---

[1] Н. П. Полетика, Проблема создания континентального блока во внешней политике Германии в период первого марокканского кризиса. „Уч. записки Белорусского гос. университета им. В. И. Ленина,“ выпуск XXX, Минск, 1956, გვ. 163.

რესების შელახვა ჰქონდეს განზრახული, ამის საფუძველი არ არსებობს... აძავე დროს მან დასძინა: არა გვაქვს საფუძველი იმისა, რომ ეს შეთანხმება ანტიგერმანულ მოვლენად მივიჩნიოთ [1]. ეს იყო მხოლოდ ლიტონი სიტყვები, იმ კრახის დაფარვის უსუსური ცდა, რომელიც ბიულოვმა და მისმა მაესტრომ—ჰოლშტაინმა განიცადეს. ბიულოვმა ძალიან კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა გერმანიისათვის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება. მაროკოს პრობლემა გერმანიისთვის აღარ იყო მხოლოდ ეკონომიური მნიშვნელობის პრობლემა, რის შესახებაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. მაროკოს საკითხს ამიერიდან გერმანიისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცა. გერმანიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჩაეშალა ინგლის-საფრანგეთის ანტიგერმანული შეთანხმება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფრანგეთის მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა 1904 წლის შეთანხმებით მაროკოში მოპოვებულ უფლებათა განხორციელებას; თავს მოახვია მაროკოს სულთანს კაბალური სესხი, ხოლო შემდეგ იქ სენ-რენე ტაილანდიე გაიგზავნა რეფორმების ჩატარების მიზნით, რაც, როგორც უკვე ითქვა, მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებას მოასწავებდა. გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის მაგნატებმა, რომლებიც მაროკოს ექსპლოატაციაში მონაწილეობდნენ, საშინელი განგაში ატეხეს: საფრანგეთს სურს მონოპოლიურად დაეპატრონოს მაროკოს, მას სურს იქიდან ჩვენი გამოდევნა, ჩვენ ვკარგავთ ამ ქვეყანას, — ერთხმად გაიძახოდნენ ისინი და დაჟინებით მოითხოვდნენ გერმანიის მთავრობისაგან, ბოლო მოეღო საფრანგეთის ასეთი განზრახვისათვის. ასეთი მოთხოვნები წაუყენეს გერმანიის მთავრობას, მაგალითად, ჰესნერისა და იოახიმსონის ფირმამ (Firma Haeßner und Joachimson), რიხტერის ფირმამ (Firma M. Richter). მათი სახელით გერმანიის მთავრობას მიმართავდა ლაიპციგის სავაჭრო პალატა და საქსონიის სამეფო მთავრობა. ასეთივე მოთხოვნით გამოვიდა ბრემენის სავაჭრო პალატა, ოლდენბურგ-პორტუგალიის სავაჭრო-საზღვაო კომპანია, რომლის დირექტორი შულცე ამბობდა, რომ საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე ნიშნავს გერმანიის მიერ მაროკოს დაკარგვას და იქიდან გერმანიის გაძევებასო. ანალოგიურ მოთხოვნებს უყენებდნენ მთავრობას ცნობილი დიდვაჭარი ლორი და სხვანი [2].

---

[1] Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 69, 70.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6522, 6535.

საფრანგეთის მიერ მაროკოს მიმართ განსაკუთრებული უფლებების მოპოვებამ შეაშფოთა გერმანიის დიდი კაპიტალისტი კრუპი ფონ ბოლენი. მან გამოიწვია მაროკოდან თავისი კონცერნის წარმომადგენელი ფონ როტენბურგი. კრუპი და როტენბურგი ბერლინში გაემგზავრნენ და მთავრობას მოსთხოვეს, რომ მას დაუყოვნებლივ ეზრუნა მაროკოსათვის, არ დაეშვა საფრანგეთის მიერ მაროკოს ხელში ჩაგდება [1].

გერმანიის მთავრობამ აღარ დააყოვნა და შეუდგა მოქმედებას. მაროკოში გაგზავნილ იქნა გამოცდილი დიპლომატი რიხარდ ფონ კიულმანი, რომელმაც იქ აქტიური და მოხერხებული ანტიფრანგული საქმიანობა გააჩაღა. მას საუცხოო თანამშრომელი აღმოაჩნდა დოქტორ ვასელის სახით, რომელიც გერმანიის კონსული იყო ფეცში.

მაროკოს სულთანი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი ბენ სლიმანი ცდილობდნენ გერმანიასა და საფრანგეთს შორის არსებულ მწვავე ანტაგონიზმზე აეგოთ თავიანთი მოქმედება და ამით თავის ქვეყნისთვის მცირე რამ სასარგებლო მაინც გაეკეთებინათ. მაროკოს მთავრობამ გერმანიისაკენ გაიშვირა დახმარებისათვის ხელი, დახმარება სთხოვა მას საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთი მაროკოელი საზოგადო მოღვაწე ამბობდა: „გერმანიას ჯერ არ უთქვამს თავისი სიტყვა და სანამ ეს მოხდება, ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ რაიმე უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია“ [2]. ჯერ კიდევ 1904 წლის 11 მაისს დოქტორი ვასელი იტყობინება ფეციდან, რომ სულთანი ფიქრობს, სთხოვოს მის უდიდებულესობას გერმანიის იმპერატორს დახმარების აღმოჩენა საფრანგეთის მიერ მაროკოს სუვერენული უფლებების შელახვის წინააღმდეგ მოქმედების საქმეში [3]. ჩვენ უკვე გავეცანით გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებას — 1904 წლის დასაწყისში დაეწყო სამხედრო შეჭრა შერიფის იმპერიაში. მაგრამ 1904 წლის შეთანხმების შემდეგ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა, ინტერვენცია დღის წესრიგიდან მოიხსნა. გერმანიამ „სულგრძელად“ აპატია მაროკოს ესოდენ დიდი „შეურაცხყოფა“ (გენტის მკვლელობა, ელ ბერნუსის დატყვევება), უცებ მის მეგობრად გამოაცხადა თავი და საფრანგეთის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ „უანგარო“ დახმარება აღუთქვა მას. ამიერიდან გერმა-

---

[1] А. Норден, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6536.

[3] იქვე, დოკ. № 6518.

ნიის მთავრობამ გადაწყვიტა სულთანთან ერთად ებრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ[1]. ადვილი გასაგებია, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სულთნის „მოკავშირედ" ყოლა გერმანიისთვის უეჭველად სასარგებლო საქმე იყო.

1905 წლის 11 იანვარს ტაილანდიე გაემგზავრა ფეციისკენ. 12 თებერვალს იგი სულთნის კარზე იყო და მას წარუდგინა კიდეც მაროკოში რეფორმების გატარების ფრანგული პროგრამა. საფრანგეთის დიპლომატიური მისია სულთნის კარზე გარკვეული გულცივობით იქნა მიღებული. დამთავრდა თუ არა აუდიენცია, სულთანმა მყის მოიწვია გერმანიის კონსული დოქტორი ვასელი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. რა ითქვა ამ საუბრისას, ზუსტად არაა ცნობილი, მაგრამ, როგორც ბელგიის ელჩი იტყობინებოდა ფეციდან, დაახლოებით ცნობილი გახდა ამ საუბრის შინაარსი, სახელდობრ: გერმანია არ სცნობს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას, რომელშიც მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არც ამ შეთანხმებიდან გამომდინარე იმ ახალ წყობას, რომლის გატარება საფრანგეთს სურს მაროკოში. ტაილანდიეს მისიას არავითარი განსაკუთრებული ხასიათი არ უნდა მიეცეს, იგი მიღებულ უნდა იქნეს, როგორც ჩვეულებრივ ყველა ელჩობა მაროკოს სულთნის კარზე წარგზავნილი[2]. როგორც ირკვევა, ტაილანდიემ მაროკოს სულთანს აუწყა, რომ მაროკოში რეფორმების გატარება ევროპის ყველა სახელმწიფოს გადაწყვეტილებაა, რომ იგი ფეცში ჩამოვიდა ევროპის საერთო მანდატით აღჭურვილი[3]. ბიულოვმა სასწრაფო მითითება მისცა მაროკოში მოქმედ დიპლომატებს იმის შესახებ, რომ მათ კატეგორიულად უნდა უარეყოთ ტაილანდიეს განცხადება, როგორც ყალბი და მოგონილი. სულთანმა უნდა იცოდეს, — მიუთითებდა ბიულოვი,— რომ გერმანიამ და მადრიდის კონფერენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებმა არაფერი იციან ასეთი გადაწყვეტილების შესახებ,

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6536, 6538, 6539, 6540, 6546, 6554.

[2] „Zur europäischen Politik", დოკ. № 2, გვ. 52.

[3] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6544. ფრანგი ავტორები უარყოფენ ამ ფაქტს, მსგავსი რამ ტაილანდიეს არ განუცხადებიათ, ამტკიცებენ ისინი, ეს გერმანელების მიერ შეთხზული ბრალდებაა. იხ. Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 6; A. Debidour, Histoire diplomatique de l'Europe, second partie (1904—1916), P., 1926. გვ. 15, 18, 19. ბელგიის ელჩი ადასტურებს, რომ სენ-რენე ტაილანდიე მართლაც ევროპის მანდატით აღჭურვილად აცხადებდა თავს. იხ. „Zur europäischen Politik", დოკ. № 4.

რომელიც ცალმხრივად იქნა მიღებული ინგლისის, საფრანგეთისა და მათი „დანამატის", ესპანეთის მიერ. გერმანიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ინგლის-საფრანგეთის ამ გარიგებაში, რომ საფრანგეთისა და გერმანიის ინტერესები მაროკოში სრულიადაც არ არის იდენტური, რომ გერმანია არ სცნობს საერთოდ ინგლის-საფრანგეთის ამ შეთანხმებას[1].

გერმანიის მხარდაჭერით წაქეზებული სულთანი აჰიანურებს სენ-რენე ტაილანდიესთან მოლაპარაკებას და საფრანგეთის მოთხოვნებს ნაკლებად უწევს ანგარიშს. სულთანი გერმანიის მხარდაჭერაში განსაკუთრებით დაიმედდა მას შემდეგ, რაც ვასელმა, ბიულოვის საიდუმლო მითითების საფუძველზე, დაარწმუნა იგი, რომ საფრანგეთი ომს ვერ გაბედავს, რადგანაც მაროკოში ომის დაწყების შემთხვევაში გერმანიასთან საზღვარი მას დაუცველი დარჩება. ბიულოვი, მართალია, მოკლებული იყო ფართო პოლიტიკურ ჰორიზონტს, მართალია, მის შეხედულებებს არ ახასიათებდა სიღრმე, მაგრამ მას არ აკლდა დიპლომატიური პირფერობისა და გაძრომ-გამოძრომის უნარი. იგი პირდაპირ არ ეუბნება მაროკოს მთავრობას, რომ გერმანია ომს დაიწყებს საფრანგეთის წინააღმდეგ, თუკი უკანასკნელი მაროკოში სამხედრო ოპერაციებს გააჩაღებს. ამავე დროს კი ვასელის პირით არწმუნებს სულთანს და მის მინისტრებს, რომ საფრანგეთი მაროკოს წინააღმდეგ ომს ვერ გაბედავს, „რადგანაც, ბიულოვის თქმით, ამის შედეგად გერმანიასთან საზღვარი საფრანგეთს ნაწილობრივ დაუცველი დარჩება" (weil dadurch die deutsche Grenze teilweise entblößt weden wurde)[2]. მეორე ადგილას იგივე ბიულოვი ამბობს: „საფრანგეთი მაროკოს წინააღმდეგ ომს ვერ გაბედავს, რადგანაც გერმანიასთან საზღვარი საფრანგეთის ჯარების მიერ ნაკლებად დაცული დარჩება" (die deutsche Grenze von Truppen entblößen müßte)[3]. საფრანგეთი ომს ვერ გაბედავს, მიუთითებს ბიულოვი უკვე მესამე ინსტრუქციაში, რადგანაც ეს ომი მოითხოვს დიდძალ ჯარს და საფრანგეთი იძულებული გახდება გერმანიის საზღვრები დაუცველი დატოვოს" (denn dieser,—ლაპარაკია ომზე—გ. კ.,—würde ein großes Heer erfordern und die teilweise Entblößung der deutschen Grenze nötig machen)[4]. გვაგონ-

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX. ნაწ. I, დოკ. №№ 6544, 6550.
[2] იქვე, დოკ. № 6547.
[3] იქვე, დოკ. № 6554, გვ. 252.
[4] იქვე, დოკ. № 6550, გვ. 247.

დება ქართული ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. საკითხავია, თუ გერმანია არ აპირებს საფრანგეთთან ომი დაიწყოს მაროკოში საფრანგეთის არმიის შეჭრის შემთხვევაში, მაშ რატომ უნდა ეშინოდეს საფრანგეთს მაროკოსთან ომისა, რატომ უნდა ეშინოდეს მას „გერმანიასთან საზღვრების დაუცველად დატოვებისა“ — რის გამოც იგი ვერ გაბედავს ამ ომს? პასუხი ადვილია: გერმანელი ჯარისკაცი მყისვე გადალახავს ამ საზღვარს, გერმანია დაიწყებს სამხედრო მოქმედებას საფრანგეთის წინააღმდეგ.

ამ მითითებებს ბიულოვი დიპლომატებს მეტად საიდუმლო ფორმებში აძლევდა. „მე დარწმუნებული ვარ, — სწერდა იგი კიულმანს, — რომ პოლიტიკური ურთიერთობა თქვენსა და ვასელს შორის, მათი განსაკუთრებული სერიოზული ხასიათის გამო, ჯერჯერობით უნდა ხდებოდეს მეტად საიმედო შიკრიკებისა და შიფრის გზით“ [1].

რიხარდ ფონ კიულმანი დაჟინებით მოითხოვდა გერმანიის მთავრობისაგან მაროკოში სამხედრო გემების გამოგზავნას. გერმანიის მთავრობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა: 1905 წლის 21 თებერვალს კრეისერმა „Stein“-მა ღუზა ჩაუშვა ტანჟერში. კიულმანის ცნობით, გერმანიის სამხედრო ხომალდის ჩამოსვლამ მაროკოს მთავრობაზე დიდი მორალური ზემოქმედება იქონია; უფრო მეტი იმედი მიეცა გერმანელთა დახმარებისა სულთანს, რომელსაც ამდენ ხანს, აღნიშნავდა კიულმანი, მხოლოდ ვასელის სიტყვიერი დაპირებებით ვკვებავდითო, ახლა იგი დარწმუნდა, რომ ჩვენ გვსურს „დავეხმაროთ“ მას არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმითაც [2]. მაგრამ არა მარტო სულთანი დამშვიდდა და ახალი ძალა მიეცა სენ-რენე ტაილანდიესთვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში, არამედ გერმანიის სამხედრო ხომალდის გამოჩენამ მაროკოში „მოღვაწე“ გერმანელებსაც გარკვეულად დაუწყნარა ნერვები. მაროკოს სულთანზე „მორალური ზემოქმედების“ მოხდენის მიზნით როდი მოითხოვა კიულმანმა ფლოტის გამოგზავნა, მას სხვა საქმეც აფიქრებდა.

მაროკოელ ხალხში დიდ აღშფოთებას იწვევდა ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების მიერ მათი სამშობლოს დამონებისადმი

---

[1] ბერლინიდან ინსტრუქციები უშუალოდ მისდიოდა ტანჟერში მყოფ კიულმანს, რომელიც ამ ინსტრუქციებს გადასცემდა ხოლმე განსახორციელებლად ფეცში სულთნის კარზე მყოფ დოქტორ ვასელს. Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6554. გვ. 253.

[2] იქვე, დოკ. № 6557. გვ. 255—256.

ლტოლვა. მაროკოელ ხალხს, ჩაგრულს და გაყვლეფილს, საკუთარი ნახევრად ფეოდალური სახელმწიფოს მიერ, მაროკოელი მსხვილი მემამულეების მიერ, ახალი უბედურება მოევლინა თავს ევროპის „ცივილიზატორების“ სახით. ევროპელი საქმოსნები უკანასკნელ ტყავს აძრობდნენ მაროკოელებს, მაროკოს ცხვარს კი არ კრეჭდნენ, არამედ ყელს ჭრიდნენ და ატყავებდნენ. სიძულვილი „რუმელებისადმი“ დიდი იყო. სენ-რენე ტაილანდიეს მიერ „რეფორმების“ წამოწყების მომენტისათვის მეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ევროპელთა სიცოცხლე და ქონება ფაქტიური საფრთხის წინაშე იმყოფებოდა; მაროკოელი ხალხი, რომლისთვისაც ცნობილი იყო ევროპის სახელმწიფოთა აგრესიული ზრახვები, დრტვინავდა და მზად იყო მათთვის სამაგიერო მიეზღო. შეშინებულმა სენ-რენე ტაილანდიემ წინადადება მისცა ფეცში მყოფ ფრანგებს დაეტოვებინათ ქალაქი და სანაპირო პუნქტებში გადასულიყვნენ; ასევე მოიქცნენ იტალიისა და ესპანეთის ელჩები. ინგლისის ელჩმა სერ არტურ ნიკოლსონმა გამოიწვია ყველა ინგლისელი, როგორც ფეციდან, ისე მაროკოს შიდა ქალაქებიდან. პანიკამ მოიცვა აგრეთვე მაროკოს „მეგობარი“ გერმანელები, მაროკოს ექსპლოატაციის მონაწილენი. მარტო სულთანთან და მის ვეზირებთან „მეგობრობის“ კომედიის გათამაშება როდი კმაროდა. მაროკოს ხალხს ერთნაირად სძულდა ყველა „რუმელი“, მათ შორის, ცხადია, ხარბი გერმანელებიც. კიულმანმა სპეციალურად გააფრთხილა როგორც ფეცსა და მარაკეშში მყოფი, ასევე სანაპირო ქალაქებში მცხოვრები გერმანელები, თვითონ კი თავის მთავრობას ფლოტის გამოგზავნა სთხოვა[1]. მაროკოში მყოფმა გერმანელებმა, რომელთაც ძილს უფრთხობდა შექმნილი მდგომარეობა, საიმპერატორო მთავრობას გაუგზავნეს პეტიცია, რომელშიაც დახმარებას მოითხოვდნენ. ბიულოვის პასუხში აღნიშნული იყო, რომ იგი ჯერჯერობით ვერ ამჩნევს რაიმე სერიოზული საფრთხის არსებობას, რომ შეშფოთება უადგილოა (მას, ალბათ, სულთანთან გაბმული „მეგობრობის“ იმედი ჰქონდა). ამავე დროს ბიულოვი აცხადებდა, რომ თუ გერმანელთა სიცოცხლე და ინტერესები საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ, გერმანიის ხელისუფლება დაუყონებლივ მიიღებდა ყველა საჭირო ზომას[2]. საიმპე-

---

[1] მაროკოში მასობრივი სახალხო მღელვარების საფრთხის შესახებ იხ. Die Grosse Politik. ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6541, 6543, 6548.

[2] „Zur europäischen Politik“, დოკ. № 2, გვ. 53.

რატორო კრეისერის „Stein"-ის გამოჩენას მაროკოს წყლებში შეშფოთებულ გერმანელთა დამშვიდება უნდა მოჰყოლოდა.

მაგრამ მაროკოს სულთანმა გვერდი აუარა ხალხის ასეთ განწყობილებას, მან ვერ ითავა ევროპელთა წინააღმდეგ ქეშმარიტად სახალხო ბრძოლის გაჩაღება. სულთანმა და მაროკოს თავკაცებმა, ნახევრად ფეოდალურმა მემამულეებმა, უმჯობესად მიიჩნიეს გერმანიის წინაშე ლაქუცი; მათ „მელია" მეგობრად და მოსამართლედ მოიწვიეს. თუ რა სურდა გერმანიის იმპერიალიზმს, როცა მან მაროკოს „მეგობრობა" გაითამაშა, ადვილი გასაგებია, მას სურდა მაროკოდან საფრანგეთის გაძევება, რათა შემდგომ თვით მიერთმია ეს გემრიელი ქადა.

ევროპის პროგრესული საზოგადოების გარკვეული ნაწილი თანაუგრძნობდა მაროკოს ხალხს, მსგავსად ჟან ჟორესისა, ანატოლ ფრანსისა და სხვ. ჟან ჟორესი გაბედულად და აშკარად ამხელდა საფრანგეთის იმპერიალიზმს, კერძოდ, მის ზრახვებს მაროკოს მიმართ. იგი სასტიკად ილაშქრებდა საფრანგეთის მძარცველური პოლიტიკის წინააღმდეგ მაროკოში, როგორც გაზეთ „L'Humanité"-ს ფურცლებზე, ისე თავის გამოსვლებში დეპუტატთა პალატის სხდომებზე თუ სხვადასხვა შეკრებებზე. ითვალისწინებდა რა იმ დიდ საფრთხეს, რომელსაც უქმნიდა მშვიდობიანობას „ეს საშიში ავანტიურა" („მაროკოს საკითხი"—გ. კ.), რაც გერმანიასა და საფრანგეთს შორის აშკარა ომს მოასწავებდა, ჟორესი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა ამ ავანტიურის გაჩაღებისათვის, ენერგიულად იბრძოდა მის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ჟორესს გადაუწყვეტია კიდეც გერმანიაში წასვლა, რათა იქ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადებს მოლაპარაკებოდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის მაროკოს გარშემო მოულოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

გერმანიის მთავრობამ, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ჟორესის ეს გადაწყვეტილება, დაავალა გერმანიის ელჩს პარიზში ხელი შეეშალათ ჟორესისათვის ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში[1]. ჯერ კიდევ 1904 წელს დიდი ფრანგი მწერალი ანა-

[1] ჟორესის გამოსვლები მაროკოს საკითხზე მოთავსებულია თხზულებაში Jaurès Jean, Pour la paix. Au bord de l'abîme, Oeuvres, t. IX, Textes rassemblés, présentés et annotés par Max Bonnafous, P., 1959. იხ. ბეცენზია აღნიშნულ წიგნის შესახებ ჟურნალში „История марксист", 1941, № 1, გვ. 129—133. იხ. აგრ., Rosen, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

ტოლ ფრანსი აფრთხილებდა ფრანგ ხალხს, იგი ამბობდა: „ჩვენ, ფრანგები, ახალი კოლონიური ომის საფრთხის წინაშე ვართ. ფინანსისტთა და მრეწველთა ჯგუფი გაერთიანდა გენერალთა პარტიასთან. მათ სურთ ჩვენ მაროკოში გადაგვისროლონ, სადაც სამოცი—ორმოცი წლის განმავლობაში, თუკი ჩვენ ამის წინააღმდეგ ზომებს არ მივიღებთ, უნაყოფო ხარჯები და სამხედრო კატასტროფები მოგველის“ [1].

§ 3. მაროკოში რეფორმების ჩატარების ფრანგული გეგმის წარუმატებლობა

1905 წლის იანვრის დამლევს მაროკოს სულთანმა გერმანიის ზეგავლენითა და უშუალო წაქეზებით მიიღო გადაწყვეტილება მაროკოს თავკაცთა კრების მოწვევის შესახებ, რომელსაც უნდა განეხილა და გადაეწყვიტა საფრანგეთის მიერ შეთავაზებული „რეფორმების“ საკითხი. სულთნის ამ გადაწყვეტილებამ გერმანიის ხელისუფლების საერთო აღტაცება გამოიწვია. ფონ კიულმანმა მას ოსტატური ანტიფრანგული საჭადრაკო სვლა (Maßregel geschickter antifranzösischer Schachzug) უწოდა [2]. გერმანიის მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მაროკოს „რჩეულთა კრება“ რეფორმების წინააღმდეგ განეწყო; სულთანი სწორედ ასეთი განზრახვით იწვევდა ამ კრებას. მაროკოს თავკაცების მიერ „რეფორმათა“ ფრანგული პროექტის უარყოფა საშუალებას აძლევდა სულთანს თავი ემართლებინა საფრანგეთის წინაშე, მიეთითებინა მაროკოს საზოგადოებრივ აზრზე, როგორც მისი მოქმედების კრიტერიუმზე.

ბიულოვი დაჟინებით მოითხოვს, რომ ეს კრება რაც შეიძლება მალე იქნეს მოწვეული, რათა სულთანმა აუწყოს ფრანგებს კრების თანხმობის გარეშე „რეფორმების“ გატარების შეუძლებლობის შესახებ. ბიულოვი ფრიად საიდუმლოდ ავალებს დოქტორ ვასელს გადასცეს სულთანს გერმანიის მთავრობის შემდეგი „რჩევა“: თუ სულთანი უკან წაიღებს თავის გადაწყვეტილებას „რჩეულთა კრების“ მოწვევის შესახებ, მაშინ მაროკოელები აღშფოთდებიან, მის წინააღმდეგ განეწყობიან, რაც უფრო საშიშია, ვიდრე რომელიმე სახელმწიფოს მოთხოვნების დაუკმაყოფილებ-

[1] Р. Аваков, Марокко. М., 1957, გვ. 67.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6549.

ლობა, რომ სულთნის გადაწყვეტილება ეთათბიროს მაროკოს „რჩეულებს“ რეფორმების გატარების საკითხში მოეწონებათ, აგრეთვე, იმ ქვეყნებსაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დაიცვან მაროკოს სახელმწიფო (აქ, უპირველეს ყოვლისა, სულთანს უნდა ეგულისხმა მაროკოს „მეგობარი“ გერმანია—გ. კ.). ბიულოვი წინადადებას აძლევს ვასელს განუმარტოს კიდეც სულთანს, თუ როგორ უნდა წარმართოს მან ნაციონალური კრების („რჩეულთა კრების“) მუშაობა. შეკრებილ დელეგატებს სულთანი განუცხადებს, რომ ისინი მან მოიწვია მისთვის მაროკოში წესრიგის დამყარებაში დახმარების აღმოსაჩენად; სულთანი იტყვის: ამით ჩვენ მრავალი სახელმწიფოს კეთილგანწყობილებას დავიმსახურებთ; თუ რაა საჭირო წესრიგის დასამყარებლად, ეს დელეგატებმა უნდა გადაწყვიტონ. სულთანმა უნდა აუწყოს ყველას, რომ თუ ფრანგები შეეცდებიან ხელი შეუშალონ კრებას ან მოახდენენ მაროკოს ნავსადგურების ოკუპაციას, მაშინ იგი, სულთანი, „საღვთო ომს“ გამოაცხადებს ფრანგების წინააღმდეგ. თუ სულთანი ასე არ მოიქცა, ბიულოვი ავალებს კიულმანს, აგრძნობინოს მას, რომ ამას შეუძლია მოჰყვეს მაროკოს ტახტზე ახალი მბრძანებლის ასვლა. თუ სულთანი სიმტკიცეს გამოიჩენს, მაშინ ფრანგები უფრო ნაზად დაარხევენ სიმებს... საფრანგეთი ვერ დაიწყებს ომს, „ამშვიდებს“ ბიულოვი სულთანს. საფრანგეთში არაა მეომარი მთავრობა, თვით სამხედრო მინისტრი ბერტოც (Berteaux) ბირჟის მაკლერია. მათ ეშინიათ, რომ ომის შედეგად აღზევებული სარდალი ხელისუფლებას დაეპატრონება. ომი არც საფრანგეთის ხალხს სურს, რადგანაც იგი ბევრ მსხვერპლს მოითხოვს და, რაც მთავარია, გერმანია-საფრანგეთის საზღვარი დაუცველი დარჩება [1].

საფრანგეთის მთავრობა შეშფოთებულია სულთნის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით. ფრანგული პრესა დაჟინებით მოითხოვს, რომ სულთანმა უარყოს ნაციონალური კრების მოწვევის იდეა, რადგანაც მისი მოღვაწეობა საფრანგეთისათვის მხოლოდ უსიამოვნებას მოასწავებსო. „რჩეულთა კრების“ მოწვევის წინააღმდეგ განსაკუთრებით მკაცრად გამოვიდა გაზეთი „Journal des Débats“ [2]. საფრანგეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობს ჩაშალოს მაროკოში

---

[1] მაროკოში „რჩეულთა კრების“ მოწვევის საკითხისადმი გერმანიის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ იხილე: **Die Grosse Politik, ტ. XX,** ნაწ. I, დოკ. №№ 6550, 6551, 6552, 6553, 6554, 6555 და სხვ.

[2] იხ. 1905 წლის 9 თებერვლის ნომერი.

გერმანიის ინტრიგები. 1905 წლის 15 თებერვალს ფრანგულმა გაზეთმა „Figaro"-მ საზოგადოებრივი აზრის თვალის ასახვევად და „რჩეულთა კრების" დისკრედიტირების მიზნით გამოაცხადა, რომ მაროკოს სულთანი „რჩეულთა კრებას" იწვევს არა სათათბიროდ, არა საფრანგეთის წინააღმდეგ, არამედ სულთანს სურს განუცხადოს მას, რომ მან მიიღო საფრანგეთის წინადადებანი; ამის შემდეგ დელეგატები თავ-თავიანთ ადგილებზე უნდა დაბრუნდნენ და აუწყონ ყველას მომხდარი ფაქტის შესახებ. „Figaro"-ს კორესპონდენტის განცხადებით, მაროკოს სულთანმა გადაწყვიტა დათმობაზე წასულიყო მას შემდეგ, რაც გაიგო ინგლისელებისაგან, რომ მას არ შეიძლება სხვა სახელმწიფოების დახმარების იმედი ჰქონდეს. დაე, ასე ეგონოთ ფრანგებს, აცხადებენ გერმანელები, სულთანი მაინც თავისას იზამს. იგი შეძლებს ზურგს უკან ამოეფაროს „საზოგადოებრივ აზრს", „სახალხო განსჯას", რათა საფრანგეთის მოთხოვნათა დაკმაყოფილება შეუძლებლად გამოაცხადოს[1]. საფრანგეთმა სულთნისა და გერმანიის „მეგობრობის" ჩაშლისათვის ახალ, თავისებურად პროვოკაციულ ხერხს მიმართა. მან თავისი ახალი მეგობრის, ინგლისის პრესის ფურცლები გამოიყენა. 1905 წლის მარტის თვეში ინგლისურ გაზეთ „Daily Chronicle"-ში გამოქვეყნდა ცნობა, რომლის ჭიხედვითაც, თითქოს, ერთ-ერთმა გამოჩენილმა, მეტად გავლენიანმა გერმანელმა პოლიტიკურმა პირმა (გვარი არ იყო აღნიშნული) განაცხადა, რომ გერმანიას დიდი ხანია სურს საფრანგეთთან დაახლოება, მაგრამ ამას ხელს უშლიდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. დღეს კი საქმე სხვანაირად დგას. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ვერ აანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც საფრანგეთს რუსეთის სამხედრო წარუმატებლობით მოუვიდა. ახლა ყოველგვარი პირობები არსებობს საფრანგეთისა და გერმანიის დაახლოებისათვის. ინგლისთან კავშირი საფრანგეთს ვერ მისცემს იმას, რისი მიცემაც მისთვის გერმანიასთან დაახლოებას შეუძლიაო და სხვ. იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელიც თითქოსდა პოლ კამბონმა მისცა ამ გაზეთის კორესპონდენტს. პოლ კამბონს მიუღია მხედველობაში გერმანიის ესოდენ დიდი სურვილი საფრანგეთთან დაახლოებისა და, თავის მხრივ, გერმანიას საამისო პირობებიც კი წაუყენა. უპირველეს ყოვლისა, თურმე, ამისათვის საფრანგეთი ელზას-ლორენის (ინტერვიუში ნათქვამია: მეცის) დაბრუნებას მოითხოვდა.

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6556.

გერმანიის მთავრობა აღაშფოთა საფრანგეთის ასეთმა პროვოკაციამ. ეს მტრის ბანაკიდან გადმოგდებული „გუგულის კვერცხია", — ამბობდა ბიულოვი. გერმანიაში საფრანგეთის ასეთი გამოსვლა შემდეგნაირად გაიგეს: საფრანგეთს სურს ჩაშალოს გერმანიასა და მაროკოს შორის დამყარებული „კეთილგანწყობილება"; სურს შეცდომაში შეიყვანოს სულთანი; დაარწმუნოს იგი, რომ გერმანია მაროკოს საკითხს იყენებს მხოლოდ როგორც საბაბს საფრანგეთთან მოსარიგებლად (ამას მართლაც ხაზს უსვამდა „Daily Chronicle"—გ. კ.), ამასთანავე, ამ მორიგებისა და დაახლოების პირობებს, თურმე, თვითონ საფრანგეთი აყენებს. ამით ფრანგებს სურთ დაარწმუნონ სულთანი, რომ საფრანგეთი გერმანიასთან შედარებით უფრო ძლიერი სახელმწიფოა. ბოლოს და ბოლოს ფრანგებს სურთ წაართვან სულთანს გამბედაობა, დაუკარგონ მას რწმენა გერმანიისადმი, რომელიც, თურმე, საფრანგეთზე სუსტია. აკი საფრანგეთი უკარნახებს გერმანიას ამ დაახლოების პირობებს! გერმანიისაგან დახმარების მიღებაზე იმედდაკარგული სულთანი ფარ-ხმალს დაჰყრის და ადვილად დაჰყვება საფრანგეთის ნებას. ბიულოვი კატეგორიულად მიუთითებს ფონ კიულმანს, რათა მან ვასელის ან სხვა რომელიმე სანდო პირის საშუალებით განუმარტოს სულთანს, რომ ყოველივე ეს ტყუილია, რომ მსგავსი განზრახვა გერმანიას არასდროს არ ჰქონია და სხვ. [1]

გერმანიის ინტრიგებმა მაროკოში სათანადო ნაყოფი გამოიღო. 1905 წლის ივნისში სულთანმა „რჩეულთა კრებაზე" დაყრდნობით უარყო, მაროკოში საფრანგეთის დახმარებით „რეფორმების" გატარება. სენ-რენე ტაილანდიეს მისია ჩაიშალა.

მაროკოს სულთანთან „მეგობრობის" გათამაშებისა და მაროკოში ანტიფრანგული ინტრიგების ოსტატურად დახლართვასთან ერთად გერმანიის მთავრობა ცდილობდა სხვა სახელმწიფოები მაროკოში გერმანიის პოლიტიკის სასარგებლოდ განეწყო. ამ განზრახვას ემსახურებოდა მაროკოში „ღია კარებისა" და „ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორი უფლებების მოპოვების" პრინციპის დემაგოგიური დაცვა. ამავე განზრახვას ემსახურებოდა გერმანიის დიპლომატიის კეკლუცობა ა. შ. შ. პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის წინაშე. ბიულოვი ავალებს გერმანიის ელჩს

[1] „Daily Chronicle"-ის მიერ გამოქვეყნებული ცნობის და მისდამი გერმანიის დამოკიდებულების შესახებ იხ. Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6569, 6572, 6576.

ვაშინგტონში ბარონ შპეკ ფონ შტერნბერგს აუწყოს პრეზიდენტს, რომ საფრანგეთმა და ესპანეთმა, — რომელიც, ბიულოვის თქმით, არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ფინანსურად და კულტურულად საფრანგეთის კუდს წარმოადგენს, — მაროკოს გაყოფა განიზრახეს, რაც მოასწავებს იმას, რომ მაროკო სხვა ქვეყნებისთვის ხელმიუწვდომელი გახდება. ისინი იბატონებენ ახლო და შორეული აღმოსავლეთისაკენ მიმავალ დიდ გზებზე. გერმანიას „კეთილშობილური გრძნობა“ ამოძრავებს. მას სურს ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორობა მაროკოსთან ურთიერთობის როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში. ბიულოვს სურს, რომ ამერიკამაც მხარი დაუჭიროს მას. „ამერიკის დიპლომატიურ ჩარევას ექნება ის მნიშვნელობა, რომ სულთანი უფრო გამბედავი გახდება, ხოლო საფრანგეთი — უფრო გაუბედავი“, — აღნიშნავდა ბიულოვი. თავის პასუხში ა. შ. შ. პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ა. შ. შ. მაროკოთი დაინტერესება არაა დიდი, მაგრამ „ღია კარების“ პრინციპი, ეტყობა, გარკვეულად ხიბლავს მას [1].

„ლოდინის პოლიტიკა“ დიდხანს აღარ გაგრძელებულა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, გერმანია ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა ხმალი ეშიშვლა და ერთის დარტყმით მოეთავებინა საქმე. მომენტი ახლოვდებოდა. მეფის რუსეთის მდგომარეობა იაპონიასთან ომში სავალალო იყო. 1905 წლის თებერვალში ცარიზმმა სამხედრო დამარცხება განიცადა მუკდენთან ბრძოლაში. ომი იაპონიასთან ცარიზმმა საბოლოოდ წააგო. გერმანია სწორედ ამ მომენტს ელოდა. „ლოდინის პოლიტიკა“ მაროკოს საკითხში დამთავრდა. გერმანია აშკარა შეტევაზე გადადის. „მაროკოს კრიზისმა“ კატასტროფული ხასიათი მიიღო. კაცობრიობის წინაშე იმპერიალისტური ომის საფრთხე აღიმართა.

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. №№ 6558, 6559.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

მაროკოს კრიზისის გამწვავება და ომის საფრთხე ევროპაში

§ 1. „ლოდინის პოლიტიკის“ დასახრული და გერმანიის შეტევაზე გადასვლა. ვილჰელმ II ტანჯერში

მეფის რუსეთის არმიების მუკდენთან დამარცხების შემდეგ გერმანიამ საფრანგეთის წინააღმდეგ „განლაგებული ბატარეები“ აამოქმედა და შეტევაზე გადავიდა. გერმანიის მთავრობამ უეჭველად ხელსაყრელი მომენტი შეარჩია, რასაც ფრანგი ავტორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს და უსაყვედურებენ კიდეც საფრანგეთის მთავრობას, რომ მან ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებით მოპოვებული უფლებები დაუყოვნებლივ არ გამოიყენა დროზე და დროზე დაკარგა დიპლომატიური „ჰადრაკის ბრძნულ თამაშში“. ბერნარდი პირდაპირ ამბობს, „საფრანგეთმა ვერ გამოიყენა როგორც საჭიროა ალჟირის საზღვარი“-ო[1], ე. ი. ალჟირისა და მაროკოს საზღვარზე განლაგებული საფრანგეთის ჯარები; ხელშეკრულების მიღებისთანავე არ გააგზავნა მისია მაროკოში და როცა ბოლოს და ბოლოს, სენ-რენე ტაილანდიემ შესძლო მაროკოში გამგზავრება, უკვე გვიანღა იყო. რუსეთის დამარცხებით წაქეზებული გერმანია შეტევაზე გადავიდა[2]. „გერმანიამ გადაწყვიტა შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის დამარცხებით ესარგებლა, — წერს. პინონი,.— და კვლავ მოეპოვებინა პოლიტიკური ჰეგემონია ევროპაში, რომლითაც იგი 1870 — 1875 წლებში სარგებლობდა“[3]. ა. ტარდიეც გერმანიის შეტევაზე გადასვლას, უპირველეს ყოვ-

---

[1] Bernard, დასახ. ნაშრ., გვ. 329.

[2] Pinon, დასახ. ნაშრ., გვ. 156, 157, 161, 162, 163.

[3] იქვე, გვ. 171.

ლისა, ასევე რუსეთის დაბარცხებით ხსნის; მაგრამ აქვე ბრალსა სდებს სოციალისტებს, კერძოდ, ჟორესს, რომლებსაც იგი დაახლოებით „მეხუთე კოლონის" სახით წარმოგვიდგენს. ამასთანავე დასძენს, რომ საფრანგეთის არმია ცუდი ხელმძღვანელობის გამო საეალალო მდგომარეობაში იყო. ამის შესახებ ყველგან ლაპარაკობენო, — ამბობს ტარდიე, — და, ცხადია, ბერლინშაც იცოდა ეს. გერმანიაში ირწმუნებოდნენ, რომ საფრანგეთი „დაცემის" გზაზეა, რომ შესაძლებელია მისი დაჩოქება [1].

გერმანიის რაიხსკანცლერმა ფონ ბიულოვმა საფრანგეთის წინააღმდეგ „განლაგებული ბატარეებიდან" პირველი გასროლა 1905 წლის 31 მარტს მოახდინა. ეს იყო მის მიერ ორგანიზებული ვიზიტი იმპერატორისა ტანჟერში. ამიერიდან კაიზერისა და კანცლერის ბრძოლას მაროკოსათვის, რომელიც ესოდენ ძვირფასი იყო გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალისათვის, უკვე ფართო პოლიტიკური ხასიათიც მიეცა. გერმანიის მთავრობას სურს ჩაშალოს საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმება, ანუ მათი კავშირი გერმანიის წინააღმდეგ. ტარდიე საესებით სწორად აფასებს შექმნილ მდგომარეობას. იგი ამბობს, რომ, მართალია, მაროკო აინტერესებს გერმანიის კოლონიალისტებსა და მთავრობას, რომელთაც „მადა ჰამაში მოუვიდათ", მაგრამ განა აქ საქმე მარტო მაროკოს ეხება? მთავარი რაც გერმანიას სურს, ესაა მისი განზრახვა რევანში აიღოს, შური იძიოს იმ მარცხისა და იზოლაციის გამო, რომელიც მას დელკასეს პოლიტიკამ მოუტანა. გერმანელებს სურთ დაგვიმტკიცონ, აცხადებს ტარდიე, რომ ჩვენი ხელშეკრულება ინგლისთან, თუკი მას გერმანია არ მიიღებს, არ იცნობს, უდრის ნულს, მიუღებელია, უძლურია და მკვდარია. აი, რა უნდა გერმანიას, აი, რაა მიზანი მისი პოლიტიკისა, ხოლო მაროკო კი „უბრალო საბაბია", — დაასკვნის ტარდიე [2]. ბიულოვი არწმუნებდა ვილჰელმ II-ეს, რომ მის ვიზიტს ტანჟერში ორმაგი მნიშვნელობა ექნება: ჯერ ერთი დელკასე შეშფოთდება, მისი გეგმები ჩაიშლება (აქ ბიულოვი გულისხმობს დელკასეს ანტიგერმანულ საქმიანობას საერთოდ. აქვე გულისხმობს იგი, უპირველეს ყოვლისა, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას), მეორე მხრივ, ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს გერმანიის ეკონომიური ინტერესების განმტკიცებას მაროკოში [3]. ბელგიის ელჩი საფრანგეთში ასე აფასებდა

---

[1] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

[2] იქვე.

[3] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6574.

გერმანიის გამოსვლას: „გერმანიას სურს ორმაგ მიზანს მიაღწიოს: შეინარჩუნოს მაროკოს მომავალი და დაუმტკიცოს საფრანგეთს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ამაოება“ [1]. გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი შლიფენი 1905 წლის 20 აპრილს უცხადებდა ბიულოვს: „რუსეთს ამჟამად ომი არ შეუძლია, რადგანაც მას ხელი შეკრული აქვს იაპონიასთან ომით; თუ ომი საფრანგეთთან აუცილებელია, ახლანდელი მომენტი, უდავოდ, ხელსაყრელია“ [2]. გერმანია მზად იყო ესარგებლა ხელსაყრელი მომენტით, მაროკო საბაბად გამოეყენებინა და ომი დაეწყო ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. რა იყო ამ ომის საბოლოო მიზანი? ცხადია, არა მაროკო, არც ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ჩაშლა, ეს ომი იმპერიალისტური ომი უნდა ყოფილიყო მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, გერმანიის იმპერიალიზმისათვის მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვებისათვის. აი, როგორი ხასიათისა იქნებოდა ეს ომი, აი, საითკენ მივყავდით იმპერიალისტების მიერ გაღვივებულ „მაროკოს კრიზისს“.

გერმანიის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამხედრო პირი გენერალი კარლ ფონ აინემი თავის მემუარებში წერდა, რომ 1905 წელს მაროკოს კრიზისის დროს ფონ ბიულოვი საფრანგეთთან ომის დაწყებისათვის საერთაშორისო სიტუაციას სამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელად სთელიდა ისე, როგორც არასდროს. „მე პირადად ყველაფერი გავაკეთე, რათა მხარი დამეჭირა რაიხსკანცლერისათვის იმ დიპლომატიურ ბრძოლაში, რომელიც მან დელკასეს წინააღმდეგ გააჩაღა; ძე ფარული იმედი მქონდა, რომ ყველაფერი მახვილის დახმარებით გადაწყდებოდა“-ო, — აღნიშნავს აინემი და დასძენს, რომ ბიულოვიც ასეთივე შეხედულებისა იყოო. ვილჰელმ II და ბიულოვი ეკითხებოდნენ მას, ბრძოლისათვის. აინემი მათ სრულ გარანტიას აძლევდა იმაში, რომ გერმანიის არმია მზად იყო სახმელეთო ბრძოლებისათვის. ვილჰელმთან საუბრისას ამ გენერალმა ხაზი გაუსვა 1905 წელს ომის გაჩაღებისათვის სასარგებლო კიდევ ერთ მომენტს. იგი ეუბნებოდა კაიზერს: „ახლა, როდესაც რუსეთში რევოლუციამ იფეთქა, ჩვენთვის ომი სავსებით კეთილად ჩაივლის“-ო [3]. თეო-

---

[1] „Zur europäischen Politik“, დოკ. № 30, გვ. 100.

[2] История дипломатии, ტ. III, გვ. 750.

[3] K. von Einem, Erinnerungen eines Soldaten 1853—1933, Leipzig, 1933, ციტ. Полетика, დასახ. ნაშრ., გვ. 134—135.

ბალდ ბეტმან-ჰოლვეგი (გერმანიის რაიხსკანცლერი 1909—1917 წლებში) 1905 წელს ომის დაწყებისათვის საუკეთესო მომენტად მიიჩნევდა. მაშინ, მისი თქმით, საუკეთესო შანსები იყო ომის ბოგების თვალსაზრისით, ხოლო 1914 წლისათვის კი კარგი მომენტი ხელიდან იყო გაშვებული[1]. ფაშისტური გერმანიის „ბელადები" ბრალსა სდებდნენ ვილჰელმ მეორისეულ გერმანიას იმაში, რომ მათ დაიწყეს ომი 1914 წელს და არა 1904—1905 წლებში, როცა გერმანიას თამამად შეეძლო „ანტანტის" განადგურებაო. ადოლფ ჰიტლერი თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა" (Mein Kampf) წერდა: „სისხლი, დაღვრილი 1904 წელს, ათგზის დაზოგავდა სისხლს, დაღვრილს 1914—1918 წლებში"[2].

ამგვარად, როგორც უკვე ითქვა, გერმანიამ მომენტი ხელსაყრელად ვიიჩნია და ხმალი იშიშვლა. ბიულოვი შეტევაზე გადავიდა. მან დაიწყო იმით, რომ ვილჰელმი ტანჟერს გაისტუმრა. ეს საქმე, როგორც აღვნიშნეთ, მის მიერ იყო უშუალოდ ორგანიზებული. „ტურიზმით" გატაცებული ვილჰელმი ზღვით უნდა გამგზავრებულიყო ჰამბურგიდან კორფუსკენ. ბიულოვმა წინადადებით მიმართა იმპერატორს, შეეცვალა მარშრუტი, სწვეოდა ტანჟერს, მიეღო სულთნის დელეგაცია და მაროკოს სუვერენიტეტისა და ხელშეუხებლობის დამცველად გამოეცხადებინა თავი. ბიულოვმა კარგად იცოდა იმპერატორის ხასიათი, რომელსაც ავადმყოფურ ქედმაღლობასთან და არტისტულ „ვაჟკაცობასთან" ერთად გაუბედაობაც ახასიათებდა. ვილჰელმი თავის მყვირალა ორატორულ გამოსვლებში კაცს ჰერკულესად წარმოუდგებოდა. ეს თეატრალური ნიღაბი იყო მხოლოდ, რომლის უკან მეტად შეზღუდული ფილისტერი იმალებოდა. ვილჰელმი, რომელიც მსოფლიოს „შეჯავშნული მუშტით" ემუქრებოდა, ტანჟერში ჩასვლის საქმეში გარკვეულად ყოყმანებდა: მან იცოდა, თუ რას მოასწავებდა მისი ჩასვლა ტანჟერში. ეს იქნებოდა აშკარა პროვოკაციული ჩარევა მაროკოს საქმეებში, რომელიც ესოდენ „ბევრ საწვავ მასალას შეიცავდა". თავის „მემუარებში" იგი ცდილობს, თავი იმართლოს ისტორიის წინაშე: აცხადებს, რომ ასეთი გეგმის სასტიკი მოწინააღმდეგე ვიყავი და მხოლოდ ბიულოვის დაჟინებით მოთხოვნას დავემორჩილეო. „მე დავემორჩილე გულისტკივილით, — წერდა ექსკაიზერი თავის მემუარებში, — ვშიშობდი

[1] P. Dirr, Bayerische Dokumente zum Kriegsausbruch und zum Versaille Schuldspruch, 1925, № 1. ციტ. Полетика, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[2] Полетика, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

რა, რომ ეს ვიზიტი მაშინდელ ვითარებასთან დაკავშირებით გაგებული იქნებოდა პარიზში, როგორც პროვოკაცია. ინგლისში კი ომის შემთხვევაში საფრანგეთისადმი დახმარების სურვილს გამოიწვევდა“-ო [1]. მის ყოყმანს ტანჟერში ჩასვლის გარშემო მხოლოდ მისი გაუბედაობითა და ხასიათის მერყეობით თუ ავხსნით. თუ არ სურდა ეს საქმე, მაშინ მას შეეძლო საერთოდ უარეყო ბიულოვის წინადადება და ამ შემთხვევაში ძას სრულებით აღარ დასჭირდებოდა „გულისტკივილით დამორჩილება“. ითვალისწინებდა რა თავისი მბრძანებლის ასეთ ხასიათს, ბიულოვმა საქმე ისე წარმართა, რომ ვილჰელმისათვის ყოყმანის საშუალება არ მიეცა, რადგანაც, მისი აზრით, შეუძლებელი იყო დაყოვნება. ბიულოვი ჩქარობდა.

გერმანულ გაზეთ „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ში 20 მარტს ბიულოვის მითითებით დაიბეჭდა ცნობა ვილჰელმ II-ის ტანჟერში მომავალი ჩასვლის შესახებ. გაზეთი და დაჟინებითი მოთხოვნა ტანჟერში ჩასვლის შესახებ ბიულოვმა დაუყოვნებლივ გადაუგზავნა იმპერატორს [2], რომელსაც გარკვეული ყოყმანი დაეტყო. ბიულოვმა სრულიად მარტივი ხერხი ჰპოვა კაიზერის ყოყმანის დასაძლევად. მის ავადმყოფურ თავმოყვარეობას გაეთამაშა და სასურველი შედეგიც მიიღო. ბიულოვი უცხადებს იმპერატორს, რომ ტანჟერში ჩაუსვლელობა ყოვლად შეუძლებელია. თუ ახლა ჩვენ გამოვაქვეყნებთ, რომ თქვენი უდიდებულესობა შეიძლება არც ჩავიდეს ტანჟერში..., მაშინ დელკასე გაავრცელებს ხმებს, რომ საფრანგეთის მთავრობამ ბერლინს თავისი უკმაყოფილება განუცხადა კაიზერის ტანჟერში ჩასვლის შესახებ და რომ ამის გამო ვილჰელმმა უარყო თავისი გადაწყვეტილება. „ჩვენ არა გვაქვს საფუძველი მივცეთ საშუალება ბატონ დელკასეს ამ ზეიმისათვის, ამ ტრიუმფისათვის“, — სწერდა ბიულოვი კაიზერს [3]. კაიზერი დაუყოვნებლივ აცხადებს თანხმობას. რაიხსკანცლერი აღგენს ვილჰელმისათვის ტანჟერში მისი მოქმედების მთელ პროგრამას, რომელიც დაწვრილებით ითვალისწინებდა, თუ რა უნდა ეთქვა კაიზერს ტანჟერში, როგორ უნდა მოქცეულიყო, ვინ უნდა მიეღო და სხვა. პროგრამის მიხედვით, იმპერატორმა ტანჟერში 5 საათი უნდა დაჰყოს: მან უნდა მიიღოს მაროკოს სულთნის

---

[1] Вильгельм II, Мемуары. События и люди 1878—1918, М., 1923, გვ. 51—52.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6563.

[3] იქვე, დოკ. № 6565.

წარმომადგენელი აბდ-ელ-მელიჯი გემბანზე, ხომალდებმა კაიზერის პატივსაცემად სალიუტი უნდა მისცენ. ნაპირზე განლაგებული იქნება ტანჟერის დიპლომატიური კორპუსი და გერმანული კოლონია. იმპერატორი ცხენით გაემართება ქალაქის ცენტრისკენ, აქ მისთვის სპეციალურად გამართულ კარავიდან მან უნდა უყუროს მის პატივსაცემად მოწყობილ ცხენოსანთა შეჯიბრს. შემდეგ იმპერატორი უნდა წავიდეს გერმანიის საელჩოს შენობაში, სადაც მის წინაშე წარსდგებიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მაროკოს რჩეულნი პირნი. ბიულოვს აშინებს საფრანგეთის მიერ გავრცელებული ხმები, რომ გერმანიას ერთადერთი მიზანი ამოქმედებს — მაროკოს ნადავლიდან გარკვეული წილი მიიღოს, რომ მას საფრანგეთის დახმარება სურს ამ საქმეში, რომ ამის შემდეგ გერმანია დამშვიდდება. სულთანს არ უნდა დაეკარგოს საფრანგეთის წინააღმდეგ გერმანიის დახმარების იმედი, წინააღმდეგ შემთხვევაში სულთანი არ შეეცდება დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და იგი საფრანგეთის ბატონობის ქვეშ მოექცევა. სულთანს უნდა სჯეროდეს გერმანიის მხარდაჭერისა... ამაში იგი ვილჰელმმა უნდა დაარწმუნოს, — ასეთია ბიულოვის მიზანი. მაგრამ ვილჰელმი ფრთხილად უნდა მოიქცეს, ზედმეტი არაფერი წამოსცდეს..., დიპლომატიის ოსტატს — ბიულოვს ღრმად სწამს ტალეირანის სიტყვები: „დიპლომატს ენა იმისათვის აქვს, რომ თავისი ნაბდვილი ზრახვები დაფაროს“. იმპერატორმა დიდი პატივისცემით უნდა მიიღოს სულთნის დელეგატი; მისდამი ასეთი მოპყრობით იმპერატორი ხაზს გაუსვამს თვით სულთნის ღირსებას. იმპერატორმა უნდა უსურვოს სულთანს შინაური უწესრიგობის რაც შეიძლება მალე ლიკვიდაცია, მათ შორის ბუ ჰამარას ჯანყის ჩაქრობა (ბუ ჰამარას ხელმძღვანელობით ამტყდარ შინაურ შფოთს, გავრცელებული ცნობების მიხედვით, ფრანგები განზრახ უწყობდნენ ხელს). თუ სულთნის ელჩი კაიზერის კითხვაზე — „საიდან ღებულობს სახსრებს ბუ ჰამარა?“, — უპასუხებს: „ჩანს, საფრანგეთიდან“, კაიზერმა უნდა განაცხადოს, რომ „იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ასეთ სისაძაგლეს ფრანგების მხრივ“. მაროკოს სულთანს ვერ მოუნელებია ის გარემოება, აცხადებს ბიულოვი, რომ ინგლისმა, რომელიც სულ მუდამ მაროკოს „დამცველად“ აცხადებდა თავს, მიატოვა მაროკო, უღალატა მას. ახლა კი ფრანგების მიერ გავრცელებული ხმები აუწყებენ მას, რომ გერმანიაც ღალატობს მაროკოს, რომ მისი „მეგობრობა“ მაროკოსადმი მოჩვენებითია; ვილჰელმმა უნდა

ვაჟანტოს უნდობლობის ეს ბურუსი: მან ხაზი უნდა გაუსვას თავის გულცივობას საფრანგეთისადმი; ბიულოვი ავალებს კაიზერს, რომ მან მეტად ცივად მიიღოს საფრანგეთის წარმომადგენელი ტანჟერში, მას მხოლოდ თავი უნდა დაუკრას; ვილჰელმს შეუძლია მეტად დამშვიდებულ პოზაში განაცხადოს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა მაროკოში მისთვის სავსებით გაუგებარია. ვილჰელმმა უნდა განაცხადოს, რომ გერმანია ვერ მოითმენს მაროკოში სხვა დაინტერესებული ქვეყნების უფლებების შეზღუდვას და შელახვას; ვილჰელმმა უნდა მოითხოვოს ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორი უფლებები. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ვილჰელმი, თუკი სულთნის წარმომადგენელი მას პირდაპირ დაუსვამს კითხვას: საფრანგეთთან ომის შემთხვევაში მხარს დაუჭერს თუ არა გერმანია მაროკოს? ცხადია, იმპერატორი ამ შემთხვევაში პირდაპირ პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ, ბიულოვის მითითებით, ვილჰელმმა ოსტატური დიპლომატიური ქალამბურებით უნდა დაარწმუნოს სულთანი, და ყველა იმაში, რომ „გერმანია მთელი თავისი ძალებით ზურგს უმაგრებს მაროკოს“ [1]. ვილჰელმმა უნდა დაარწმუნოს სულთანი, რომ საფრანგეთი ვერ გაბედავს ომს, თუკი წინასწარ მისთვის უზრუნველყოფილი არ იქნა გერმანიის მხრივ ნეიტრალიტეტი, რაც, ცხადია, სრულიად გამორიცხულია. ვილჰელმმა უნდა განუცხადოს სულთნის დელეგატს: „თუ მე თქვენ მტკიცედ დაგპირდებით მხარდაჭერას, მაშინ თქვენ ხვალვე თავს დაესხმით საფრანგეთს. მაგრამ მე მსურს შეძლებისდაგვარად შევინარჩუნო მშვიდობიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი არმია მყავს“. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თუ საფრანგეთი ომს დაიწყებს მაროკოს წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში გერმანიის პოზიცია ვილჰელმმა დაახლოებით შემდეგ ფორმებში უნდა გამოხატოს: „გერმანიას არა აქვს არავითარი ვალდებულება, რომელიც ასეთ შემთხვევაში მას ხელს შეუშლის იხელმძღვანელოს თავის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე“. ასეთი პასუხი, ამბობს ბიულოვი, შეაწუხებს მოწინააღმდეგეს, ჩვენ კი არავითარ ვალდებულებას არ დაგვაკისრებსო. ვილჰელმმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ იგი არ დაუშვებს მაროკოში რომელიმე სახელმწიფოს მონოპოლიურად დამკვიდრებას, რომ იგი იცავს მაროკოში ყველა ქვეყნისათვის თანასწორ უფლებათა პრინციპს. ამავე დროს კაიზერმა უნდა ურჩიოს სულთანს, რომ მან ანგარიში გაუწიოს „რჩეულთა

[1] ეს სიტყვები თავად რადოლინს ეკუთვნის. A. Debidour, დასახ. ნაშრ., გვ. 26; Пуанкаре, Происхождение мировой войны, 1924, გვ. 96.

კრებას“ [1]. ვილჰელმმა, როგორც ვიცით, ოსტატურად გაითამაშა ეს პოლიტიკური ფარსი. ტანჟერის ვიზიტით ბიულოვი კმაყოფილი დარჩა. ვილჰელმმა ერთხელ კიდევ შეათამაშა „შეჯავშნული მუშტი“.

ცნობამ, რომ იმპერატორს განზრახვა აქვს ტანჟერს ესტუმროს, საფრანგეთში დიდი შეშფოთება გამოიწვია. პრესაში, სალონებში, პოლიტიკურ კლუბებში საერთო პანიკა იყო; ყველგან მოსალოდნელ დიდ გართულებათა შესახებ ლაპარაკობდნენ. ანდრე ტარდიე, რომელიც მაშინ მეტად გავლენიანი პოლიტიკური ჟურნალისტი იყო, ეწვია გერმანიის საელჩოს, როგორც ჩანს, დელკასეს პირდაპირი დავალებით. მას სურდა ნაწილობრივ მაინც გაეგო ტანჟერში ვილჰელმის ჩასვლის მიზნები. მაგრამ „სფინქსის“ პოზაში მყოფი გერმანიის წარმომადგენლები სდუმდნენ და არაფერს არ ამჟღავნებდნენ. „მე გავურბივარ დელკასეს ნახვას ან სამინისტროს სხვა რომელიმე წევრთან საუბარს“, — იტყობინება პარიზიდან ფონ ფლოტოვი [2]. მაგრამ „სფინქსმა“ დიდხანს აღარ დააყოვნა, 31 მარტს იგი ალაპარაკდა კაიზერის პირით. ამიერიდან საფრანგეთის მმართველი წრეების აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. დებიდურის თქმით, იმპერატორის ვიზიტი საფრანგეთის შეურაცხყოფასა და მასხარად აგდებას ნიშნავდა და ჩანდა, რომ იგი დაუყოვნებლივ ომს გამოიწვევდაო [3]. ყველასათვის ეჭვგარეშე იყო, რომ გერმანია ომში იწვევდა საფრანგეთს. ვილჰელმის ვიზიტმა ტანჟერში გერმანელთა ბანაკში საერთო აღტაცება გამოიწვია. იმპერატორის მრჩეველი ბარონი ფონ შენი მეტად კმაყოფილია ამ ვიზიტით და ამბობს: „ამრიგად, ეს ისტორიული საქმე გადაწყდა“-ო [4]. გერმანიის პრესაში საფრანგეთის მიმართ აშკარა მუქარა გაისმის. გაზეთი „München-neueste Nachrichten“ აცხადებს: „გერმანიის ინტერესების დაკმაყოფილება მოხდება მეცის შესავალთან“-ო. გერმანიის პრესა არარაობად მიიჩნევს ინგლისის მიერ საფრანგეთისადმი დახმარების გაწევის შესაძლებლობას. „ალბათ ინგლისის გემებს ბორბლებზე შეაყენებენ, რათა ისინი ხმელეთზე საბრძოლველად გამოიყენონ“, — აცხადებს ირო-

---

[1] ტანჟერში ვილჰელმის მოქმედების პროგრამა, შედგენილი ბიულოვის მიერ იხ. Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6575. ბიულოვის მითითებები იხ. იქვე, დოკ. № 6576.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6570.

[3] A. Dobidour, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

[4] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6588.

ნიულად ერთი გერმანული გაზეთი[1]. ყველგან საფრანგეთ-გერმანიის ომის გარდაუვალობის შესახებ ლაპარაკობენ. საფრანგეთის ბირჟაზე საშინელი პანიკაა[2].

ბიულოვი ამბობდა, რომ „დიპლომატებისა და პოლიტიკოსების ენა და მოქმედება გარემოებებითა და მოვლენათა მსვლელობით განისაზღვრება“-ო[3]. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის პოზიცია, რომელიც ოფიციალურად დაიკავა გერმანიის ხელისუფლებამ მაროკოს საკითხში, რუსეთის დამარცხების შემდეგ. თუკი ადრე გერმანიის დიპლომატებს „სფინქსის პოზა“ ეჭირათ და, როგორც ფონ კიულმანი ამბობდა, „მდუმარე და საიდუმლოებით მოცულ („attitude muette et énigmatique“) ლოდინის პოლიტიკას“[4] ატარებდნენ, ახლა ისინი ნიღაბს იხსნიან და აშკარად აცხადებენ, რომ არ სცნობენ ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებას და მის წინააღმდეგ გამოდიან. 1905 წლის 11 თებერვალს ფონ კიულმანმა განუცხადა საფრანგეთის წარმომადგენელს გრაფ შერისიეს, რომ გერმანიის მთავრობამ არაფერი იცის მაროკოს შესახებ მიღწეული რაიმე ხელშეკრულების შესახებ, რომ იგი არ სთვლის თავს ვალდებულად ანგარიში გაუწიოს ამ ხელშეკრულებას[5]. 15 აპრილს ბიულოვი ამბობდა: „ჩვენ ვიცავთ საკუთარ ინტერესებს, რომელთაც, როგორც ჩანს, აბუჩად იგდებენ, გვერდს უვლიან; ჩვენ არას გვკითხავენ ამ ინტერესების არსებობის შესახებ... ყოველი ადამიანი, რომელსაც ჯიბიდან ფულს აცლიან, შეძლებისდაგვარად თავს დაიცავს იმისდა მიუხედავად, საქმე 5 თუ 5.000 მარკას ეხება. ჩვენ ეკონომიური ინტერესები გვაქვს მაროკოში — ეს არ საჭიროებს მტკიცებას. და თუ ჩვენ ახლა ხმას ჩავიკმენდთ და ამით ჩვენს ინტერესებს უარვყოფთ — ჩვენ წავაქეზებთ მთელ მსოფლიოს, რომელიც თვალყურს გვადევნებს, იმოქმედოს ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ სხვა უფრო მნიშვნელოვან შემთხვევაში...“[6]. ყოვლად შეუძლებელია, — სწერდა ბიულოვი 1905 წლის 28 აპრილს თავად რადოლინს პარიზში,—რომ დიდმა სახელმწიფომ მოითმინოს მის-

---

[1] Debidour, დასახ. ნაშრ., გვ. 15.
[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6638.
[3] René Pinon, დასახ. ნაშრ., გვ. 158.
[4] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6536. გვ. 233.
[5] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 6.
[6] Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

დამი უპატივცემულოდ მოპყრობა. მას მომავალში უარესს უზამენ...[1] როგორც ვხედავთ, ბიულოვი არაფერს არ ზოგავს, რათა დაიცვას გერმანიის „პრესტიჟი“, ააცილოს მას „quantité négligeabe“-ის მდგომარეობა.

ტანჟერში ვილჰელმის ვიზიტის შემდეგ ბიულოვმა მაროკოს სულთნის კარზე საგანგებო მისიით წარგზავნა გრაფი ტატენბახი (იგი მაშინ გერმანიის ელჩად იყო პორტუგალიაში), რომელიც 12 მაისს უკვე ფეცში იყო და იქ ფართო ანტიფრანგული საქმიანობა გააჩაღა. გერმანელ დიპლომატთა ტრიუმვირატის (ტატენბახი, კიულმანი, ვასელი) მოღვაწეობამ მალე სასურველი შედეგები გამოიღო. როგორც ვიცით, სულთანმა უარყო მაროკოში რეფორმების გატარების ფრანგული პროგრამა. სენ-რენე ტაილანდიეს მისია ჩაიშალა. საფრანგეთი კარგავდა 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებით მოპოვებულ უფლებებს მაროკოში. საფრანგეთში აღშფოთება უკიდურესობას აღწევს, დელკასე ნერვიულობს. ატმოსფერო დაძაბული ხდება. ტატენბახი იტყობინებოდა მაროკოდან, რომ საფრანგეთის არმიები მზად იყვნენ გადაელახათ ალჟირ-მაროკოს საზღვარი, თუკი სულთანი უარყოფდა საფრანგეთის მოთხოვნებს[2]. მაგრამ გერმანელების მიერ დაიმედებული სულთანი წარბსაც კი არ იხრიდა. მან იცოდა, რომ მის ქვეყანაზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხვევაში გერმანიის არმიები მყისვე გადალახავდნენ ვოგეზებს. გერმანიის ელჩმა იტალიაში გრაფმა მონტსმა განუცხადა იტალიის მთავრობას: „თუ საფრანგეთის ჯარები გადავლენ მაროკოს საზღვრებზე, მაშინ გერმანიის ჯარები დაუყოვნებლივ საფრანგეთის საზღვრებს გადალახავენო“[3]. გრაფ მონტსის ეს განცხადება იტალიის მთავრობამ დაუყოვნებლივ აუწყა პარიზს. საფრანგეთის მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობაა, საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასე აგრესიულადაა განწყობილი, გერმანიასთან ომს არ ერიდება. პრემიერ-მინისტრი რუვიე კი დათმობაზე წასვლასა და ომის თავიდან აცილებას ცდილობს.

გერმანიამ საფრანგეთსა და ინგლისს ოფიციალურად შემდეგი ბრალდებები წაუყენა: ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდნენ მაროკოს საკითხში ისე, რომ გერმანიას, რომელსაც მაროკოში მეტად დიდი ინტერესები აქვს, არაფერი ჰკითხეს, გვერდი

---

[1] **Морель**, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6673, გვ. 392—393.

[3] **История дипломатии**, ტ. II, გვ. 170.

აუარეს. ამ შეთანხმების მიღებაში მისი მონაწილეობა საჭიროდ არ სცნეს. უფრო მეტიც, ოფიციალურადაც კი არ აცნობეს გერმანიას ასეთი მოლაპარაკების მიმდინარეობისა და მიღწეული ხელშეკრულების შესახებ. გერმანიის მთავრობა აღშფოთებულია ყოველივე ამით. აღშფოთებულია აგრეთვე იმითაც, რომ სულთნის კარზე, ფეცში, სენ-რენე ტაილანდიე თავს ევროპის მანდატით აღჭურვილად აცხადებს. გერმანია ბრალსა სდებს ინგლისსა და საფრანგეთს იმაში, რომ მათ დაარღვიეს მადრიდის კონვენცია, კერძოდ, ამ კონვენციის მე-17 მუხლი. გერმანიის მთავრობამ მოითხოვა ხელახლა მოწვეულიყო საერთაშორისო კონფერენცია მაროკოს საკითხის გადასაწყვეტად. 12 აპრილს ბიულოვმა გაავრცელა სპეციალური ცირკულარი, რომლითაც იგი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას მოითხოვდა. 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების შემდეგ გერმანიის მთავრობას არ გადაუდგია არავითარი ნაბიჯი მის წინააღმდეგ, ამბობდა ბიულოვი, რადგანაც ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა მაროკოში „Status quo“-ს დაცვას და აგრეთვე იმიტომ, რომ გერმანია ფიქრობდა, თუ საფრანგეთს განზრახული აქვს მაროკოში ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელთაც შეუძლიათ შეამცირონ ან შეზღუდონ მაროკოში სხვა სახელმწიფოთა უფლებები და პრივილეგიები (იმ სახელმწიფოთა, რომლებმაც ხელი მოაწერეს მადრიდის კონვენციას), იგი ალბათ წინასწარ იკითხავს, თუ რა აზრის არიან ეს ქვეყნები. მაგრამ გერმანია დარწმუნდა, რომ იგი ცდებოდა, რომ საფრანგეთი უგულებელყოფდა მაროკოთი დაინტერესებულ სხვა სახელმწიფოებს. დადგა მომენტი, აცხადებდა ბიულოვი, როცა გერმანიამ თავისი ინტერესების დაცვისთვის უნდა იფიქროსო. მაროკოს მთავრობა გვეკითხება ჩვენ, არის თუ არა საფრანგეთის წარმომადგენელი ფეცში — სენ-რენე ტაილანდიე — ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელი, მართლაც მთელი ევროპის მანდატითაა იგი აღჭურვილი თუ არა? გარდა ამისა, ცნობილია, — განაგრძობს ბიულოვი, — რომ რეფორმათა ფრანგულ პროგრამაში არის მუხლები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მაროკოში „Status quo-ს“ შენარჩუნების პრინციპს. იმის გამო, რომ ახლა ანგარიშგასაწევია მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დაწესების შესაძლებლობა, ე. ი. მაროკოდან ყველა სხვა სახელმწიფოს გამოდევნა საფრანგეთის მიერ, ამიტომ აუცილებელია კონფერენციის მოწვევა უცხოელთა ეკონომიური ინტერესების დასაცავად [1].

[1] Морель, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

მაროკოს სულთანმა მხარი დაუჭირა ბიულოვს. 28 მაისს, როგორც ვიცით, მან უარყო საფრანგეთის წინადადება „რეფორმების" შესახებ და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის გერმანულ გეგმას დაეთანხმა, რამაც ბიულოვს საშუალება მისცა საფრანგეთის მიმართ მუქარის ფორმებში ეთქვა, რომ სულთნის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწორედ ისაა, რომელსაც თავიდანვე მიიჩნევდა გერმანია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით მართებულად და მაროკოთი დაინტერესებულ ყველა სახელმწიფოსათვის მისაღებად. ცხადია, ამ ვითხვევაში გერმანიის ხელმძღვანელთათვის საერთაშორისო სამართლისა და სხვა სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა მხოლოდ ნიღაბია თავისი ნამდვილი ზრახვების დასაფარავად. თუ სულთნის განცხადების შემდეგ საფრანგეთი კვლავ შეეცდება განაგრძოს შეშინებისა და ძალდატანების პოლიტიკა მაროკოს სულთნისადმი, „ბაშინ ჩვენ სათანადო დასკვნების გამოტანა დაგვჭირდება"-ო, — აცხადებს ბიულოვი [1]. „სათანადო დასკვნები" გამოტანილ იქნა. გერმანია ომით დაემუქრა საფრანგეთს, თუკი უკანასკნელი არ მიიღებდა გერმანიის წინადადებას საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. რადოლინი გერმანიის მთავრობის სახელით უცხადებს საფრანგეთის მთავრობას, რომ თუ საფრანგეთი არ მიიღებს კონფერენციაზე მიწვევას და კვლავ შეეცდება რეფორმების თავისი პროგრამის განხორციელებას სხვა გზით, იგი ჰპოვებს გერმანიას მაროკოს ზურგს უკან მდგარს [2]. ვილჰელმ II ოპახიანად გაიძახის: „დაე, იცოდნენ საფრანგეთის მინისტრებმა, თუ რა საფრთხეში იგდებენ თავს: ნანსი — აღებული 24 საათში, სამი კვირის შემდეგ გერმანიის არმია პარიზის წინ, რევოლუცია საფრანგეთის 15 მთავარ ქალაქში და 7 მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია იმ ზარალის ანაზღაურებისათვის, რომელსაც ინგლისის ფლოტი მიაყენებს გერმანიის ფლოტს" [3].

დელკასე სასტიკი წინააღმდეგი იყო კონფერენციის მოწვევისა. მაროკოს საკითხის გადასაწყვეტად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მას მიაჩნდა თავისი პოლიტიკის დამარცხებად; მისთვის ეს კონფერენცია მოასწავებდა 1904 წლის შეთანხმების

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6673.

[2] Louis Maurice, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[3] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 174; Г. А. Дебориn, Международные отношения до первой мировой имп. войны (1871—1914), М., 1941, გვ. 58.

ანულირებას, საფრანგეთის მიერ მაროკოში წვითა და დაგვით მოპოვებულ უფლებათა დაკარგვას. გერმანიის მუქარა დელკასეს მხოლოდ უბრალო „ბლეფად“ მიაჩნია, ამავე დროს მას ინგლისმა სამხედრო დახმარებაც აღუთქვა. დელკასე უარყოფს გერმანიის წინადადებას. იგი მზად არის ომში ჩააბას საფრანგეთი, ოღონდ კი თავის ექსპანსიონისტურ ზრახვებზე უარი არა თქვას. 1905 წლის 26 აპრილს დელკასემ პალეოლოგთან [1] საუბრისას მეტად აღგზნებულ ფორმებში შემდეგი განაცხადა: „გერმანიას არ შეუძლია ომი ისურვოს და მისი ახლანდელი გამოსვლა სხვა არაფერია, თუ არ ბლეფი, გერმანიამ იცის, რომ მის წინააღმდეგ ინგლისი გამოვა. მე ვიმეორებ, ინგლისი ბოლომდე დაგვიჭერს ჩვენ მხარს და უჩვენოდ არც ზავს მოაწერს ხელს“ [2]. მისი განცხადება ლიტონი სიტყვები როდი იყო, ინგლისმა ნამდვილად აღუთქვა საფრანგეთს გერმანიასთან ომის შემთხვევაში რეალური დახმარება; სწორედ აპრილის თვეში დაიწყო ერთობლივი მოქმედების შესახებ მოლაპარაკება საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

§ 2. ინგლისის პოზიცია მაროკოს პირველი კრიზისის დროს

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა მაროკოს ირგვლივ ამტყდარ საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტში მეტად დამახასიათებელია. აქ კარგად გაძოვლინდა „ცბიერი ალბიონის“ ტრადიციული პოლიტიკა „სხვისი ხელებით ნარის გლეჯისა“. ინგლისის ამ ტრადიციული პოლიტიკის შესახებ გაზეთი „პრაედა“ წერდა: „ძველთაგანვე ბრიტანეთის დიპლომატიის საყვარელი მეთოდი იყო გაიძვერული ფანდებით დიდი სახელმწიფოების ერთმანეთისადმი დაპირისპირება, მათ შორის შეტაკების გამოწვევა. წარსულში ბრიტანეთის პოლიტიკამ არაერთხელ მოახერხა დიდი სახელმწიფოების დასუსტება მათი ერთმანეთზე წაქეზებით. მაგალითად, გერმანიისა საფრანგეთზე ან პირიქით. ეს იყო პოლიტიკა, რომელიც ძირს უთხრიდა მშვიდობიანობას, პოლიტიკა, რომელიც ომით იყო ფეხმძიმე“ [3]. ბრიტანეთი მუდამ მოხარული იყო ასეთი ომისა: ამით

---

[1] მორის ჟორჟ პალეოლოგი, ფრანგი დიპლომატი. დიპლომატიურ ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის 80-იან წლებში. 1914—1917 წლებში ელჩად იყო რუსეთში.

[2] „Международные отношения 1870—1918“, დოკ. № 87, გვ. 156.

[3] „Правда“, 1943 წ., 21/XI, № 295 (11.036).

იგი უფრო ადვილად ახერხებდა მსოფლიოზე თავისი ჰეგემონობის შენარჩუნებას.

მაროკოს პირველი კრიზისის დროს ინგლისი ცდილობდა გაემწვავებინა იგი. გაელრმავებინა კონფლიქტი საფრანგეთსა და გერმანიას შორის, გაეჩაღებინა მათ შორის ომი. ინგლისელები მოუთმენლად ელიან ამ ომს, თვით შორეულ ბომბეიში მოკალათებული ინგლისელებიც კი. მათ სახეზე ბოლოდ ერთი რამის ამოკითხვა შეიძლება, იტყობინება ბომბეიდან რუსეთის წარმომადგენელი კლემი, გამოჩნდება თუ არა საფრანგეთის სახით ახალი კეთილისმყოფელი, რომელიც ინგლისისათვის შეწყვარ წაბლს ამოიღებს ცეცხლიდან, ე. ი. დაასუსტებს ღრმად საძულველ და ეკონომიურად მეტად საშიშ გერმანიას?[1]. ფონ ფლოტოვი აღნიშნავდა, რომ პარიზის პრესაში, კლუბებსა და სხვაგან აშკარად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ინგლისს სურს საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ გამოიყენოს და ამით თავისი საქმე გააკეთოს[2]. ბელგიის ბერლინელი ელჩის ცნობით, მრავალი გერმანელი დარწმუნებულია, რომ ინგლისი ეძებს მოკავშირეს გერმანიის წინააღმდეგ, რომ ინგლისს სურს კონტინენტზე ომის პროვოცირება. რომელშიც თითონ მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ ამ ომით დიდ მოგებას ნახავს[3]. ვილჰელმ II ნიკოლოზ II-ს სწერდა: ინგლისმა გაუთავებელი ინტრიგებითა და ვერაგობით ურთიერთს გადაჰკიდა ყველა დანარჩენი ცივილიზებული ხალხი, თვითონ კი მთელი მსოფლიოს ექსპლოატაციას ეწევა. ამჟამად მაროკოს საკითხში ჯონ ბულს კვლავ ჩვეული დამღუპველი პრინციპის გატა-

---

[1] „Красный Архив", т. 4—5 (41—42), გვ. 29. თავის მოხსენებით ბარათში კლემი წერს: „Возможность вооруженного столкновения между Францией и Германией открыто обсуждается в клубах и частных домах, и на всех лицах как бы читается вопрос: найдется ли в лице Франции новый благодетель, который вытащит для Англии каштаны из огня, т. е. ослабит глубоко ненавистную и экономически столь опасную Германию, хотя бы поплатившись при этом своими боками".

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6854. „England nur suche, die französische Macht für seine Differenzen mit Deutschland zu engagieren, und daß im Ernstfalle Frankreich die englischen Kastanien aus dem deutschen Feuer holen müsse".

[3] „Zur europäischen Politik", დოკ. № 20 „...l'Angleterre recherche des alliés pour une agression contre l'Allemagne, ou travaille à provoquer sur le continent une guerre à laquelle elle ne prendrait pas part et dont elle recueillerait les profits".

რება სურს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ფრანგები ჩვენ გადაგვკიდოსო [1].

1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება ინგლისის მთავრობას დიდ გარანტიას აძლევდა მალე ენახათ საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ ამხედრებული ან პირუკუ. ინგლისმა აღნიშნული შეთანხმებით „ორი კურდღელი დაიჭირა". გერმანიასთან მომავალ, გარდაუვალი შეჯახებისას მან შეიძინა მოკავშირე, ძლიერი სახმელეთო სახელმწიფო საფრანგეთის სახით. ამავე დროს, მაროკოს პრობლემის სახით, რომელიც ამ შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იყო, მან საუკეთესო საშუალება პოვა უკიდურესობამდე მიეყვანა საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობა, გარდაუვალი გაეხადა მათ შორის ომი. მაროკოს საკითხი „ქიშპობის ვაშლი" იყო, რომელიც ინგლისელებმა ოსტატურად ჩააგდეს საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ტყუილად როდი დათმო „ცბიერმა ალბიონმა" მაროკო, მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ეკონომიურად და პოლიტიკურად.

გერმანიასა და საფრანგეთს შორის მაროკოს გამო კონფლიქტის აღმოცენებისთანავე ინგლისი მყის ჩაერია ამ კონფლიქტში და წყალი აამღვრია. ინგლისის დიპლომატია ცდილობდა გაემწვავებინა კონფლიქტი. მეტად დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი. 12 მარტს ფონ კიულმანს ეახლა გაზეთ „Times"-ის კორესპონდენტი ჰარისი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო ინგლისიდან და გადასცა მას ვრცელი წერილი, რომელშიაც ერთ-ერთი ინგლისელი გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი ჩიროლი (Chirol) [2] თავის აზრს გამოთქვამდა მაროკოს საკითხის შესახებ. ჩიროლი აცხადებდა შემდეგს: საფრანგეთის მხრივ დიდი შეცდომაა ფიქრი იმაზე, რომ ინგლისთან და ესპანეთთან მიღწეული შეთანხმებების შედეგად მაროკოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა. საფრანგეთი შემდგომ სხვა სახელმწიფოებსაც უნდა მოლაპარაკებოდა, პირველ რიგში — გერმანიას; ...გერმანიის ინტე-

---

[1] „Переписка Вильгельма II с Николаем II, 1894—1914", გვ. 119.

[2] სერ ვალენტინ ჩიროლი (1852—1929) ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი იყო. უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში. შემდეგ მუშაობდა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში. იმოგზაურა შორეულ და ახლო აღმოსავლეთში (მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი ინდოეთის, ეგვიპტისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების შესახებ). 1899 წლიდან ჩიროლი განაგებდა გაზეთ „ტაიმსის" საგარეო საქმეთა განყოფილებას. 1892 წლიდან იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო „ტაიმსის" კორესპონდენტად ბერლინში.

რესები მაროკოში მეტად დიდია და მათ უეჭველად ანგარიში უნდა გაეწიოს; ...თუ საფრანგეთი მოიპოვებს მაროკოში უფლებრივ უპირატესობას, გერმანიამ, ყოველ შემთხვევაში, სათანადო კომპენსაცია მაინც უნდა მიიღოს. ჩიროლი განსაზღვრავს კიდეც ამ კომპენსაციას. ინგლისი სრულიადაც არაა განწყობილი მაროკოს ცეცხლიდან საფრანგეთისთვის წაბლი ამოიღოს. დიპლომატიური მბარდაჭერა, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების ძალით, გაგებულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც დიპლომატიური მხარდაჭერა; ...მაროკოში ინგლისელთა მოქმედებამ არ უნდა გაამწვავოს მისი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, კერძოდ, გერმანიასთან[1]. ფონ კიულმანმა არ დააყოვნა და ჰარისის მიერ გადმოცემული ეს მოსაზრებანი მისტერ ჩიროლისა დაუყოვნებლივ აცნობა ბერლინს, კერძოდ, ბიულოვს. საინტერესოა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, რა მოსაზრებით ამზადებდა ინგლისი ასეთ დიპლომატიურ ოინს. ადვილი შესაძლებელია, რომ ჰარისი, რომელიც ინგლისის არაოფიციალური აგენტი იყო, გერმანელთა მეგობრის ნიღაბაფარებული, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირდაპირი მითითებით მოქმედებდა. ეს წერილი, ალბათ, პროვოკაციული მიზნით იქნა გადაცემული; ჩანს, ინგლისის დიპლომატია იმედოვნებდა, რომ გერმანია უფრო მეტ აქტივობას გამოიჩენდა მაროკოს საკითხში, დაიმედებული იმით, რომ ინგლისი არც თუ მაინცდამაინც მტკიცედ უჭერდა მხარს საფრანგეთის პოლიტიკას მაროკოს საკითხში. გერმანიის აქტივობა კი მაროკოს საკითხში გაამწვავებდა კრიზისს, საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობას კიდევ უფრო გააღრმავებდა, რაც ესოდენ სასურველი იყო „ცბიერი ალბიონისათვის“. ცხადია, ინგლისს, რომელიც საფრანგეთს მეგობრობას ეფიცებოდა და რომელიც უკვე რეალურ დახმარებასაც აღუთქვამდა მას გერმანიასთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, არ შეეძლო ოფიციალური ხასიათი მიეცა ზემოაღნიშნული პროვოკაციისათვის. ამიტომ მან ამისათვის არაპირდაპირი მოქმედების გზა გამონახა: მოქმედ პირებად გამოიყვანა ჰარისი, რომელიც, როგორც ვთქვით, გერმანოფილად იყო აღიარებული და ჩიროლი, არაოფიციალური, თუმცა ბეტად კომპეტენტური პიროვნება. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვპოვეთ სათანადო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოეხმაურენ გერმანელები ინგლისელთა ამ პროვოკაციას, თუმცა გერმანიის იმპერიალიზმი ინგლი-

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6562.

სელთა მბრივ წაქეზების გარეშეც საკმარისად აქტიურობდა მაროკოს საკითხში; გერმანია მზად იყო რუბიკონი საბოლოოდ გადაელახა.

საინტერესოა მეორე გარემოება. ჰქონდა თუ არა დელკასეს რეალური იმედი ინგლისელთა დახმარებისა? ასეთი იმედი მას ჰქონდა. ინგლისმა საფრანგეთს ნამდვილად აღუთქვა დახმარება გერმანიის წინააღმდეგ ომში. ვილჰელმის ტანჯერში ჩასვლის შემდეგ ინგლისის პრესამ სასტიკი ანტიგერმანული შეტევა დაიწყო. როგორც პრესა, ისე მთავრობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ გერმანიას მუქარისა და დაშინების გზით სურს დაამსხვრიოს საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმება, რომელიც ინგლისისათვის დიდი მონაპოვარი იყო. გერმანიის დიპლომატები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ თუ მაროკოს გამო დაიწყება ომი, „ინგლისი უეჭველად აქტიურად ჩაერევა საფრანგეთის მხარეზე და ენთუზიაზმითაც კი გაილაშქრებს გერმანიის წინააღმდეგ“ [1].

ლორდი ლენსდაუნი და დელკასე მოლაპარაკებას იწყებენ ინგლის-საფრანგეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ლენსდაუნი მზად არის საფრანგეთს ახალი შეთანხმება შესთავაზოს (პარლამენტისა და საზოგადოებრივი აზრისაგან ფარულად, ნოტების გაცვლის გზით) გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ლენსდაუნი არ მალავს თავის ზრახვებს. 1905 წლის 28 ივნისს ლენსდაუნმა აუწყა მეტერნიხს — გერმანიის ელჩს ლონდონში, რომ საფრანგეთის მთავრობას ინგლისი მხოლოდ დიპლომატიურ მხარდაჭერას დაჰპირდა, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის სამხედრო კავშირის შესახებ ინგლისის მთავრობას არასდროს არ ჰქონია მსჯელობა, რომ ეს საკითხი არ განხილულა, მაგრამ თუკი გერმანია მოუფიქრებლად ომს დაიწყებს საფრანგეთის წინააღმდეგ, მაშინ შეუძლებელი იქნება განსაზღვრა იმისა, თუ რაოდენ შორს წავა ინგლისის მთავრობა, ინგლისის საზოგადოებრივი აზრის გავლენის შედეგად, საფრანგეთისათვის დახმარების გაწევის საქმეში [2].

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ II, დოკ. № 6849. „...würde im Falle eines ernstlichen deutsch-französischen Konflikts England unbedingt aktiv auf französischer Seite stehen...“

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6860. „...in dem Falle... wo Deutschland light-heartedly einen Krieg gegen Frankreich vom Zaun bräche, es nicht vorauszusehen sei, wie weit die öffentliche Meinung in England die Regierung zur Unterstützung, Frankreichs treiben wurde“.

§ 3. მთავრობის კრიზისი საფრანგეთში და დელკასეს გადადგომა

ინგლისის მთავრობა მზადაა დაეხმაროს საფრანგეთს და ჩაებას გერმანიის წინააღმდეგ ომში, — არწმუნებენ ინგლისელები ფრანგებს, კერძოდ, დელკასეს. ინგლისის მიერ წაქეზებული დელკასე აქტიურად მოქმედებს: გერმანიის მიმართ შეურიგებელ პოზიციაზე დგება; კრიზისი მწვავდება და ომი ყოველ წუთს მოსალოდნელია; ლენსდაუნი ცეცხლზე ნავთს ასხამს; მისი უშუალო მითითებით ინგლისის ელჩი პარიზში ლორდი ბერტი დელკასეს 1905 წლის 24 აპრილს შემდეგ მემორანდუმს უდგენს: ინგლისის მთავრობას გერმანიის გამოსვლა მაროკოს საკითხში მეტად უგუნურად მიაჩნია და მზად არის დელკასეს ყოველნაირად დაუჭიროს მხარი. თუ გერმანიის მთავრობა მოითხოვს ნავსადგურს მაროკოს სანაპიროზე, მაშინ ინგლისი სრულიად თამამად გამოვა გერმანიის წინააღმდეგ (საზოგადოებრივი აზრი ინგლისში დამშვიდდება. ინგლისი გერმანიას ომს უცხადებს არა საფრანგეთის სასარგებლოდ, არამედ საკუთარი ინტერესების დაცვიდან გამომდინარე. აკი გერმანიის მიერ ატლანტის სანაპიროზე ნავსადგურის მოთხოვნა ინგლისის საზღვაო ბატონობისთვის მეტად დიდი საფრთხის მომასწავებელია—გ. კ.), მისი უდიდებულესობის მთავრობა მზად არის შეუერთდეს რესპუბლიკის მთავრობას გერმანიის წინააღმდეგ სამოქმედოდ და სთხოვოს დელკასეს, რომ მოხდეს შეთანხმება მათ შორის ამ მოქმედების პირობების განსაზღვრისათვის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ღონისძიებათა გამომუშავების საქმეში[1]. პუანკარე თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ 1905 წელს ერთობლივი მოქმედების შესახებ ხელშეკრულების მიღებისათვის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ დელკასეს გადადგომამ ხელი შეუშალა მას[2]. ბრიტანეთის კაბინეტსა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გამართულ მოლაპარაკებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე პოლ კამბონიც. 1912 წლის 4 აპრილს პოლ კამბონი წერდა: „მე ვიცი, რომ ბრიტანეთის მთავრობას არა აქვს უფლება პარლამენტის სანქციის გარეშე რაიმე ვალდებულება იკისროს, მაგრამ არაა საჭიროება ფორმალური შეთანხმებისა ანდა პარაფირებული და ხელმოწერილი ხელშეკრულებისა, ჩვენ შეიძლება

---

[1] Пограничка, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

[2] Фей, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

დავკმაყოფილდეთ დეკლარაციების გაცვლით. ესაა სწორედ ის, რაც ჩვენ გვსურდა გაგვეკეთებინა 1905 წელს ლორდ ლენსდაუნთან ერთად, რომ დელკასეს გადადგომას არ ჩაეშალა ჩვენი მოლაპარაკება“ [1]. 1905 წლის აპრილში დაწყებული მოლაპარაკება დასასრულს უახლოვდებოდა. ნოტები, რომელთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მომხდარიყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის, უკვე მზად იყო და გადაეცა დელკასეს საბოლოოდ დაშტკიცებისათვის. 1922 წლის 24 მარტს გაზეთმა „ფიგარო“-მ გამოაქვეყნა დელკასეს წერილი, რომელშიც იგი აცხადებდა: „6 ივნისს (1905 წ.) ჩემს ხელთ იყო ინგლისელთა წინადადება დახმარების შესახებ, რომელიც მე 48 საათით ადრე მივიღე“ [2]. ამასავე ამტკიცებს შომიე, რომელიც 1905 წელს საფრანგეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი იყო. გაზეთ „Temps“-ის 1922 წლის 12 მარტის ნომერში გამოქვეყნდა შომიეს განცხადება იმის შესახებ, რომ 1905 წლის აპრილიდან ინგლისსა და საფრანგეთს შორის წარმოებდა არა მარტო უბრალო მოლაპარაკება, არამედ ნოტების ურთიერთ გაცვლასაც ჰქონდა ადგილი [3]. 1905 წლის 17 მაისს ლორდ ლენსდაუნსა და პოლ კამბონს საუბარი ჰქონდათ სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. საუბრის ჩანაწერზე ლენსდაუნს საკუთარი ხელით გაკეთებული აქვს შემდეგი მინაწერი: „მე ვფიქრობ, რომ ეს არის დასაწყისი თავდაცვითი და თავდასხმითი კავშირისა“ [4]. მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ორივე სახელმწიფოს გენერალური შტაბები. შუამავლის როლს ასრულებდნენ ცნობილი ინგლისელი სამხედრო მწერალი, „ტაიმსის“ სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი რეპინგტონი და საფრანგეთის სამხედრო ატაშე ლონდონში პოლკოვნიკი ჰიუგე; განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ლორდი ფიშერი [5]. ინგლისმა საფრანგეთს გერმანიასთან ომის შემთხვევაში აღუთქვა შემდეგი დახმარება: ინგლისის ფლოტი დაუყოვნებლივ გააჩაღებს საომარ მოქმედებას გერმანიის ფლოტის წინააღმდეგ, ევროპის კონტინენტზე გადმოსროლილი იქნება ინგლისის საექსპედიციო კორპუსი 100.000 კაცის შემადგენლობით. განსაზღვრულიც კი იყო ექსპედიციის გადმოსხმის პუნქტები, კერძოდ, შლეზვიგ-ჰოლ-

---

[1] Ф е й, დასახ. ნაშ.. გვ. 143.
[2] იქვე, 144.
[3] იქვე.
[4] П о л е т и к а, დასახ. ნაშრ., გვ. 186.
[5] იქვე, გვ. 184.

შტაინი ან პომერანია[1]. ამგვარად, დელკასე, რომელიც დაიმედებული იყო ინგლისის მხარდაჭერით, კატეგორიულად უარყოფდა გერმანიის მოთხოვნას კონფერენციის ბოწვევის შესახებ და გამომწვევი პოზიცია ეკავა. გადადგომის შემდეგ, 12 ივლისს, დელკასემ საფრანგეთის ერთ-ერთი გაზეთის („Le Gaulois") კორესპონდენტს განუცხადა შემდეგი: „რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გერმანიის ახალგაზრდა ფლოტს ომის შემთხვევაში. როდესაც, მე გარწმუნებთ თქვენ, ინგლისი ჩვენს მხარეზე იქნება გერმანიის წინააღმდეგ. გერმანიის ნაკლადგურები. მისი ვაჭრობა, მისი კომერციული ფლოტი მოისპობა... კავშირი ამ ორ სახელმწიფოს (საფრანგეთსა და ინგლისს—გ. კ.) ზღვის და მათი ფლოტების კოალიცია საზღვაო ომის დროს წარმოადგენს ისეთ დიდ ძალას, რომლის წინააღმდეგ ვერ გამოვა ვერც გერმანია, ვერც სხვა რომელიმე ქვეყანა..."[2]. ცხადია, ასეთი რწმენის მქონე და უკიდურესად სარეკანშოდ განწყობილი დელკასე არაეითარ შემთხვევაში არ დაიხევდა უკან.

სულ სხვანაირად ფიქრობდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რუვიე (Rouviers). მისი აზრით, გერმანიასთან ომში ჩაბმა აღნიშნულ მომენტში შეუძლებელი იყო. იგი ასეთი ომის შემთხვევაში საფრანგეთის სრულ წარუმატებლობას ითვალისწინებდა შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე: მას ღრმად სწამდა, რომ რუსეთის დახმარების გარეშე საფრანგეთს არ შეეძლო ომი გერმანიის წინააღმდეგ, რომ მხოლოდ რუსეთი იყო ერთადერთი ძალა ევროპის კონტინენტზე, რომელსაც შეეძლო გამკლავებოდა კაიზერისეული გერმანიის კბილებამდე შეიარაღებულ და საუკეთესოდ გაწვრთნილ არმიას, ხოლო ამჟამად კი საფრანგეთს რუსეთის დახმარების იმედი აღარ ჰქონდა. რუსეთის ცარიზმის წარუმატებლობა განიცადა იაპონიასთან ომში. რაც შეეხება ინგლისის დახმარებას, იგი საფრანგეთს სასარგებლოს არაფერს უქადდა. ის დახმარება, რომელიც ინგლისელთაგან იყო მოსალოდნელი ხმელეთზე, შეიძლება ითქვას, „წვეთი იყო ზღვაში". დაე, ინგლისის ფლოტმა მოსპოს გერმანიის ფლოტი, ამით განა პარიზს რამე ეშველება? განა ეს შეაჩერებს კაიზერის არმიებს? — სვამდა კითხვას რუვიე. ამ შემთხვევაში იგი უფრო ჯანსაღად მსჯელობდა, ვიდრე დელკასე. თავადი რადოლინი პარიზიდან

---

[1] **Политика**, დასახ. ნაშრ., გვ. 184; **Доборин**, დასახ. ნაშრ., გვ. 57.
[2] **Морель**, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

იტყობინებოდა: პრემიერ-მინისტრი არსებითად არ ეთანხმება დელკასეს, რადგანაც მისთვის ცნობილია, რომ ინგლისის ფლოტს ბორბლები არ გააჩნია და ამიტომ არც შეუძლია პარიზის დაცვა ხმელეთიდანო[1]. აკი თვით კაიზერიც გაიძახოდა: „ინგლისის ფლოტი პარიზს ვერ იხსნის ჩვენს მიერ დაპყრობისაგან“-ო („die Englische Flotte schützt Paris von unserer Eroberung nicht“)[2]. ამასთანავე, რუვიე მიუთითებდა, რომ საფრანგეთის არმიები არ იყვნენ მზად ომისათვის, არ იყვნენ საკმარისად გაწვრთნილნი და შეიარაღებულნი. საფრანგეთში არ მალავდნენ ყოველივე ამას. დაახლოებით 1870 წლის ომის წინა პერიოდის მდგომარეობას აღნიშნავდნენ აქ არმიის მზადყოფნის თვალსაზრისით[3].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუვიე მოითხოვდა უკან დახევასა და გერმანიის წინადადების მიღებას ახალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შორის ღრმა წინააღმდეგობა წარმოიშვა. რუვიემ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება ან თავიდან მოეშორებია დელკასე, რომელსაც, მისი აზრით, საფრანგეთი ომისკენ მიჰყავდა, ან თვით დაეთმო პრემიერის პოსტი. რუვიე იმედოვნებდა, რომ დელკასეს გადადგომა და კონფერენციის მოწვევაზე თანხმობის განცხადება დააკმაყოფილებდა გერმანიას, ხოლო კონფერენციაზე კი გერმანია ვერ შეუქმნიდა საფრანგეთს მაინცადამაინც დიდ სიძნელეებს. ასეთი გზით სურდა რუვიეს კრიზისის ლიკვიდაცია და გერმანიასთან ომის საფრთხისაგან თავის დაზღვევა. სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის შემარიგებლური ტონი, რომელიც აიღო რუვიემ მისთვის ესოდენ საძულველი გერმანიის მიმართ. 26 აპრილს თავად რადოლინის მიერ გამართულ სადილზე რუვიემ განუცხადა მასპინძელს, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ სურს იყოს მოწმე საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებულ რაიმე წინააღმდეგობისა, რომ ფრანგები გერმანელთა მიმართ უფრო მეტი სიმპათიით არიან განწყობილნი, ვიდრე ინგლისელებისადმი, თუმცა საფრანგეთში არიან შეშლილი და უპასუხისმგებლო პატრიოტები, რომელნიც რევანშის იდეას ქადა-

---

[1] Die Grosse Politik. ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6655. გვ. 345, „...Rouviers .. identifiziere sich keineswegs mit Delcassé, denn er wisse, daß die englischen Schiffe keine Räder hätten“...

[2] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, გვ. 615, იხ. ვილჰელმის შენიშვნა.

[3] „Zur europäischen Politik“, დოკ. № 19, გვ. 81.

გებენ. გერმანიამ და საფრანგეთმა მხარი უნდა დაუჭირონ ურთიერთს, მშვიდობიანობა უნდა დაიცვან; სანამ მე მთავრობის სათავეში ვიქნები, — ამბობდა რუვიე, — სწორედ ეს მექნება მიზნად. რაც შეეხება მაროკოს, რუვიე გარანტიას იძლეოდა, რომ არ შეცვლიდა იქ „Status quo"-ს. რომ იქ სხვა სახელმწიფოთა კომერციული საქმიანობა ოდნავადაც არ იქნებოდა შესუღუდული. საესებით წარმოუდგენელია და ბოროტმოქმედებაც კი იქნება. თუკი ეს ორი სახელმწიფო (გერმანია და საფრანგეთი—გ. კ.). რომლებიც მოწადინებულნი არიან ურთიერთ გაგებისა და დაახლოებისათვის, აეშლებიან ერთმანეთს და ისიც მაროკოსათვის, — დასძენდა საკმაოდ აღელვებული პრემიერი[1]. დაახლოებით ასეთივე ტონით ლაპარაკობდა პრემიერი საფრანგეთის პარლამენტშიც 19 აპრილის სხდომაზე. ამ სხდომაზე დეპუტატებმა ჟან ჟორესმა, ვაიანმა, პოლ დეშანვილმა სასტიკი იერიში მიიტანეს საგარეო საქმეთა მინისტრზე, დაგმეს მისი პოლიტიკა, რომელიც საფრანგეთს გერმანიასთან ომისკენ მიაქანებდა. კამათში პრემიერიც ჩაერია. დამფრთხალი ადამიანის ტონით მან განაცხადა, რომ გერმანიის მოქმედებაში არსებითი ცვლილებები მოხდა. რაც, მისი აზრით, გამოწვეულია რუსეთის დამარცხებით. მან განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის მოლაპარაკება დაიწყოს გერმანიასთან, რომ საფრანგეთი მტკიცედ ადგია გადაწყვეტილებას დაიცვას მაროკოში „კომერციული საქმიანობის თავისუფლება. „ჩვენგან მოითხოვენ სხვა რასმე? მაშ მოგვახსენონ. ჩვენ განვაცხადეთ. ჩვენ ველით რეპლიკას"[2]. 1905 წლის 26 აპრილიდან 1 ივნისამდე რუვიემ დელკასეს ზურგს უკან მოლაპარაკება გაბა გერმანიასთან. პრემიერ-მინისტრი გერმანიის „დამშვიდების" მიზნით მზად იყო მრავალ დათმობაზე წასულიყო, მზად იყო თვით დელკასეც შეეწირა ზვარაკად. ბიულოვმა ტონს მოუმატა, საფრანგეთის ელჩს პირდაპირ განუცხადა, რომ გერმანიას არ ეშინია ომისა, თუნდაც იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთის დასახმარებლად ომში ინგლისიც ჩაებმება. „ინგლისს შეუძლია ჩვენს ვაჭრობას დიდი ზიანი მიაყენოს, შეუძლია გაანადგუროს მშენებლობის პროცესში მყოფი ჩვენი ფლოტი, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში... ომის შემთხვევაში უფრო მეტად დაზარალდება საბრალო საფრანგეთი"-ო,

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6635. იხ. აგრეთვე ჟ. ე ი. დასახ. ნაშრ., გვ. 137.

[2] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

ამბობდა ბიულოვი. ბიულოვის ამ განცხადებამ რუვიე იმდენად შეაშინა, რომ იგი საღამოსვე გაემართა გერმანიის ელჩთან და დაჰპირდა მას დელკასეს გადაყენებას. მეორე დღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაშიფრის განყოფილების უფროსმა დელკასეს წარუდგინა გერმანიის ელჩის დეპეშა ბიულოვის სახელზე. სადაც ელჩი რაიხსკანცლერს ამცნობდა რუვიესთან ღამის საუბრის შედეგს. დელკასემ ამიერიდან იცოდა, თუ რას უმზადებდა მას რუვიე [1].

გერმანიის ხელისუფლება ზუსტად იყო ინფორმირებული პარიზის კაბინეტში შექმნილი კრიზისის შესახებ. ფონ ბიულოვმა გადაწყვიტა ესარგებლა მომენტით და ხელი შეეწყო დელკასეს დაცემისათვის, თავიდან მოეშორებია „საშიში ფიგურა ევროპის საჭადრაკო დაფაზე“ [2], გერმანიის დაუძინებელი მტერი და გერმანიის „იზოლაციის“ შემოქმედი. ასეთივე განწყობილება ჰქონდა დელკასესადმი თვით კაიზერსაც, რომელიც მას უწოდებდა „მეფე ედუარდის საგარეო საქმეთა მინისტრს კონტინენტზე“ [3].

გერმანიის მთავრობამ პარიზში გაგზავნა თავადი ჰენკელ ფონ დონერსმარკი; მას ზეგავლენა უნდა მოეხდინა რუვიეზე და დაეჩქარებინა დელკასეს დაცემა. თავადი გაქნილი და მოხერხებული პიროვნება იყო. მას პარიზში გავლენიანი ნაცნობების ფართო წრე ჰყავდა; პარიზში ჩასვლისას მან ინტრიგების ოსტატური ქსელი გააბა, რომელიც დელკასეს წინააღმდეგ წარმართა. იგი არწმუნებდა ფრანგ „მეგობრებს“, რომ დელკასეს გადადგომა საწინდარია საფრანგეთსა და გერმანიას შორის მშვიდობიანობის დამყარებისა. „ერწმუნეთ გერმანელს,—ამბობდა იგი,—რომელსაც მუდამ დიდი სიმპათიები ჰქონდა თქვენს მიმართ: უარი თქვით მინისტრზე, რომელიც მხოლოდ ერთს ფიქრობს — დაარღვიოს მშვიდობა ევროპაში; გამოიჩინეთ გერმანიის მიმართ გულწრფელი და დაუფარავი პოლიტიკა, ერთადერთი შესაფერი ისეთი დიდი ერისათვის, როგორიც თქვენა ხართ, თუკი თქვენ გსურთ მშვიდობა მთელი ქვეყნიერებისათვის“ [4]. „თქვენზეა დამოკიდებული,— აცხადებდა თავადი, — გადაწყვიტოთ, არის თუ არა თქვენთვის ხელსაყრელი ემსახუროთ ინგლისის ინტერესებს, იმ საშიშროების

---

[1] Н. П. Полетика, Проблема создания континентальнаго блока..., „Уч зап. Белорусскаго гос. ун-та“, вып. XIX, გვ. 172—173.

[2] Бюлов. Воспоминания, გვ. 284.

[3] „Красный Архив“, ტ. 4—5 (41—42), გვ. 10.

[4] Debidour, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

განხილვისა და გათვალისწინების შედეგად, რაც შეიძლება მოჰყვეს სიტყვიერ შეთანხმებას, რომლის წერილობით კავშირად გადაქცევა გსურთ თქვენ“ [1]. აქ ფონ დონერსმარკს მხედველობაში აქვს მოლაპარაკება ლენსდაუნსა და დელკასეს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. თავადს სურს აგრძნობინოს ფრანგებს, რომ გერმანიასთან ომის შემთხვევაში ინგლისელები ვერაფერს უშველიან საფრანგეთს. გერმანიის ჯარები უფრო ადრე დაიკავებენ პარიზს, ვიდრე ინგლისი თავის დახმარებას განახორციელებს. ან რა ფასი უნდა ჰქონდეს ინგლისის დახმარებას, რომელსაც სახმელეთო ძალები არც კი გააჩნია? მით უფრო, რომ ინგლისში საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახური არ არსებობს. ეს იყო აშკარა შანტაჟისა და გამოძალვის გზა, ნაცადი ხერხი გერმანიის დიპლომატიისა. ასეთი გზით ცდილობდა იგი მოეხდინა ზეგავლენა საფრანგეთის მთავრობაზე და ის თავის ნებაზე დაეყოლიებინა.

1905 წლის ივნისის პირველ დღეებში წინააღმდეგობამ რუვიესა და დელკასეს შორის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. რუვიემ გადაწყვიტა ან თვით გადამდგარიყო, ან დელკასეს უნდა დაეთმო ბინისტრის პორტფელი. პრემიერი ეახლა პრეზიდენტ ლუბეს ელისეს სასახლეში და განუცხადა მას, რომ არ ეთანხმება დელკასეს და იძულებული ხდება გადადგეს იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის წევრები არ გაიზიარებენ მის შეხედულებებს და დელკასეს გზას გაჰყვებიან. მან მოითხოვა მინისტრთა საბჭოს სპეციალური სხდომის მოწვევა, რომელზედაც უნდა გარკვეულიყო, თუ ვის ემხრობიან მინისტრები, პრემიერს თუ საგარეო საქმეთა მინისტრს, ვინ უნდა გადადგეს, პირველი თუ მეორე. პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ, 6 ივნისს მოწვეულ იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელსაც პრეზიდენტი ლუბეც დაესწრო (სხდომას თვით მან უხელმძღვანელა). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუვიესა და დელკასეს შორის პირად სიძულვილსაც ჰქონდა ადგილი. პოლ კამბონის თქმით, რუვიეს დელკასესთან პირადი უკმაყოფილების საფუძველი ჰქონდა. დელკასე ბოლო წუთამდე ამტკიცებდა, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის ომი არ მოხდებაო. რუვიე რუსეთის სესხის ობლიგაციების კურსის აწევაზე თამაშობდა და მნიშვნელოვანი ფინანსური კრახი განიცადა, როცა ომის შედეგად მათი

[1] D e b i d o u r, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

კუოსი დაეცა. დელკასე, თავის მხრივ, რუვიეს ისეთ ადამიანად სთვლიდა, რომელიც მზადაა ბირჟაზე სპეკულიაციის საქმეს საფრანგეთის ინტერესები შესწიროს [1].

6 ივნისის სხდომამ მეტად მოელვარე პირობებში ჩაიარა. დელკასე დაჟინებით იცავდა თავის შეხედულებებს, ამხნევებდა მინისტრებს, ეუბნებოდა მათ, რომ ინგლისთან შეთანხმება მიღწეულია, რომ ინგლისი უეჭველად გამოვა საფრანგეთის მხარეზე გერმანიასთან ომის შემთხვევაში. იგი იმოწმებდა ლენსდაუნის უკანასკნელი (17 მაისის) განცხადებას იმის შესახებ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის მთლიანი ნდობა უნდა არსებობდეს. ერთმანეთს უნდა აცნობონ ყველაფერი, რაც მათთვის ცნობილი იქნება და შეძლებისდაგვარად მოახერხონ ისე, რომ ყოველგვარი მდგომარეობა, რომელშიც შესაძლებელია ისინი აღმოჩნდნენ, წინასწარ ერთად განიხილონ [2]. არის ცნობა, რომ დელკასეს მობილიზაციის გამოცხადებაც კი მოუთხოვნია. დელკასე მოითხოვდა, რომ მინისტრთა საბჭოს არ მიეღო გერმანიის წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ. რუვიე კი გმობდა დელკასეს პოლიტიკას, რომელსაც საფრანგეთი გერმანიასთან გარდაუვალი ომისკენ მიჰყავდა, მაშინ როდესაც საფრანგეთი ამისათვის სრულიად არ იყო მზად. სამხედრო მინისტრმა ბერტომ კვერი დაუკრა პრემიერს, ანალოგიურად მოიქცა საზღვაო მინისტრიც. მე უმალ ხელები გამიხმება, — ამბობდა რუვიე, — სანამ დავთანხმდები ხელი მოვაწერო თავდაცვით კავშირს ინგლისთან; მან განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობამ ამცნო მას თავისი განზრახვა თავს დაესხას საფრანგეთს, თუკი უკანასკნელი მიიღებს ინგლისის წინადადებას. „შეგვიძლია ჩვენ ახლა ომი ვაწარმოოთ? ცხადია არა!“ — ამბობდა პრემიერი [3]. რუვიე კატეგორიულად მოითხოვდა მიეღოთ გერმანიის წინადადება მაროკოს საკითხის გადასაწყვეტად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ და ამით თავიდან აეცილებინათ ომის საფრთხე. მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირა რუვიეს; დელკასე სწრაფად წამოდგა, გამოემშვიდობა პრეზიდენტს და კოლეგებს (სხვათა შორის, გამომშვიდობებისას ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა მას: „შესაძლებელია, მომავალმა გაგამართლოთ თქვენ!“) და დატოვა სხდომათა დარბაზი.

---

[1] А. Дж. Тэйлор, Борьба за господство в Европе 1848—1918, М., 1958, გვ. 436 (იხ. სქოლიო, შენიშვნა 1).

[2] იქვე, გვ. 438.

[3] იქვე.

იმავე დღეს მან პრეზიდენტს განცხადება წარუდგინა გადადგომის შესახებ. ლუბემ მიიღო დელკასეს გადადგომა[1]. „ასე დამთავრდა რესპუბლიკის ახალი დამცირება“, — აცხადებს დებიდური[2]. საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი რუვიემ შეითავსა.

დელკასეს გადადგომას გერმანიის ხელისუფლება აღტაცებით შეეგება. კაიზერმა ბიულოვს თავადობა უბოძა დელკასეს გადადგომის მეორე დღესვე. ხოლო ბეტცოლდი, რომელიც ფარული შუამავლის როლს ასრულებდა არაოფიციალურ მოლაპარაკებაში რუვიესა და თავად რადოლინს შორის, „წითელი არწივის“ მეტად საპატიო ორდენით დაჯილდოვა[3]. მაგრამ ეს გამარჯვება საბოლოო ანგარიშში კარგს არაფერს უქადდა გერმანიის იმპერიალიზმს. ფეი მოხდენილად შენიშნავს: „ეს იყო ერთ-ერთი იმ გამარჯვებათაგანი, რომელიც უფრო ცუდია, ვიდრე დამარცხება“[4]. დელკასეს გადადგომით საფრანგეთის ნაციონალისტურ-შოვინისტური წრეები თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად სთვლიდნენ. სიძულვილი გერმანიის მიმართ გაასკეცდა. „ამ ინციდენტმა, — წერს ფეი, — ფრანგებზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ზოგიერთ ხელმძღვანელს შორის მტკიცე გადაწყვეტილების მიღებას: სჯობს ომის გაჩაღება გერმანიასთან, ვიდრე ხელმეორედ ასეთივე დამცირების განცდა. ასე, მაგალითად, პუანკარე საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებში და გამოქვეყნებულ ნაშრომებში განუწყვეტლივ ლაპარაკობდა გერმანიის დიპლომატიის „უხეშ“ და „ოდიოზური ძალმომრეობის“ მეთოდების შესახებ“[5]. ამ ინციდენტმა გამოიწვია ინგლის-საფრანგეთის ბლოკის შემდგომი განმტკიცება, დააჩქარა ამ ბლოკის სამხედრო კავშირად გადაქცევა. „საუბრები“ საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო და საზღვაო შტაბებს შორის უფრო ინტენსიურ და საქმიან ხასიათს ღებულობს. გერმანიის დიპლომატიამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია. როგორც ვიცით, მას სურდა ამ ბლოკის ჩაშლა, მოხდა კი პირიქით, ინგლისი და საფრანგეთი უფრო შემჭიდროვდნენ გერმანიის წინააღმდეგ[6]. დ. ლებედევი

---

[1] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 174; Pinon, დასახ ნაშრ., გვ. 164; Debidour, დასახ. ნაშრ., გვ. 22, 23, 24.

[2] Debidour, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[3] Фей, დასახ. ნაშრ., გვ. 139—140.

[4] იქვე, გვ. 141.

[5] იქვე.

[6] იქვე.

მოხდენილად შენიშნავს, რომ „ვერსალის ყვავილები უკვე მაროკოში ყვაოდნენ“-ო[1]. ინგლის-საფრანგეთის მეგობრობა, ანუ კავშირი გერმანიის წინააღმდეგ ახალი ძალით იჩენს თავს. დელკასეს გადადგომიდან ორი კვირის შემდეგ (20 ივნისს) ინგლისის ესკადრა ლორდ ბერისფორდის მეთაურობით ესტუმრა ალჟირს და იქ დიდის აღტაცებით იქნა მიღებული. 16 ივლისს მეორე ესკადრამ ვიცე-ადმირალ მეის მეთაურობით ღუზა ჩაუშვა ბრესტის ახლოს. ინგლისელი მეზღვაურები პარიზში ჩავიდნენ. იმავე დროს. ლივერპულში მდგომ საფრანგეთის სასწავლო ვემის „Duguay-Trouin“-ის ოფიცრებმა მიიღეს განკარგულება გამგზავრებულიყვნენ მანჩესტერში. 13 ივლისს მანჩესტერში ისინი მიიღო მეფე ედუარდ VII-ემ და ძალზე დიდი პატივი სცა მათ. 5 აგვისტოს საფრანგეთის ლამანშის ესკადრა ვიცე-ადმირალ კაიარის (Caillard) მეთაურობით პორტსმუტში ჩავიდა. ინგლისის სამეფო იახტის „Victoria and Albert“ გემბანზე ფრანგი სტუმრების პატივსაცემად მოწყობილ ბანკეტზე მეტად მგზნებარე სადღეგრძელოები შეისვა. აქედან ფრანგი მეზღვაურები ლონდონს გაემართნენ. ლონდონის მოსახლეობა აღტაცებით შეეგება სტუმრებს. ასევე აღტაცებით იქნენ მიღებულნი ლონდონს ჩამოსული პარიზის მუნიციპალური საბჭოს წევრები. ლონდონის თვითმმართველობის წარმომადგენლები და ქალაქის ლორდ-მერი საპასუხო ვიზიტით ჩავიდნენ პარიზში[2].

1905 წლის 11 დეკემბერს სერ ჰენრი კემპბელ-ბანერმანი სათავეში ჩაუდგა ინგლისის ახალ ლიბერალურ მთავრობას. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა სერ ედუარდ გრეიმ. ახალი მთავრობა ერთგული დარჩა ძველი, ბალფურის კონსერვატორული მთავრობის პოლიტიკისა საფრანგეთის მიმართ მეგობრობის გატარების საკითხში, გერმანიის წინააღმდეგ ომის მომზადების საკითხში. ახალი მთავრობა ერთსულოვნად უჭერს მხარს საფრანგეთს მაროკოს საკითხშიც. ბელგიის ლონდონელი ელჩის ცნობით, საფრანგეთის რესპუბლიკას კვლავ შეუძლია იმედი იქონიოს ბრიტანეთის ფლოტის დახმარებისა. კემპბელ-ბანერმანის მთავრობამ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, განუხრელად გაატაროს ცხოვრებაში ის ვალდებულებანი, რომლებიც საფრანგეთის მიმართ იკისრა ბალფურისა და ლენსდაუნის კონსერვატორულმა

[1] Д. Лебедев, Республика Риф. М.—Л., 1931, გვ. 10.

[2] Э. Лемонон, Очерк истории англо-французских отношений, გვ. 66.

კაბინეტმა. თუ იმპერატორი ვილჰელმი თავს დაესხმის ინგლისის მოკავშირეს — საფრანგეთს, ინგლისი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გვერდში ამოუდგება რესპუბლიკას[1]. 1906 წლის 10 იანვარს სერ ედუარდ გრეიმ ამცნო პოლ კამბონს, რომ იგი კვლავ განაგრძობს საფრანგეთის მიმართ იმავე პოლიტიკას, რომელსაც ლორდი ლენსდაუნი ატარებდა[2]. სერ ედუარდ გრეიმ ინგლისის ხელისუფლების ასეთი ტენდენციის შესახებ გერმანიის მთავრობასაც მიაწვდინა ხმა. გერმანიის ელჩ მეტერნიხს იგი ეუბნებოდა: „ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების არსებობის გამო ინგლისელი ხალხი არ დაუშვებს გერმანიასთან საფრანგეთის ომში ჩაბმას. ასეთ შემთხვევაში ინგლისის ყოველი მთავრობა, იქნება იგი კონსერვატორული თუ ლიბერალური, იძულებული გახდება საფრანგეთს დაეხმაროს“[3]. ამასთან აღსანიშნავია, რომ გრეიმ 1906 წლის 31 იანვარს ნება დართო საფრანგეთისა და ინგლისის გენერალურ შტაბებს შორის მოლაპარაკება დაწყებულიყო. მაგრამ, რადგანაც მისი აზრით ეს მოლაპარაკება არ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ ამბებთან, მან საჭიროდ არ ჩათვალა ამის შესახებ კაბინეტისათვის ეცნობებინა. შემდეგში გრეი თავს იმართლებდა და აღნიშნავდა, რომ ეს მე შემთხვევით მომხვდაო, ნამდვილად კი, როგორც ამას ინგლისელი ისტორიკოსი ტეილორი აღნიშნავს, გრეიმ განზრახ არ გააფრთხილა კაბინეტი. ასეთი გადაწყვეტილება გრეისა და კემბელ-ბანერმანს მიუღიათ მეფე ედუარდ VII-თან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ. მათ ეშინოდათ, რომ რადიკალურად განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს ხელი არ შეეშალათ ამ ღონისძიებისათვის. 1906 წლის 31 იანვრის წერილში პოლ კამბონი რუეიეს სწერდა: „ზოგიერთი მინისტრი გაოცდებოდა, როცა ასეთი მოლაპარაკების შესახებ შეიტყობდა. უკეთესია დაჯილეთ სიჩუმე და მომზადება ფრთხილად განვაგრძოთ...“[4]. გრეი ამბობდა: „ჩვენ უნდა გვქონდეს როგორც საფრანგეთისადმი დახმარების, ისე განზე განდგომის საშუალებაც... თუ წინასწარ სამხედრო გეგმები არ მოვამზადეთ, ჩვენ ვერ შევძლებთ ფრანგებს დროულად დავეხმაროთ...“[5].

ამგვარად, დელკასე როდი ყოფილა მიზეზი ინგლის-საფრანგეთის დაახლოებისა და გერმანიის „იზოლაციისა“. იგი გადადგა,

---

[1] „Zur europäischen Politik“, დოკ. № 32, გვ. 104.

[2] Полетика, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

[3] Die Grosse Politik. ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6923.

[4] Тейлор, დასახ. ნაშრომი, გვ. 444, სქოლიო, შენიშვნა მესამე.

[5] იქვე, გვ. 444—445.

ხოლო მისი საქმე, შეიძლება ითქვას, განაგრძეს უფრო დაჟინებით. გერმანიის წინააღმდეგ ინგლისისა და საფრანგეთის დაახლოება ცალკეული პიროვნების კაპრიზი როდი იყო, როგორც ამას ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ამტკიცებს, არამედ იგი იმპერიალიზმის განვითარების საერთო კანონებიდან გამომდინარე აუცილებლობა იყო. დელკასე და ბიულოვი, ვილჰელმი და ედუარდი, ლენსდაუნი, რუვიე, ლუბე, პოლ კამბონი, ბალფური, კემპბელ-ბანერმანი, ჰოლშტაინი, სერ ედუარდ გრეი, ლორდი ფიშერი, შლიფენი თუ მოლტკე ახორციელებდნენ იმას, რასაც ფინანსური კაპიტალი აყენებდა პოლიტიკის დღის წესრიგში.

§ 4. მოლაპარაკება პარიზსა და ბერლინს შორის დელკასეს გადადგომის შემდეგ

როგორც ვიცით, 6 ივნისის სხდომის შემდეგ საფრანგეთმა მიიღო გერმანიის წინადადება საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მაროკოს საკითხი. დელკასეს გადადგომის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, რუვიემ თვით მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი და გერმანიასთან მოლაპარაკება გაიბა. ამავე დროს რუვიე საბოლოოდ როდი იყო დარწმუნებული იმაში, რომ გერმანია კმაყოფილი იყო მიღწეულით (დელკასეს გადადგომა, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე ფრანგების მიერ თანხმობის განცხადება) და აღარ შეეცდებოდა ომის გაჩაღებას. ყოველგვარი მოულოდნელობისთვის მზადყოფნის მიზნით რუვიემ მთელი რიგი სამხედრო ხასიათის სამზადისი ჩაატარა. საომარი მასალებითა და არტილერიით დატვირთული მატარებლები დღედაღამ განუწყვეტლივ მიედინებოდნენ აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ; ხდებოდა სასაზღვრო სიმაგრეების მომარაგება საჭურველითა და ახალი იარაღით. საფრანგეთის მთავრობამ დაახლოებით 300 მილიონი ფრანკი დახარჯა ამ საქმისათვის[1]. რუვიესა და გერმანიის მთავრობას შორის წარმოებული მოლაპარაკების მთელ მანძილზე, რომელმაც სექტემბრამდე გასტანა, ერთი წუთითაც არ შენელებულა სამხედრო ხასიათის სამზადისი როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში. კაიზერისეული გერმანია

---

[1] Павлович, Борьба за Азию и Африку, გვ. 175; Витте, Воспоминания, ტ. I, გვ. 370. ბელგიის პარიზელი ელჩის ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ დახარჯა 270.000.000 ფრანკი. იხ. „Zur europäischen Politik", დოკ. № 31, გვ. 103.

კვლავ იმუქრება „შეჯავშნული მუშტით"; რუვიე გაფაციცებით ამაგრებს საზღვრებს; ოქრო ამოღებულ იქნა ბრუნვიდან, ომის შემთხვევაში ოქროს მარაგის შექმნის მიზნით[1]. რუვიე პარლამენტისაგან მოითხოვს სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას[2]. 1905 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მოეწყო გერმანიის არმიის მანევრები საფრანგეთის საზღვრებთან, კერძოდ, ქალაქ კობლენცის მიდამოებში. მანევრებს თვითონ იმპერატორი ვილჰელმ II ესწრებოდა[3]. კვლავ გაისმის ვილჰელმის მუქარით აღსავსე სიტყვები; ფელდმარშალ ფონ მოლტკეს (უფროსის) ძეგლის კურთხევას ბერლინში განსაკუთრებით საზეიმო ხასიათი მიეცა. საღამოს გაიმართა სადღესასწაულო სადილი, რომელსაც დაესწრნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენელნიც. სიტყვების მოყვარულმა ვილჰელმმა (ტყუილად კი არ შეარქვეს გერმანელებმა თავიანთ იმპერატორს „Wilhelm der immer redende") სუფრაზე მსხდომთ შემდეგი სადღეგრძელოთი მიმართა: „მეორე სასმისი მომავლისა და აწმყოსათვის, ბატონებო! კარგად ხედავთ, თუ როგორია ჩვენი მდგომარეობა მსოფლიოში. დაე, თოფის წამალი მარად მშრალი გექონდეს, მახვილი გალესილი იყოს, მიზანი გათვალისწინებული, ძალები დარაზმული და პესიმისტები განდევნილნი იქნენ. მე ვიღებ სასმისს ჩვენი ხალხის შეიარაღებისათვის, გერმანიის არმიისათვის და მსოფლიოში მისთვის გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებისათვის" [4]. ეს სიტყვები კაიზერმა პირველ რიგში საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთა გასაგონად წარმოთქვა. აი, ასეთ დაძაბულ ვითარებაში დაიწყო მოლაპარაკება პარიზსა და ბერლინს შორის.

მიუხედავად იმ დათმობებისა, რომლებზედაც რუვიე წავიდა გერმანიის მიმართ ივნისის თვეში, იგი ოდნავადაც არ ფიქრობდა ადვილად შელეოდა მაროკოს. პირიქით, მან მტკიცედ გადაწყვიტა ბოლომდე დაეცვა საფრანგეთის ინტერესები მაროკოში. იგი კვლავ დაბეჯითებით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საფრანგეთს მაროკოში განსაკუთრებული უფლებები აქვს და მოითხოვს გერმანიისაგან, რათა მან ცნოს ეს უფლებები.

უპირველეს ყოვლისა, რუვიე შეეცადა მოეგვარებინა მაროკოს საკითხი ყოველგვარი საერთაშორისო კონფერენციის გარეშე—

---

[1] „Zur europäischen Politik", დოკ. № 31.
[2] Dobidour, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
[3] Ишхания, დასახ. ნაშრ., გვ. 70.
[4] „Zur europäischen Politik", დოკ. № 20.

უშუალოდ გერმანიასთან მოლაპარაკების გზით, ურთიერთ შორის განსაკუთრებული ორმხრივი შეთანხმების მიღწევის გზით. ამის შესახებ მან აცნობა კიდეც გერმანიის მთავრობას 1905 წლის 11 ივლისს გერმანიის რომაელი ელჩის გრაფ ანტონ ფონ მონტსის პირით. მან დასვა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიას შორის მაროკოს იმპერიის „სიამტკბილობით გაყოფის“ შესახებ. მაგრამ ბიულოვმა, დიპლომატიური გაგებით, დაუშვა დიდი შეცდომა. ფონ ჰოლშტაინის რჩევით მან უარყო რუვიეს წინადადება. ეს შეცდომა მუდამ სანანებელი და მწარედ მოსაგონარი იყო გერმანელი დიპლომატებისათვის. ბიულოვი დახარბდა: მან უმჯობესად მიიჩნია მაროკოს მთლიანად ხელში ჩაგდება, ვიდრე საფრანგეთთან ერთად მისი გაყოფა. როცა შემდეგ, 1908 წელს, ვილჰელმ II-ემ შეიტყო, რომ 1905 წელს რუვიე სთავაზობდა გერმანიას მაროკოს „მეგობრულად“ გაყოფას, ხოლო გერმანიის დიპლომატიამ კი არ ისურვა ასეთი რამ, მოითხოვა მოეტანათ მისთვის სათანადო დოკუმენტები აღნიშნული საქმის შესახებ. ამ დოკუმენტებზე მან წააწერა: „მე რომ ეს მცოდნოდა, დაუყოვნებლივ დავთანხმდებოდი და მთელი ეს სულელური საქმე, ალხესირასის კონფერენციის სახით, არასოდეს არ მოხდებოდა“ [1]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუვიეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ ინგლისში სასტიკი განგაში ატეხეს. ცხადია, „ცბიერი ალბიონის“ ანგარიშში ოდნავადაც არ შედიოდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო შეთანხმების მიღწევა. ინგლისი ამას არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა. პირიქით, მას სურდა მათ შორის წინააღმდეგობის შემდგომი გაღრმავება. ფრიდრიხ როზენი დაახლოებით შემდეგნაირად ასაბუთებს გერმანიის მთავრობის მიერ რუვიეს წინადადების უარყოფას: რუვიეს წინადადება მხოლოდ მოტყუება იყო. ფრანგები სულ რაღაც ორიოდ ნავსადგურს სთავაზობდნენ გერმანიას, რითაც მისი მოხიბვლა სურდათ. იმედოვნებდნენ, რომ გერმანია უარს იტყოდა კონფერენციის მოწვევის იდეაზე. შემდეგ კი ფრანგები აღარც ამ მცირედ დანაპირს აუსრულებდნენ, იმ საბაბით, რომ ინგლისი არაა თანახმა, ხოლო საფრანგეთს კი არ ძალუძს მისი მოკავშირის თანხმობის გარეშე მოქმედება [2].

---

[1] История дипломатии, ტ. III, გვ. 752.

[2] Rosen, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

ყოველივე ამის შემდეგ რუვიეს ერთადერთი გამოსავალიღა დარჩა: საბოლოოდ მიეღო გერმანიის წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ, მაგრამ იმ პირობით, რომ გერმანია სცნობდა წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე საფრანგეთის განსაკუთრებულ უფლებებს მაროკოს მიმართ. 1905 წლის 21 ივნისს მან გადასცა თავად რადოლინს მეტად კატეგორიული ტონით შედგენილი ნოტა, რომელშიც მოითხოვდა, რომ კონფერენციის მოწვევამდე მომხდარიყო შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიას შორის მთელ რიგ საკითხებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრანგეთის პრემიერის აზრით, კონფერენცია მიიღებდა საშიშ ხასიათს და შეიძლება უშედეგოდაც დამთავრებულიყო[1]. გერმანიის მთავრობამ, მართალია, მიიღო რუვიეს წინადადება და წინასწარი მოლაპარაკება გააბა მასთან, მაგრამ ამ მოლაპარაკებას კეთილი ბოლო არ უჩანდა. გერმანია არავითარ ანგარიშს არ უწევდა საფრანგეთის პრეტენზიებს. თავის მხრივ, ფრანგებიც მტკიცედ იდგნენ და კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ გერმანიისაგან, რომ მას ეცნო საფრანგეთის რესპუბლიკის „განსაკუთრებული ინტერესები“ და „განსაკუთრებული უფლებები“ მაროკოს მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩანდა, რომ რუვიე არამც და არამც არ დათანხმდებოდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე. ბიულოვი აფრთხილებდა საფრანგეთის ელჩს, რათა რუვიეს არ დაეყოვნებინა გადაწყვეტილების მიღება: „არაა საჭირო, — განაცხადა მან, — დაყოვნება იმ გზაზე, რომელიც ხრამებისა და უფსკრულების პირას იმყოფება“-ო[2]. გერმანიის მთავრობას არ სურდა ეცნო საფრანგეთის „განსაკუთრებული უფლებები“ მაროკოს მიმართ და აშკარად ჩანდა, რომ „გერმანიის დიპლომატიას საქმე განხეთქილებისაკენ მიჰყავდა“[3].

პირველ ხანებში გერმანიის მთავრობა რუვიესთან მოლაპარაკებას თავადი რადოლინის საშუალებით ახორციელებდა. მაგრამ ბიულოვი სხვა კანდიდატს ეძებდა, რადგანაც რადოლინით კმაყოფილი არ იყო. აი, რას წერს ბიულოვი რადოლინის შესახებ: „რადოლინის გადმოყვანას პეტერბურგიდან პარიზში მე ჰოლშტაინის დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ დავეთანხმე. ეს იყო ერთ-ერთი იმ მრავალ შეცდომათაგანი, რომელიც მე დაეუშვი პირადი შემადგენლობის არჩევისას. რადოლინი მუდამ ჰოლშტაინის გავლენის ქვეშ იყო. პარიზის პოსტზე, სადაც უპირველეს

---

[1] **Maurice**. დასახ. ნაშრ., გვ. 20.

[2] **История дипломатии**, ტ. II, გვ. 171.

[3] იქვე.

ყოვლისა საჭირო იყო მშვიდი ნერვები, იგი გულმოდგინედ ასრულებდა ჰოლშტაინის ყველა მითითებას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ნაჩქარევი, მოუფიქრებელი და ზოგჯერ საცინებით მცდარი იყო. რადოლინი ყველაფერს ჰოლშტაინის თვალებით უცქეროდა. ჰოლშტაინი თავისი სულიერი მონის — რადოლინის მიმართ ძალზე ხშირად იყენებდა იმ უფლებას, რომელიც მან ჯერ კიდევ ბისმარკისაგან მიიღო. სახელდობრ, იმ ელჩებთან, რომლებთანაც მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, მიწერ-მოწერა საკუთარი შიფრით ეწარმოებინა. ყოველივე ამის გამო პარიზში ჩემი პოლიტიკური ინსტრუქციები, კერძოდ კი მაროკოს საკითხში, ან დიდხანს არ სრულდებოდა, ან მათი სავსებით უგულებელყოფა ხდებოდა, ანდა სრულდებოდა შეცდომით, არაზუსტად, არასწორად“ [1].

ბოლოს ფონ ბიულოვმა გამონახა კანდიდატი, რომელიც, მისი აზრით, შესძლებდა რუვიესთან მოლაპარაკების ღირსეულად წარმოებას. ეს იყო ფრიდრიხ როზენი, ორიენტალისტი და ნაცადი დიპლომატი, გერმანიაში აღმოსავლეთ ქვეყნების საქმეთა კომპეტენტურ მცოდნედ აღიარებული. იგი სპეციალური მისიით პარიზს იქნა გაგზავნილი, როგორც თავად რადოლინის „მრჩეველი“, ნამდვილად კი მას ჰქონდა დავალებული საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკების წარმოება. მას უნდა მოეხდინა ზეგავლენა საფრანგეთის მთავრობაზე. რუვიეს უსიტყვოდ უნდა მიეღო კონფერენციის მოწვევის გერმანული წინადადება. რუვიემ როზენთან „სასაუბროდ“ გამოყო რევუალი, რომელიც დელკასეს მიმდევარი და საკმაოდ გაქნილი დიპლომატი იყო. იგი მუსლიმანური ქვეყნების, კერძოდ კი ჩრდილოეთ აფრიკის საქმეებში საკმაოდ კარგად ერკვეოდა. როზენის თქმით ფრანგები რევუალს ჯადოქარს (charmeur) უწოდებდნენ [2].

მოლაპარაკებას ბოლო არ უჩანდა. საფრანგეთის მთავრობა მოითხოვდა, რომ მაროკოში პოლიციის ორგანიზების უფლება საფრანგეთს გადასცემოდა. აქ საფრანგეთი კვლავ ძველ არგუმენტს იშველიებდა იმის შესახებ, რომ საფრანგეთი, როგორც მაროკოს უშუალო მეზობელი სახელმწიფო (იგულისხმება მაროკოს მოსაზღვრე ალჟირი) ყველაზე უფრო მტკივნეულად განიცდიდა მაროკოში არსებულ „უწესრიგობას“ და „დეზორგანიზაციას“, რადგანაც მოყაჩაღე მაროკოელთა ტომები თავს ესხმოდნენ ალჟირს, აწიოკებ—

[1] Бюлов, Воспоминания, გვ. 205—206.

[2] Rosen, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

დნენ მას და ხელს უშლიდნენ იქ ნორმალურ ცხოვრებას. გერმანიის მთავრობა არ ღებულობდა საფრანგეთის ამ პრეტენზიებს. ვილჰელმ II ოფიციალურად აცხადებდა, რომ საფრანგეთისათვის მაროკოში პოლიციის ორგანიზების უფლების მინიჭება ნიშნავდა საფრანგეთის მიერ მაროკოს ხელში ჩაგდებას[1]. ბიულოვი ხაზგასმით აღნიშნავდა: აღმოსავლეთში ბატონობს ის, ვისაც პოლიცია ხელთ უპყრიაო[2].

ფრიდრიხ როზენი, რომელიც უშუალოდ ბიულოვის მითითებებით მოქმედებდა, არ სცნობდა საფრანგეთის „განსაკუთრებულ უფლებებს", რითაც მდგომარეობას ამწვავებდა. „მე მრავალ დათმობაზე წავედი გერმანიის მიმართ, რომლებზედაც დელკასე არ თანხმდებოდა,—ეუბნებოდა რუვიე ს. ი. ვიტეს, მაგრამ გერმანიის წარმომადგენლობა უფრო მეტს თხოულობს, რისი დათმობაც მას აღარ შეუძლია, რადგანაც დეპუტატთა პალატა ამას აღარ მიიღებს... რუვიემ ვიტესთან საუბრისას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ თავად რადოლინთან შესაძლებელი იყო საერთო ენის გამონახვა, როზენი კი მეტად დიდ მოთხოვნებს აყენებდა[3]. მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო. ვიტეს განცხადებით, პარიზის პრესა აშკარად ლაპარაკობდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის შესაძლო შეჯახების შესახებ. საფრანგეთის მთავრობა საგანგებო სამხედრო სამზადისს ეწეოდა: იხარჯებოდა დიდი თანხები. „ახლა ურთიერთობა გერმანიასთან იმდენად მწვავე ფაზაშია, რომ ზოგიერთი პირები და თითქმის მთელი პრესა შეიარაღებულ შეტაკებას ელიან",—განუცხადა რუვიემ ვიტეს[4].

მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, გერმანიის დიპლომატიამ მოქმედების გეზი იცვალა. საფრანგეთის მიმართ გარკვეულად შემარიგებლური პოლიტიკა არჩია: ცნო საფრანგეთის „განსაკუთრებული ინტერესები" მაროკოში და ამის საფუძველზე კონფერენციის მოწვევის პირობების შესახებ წინასწარი შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიას შორის მიღწეულ იქნა.

პირველი შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიას შორის დადებულ იქნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოლაპარაკება რადოლინსა და რუვიეს შორის წარმოებდა, სახელდობრ, 1905 წლის

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6917.

[2] Красный Архив, ტ. 4—5 (41—42), გვ. 20.

[3] Витте, Воспоминания, გვ. 370.

[4] იქვე.

8 ივლისს[1], რადოლინსა და რუვიეს შორის ნოტების გაცვლის საფუძველზე. ამ შეთანხმების ძალით ორივე მხარე აღიარებდა მაროკოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ხელშეუხებლობასა და მთლიანობას. ყველა სახელმწიფოსათვის მაროკოში ეკონომიური საქმიანობის სრულ თანასწორუფლებიანობას; აქვე გერმანია ზოგადად აღიარებდა საფრანგეთის განსაკუთრებულ ინტერესებს მაროკოს მიმართ, თუმცა კონკრეტულად ამ უფლებათა განხორციელების თვალსაზრისით არაფერს ითვალისწინებდა. პოლიციური და ფინანსური რეფორმების გატარება ინტერნაციონალური გზით უნდა მომხდარიყო. ცხადია, საფრანგეთს ოდნავადაც არ აკმაყოფილებდა გერმანიის მიერ მაროკოში საფრანგეთის „განსაკუთრებული ხასიათის“ უფლებათა მხოლოდ სიტყვიერი, ზოგადი აღიარება, მაშინ როდესაც, რეფორმათა გატარების საკითხში ინტერნაციონალური გზა იქნა დასახული. საფრანგეთი მოითხოვდა გერმანიისაგან ამ „უფლებათა“ კონკრეტულ ფორმებში ცნობას. როზენთან მოლაპარაკებისას საფრანგეთის მთავრობა მოითხოვდა, რომ გერმანიას მაროკოსა და ალჟირის საზღვარზე პოლიციის ორგანიზებისა და მასზე ზედამხედველობის საქმე მხოლოდ საფრანგეთის უფლებად ეცნო, რაც მას, ცხადია, შერიფის იმპერიაში გარკვეულ და მეტად მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებდა. გერმანიამ ამაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით, რომ საფრანგეთი აღარ შეეცდებოდა ასეთივე უფლების მოპოვებას მთელი მაროკოს მიმართ. გერმანია მოითხოვდა საფრანგეთისაგან, რომ მას ასეთი პირობა წერილობით გაეფორმებინა. რუვიემ მხოლოდ ფორმალური თანხმობა განაცხადა და მარტოოდენ სიტყვიერი პირობა მისცა გერმანიას. ბიულოვი დაკმაყოფილდა ამით, სხვათა შორის, იმპერატორთან წინასწარი შეთანხმების გარეშეც კი[2].

1905 წლის 28 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმება[3] საფრანგეთსა და გერმანიას შორის კონფერენციის წინასწარი პირობების შესახებ ითვალისწინებდა გერმანიის მიერ საფრანგეთის „განსაკუთრებულ უფლებათა“ აღიარებას, ალჟირ-მაროკოს საზღვარზე პოლიციის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უფლე-

---

[1] შეთანხმების ტექსტი იხ. დოკუმენტთა კრებულში: Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6767.

[2] Красный Архив, ტ. 4—5 (41—42), გვ. 19.

[3] შეთანხმების ტექსტი იხ. დოკუმენტთა კრებულში: Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II, დოკ. № 6832.

ბით საფრანგეთის აღჭურვას, დანარჩენ მაროკოში კი — პოლიციის ორგანიზებას ინტერნაციონალური გზით. გათვალისწინებული იყო მაროკოში ფინანსების რეფორმა, ბანკის ორგანიზება, კონტრაბანდის დევნა და სხვ. ცხადია, მიღწეული შეთანხმებები როდი განსაზღვრავდა წინასწარ კონფერენციის ბედს. კონფერენციის მსელელობის პროცესში საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობამ მაროკოს საკითხში ახალი ძალით იჩინა თავი.

აქვე უნდა აღინიშნოს მეტად საინტერესო ფაქტი: 1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გერმანიის კაპიტალისტები ფართო საქმიანობას აჩაღებენ მაროკოში და მაროკოს ეკონომიური დაკაბალების საქმეში საგრძნობ წარმატებებს აღწევენ. მათ დიდ დახმარებას უწევს მაროკოს სულთნის კარზე მოკალათებული გრაფი ტატენბახი. მისი გავლენის ქვეშ მყოფი აბდ-ელ-აზიზი მფარველობს გერმანელ კაპიტალისტებს, მთელ რიგ პრივილეგიებს ანიჭებს მათ; გერმანიის ფირმებმა მთელი რიგი კონცესიები იგდეს ხელთ, მათ შორის ფირმამ „Borgeaud, Rentemann et C°" მიიღო ტანჯერის ნავსადგურის მშენებლობის კონცესია. გერმანელებს გადაეცათ მაროკოში ტელეგრაფის კაბელების ჩაწყობის საქმე, უმავთულო ტელეგრაფის სადგურის მშენებლობა, მთელი რიგი ახალი მაღაროების ექსპლოატაციის უფლება. გერმანელ კაპიტალისტებს გადაეცათ კორპის მუხის უზარმაზარი ტყეები. ბენდელსონის ბანკმა ახალი სესხები გამოუყო მაროკოს მთავრობას (მაკზენს). საწინდრად გერმანელები იჯარის სახით მაროკოს სახელმწიფო მიწებს ღებულობდნენ. საფრანგეთის მთავრობა ეწინააღმდეგებოდა გერმანელთა ასეთ საქმიანობას. იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ გერმანელების ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება 8 ივლისის შეთანხმების პრინციპებს. მაროკოს მთავრობას ფრანგები ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან დაარღვია 1904 წლის საფრანგეთ-მაროკოს ცნობილი სესხის ტრაქტატი, კერძოდ, ამ ტრაქტატის § 33, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მაროკოს ახალი სესხის აღებისას საფრანგეთის კონსორციუმებისათვის უნდა მიემართა.

§ 5. რატომ არ დაიწყო ევროპაში ომი 1905 წელს?

როგორც დავინახეთ, ბიულოვი საფრანგეთის მიმართ შემარიგებლურ პოლიტიკას დაადგა. გერმანიამ ვერ გაბედა ომის დაწყება; მან უმჯობესად მიიჩნია მაროკოს კრიზისის დიპლომატიური გზით გადაწყვეტა.

რით უნდა აიხსნას ასეთი კარდინალური შემობრუნება ბიულოვის პოლიტიკაში? რატომ არ დაიწყო ომი გერმანიამ? განა იმიტომ, რომ, თურმე, როგორც ამას ზოგიერთი გერმანელი ისტორიკოსი ამტკიცებდა, ვილჰელმ II ბავშვობიდანვე პაციფისტი იყო?[1].

გერმანიისათვის მაროკოში წარმოებული ომი არ იქნებოდა ომი მხოლოდ მაროკოსათვის. ამ მოსალოდნელ ომში გერმანია გაცილებით უფრო ფართო ამოცანებს ისახავდა. მსოფლიოს ხელახალი განაწილება და გერმანიისათვის მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება — აი, გერმანიის ძირითადი მიზანი მაროკოსათვის ატეხილ ომის შემთხვევაში. ამგვარად, მაროკოს კრიზისი დიდი იმპერიალისტური ომის მომასწავებელი იყო. პოლეტიკა წერს: „გერმანიის იმპერიალიზმის ძირითადი პოლიტიკური მიზანი მსოფლიო ჰეგემონიისათვის ბრძოლა იყო. გერმანიის იმპერიალისტებს ესმოდათ, რომ მსოფლიო ჰეგემონიისათვის დავა უნდა გადაწყვეტილიყო, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთისა და რუსეთის ველებზე. მაგრამ გამარჯვების ყველაზე უფრო მდიდარი და ბუსუქანი ნაყოფი შეიძლება მიეცა მხოლოდ ინგლისის საზღვაო ძლიერების განადგურებას, რომელიც უშუალოდ რუსეთისა და საფრანგეთის არმიების განადგურებას უნდა მოჰყოლოდა“[2].

გერმანია იმედოვნებდა, რომ ადვილად მიაღწევდა ხმელეთზე წარმატებებს, ფელდმარშალმა შლიფენმა საფრანგეთში ბელგიიდან შეჭრის თავისი ცნობილი გეგმის ახალი ვარიანტი წარუდგინა იმპერატორს. ახალი ვარიანტი ითვალისწინებდა აღმოსავლეთის ფრონტზე სულ რაღაც ათი დივიზიის დაბანდებას. ამ შემთხვევაში შლიფენი, ცხადია, რუსეთის დროებითი სისუსტით ხელმძღვანელობდა[3]. ვილჰელმი, მისი მთავრობა და გენერალიტეტი სახმელეთო ოპერაციებში ჯეჭველ წარმატებას ითვალისწინებდნენ. მაგრამ მსოფლიოს ხელახალი განაწილება, გერმანიისთვის მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება მოითხოვდა „ზღვათა ბატონის“ — ინგლისის განადგურებას. ამისათვის საჭირო იყო ძლიერი ფლოტი; გერმანია, მიუხედავად იმისა, რომ გრანდიოზული ტემპებით აგებდა სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ჯერჯერობით არ იყო

---

[1] Политика, Проблема создания континентального блока, „Уч. зап. БГУ им. Ленина“, დასახ. ტომი, გვ. 162.

[2] Политика, Происхождение мировой войны, გვ. 136.

[3] История дипломатии, ტ. II, გვ. 174.

მზად ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ინგლისელი სამხედრო პირი სერ ჰენრი ვილსონი[1] ამბობდა: „გერმანიას დარტყმისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მომენტის შერჩევის მეტად ძნელი პრობლემის გადაწყვეტა უხდება. ზღვებზე ბრძოლისათვის მისთვის უმჯობესია რამდენიმე წელიწადი მოითმინოს. ხმელეთზე მდგომარეობის თვალსაზრისით მისთვის უმჯობესია დაუყოვნებლივ მოქმედება“[2]. გერმანიის მთავრობამ, რომელსაც არ ჰყავდა საკმაოდ ძლიერი ფლოტი, ომის გაჩაღება არ ჩათვალა მიზანშეწონილად. ბელგიის ბერლინელი ელჩი წერს: „გერმანიას არ ძალუძს თავს დაესხას ინგლისს. ინგლისის ტერიტორიაზე არმიის გადასაყვანად საჭიროა ზღვათა პატრონი იყო რამდენიმე დღით მაინც; გერმანიას კი არავითარი შანსი არა აქვს ასეთი პატრონი გახდეს... გერმანიის ფლოტს არ შეუძლია მიიღოს საზღვაო ბრძოლა ინგლისის სანაპიროსთან, ძალთა დისპროპორცია მეტად დიდია. რაც შეეხება გერმანელთა თავდასხმას ინგლისის კოლონიებზე, ამის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია. აშკარაა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. კონფლიქტი მოსპობდა გერმანიის სამხედრო ფლოტს, საზღვაო და საგარეო ვაჭრობას, თუ ინგლისი დარტყმის გარეშეა, გერმანიისათვის, პირიქით, მეტად ადვილი იყო ჭრილობის მიყენება“[3].

გერმანიისათვის სავსებით გარკვეული იყო ინგლისის პოზიცია გერმანია-საფრანგეთის ომის შემთხვევაში; ინგლისმა საკმაოდ მკაფიოდ გამოაცხადა ეს პოზიცია. იგი მყის ჩაერეოდა ამ ომში საფრანგეთის მხარეზე და არ დააყოვნებდა გერმანიის ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმწიფებელი სამხედრო ფლოტის განადგურებას, რითაც განახორციელებდა სერ ჯონ ფიშერის სტრატეგიულ მითითებას: „ჩვენ უნდა მოვახდინოთ გერმანიის ფლოტის კოპენჰაგირება კილში à la ნელსონ“[4]. ამგვარად, არ იყო რა მზად ზღვაზე ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად, გერმანიის

---

[1] სერ ჰენრი ვილსონი (1864—1922). ბურების ომის მონაწილე. მონაწილეობდა აგრეთვე პირველ მსოფლიო ომში; 1919 წელს მიენიჭა ფელდმარშლის წოდება.

[2] Политика, Происхождение мировой войны, გვ. 135.

[3] „Zur europäischen Politik“, დოკ. № 20, გვ. 84.

[4] Фей, დასახ. ნაშრ., გვ. 145. სერ ჯონ ფიშერს მხედველობაში აქვს შემდეგი ფაქტი: 1801 წლის 2 აპრილს, ინგლისის ფლოტი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა კოპენჰაგენს, დაბომბა ნავსადგური და გაანადგურა დანიის სამხედრო ფლოტი. ოპერაცია ჩაატარა გამოჩენილმა ინგლისელმა ადმირალმა, „ზღვების ნაპოლეონმა“ ჰორაციო ნელსონმა.

მმართველმა წრეებმა „მაროკოს პირველი კრიზისის“ დროს ომის გაჩაღება ხელსაყრელად არ მიიჩნიეს. გერმანია განაგრძობდა საზღვაო შეიარაღების გრანდიოზული პროგრამის გახორციელებას და ელოდა იმ მომენტს, როდესაც გერმანიის საიმპერატორო სამხედრო ფლოტი საკმაოდ მომწიფდებოდა ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საყოველთაოდ ცნობილია ის ციებ-ცხელება საზღვაო შეიარაღების ზრდის საქმეში, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი იმპერიალისტური ომის წინ, როგორც გერმანიაში, ისე ინგლისში. ე. წ. „საზღვაო მეტოქეობამ“ ინგლისსა და გერმანიას შორის, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველი იმპერიალისტური ომის ხანძრის გაღვივებაში.

მეორე გარემოება, რომელმაც ხელი შეუშალა იმპერიალისტური გერმანიის მიერ ომის გაჩაღებას, ეს იყო გერმანიაში მუშათა მოძრაობის ზრდა, რომელიც გამოწვეული იყო რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენით. რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში და მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვანი აღმავლობა გამოიწვია, განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა გერმანიის მუშათა მოძრაობაზე.

„სისხლიანი კვირის“ ამბებს გერმანიის მშრომელები საშინელი აღშფოთებით შეხვდნენ. იმართებოდა მასობრივი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები. მოძრაობას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩაუდგა სათავეში. მიტინგებზე მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ ავგუსტ ბებელი, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი, კლარა ცეტკინი, ფრანც მერინგი და სხვ. მიტინგები და დემონსტრაციები გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში მოეწყო (ბერლინი, მიუნხენი, დრეზდენი, ჰამბურგი და სხვ.). მოძრაობა გერმანიის იმპერიისა და მილიტარიზმის „ბრინჯაოს კედლის“—არმიასა და ფლოტსაც შეეხო. 1905 წლის ივნისში, ე. წ. „კილის კვირის“ დღეებში (ვილჰელმ II ამ დღეებში ყოველწლიურად აწყობდა სამხედრო-საზღვაო ძალების პარადს), სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის სამხედრო ხომალდმა „პოტიომკინმა“ რევოლუციური დროშა ააფრიალა, აჯანყდა გერმანიის კრეისერის „Frauenlob“-ის ეკიპაჟი. აჯანყებულმა მეზღვაურებმა ხომალდის ოფიცრები დააპატიმრეს, ზღვაში გადაყარეს ქვემეხთა საკეტები და გემზე წითელი დროშა ააფრიალეს. აღშფოთებულმა ვილჰელმმა ბრძანა შუა ზღვაში გაეძევებინათ მეამბოხე ხომალდი, რათა მის „დიდმპყრობელურ თვალებს“ აღარ ეხილა

ეს „გერმანიის საშხედრო დიდების შერცხვენა“. მღელვარებასა და უკმაყოფილებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებთან განლაგებულ სამხედრო ნაწილებშიც.

მალე გერმანიაში დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა, რომელმაც თანდათან მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის ხასიათი მიიღო.

1905 წლის იანვარში დაიწყო გერმანიის სამთამადნო მუშების მასობრივი გაფიცვა, რომელმაც თვენახევარს გასტანა. მასში ჩაბმული იყო ნახევარ მილიონზე მეტი მუშა (გაფიცვაში ძირითადად რურისა და ზემო სილეზიის მშრომელები მონაწილეობდნენ). 1905 წლის დამლევს (ნოემბერ-დეკემბერი) ფართო პოლიტიკური მასობრივი მოძრაობა გაჩაღდა საქსონიაში. 1906 წლის იანვარში დაიწყო მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები ჰამბურგში.

გერმანიის მუშებში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს მუშათა მოძრაობაში მხოლოდ პარლამენტარიზმითა და პროფესიონალიზმით გატაცებას და ბოლოს და ბოლოს გერმანიის სინამდვილეშიც იქნას მომარჯვებული ბრძოლის „რუსული მეთოდები“. უპირველეს ყოვლისა, მათ მხედველობაში ჰქონდათ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

1906 წლის იანვარში, „სისხლიანი კვირის“ წლისთავზე, გერმანიაში განზრახული იყო მასობრივი გამოსვლების მოწყობა. შეშინებულმა მთავრობამ ბერლინში დიდძალ ჯარს მოუყარა თავი. მათ უბრძანეს მუშების წინააღმდეგ იარაღიც კი გამოეყენებინათ. ვილჰელმ II აღშფოთებული იყო ქვეყნის შიგნით შექმნილი „უწესრიგობით“, რომელიც „ანტიპატრიოტებმა-სოციალისტებმა“ მოახდინეს. „სოციალისტების“ ალაგმვა და ქვეყნის შიგნით „წესრიგის“ დამყარება აუცილებელი პირობაა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის — ასეთი იყო ვილჰელმ II-ის რწმენა. ცხადია, იმ დიდი რევოლუციური აღმავლობის პირობებში, რომელსაც გერმანიაში ჰქონდა ადგილი, ვილჰელმ II ვერ გაბედავდა ომის დაწყებას.

ბიულოვს თავის მემუარებში მოჰყავს კაიზერის მეტად საინტერესო წერილი, რომელიც ვილჰელმმა ბიულოვს გაუგზავნა 1905 წლის დამლევს, შობის წინა ღამეს. კაიზერი აცხადებს, რომ გერმანიას მარტოს არ ძალუძს საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ ომი; რომ იგი არ დაიწყებს ომს, სანამ არ დაიდება კავშირი თურქეთთან და საერთოდ მუსლიმანურ ქვეყნებთან. აქვე ხაზგასმულია, რომ ახალი, 1906 წელი ომისათვის ძალზე არახელსაყრელია, რადგანაც გერმანიამ სწორედ ახლა დაიწყო ხელახალი საარტილერიო შეიარაღება, რომელსაც, სულ ცოტა, ერთი

წელიწადი მაინც დასჭირდება. დაიწყო აგრეთვე ქვეითი ჯარის ხელახალი შეიარაღება, ხდებოდა სასაზღვრო სიმაგრეების ახლად მოწყობა. მაგრამ ყველაზე დიდ დაბრკოლებას, თურმე, სოციალისტები ქმნიან. მათი „ძირგამომთხრელი“ საქმიანობით აღშფოთებული კაიზერი კატეგორიულად აცხადებს: „უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამოვჟლიტოთ, თავები დავჭრათ სოციალისტებს, უვნებელნი გავხადოთ ისინი, თუ საჭირო გახდა სისხლისღვრის გზითაც კი და მხოლოდ მაშინ შეიძლება საგარეო ომი, მაგრამ ამაზე ადრე არა და არც a tempo“ [1]. იმპერატორი წინადადებას აძლევს ბიულოვს წარმართოს საგარეო პოლიტიკა ისე, რომ რამდენადაც შესაძლებელი იქნება მოარიდოს, ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც თავიდან აიცილოს გერმანიას ომი. „მაგრამ ეს არ უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ფაშოდა“ [2]. ამგვარად, გერმანიაში მუშათა მოძრაობის აღმავლობამ ვერ გააბედვინა გერმანიის იმპერიალიზმს ომის გაჩაღება მაროკოს პირველი კრიზისის დროს. „მაროკოს საქმეები, ჩემის აზრით, უომრად მოგვარდება“, — სწერდა კაიზერი რუსეთის მეფეს [3].

გერმანიისათვის ერთადერთი საიმედო მოკავშირე ომის შემთხვევაში ავსტრია-ჰუნგრეთი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ავსტრია-ჰუნგრეთის დახმარებას მაინცდამაინც საიმედო პირი არ უჩანდა. ავსტრია-ჰუნგრეთის არმია არ იყო მზად ომისათვის. ამასთანავე, ჰაბსბურგების დინასტია მწვავე საშინაო კრიზისს განიცდიდა. ავსტრია-ჰუნგრეთში ნაციონალური ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისიდან მეტად ფართო ხასიათს ღებულობს. ამას ზედ ერთვის მუშათა მოძრაობის აღმავლობა, რომელზედაც დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ. აქ მუშათა მოძრაობა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ურთიერთს გადაეხლართა. ჰაბსბურგთა მონარქია მწვავე კრიზისის წინაშე იდგა. მოძრაობამ მეტად მასობრივი ხასიათი მიიღო. მოძრაობის ცენტრები იყვნენ ვენა, პრაღა, ტრიესტი, ჩერნოვიცა. გაძლიერდა ავსტრიის იმპერიაში მოსახლე სლავი ხალხების — ჩეხების, სლოვაკების, სლოვენების, უკრაინელების, ხორვატების და სხვათა — ბრძოლა ჰაბსბურგთა მონარქიის მხრივ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

---

[1] Бюлов, Воспоминания, გვ. 315.

[2] იქვე.

[3] Переписка Вильгельма II с Николаем II, გვ. 130.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების მოსაპოვებლად. მოძრაობის ცენტრი იყო ვენა. პრაღის მშრომელები საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებასთან ერთად ითხოვდნენ ავსტრიის იმპერიაში მცხოვრები სლავი ხალხების ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის მოსპობას.

სისხლისმღვრელმა შეტაკებებმა პოლიციას, ჯარსა და ხალხს შორის ხშირი ხასიათი მიიღო (2 ნოემბერს ვენაში დემონსტრაციის დარბევა, 5 ნოემბერს პრაღის დემონსტრაციის დახვრეტა). მოძრაობამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. 1906 წლის 1 დეკემბერს ავსტრიის რაიხსრატის ქვემო პალატამ მიიღო კანონი საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ. 1907 წლის თებერვალში კანონი დაამტკიცა რაიხსრატის ზედა პალატამ.

ავსტრიის საიმპერატორო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მოძრაობის ლიკვიდაციას და მდგომარეობის სტაბილიზებას. კრაკოვში 1905 წლის 2 თებერვლის დემონსტრაციის დარბევას მოჰყვა დიდძალი მსხვერპლი, აიკრძალა კრებები ლვოვში, სტანისლავში, გარლიცსა და სხვა ქალაქებში. პოლიციამ ვენაში 23 იანვარს დაარბია მუშათა მრავალათასიანი მიტინგი. პოლიციამ ჩაშალა საპროტესტო დემონსტრაცია ქ. ჩერნოვიცში.

ასეთ პირობებში ავსტრია-ჰუნგრეთი ძნელად თუ ჩაებმებოდა ომში, მით უფრო, რომ ამ ომის გამართლება ხალხის თვალში მეტად ძნელი იყო. ომში ჩაბმა მაროკოს გულისათვის ძნელი გასამართლებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ ავსტრია-ჰუნგრეთს მაროკოში თითქმის არავითარი ინტერესები არ ჰქონდა. მოკავშირის ასეთმა მდგომარეობამ გერმანია ერთხელ კიდევ დაარწმუნა იმაში, რომ ომის გაჩაღება მაროკოს პირველი კრიზისის დროს არ იყო ხელსაყრელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციური მოძრაობის აღმაველობით საფრანგეთის მთავრობაც საკმარისად იყო შეშფოთებული. ეს გარემოება, ცხადია, თავის დაღს ამჩნევდა საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების მთელ მსვლელობას. ამ შემთხვევაში მარტო გერმანული ქედმაღლობა როდი იკვეცებოდა. საფრანგეთის მმართველ წრეებშიც ძლიერდებოდა კომპრომისული განწყობა.

უდიდესი რევოლუციური ტრადიციების მქონე საფრანგეთის მუშათა კლასი ფართოდ გამოეხმაურა რუსეთის რევოლუციის ამბებს. საფრანგეთში დაიწყო მასობრივი მძლავრი მოძრაობა. მუშათა კლასთან ერთად მოძრაობაში ჩაება საფრანგეთის ყველა პროგრესული ძალა; მათ შორის რევოლუციურად განწყობილი

სტუდენტობა, პროგრესული ინტელიგენცია, მეცნიერები, მწერლები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატია. საფრანგეთში ეწყობა მიტინგები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები (პარიზში, ჰავრში, მარსელში, ბორდოში, ნიცაში, შერბურგში, ტულონში, დიჟონში, სენტ-ეტიენში, კლერმონ-ფერანში, ტურში, დიუნკერკში, რუანში, პერიკოში, კაჰორში, ლილში და სხვაგან).

მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამოჩენილი ფრანგი მწერლები, მეცნიერები, ხელოვანნი, საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის: ჟან ჟორესი, ანატოლ ფრანსი, ოქტავ მირბო, ოგიუსტ როდენი, რენარი, სეევერინი, პოლ და ვიქტორ მარგერიტები, აკადემიკოსი პოლ პენლევე, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსები: შარლ სენიობოსი, ოლარი, სანიაკი, მანტუ და სხვანი.

საფრანგეთში დაიწყო მასობრივი გაფიცვები, ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს. აპრილის თვეში დაიწყო ლიმოჟის ფაიფურისა და ქაშანურის ფაბრიკების მუშების მასობრივი გაფიცვა, რომელიც რეგულარულ ჯარებთან სისხლისმღვრელ შეტაკებაში გადაიზარდა. ნანტში ადგილი ჰქონდა შეტაკებას მუშებსა და ადგილობრივ ჟანდარმერიას შორის. საბრძოლო განწყობილება სუფევდა პარიზის ლითონის ჩამომსხმელ, ტრანსპორტისა და სხვა წარმოებათა მუშებს შორის. ნოემბრის მეორე ნახევარში მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები დაიწყო ბრესტში, შერბურგში, ტულონში, როშფორსა და ლორიანში. მოვლენათა მსვლელობამ დააჩქარა საფრანგეთის სოციალისტურ მიმდინარეობათა ერთ მთლიან პარტიად გაფორმების საქმე. საფრანგეთის ხელისუფლება სასტიკად ებრძოდა ქვეყნის შიგნით რევოლუციურ აღმავლობას. მუშათა მოძრაობის ჩასახშობად მთავრობამ გამოიყენა პოლიცია, ჟანდარმერია და რეგულარული ჯარებიც კი.

დასავლეთ ევროპის გაბატონებული კლასები და მმართველი წრეები არა მარტო საკუთარ მუშათა კლასს ებრძოდნენ და მისი რევოლუციური განწყობილების ძირშივე ამოკვეთას ცდილობდნენ, არამედ არანაკლებ დაინტერესებულნი იყვნენ მოესპოთ რევოლუციის ბუდე რუსეთში და იქ მონარქისტული „წესრიგი“ აღედგინათ. ცნობილია, რომ ევროპის გაბატონებულმა კლასებმა და მმართველმა წრეებმა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს რუსეთის მეფეს რევოლუციის ჩახშობის საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, ევროპის მმართველმა წრეებმა თავიანთი სიმპათია ცარიზმისადმი მორალურ მხარდაჭერაში გამოხატეს. ასე, მაგალითად, საფრანგეთში, როცა 1905 წლის 27 იანვარს პარლამენტში სოციალისტებმა საფრანგეთ-რუსეთის კავში-

რის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მათ წინააღმდეგ გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასე, რომელმაც ყოველმხრივ დაიცვა მეფის თვითმპყრობელობა. მისი სიტყვებიდან ამჟამად ჩანდა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზად არის არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმითაც დაეხმაროს „მოკავშირეს“ — მეფის რუსეთს—ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარების საქმეში. საფრანგეთის პრესა („Gazette de France“, „L'Autorité“, „Revue des études Franco-Russes“, „Gaulois“ და სხვ.) ურჩევდა ნიკოლოზ II-ს გადამწყვეტი ზომები მიეღო, რადგანაც, თურმე, დათმობებმა დაღუპეს ლუი XVI.

გერმანიის კანცლერი ბიულოვი 1905 წლის მარტში ოფიციალურად გამოვიდა რაიხსტაგში ცარიზმის დამცველის როლში. გერმანიის რეაქციული პრესა („Post“, „Kreuz-Zeitung“ და სხვ.) ყოველმხრივ ამართლებდა მეფის მთავრობის მოქმედებას 9 იანვრის ამბებთან დაკავშირებით. პოლონეთში 1905 წლის ზაფხულში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ განსაკუთრებით დააფრთხო გერმანიის მმართველი წრეები. გერმანიაში ეშინოდათ, რომ რევოლუციური მოძრაობა მოედებოდა აგრეთვე გერმანიის მიერ მიტაცებულ პოლონურ ტერიტორიებსაც (პოზნანი, სილეზია). გერმანელებს შიშს გვრიდა აგრეთვე მასობრივი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ბალტიისპირეთში დაიწყო.

იტალიის მეფე ყოველნაირად ცდილობდა დაედასტურებინა თავისი სიმპათია რუსეთის იმპერატორისა და მისი მთავრობისადმი. იტალიური გაზეთები „Popolo Romano“, „Osservatore Romano“ და სხვ. რუსეთის მთავრობის კონტრრევოლუციურ მოქმედებას ყოველმხრივ იცავდნენ.

ა. შ. შტატების მმართველი წრეები ასევე თანაგრძნობით ეკიდებიან მეფის ბოროტმოქმედებებს. ანალოგიურ პოზიციებზე დგანან ინგლისის, ავსტრია-ჰუნგრეთისა და სხვა სახელმწიფოების მმართველი წრეები.

ევროპის რეაქცია უფრო შორს წავიდა. 1905 წლის დამლევს შეიქმნა საფრთხე სამხედრო ინტერვენციისა ცარიზმის გადარჩენის მიზნით. განსაკუთრებით აქტიურობდა კაიზერისეული გერმანია, მას მხარში ედგა ავსტრია-ჰუნგრეთი. რუსეთის საქმეებში სამხედრო ჩარევის ტენდენცია შეიმჩნევა აგრეთვე ინგლისის პოლიტიკაშიც.

გერმანიის მთავრობის მიერ გერმანიისა და რუსეთის საზღვარზე კონცენტრირებულ იქნა დიდძალი ჯარი. რუსეთისაკენ

მიმავალი რკინიგზის ხაზებზე დაწესდა სამხედრო კონტროლი. საზღვარზე განლაგებული არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო. 1905 წლის 26 ივნისს გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელები (ბიულოვი, აინემი, რიხტჰოფენი, პოსადოვსკი, ბეტმან-ჰოლვეგი და სხვანი) სპეციალურ თათბირზე რევოლუციის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის გამოყენების აუცილებლობის შესახებ შეთანხმდნენ. უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული იყო შეჭრა პოლონეთსა და ბალტიისპირეთში. პეტერბურგთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე საჭიროების მომენტში გერმანიის ხუთ კორპუსს უნდა გადაელახა საზღვარი და დაეწყო ბრძოლა რევოლუციის ჩასახშობად. პეტერბურგიდან მეფის ოჯახის ევაკუაციისათვის გამიზნული იყო ნაღმოსანთა შენაერთი და ორი კრეისერი „ლიუბეკი“ და „ჰამბურგი“. ბრიტანეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა 1905 წლის ზაფხულში შავ ზღვაში ორი კრეისერის გაგზავნა. მათ მოსინჯეს კიდეც ნიადაგი კონსტანტინეპოლში, რათა თურქეთის მთავრობისაგან ნებართვა მიეღოთ სრუტეებში ბრიტანეთის სამხედრო ხომალდების გატარების შესახებ. ასევე გადაწყვეტილი ჰქონდა ბრიტანეთის მთავრობას გაეგზავნა ფლოტი რუსეთის ბალტიისპირა ნავსადგურებში. 1905 წლის დეკემბერში ინგლისის კრეისერი „საფირონი“ კილში მივიდა. იგი იქ ელოდა ბრძანებას რიგაში გამგზავრების შესახებ.

ცნობილია, რომ მეფის მთავრობამ 1905 წელს თავი შეიკავა სამხედრო დახმარების მიღებისაგან. მეფის გენერლებმა ორლოვმა, ფონ სივერსმა და სხვებმა სისხლის მორევში ჩაახშვეს დასავლეთ განაპირა რაიონებში რევოლუციური გამოსვლები. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ რევოლუცია თანდათან მისუსტდა. ცარიზმი მთელ იმედებს ინგლის-საფრანგეთის დახმარებაზე ამყარებდა, ხოლო გერმანიის ინტერვენციის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ინგლის-საფრანგეთის უკმაყოფილების გამოწვევა. ასეც მოხდა. რუსეთის საზღვრებზე გერმანიის ჯარების კონცენტრაციას საფრანგეთში დიდი შეშფოთებით შეხვდნენ. ამასთან ერთად რუსეთის ბურჟუაზია შიშობდა, რომ რევოლუციის ჩახშობის საბაბით რუსეთში შემოჰყრილ გერმანიის არმიებს აქ, ფაქტიურად, თავიანთი აგრესიული ზრახვები არ განეხორციელებინათ. შემდგომში, როგორც ცნობილია, 1906 წელს რუსეთმა საფრანგეთისა და ინგლისისაგან მიიღო ფინანსური დახმარება და რევოლუციას უფრო ადვილად მოუღო ბოლო.

ამრიგად, რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ევროპის ქვეყნებში გაჩაღდა, გარკვეულად აფერ-

ხებდა ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეების აგრესიულ-მილიტარისტულ მისწრაფებებს.

დაბოლოს, კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც გერმანიის მიერ ომის გაჩაღების საქმეს ხელი შეუშალა. 1905 წლის 6 სექტემბერს ჩ. ა. შ. შ. პატარა ქალაქ პორტსმუტში დადებულ იქნა ზავი რუსეთსა და იაპონიას შორის. ამიერიდან რუსეთს კვლავ შეეძლო ჩარეულიყო ევროპის საქმეებში. მას კვლავ შეეძლო გვერდში ამოსდგომოდა თავის „მეგობარს", საფრანგეთს. შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ რუეიე ყოველნაირად ცდილობდა დაეჩქარებინა რუსეთის ცარიზმი ზავის დადების საქმეში. ცარიზმს ფული სჭირდებოდა, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის ჩასაქრობად. მას საფრანგეთის ფულის იმედი ჰქონდა; მაგრამ რუეიე მხოლოდ იმ პირობით ჰპირდებოდა სესხის მიცემას, თუკი იაპონიასთან ზავი მალე დაიდებოდა. ვიტესთან საუბარში რუეიემ განაცხადა: რუსეთმა მხედველობაში უნდა იქონიოს ის, რომ არსებულ მდგომარეობაში მას არ უნდა ჰქონდეს იმედი საფრანგეთის ფულისა, რომ აუცილებელია დადებულ იქნას ზავი... საფრანგეთი, როგორც მოკავშირე რუსეთისა, ძალიან არის დაინტერესებული იმაში, რომ რუსეთმა ბოლო მოუღოს ამ ომს და ხელები გაიხსნას ევროპაში. სანამ რუსეთის სამხედრო ძალები აღმოსავლეთშია დაბანდებული, იგი საფრანგეთისათვის უძლური მოკავშირეა იმ შემთხვევაში, როცა ევროპაში რაიმე გართულებას ექნება ადგილი. ზავისკენ მოუწოდებდა ვიტეს პრეზიდენტი ლუბეც[1]. პორტსმუტის ზავის შემდეგ რუსეთის ცარიზმს იმედი მიეცა სესხის მიღებისა, ხოლო საფრანგეთის მთავრობა კი თავს დამშვიდებულად გრძნობდა, რადგან გერმანიის საფრთხე ამიერიდან გაცილებით ნაკლები იყო.

ცხადია, გერმანიისათვის სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი რუსეთის მიერ იაპონიასთან ზავის დადება. ამიერიდან გერმანიის არწივს აღარ შეეძლო თავისუფლად გაეშალა ფრთები და ევროპის კონტინენტზე ენავარდა. ცნობილია, რომ ვილჰელმი ცდილობდა კიდეც რუსეთსა და იაპონიას შორის ომის გაგრძელებას. ამ შემთხვევაში მეორე გარემოებაცაა გასათვალისწინებელი: 1904—1905 წლებში ვილჰელმ II დაბეჯითებით ცდილობდა ევროპის სახელმწიფოთა ანტიინგლისური „კონტინენტური ლიგის" შეკოწიწებას, რომელშიაც უნდა შესულიყვნენ გერმანია,

[1] Витте. Воспоминания, ч. I, стр. 331—332.

საფრანგეთი და რუსეთი[1]; ამით იგი ფიქრობდა საფრანგეთ-ინგლისის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების ჩაშლას და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ანულირებას.

ვილჰელმ II-ეს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის გადმობირების იმედი ჰქონდა, მას სურდა ესარგებლა იაპონიასთან ომისა და რევოლუციის წყალობით რუსეთის დასუსტებით, ზეგავლენა მოეხდინა რუსეთის მთავრობაზე (კერძოდ, თვით მეფეზე, რომელთანაც ვილჰელმს „კეთილმეგობრული" და „ნათესაური" ურთიერთობა ჰქონდა) და იგი თავის ბანაკში გადაეყვანა. ამიტომ ცარიზმის მიერ იაპონიასთან ომის გახანგრძლივება გერმანიისათვის ამ მხრივაც ხელსაყრელი იყო. დასუსტებულ, ილაჯგაწყვეტილ რუსეთზე უფრო ადვილად მოვახდენთ ზემოქმედებასო, ფიქრობდა ვილჰელმი. შემდეგ, როცა რუსეთის რევოლუცია გაძლიერდა, გერმანიამ შეწყვიტა ეს პოლიტიკა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფის რუსეთს მხარში ამოუდგა და რევოლუციის ჩახშობის საქმეში მას ხელი გაუწვდინა.

ვილჰელმ II-ეს, უპირველეს ყოვლისა, სურდა ესარგებლა იმ უკმაყოფილებით, რომელიც ინგლის-რუსეთსა და რუსეთ-საფრანგეთს შორის წარმოიშვა რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ინგლისი იაპონიის მოკავშირე იყო; ამ გარემოებამ ინგლის-რუსეთის ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა. რუსეთის მოკავშირე საფრანგეთი ინგლისს მეგობრული კავშირით შეეკრა და რუსეთის მიმართ აღარ იჩენდა ჩვეულ სიმპათიებს. ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როცა რუსეთმა მას სესხი სთხოვა (1904—1905 წწ.). საფრანგეთმა გარკვეული ყოყმანი დაიწყო, მას აღარ სურდა რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში რუსეთის შემდგომი ფინანსირება, მისი სურვილი იყო რუსეთს რაც შეიძლება მალე დაედო ზავი იაპონიასთან და ამით ევროპაში საფრანგეთის შერყეული პოზიციები განემტკიცებინა. საფრანგეთისაგან გაწბილებულმა რუსეთმა თანაგრძნობა გერმანიის ბირჟაზე ჰპოვა. გერ-

---

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ დაწვრილებით იხილე: Н. П. Полетика, Проблема создания континентального блока во внешней политике Германии в период первого Марокканского кризиса (1904—1905 гг.), „Уч. зап. БГУ им. Ленина", დასახ. ნომერი, გვ. 162—177; Л. Фейгина, Бьеркское соглашение, М., 1928 (თან ახლავს ბიორკეს შეთანხმების ტექსტი); М. Л. Острецова. Бьёркский договор 1905 г. (К вопросу о влиянии русско-японской войны и революции 1905 г. на развитие русско-германских отношений), „Ученые записки Московского городского пединститута им. Потемкина", т. 83, выпуск 4, М., 1958, გვ. 65—129.

შანელების მიერ რუსეთისადმი ფინანსურმა დახმარებამ გააძლიერა ომი იაპონიასთან და ამასთან ერთად საფრანგეთ-რუსეთის ტრადიციულ მეგობრობაში გარკვეული ბზარი შეიტანა. გერმანია ყოველმხრივ „თანაუგრძნობდა“ რუსეთს იაპონიასთან ომში.

ყოველივე ამის შემდეგ, ვილჰელმმა რუსეთთან დაახლოებისათვის ნიადაგი მოსინჯა. 1904 წლის 17 (30) ოქტომბერს ვილჰელმ II-ემ ნიკოლოზ II-ეს რუსეთ-გერმანიის კავშირის ხელშეკრულების პროექტის ტექსტი გაუგზავნა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამზდორფმა საფრანგეთის უკითხავად საკითხის გადაწყვეტა შეუძლებლად ცნო. ვილჰელმის პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამიერიდან ვილჰელმმა სცადა რუსეთთან კავშირის შეკვრა ოფიციალურ დიპლომატიური აპარატის გვერდის ავლით, უშუალოდ ნიკოლოზ II-თან მოლაპარაკების გზით; ამავე დროს, ვილჰელმს ნიკოლოზზე თავისი პირადი გავლენის იმედიც ჰქონდა. ცნობილია, რომ ორი იმპერატორი ურთიერთს შეხვდნენ 1905 წლის 11 (24) ივლისს ფინეთის შხერებში, კუნძულ ბიორკესთან. აქ ხელმოწერილ იქნა ბიორკეს ცნობილი ხელშეკრულება, რომელიც რუსეთ-გერმანიის კავშირს ითვალისწინებდა. ხელშეკრულების პირველი მუხლის ძალით, გერმანია და რუსეთი ერთმანეთს სამხედრო დახმარებას აღუთქვამდნენ ერთ-ერთ მათგანზე რომელიმე ევროპული სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. ორივე მხარე პირობას დებდა საერთო მტერთან არ დაედო სეპარატული ზავი (პუნქტი მე-2). ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო იაპონიასთან ზავის დადებისთანავე (პუნქტი მე-3); მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა, რუსეთს უფლება ჰქონდა გაეცნო იგი საფრანგეთისათვის და ყოველგვარი ღონე უნდა ეხმარა იმისათვის, რომ საფრანგეთიც ამ შეთანხმების მონაწილე გამხდარიყო (პუნქტი მე-4).

ეს ხელშეკრულება საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმებას ძირს უთხრიდა და არსებითად ეწინააღმდეგებოდა როგორც საფრანგეთის, ისე რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთელ დედაარსს. როგორც ცნობილია, შეთანხმება ქაღალდზე დარჩა. თვითმპყრობელური რუსეთი ბოლომდე მოკავშირე დარჩა თავისი „ძველი მეგობრის“—რესპუბლიკური საფრანგეთისა.

როცა გერმანია 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდა, მას ამ შეთანხმების ჩაშლასთან ერთად იმის იმედიც ჰქონდა, რომ საფრანგეთს მოსწყვეტდა ინგლისს და რუსეთ-გერმანიის კავშირში მოიზიდავდა.

საფრანგეთის მიმართ აღნიშნული ხრახვების განხორციელებას გერმანია ძალისა და მუქარის პოლიტიკით ფიქრობდა, რასაც, როგორც ვნახეთ, იგი ახორციელებდა კიდეც მაროკოს პირველი კრიზისის დროს. სამართლიანად შენიშნავს ნ. პ. პოლეტიკა, რომ „ვილჰელმის, ბიულოვისა და ჰოლშტაინის მაროკანული პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ მისწრაფებასთან: მოეწყვიტათ საფრანგეთი ინგლისისაგან, მოეხდინათ ინგლის-საფრანგეთის ანტანტის ლიკვიდაცია და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მუქარისა და ულტიმატუმების საშუალებით ძალით შემოეთრიათ საფრანგეთი სახელმწიფოთა მომავალ „კონტინენტური ლიგის“ საავანში. ამ გაგებით ბიულოვის მაროკანული პოლიტიკა წარმოადგენდა ბიორკეს პოლიტიკის, გერმანია-რუსეთის კავშირის შეკვრის პოლიტიკის დამატებასა და დასაყრდენს (stepping-stone)“[1]. მუქარისა და ულტიმატუმების გერმანულ პოლიტიკას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, რუსეთის პოზიციების დასუსტება მატებდა ძალას. აშინებდა რა საფრანგეთს ომით, გერმანია ცდილობდა „ეჩვენებინა ფრანგი ხალხისათვის, რომ საფრანგეთისათვის ინგლისთან შეთანხმებას ნაკლები ფასი აქვს, რომ მისთვის უმჯობესია გერმანიას შეუთანხმდეს“ [2].

„ბიორკეს“ შემდეგ ბიულოვს, რომელსაც ეს შეთანხმება რეალურ მოვლენად მიაჩნდა, მაროკოს საკითხის გადაწყვეტაში ერთგვარი სიახლე შეაქვს: ხომ არ დადგა ნომენტი მოვისყიდოთ საფრანგეთი და რუსეთ-გერმანიის მოკავშირე გავხადოთ. რით შეიძლებოდა მისი მოსყიდვა? — მაროკოთი! აკი ინგლისმაც მაროკოს საშუალებით მოისყიდა საფრანგეთი და ბიულოვმაც ახალი დიპლომატიური კომბინაცია გაიაზრა. 1905 წლის 31 ივლისს მან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი შინაარსის ინსტრუქცია გაუგზავნა: 1. ჩვენთვის კარგი იქნებოდა საფრანგეთისათვის მაროკოში მოქმედების თავისუფლების მინიჭების შესაძლებლობა დაგვეტოვებინა იმ მომენტისათვის, როცა იგი (საფრანგეთი) იძულებული შეიქნება მიიღოს გადაწყვეტილება გერმანია-რუსეთის კავშირთან შეერთების შესახებ. ამაზე უკეთესსა და სასარგებლოს ჩვენ მაროკოსაგან ვერას მივიღებთ. ეს ჭეშმარიტად ჩვენი მაროკანული კამპანიის საუკეთესო დასასრული იქნებოდა; 2. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ნაადრევად არ უნდა ავი-

---

[1] Н. П. Полетика. Проблема создания континентального блока. „Уч. зап. БГУ“, დასახ. ნომერი, გვ. 166.

[2] იქვე, გვ. 172.

ღოთ ხელი ჩვენს პრინციპულ და საერთო შეხედულებებზე, ასევე-თან ერთად ფრანგებმაც არ უნდა დაიჯეროთ, რომ ჩვენი საბრძოლო გეგმები ითვალისწინებენ მაროკოში ჩვენს დაპყრობებას; 3. მე მიმაჩნია, რომ უკრო სასარგებლო იქნება მაროკოს საკითხს ახლო მომავალში დაწვრილების საშუალება მივცეთ და არ მოვადინოთ მისი სწრაფი გადაწყვეტა. შეიძლება მაროკოს გარშემო არსებულმა მუქარამ და კინკლაობამ აიძულოს საფრანგეთი უფრო მტკიცედ შეუკავშირდეს ინგლისს...[1] მაგრამ გერმანიის ღარაჯები არ გაძართლდა. ბიორკეს შეთანხმება მკვდრად შობილი აღმოჩნდა. საფრანგეთი არ შეუშინდა გერმანიის მუქარას. 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება ძალაში დარჩა, მეტიც, უფრო განმტკიცდა და მყარი გახდა.

ამგვარად, გერმანია მაროკოს პრობლემის გადაჭრის საქმეში, მართალია, მუქარისა და ულტიმატუმების („იარაღის ღრიალის“, „შეკავშირული მუშტის“) მეთოდებს მიმართავდა, მაგრამ ომამდე საქმე მაინც არ მიიდა. გერმანია უკან იხევს და კონფლიქტის დიპლომატიური გზით გადაწყვეტას მიიჩნევს უმჯობესად. მიზეზები შემდეგია: გერმანიის ფლოტი ჯერ მზად არაა შეებრძოლოს დიდი ბრიტანეთის ფლოტს; გერმანიისათვის ნათელი იყო, რომ საფრანგეთთან კონფლიქტის შემთხვევაში ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ აუცილებლად დაიწყებდა ომს. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ჩაშლა ვერ მოხერხდა. პირიქით, ეს კავშირი უფრო განმტკიცდა. რუსეთთან მეგობრობის თამაში წაგებით დამთავრდა. რუსეთი ერთგული დარჩა თავისი ძველი მოკავშირის — საფრანგეთისა. რუსეთ-იაპონიის ომი დამთავრდა და რუსეთი გვერდში ამოუდგა საფრანგეთს.

პორტსმუტის ზავმა არსებითად შეცვალა ძალთა თანაფარდობა. გერმანიას ანგარიში უნდა გაეწია შექმნილი მდგომარეობისათვის. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ბიულოვის პოლიტიკაში შეშობრუნება ძირითადად სექტემბრიდან დაიწყო, სწორედ პორტსმუტის ზავის შემდეგ.

---

[1] Н. П. Полетика, Проблема создания континентального блока, „Уч. зап. ВГУ“, დასახ. ნომერი, გვ. 175—176.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ალხესირასის კონფერენცია

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიამ გადაწყვიტა მაროკოს საკითხი დიპლომატიური გზით მოეგვარებინა. საფრანგეთმა მიიღო გერმანიის წინადადება მაროკოს საკითხის გადასაწყვეტად ახალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. 1905 წლის 18 ოქტომბერს საფრანგეთმა და გერმანიამ წინადადებით მიმართეს მაროკოს მთავრობას დათანხმებულიყო კონფერენციის მოწვევაზე. 25 ოქტომბერს აბდ-ელ-აზიზმა თანხმობა განაცხადა. გერმანიამ და საფრანგეთმა საქმე ისე მოაწყვეს, რომ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფოები თვით აბდ-ელ-აზიზმა მოიწვია 1905 წლის 1 დეკემბერს. სულთანი კონფერენციაზე იწვევდა ყველა იმ სახელმწიფოს, რომელთაც ხელი მოაწერეს 1880 წლის მადრიდის კონვენციას.

კონფერენცია შეიკრიბა ესპანეთის პატარა ნავსადგურ ალხესირასში, რომელიც გიბრალტარის პირდაპირ მდებარეობს. კონფერენცია გაიხსნა 1906 წლის 16 იანვარს და დამთავრდა 1906 წლის 7 აპრილს. კონფერენციამ მიიღო 123 ცუხლისაგან შემდგარი „გენერალური აქტი“.

კონფერენციაზე მონაწილეობდა 13 სახელმწიფო: 1. საფრანგეთი (დელეგატები: პოლ რეევალი, ეჟენი რენოლტი); 2. რუსეთი (გრაფი კასინი, ბახერხატი); 3. ინგლისი (სერ არტურ ნიკოლსონი); 4. გერმანია (თავადი რადოვიცი, გრაფი ტატენბახი): 6. ესპანეთი (ჰერცოგი ალმოდოვარ დელ რიო, პერეს კაბალიერო ჰერესი); 6. იტალია (მარკიზი ემილ ვისკონტი ვენოსტა, ჯულიო მალმუზი); 7. ავსტრია-ჰუნგრეთი (ვერზერსჰაიმბი, გრაფი ლეოპოლდ ბოლესტა კოციებროდსკი); 8. ჰოლანდია (ჰანიბალ ტესტა);

9. შვეცია (რობერტ საგარი); 10. ბელგია (ბარონი ჟოსტენსი, გრაფი ბიუსერეტი): 11. პორტუგალია (ანტუან ტოვარი. გრაფი მარტენს ფერაო); 12. ჩრდილოეთ ამერიკის შ. შ. (ჰენრი უაიტი, სემუელ გუმერე); 13. მაროკო (მუჰამედ ბენ ელ-აოაბი ელ-ტორესი, მუჰამედ ბენ აბდ-ესელან ელ-მოკრი, ელ-ჰადი მუჰამედ ელ-საფარი, აბდულ რახმან ბენისი). კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ესპანეთის პირველი დელეგატი ჰერცოგი ალმოდოვარ დელ რიო.

ამ კონფერენციაზე კვლავ გაგრძელდა ბრძოლა საფრანგეთსა და გერმანიას შორის მაროკოს დაპატრონებისათვის. ორივე მხარე ცდილობდა მოეგო ბრძოლა. მოჭიშპე სახელმწიფოებმა, ქვემეხებისა და დრედნოუტების ნაცვლად, დროებით, დიპლომატია გამოიყენეს ბრძოლის იარაღად.

* * *

გერმანიის მთავრობას დიდი იმედები ჰქონდა კონფერენციისა და იქ გარკვეულ წარმატებებს ითვალისწინებდა. იგი საკმაოდ დარწმუნებული იყო, რომ განახორციელებდა თავის ძირითად მიზანს: ჩაშლიდა საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას მაროკოს საკითხში და ამით ორმხრივ მოგებული იქნებოდა — პოლიტიკურად და ეკონომიურად. გერმანიას, უპირველეს ყოვლისა, იმედი ჰქონდა მოკავშირეთა—ავსტრია-ჰუნგრეთისა და იტალიის—მხარდაჭერისა, იგი ღრმად იყო დარწმუნებული აგრეთვე იმაში, რომ მაროკო განუხრელად გერმანიის პოზიციების განმტკიცებას შეუწყობდა ხელს. გერმანია ხომ მისი „მფარველი“ იყო, „მეგობარი“ და „მოსარჩლე“, რომელიც მაროკოს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიის მთლიანობასა და ხელშეუხებლობას „იცავდა“.

გერმანიამ კონფერენციაზე უპრავლესობის მოპოვების მიზნით ცბიერი ტაქტიკა აირჩია. „მაროკოს გაყოფის“ პრინციპს, რომელზედაც შეთანხმდნენ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები, გერმანიამ დაუპირისპირა „ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის“ პრინციპი. ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, გერმანიის იმპერიალიზმმა უმჯობესად მიიჩნია მაროკოს თავისუფლების ლოზუნგის საფარ ქვეშ გამოსულიყო და არ მოეთხოვა ჯერჯერობით თავისთვის ეს ტერიტორია ან მისი ნაწილი“ [1].

[1] Г. А. Дебориn, Международные отношения в период русско-японской войны и первой Русской революции, М., 1941, გვ. 32.

აქვე გერმანია საქვეყნოდ აცხადებდა, რომ იგი დგას მაროკოში ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორ უფლებათა მოპოვების დამცველთა ოიგებში, რომ იგი იცავს მაროკოში „ღია კარების“ პრინციპს. გერმანიას ამით სურდა გადმოებირებინა მაროკოთი დაინტერესებული სახელმწიფოები. ბიულოვს ა-ა ერთხელ განუცხადებია, რომ „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა“ პრინციპი თვით ინგლისელ ვაჭრებსა და მრეწველებსაც კი ჩვენდამი სიბეჯითეებს აღუძრავსო. ბიულოვი სწერდა თავის ვაშინგტონელ ელჩს, ბარონ შპეკ ფონ შტერნბურგს: „ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილი არ მალავს თავის სინანულს მაროკოს ბაზრის მომავალი დაკარგვის გამო[1]. ბიულოვი კმაყოფილებით შეეგება ცნობას იმის შესახებ, რომ კაიზერის ტანტერში ჩასვლის აღსანიშნავად ინგლისელმა კოლონისტებმა გადაწყვიტეს ტრიუმფალური კაეების მოწყობა[2], რაც მან გერმანიის მიერ მაროკოში „ღია კარების“ პრინციპის წამოყენებისადმი ინგლისელთა მხრივ მადლობისა და თანაგრძნობის ერთ-ერთ გამოვლენად მიიჩნია. ასეთი არაზუსტი შეფასება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებისა ხშირად ახასიათებდა გერმანიის რაიხსკანცლერს, რაც, ცხადია, არ შეეფერებოდა მის რანგსა და პოლიტიკაში ისეთი დიდი პრეტენზიების მქონე ადამიანს, როგორიც იყო ბიულოვი. განა ცხადი არ იყო ის, რომ ინგლისი მაროკოს შეელია მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანიის წინააღმდეგ ერთგული მოკავშირე ეშოვა საფრანგეთის სახით? ბიულოვს ეგონა, რომ „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა“ პრინციპის დაცვის ლოზუნგით მოიხიბლებოდნენ ჩ. ა. შ. შ., ჰოლანდია, ბელგია, შვეცია, პორტუგალია და მაროკოთი დაინტერესებული სხვა სახელმწიფოები; მოიხიბლებოდნენ და გერმანიას ამოუდგებოდნენ გვერდში.

ბიულოვი დარწმუნებული იყო აგრეთვე იმაშიც, რომ ბეფის რუსეთი გერმანიას გაუწევდა თანაგრძნობას, არ დაუშერდა მხარს ანტანტას, გაითვალისწინებდა რა საფრანგეთისა და განსაკუთრებით კი ინგლისის პოზიციებს რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ბიულოვს ეგონა, რომ მეფის რუსეთი სათანადოდ დააფასებდა იმ „კეთილმეგობრულ“ თანაგრძნობას, რომელსაც „ვილი“ (ვილჰელმ II) იჩენდა ძვირფასი „ნიკის“ (ნიკოლოზ II-ის) მიმართ[3].

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6558, გვ. 257.

[2] იქვე, დოკ. № 6576, გვ. 273.

[3] „Zur europäischen Politik“, დოკ. № 37; Rosen, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

ვფიქრობთ, ბიულოვი კაიზერთან ერთად ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ ბიორკეს „შეთანხმებას“ ცხოველმყოფელი ძალა საბოლოოდ არ ჰქონდა დაკარგული.

„ღია კარების“ პრინციპის ცხოვრებაში გატარების შეთხვევაში ბიულოვი იმედოვნებდა, რომ გერმანია ადვილად დასძლეედა სხვა ქვეყნების კონკურენციას და მაროკოში ეკონომიური პოზიციების დაბკვიდრებაში საქმეში საკმარის წარმატებას მოიპოვებდა. როგორც გ. ა. დებორინი აღნიშნავს, გერმანიისთვის, რომელიც გრძნობდა თავის ეკონომიურ უპირატესობას, საჭირო იყო „ნაოლოდ შესაძლებლობა მაროკოში თავისუფლად შეჭრისა და ამ სახელმწიფოსთან ფართო ვაჭრობის წარმოებისა“ [1]. ე. ვ. ტარლე წერს: „გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ ფრანგებისაგან მაროკოს დაცვის დროშის ქვეშ ისინი ხელში ჩაივდებდნენ სულთანს და, რადგანაც გერმანია ეკონომიურად საფრანგეთზე უფრო ძლიერია, ამიტომ მაროკო ეკონომიურად მის ფაქტიურ მფლობელობაში გადავიდოდა“ [2]. გერმანიას თავისი ეკონომიური უპირატესობის იმედი ჰქონდა. იგი იმედოვნებდა, რომ მაროკოში ყველა კონკურენტს დაამარცხებდა და იქ თვით მოიკიდებდა მტკიცედ ფეხს. შემდეგ კი ადვილად დახურავდა კარებს და ამ კარების დამცველად ჯარისკაცსაც დააყენებდა. „ღია კარების“ დაცვა ეს იყო ნიღაბი, რომლითაც გერმანიას მაროკოს მიმართ თავისი აგრესიული ზრახვების დაფარვა სურდა. გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მაროკოს „კარების დახურვა“, მაროკოს მონოპოლიურად დაპატრონება; „ღია კარების“ პრინციპის დაცვა კი ამ მიზნის განხორციელების თავისებური საშუალება იყო. კარები ღიაა, ეუბნებოდა ბიულოვი კონფერენციის შემდეგ გერმანიის კაპიტალისტებს, ახლა თქვენს უნარზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებთ ამ შესაძლებლობას... [3]

ბიულოვი შეუდგა კონფერენციისათვის წინასწარი სამზადისის ჩატარებას. უპირველეს ყოვლისა, მან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცოტა იარაღი ააჟღარუნა“ (etwas mit dem Säbel zu rasseln) [4]. კონფერენციის წინ მან კვლავ ჩვეული მუქარის ხერხს მიმართა.. ჩვენ არ გვსურს საფრანგეთის დიპლომატიური დამარცხება ამ კონ-

---

[1] Г. А. Деборин, დასახ. ნაშრ.. გვ. 59.

[2] История дипломатии, ტ. III, გვ. 752.

[3] Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

[4] Rosen, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ფერენციაზე, ამბობდა იგი, ჩვენ ამ კონფერენციაზე მხოლოდ „ღია კარების“ სისტემას მოვითხოვთ, თუ საფრანგეთი უსიტყვოდ დაგვთანხმდება ამაზე, მაშინ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება; მაგრამ, თუკი საფრანგეთი შეეცდება ღია კარების პრინციპის პირდაპირ თუ არაპირდაპირ უარყოფას, მაშინ, ცხადია, საფრანგეთის ასეთი მოქმედება მეტად კრიტიკულ მდგომარეობას შექმნის და ჩვენს შორის მძიმე კონფლიქტს გარდაუვალს გახდის... ბიულოვს საჭიროდ მიაჩნდა, რომ ფრანგები და მათი სახელმწიფო მოღვაწეები თავიდანვე დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ ამაში და გაეთვალისწინებინათ ის საფრთხე, რომელიც შესაძლოა მოჰყოლოდა მათ მოქმედებას[1]. გერმანიამ უნდა აგრძნობინოს საფრანგეთს, რომ გარკვეულ ვითარებაში შესაძლოა ჩვენთან მძიმე კონფლიქტი მოუვიდეს... რადოლინმა უნდა აღმოფხვრას ფრანგებში იმის რწმენა, რომ ჩვენ თითქოს მხოლოდ „ბლეფს“ მივმართავთ; ჩვენ უნდა ვაიძულოთ ფრანგები სულ სხვაგვარად დაგვიწყონ ცქერა[2]. ასეთია ბიულოვის ინსტრუქციები. როგორც ვხედავთ, ბიულოვი ცდილობს მუქარის გზით დააშინოს ფრანგები და ამით კონფერენციაზე გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს. ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ საფრანგეთის დიპლომატიური ტრიუმფი, ასეთ შემთხვევაში ჩვენ უმალ კონფლიქტზე დავთანხმდებით, განაცხადა კანცლერმა 23 დეკემბერს გამართულ თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ.№6916. ბიულოვი აცხადებს: „...Wir trachten nicht nach einem diplomatischen Siege über Frankreich. Ebensowenig aber würden wir es dulden, wenn Frankreich versuchen sollte, auf der Konferenz einen Triumph über uns davonzutragen. Wir verlangen in Marokko nichts weiter als die Offene Tür für Handel und Gewerbebetrieb aller Nationen, und wir können von diesem Verlangen nicht abgehen. Gesteht Frankreich die Offene Tür rückhaltlos zu, so ist der friedliche Ausgang der Konferenz sicher. Wenn aber Frankreich den Versuch machen sollte, die im Prinzip auch von ihm anerkannte Offene Tür direkt oder etwa irgendwie indirekt, ganz oder teilweise zu verschließen, so müßte ein Beharren Frankreichs auf solchem Wege sonder Zweifel eine sehr kritische Situation herbeiführen und einen schweren Konflikt mit uns unvermeidlich machen. Es ist von entscheidender Wichtigkeit, daß die Französischen Staatsmänner über die hiernach in der Konferenz unbedingt liegende Gefahr von vornherein völlig klar sehen“.

[2] Die Grosse Politik, ტ. XXI. ნაწ. I, დოკ. № 6914.

სტატს მდივანი (მინისტრი) ბარონი ფონ რიხტჰოფენი, მისი მოადგილე ფონ მიულბერგი და სხვანი[1]. როგორც ვხედავთ, ბიულოვი გულმოდგინედ ასრულებდა კაიზერის მითითებას: „წარმართე საგარეო პოლიტიკა ისე, რომ მოარიდე, ყოველ შემთხვევაში ახლა მაინც, ააცილე თავიდან გერმანიას ომი. მაგრამ ეს არ უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ფაშოდა“. ბიულოვმა ომის გაჩაღებას კონფერენცია არჩია. მაგრამ, გერმანიისათვის კონფერენცია „ფაშოდად“ რომ არ ქცეულიყო, აძისთვის იგი მუქარისა და დაშინების ხერხს მიმართავდა. ასეთი მეთოდი კარგს არაფერს უქადდა გერმანიას, ასეთი მეთოდი ამჟიდროვებდა ანტიგერმანულ ბლოკს, ასეთი მეთოდი თუ ახლა არა, მომავალში მაინც „ფაშოდას“ უმზადებდა გერმანიას; ბიულოვისეული ეს მეთოდი მაროკოს კრიზისის მშვიდობიანად მოგვარების ნაცელად კლავ ომის საშიშროებას ქმნიდა.

1905 წლის დეკემბრის დამლევს საფრანგეთის პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ კონფერენციის დღეებში გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს მაროკოს წყლები სამხედრო გემებით გაავსოსო. ბიულოვი უარყოფდა ამ ცნობებს[2]. ჩვენ ეს ცნობები სარწმუნოდ მიგვაჩნია, იგი უპასუხებს ბიულოვისეულ მუქარისა და დაშინების მეთოდს, რომელსაც იგი კონფერენციის სამზადისისას მიმართავდა.

კაიზერმა ახალი წლის წინა ღამეს გენერალიტეტის წინაშე სამხედრო მუქარით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა. მუქარისათვის მტკიცე საფუძვლის მისაცემად გერმანიის მთავრობა თითქმის დაუფარავად განაგრძობს სამხედრო მზადებას, გერმანიის პრესა აშკარად აგრესიულ ტონს ღებულობს, გერმანიის ოფიციალური პირები სრულებით არ ერიდებიან „გერმანული შეჯავშნული მუშტის“ შეთამაშებას. სერ ედუარდ გრეიმ გერმანიის ლონდონელ ელჩთან ვოლფ მეტერნიხთან საუბრისას განაცხადა, რომ მან სხვადასხვა წყაროებიდან ბევრი რამ იცის გერმანიის სამხედრო სამზადისის შესახებ. ვოლფ მეტერნიხმა საკმაოდ ცინიკურად უპასუხა გრეის: „ჩემთვის არაფერია ცნობილი ჩვენში რაიმე განსაკუთრებული სამხედრო მზადების მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ (Wir seien aber stets vorbereitet); ნამდვილ საბასახურში მყოფ 500.000-ანი არმიისათვის წლიდან წლამდე, ცხადია, საჭიროა სამხედრო მასალის დიდი მასშტაბით-

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6914.
[2] იქვე, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6916.

დამზადება და დაგროვება. რადგანაც ჩვენი არმია მუდამ მზადყოფნაშია, ჩვენ არ ვსაჭიროებთ რაიმე სახელდახელო, სასწრაფო სამზადისს" (Da unser Heer stets schlagfertig sei, so brauchten wir auch keine plötzlichen Vorbereitungen zu treffen). სერ ედუარდ გრეიმაც შესაფერისი პასუხი გამონახა: „გერმანიის არმიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მუდამ მზადაა ომისათვის" [1].

მუქარისა და დაშინების პროვოკაციული მეთოდით სურდა ბიულოვს თავისი მოწინააღმდეგეები დათმობაზე წაეყვანა და ამით კონფერენცია გერმანიის სასარგებლოდ წარემართა. გერმანიის ასეთმა პოლიტიკამ საერთაშორისო სიტუაცია მეტად გაართულა, შექმნა მეტად დაძაბული ატმოსფერო. მაროკოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ნაცვლად კვლავ ომის საშიშროებამ იჩინა თავი. საფრანგეთის ხელისუფლება გაურკვეველ მდგომარეობაშია, მისთვის არაა საკმაოდ ნათელი რა სურს ნამდვილად გერმანიას: მაროკოს საკითხის მშვიდობიანად მოგვარება თუ კონფერენციის ჩაშლა და ომი. საფრანგეთში ყოველდღიურად მტკიცდება აზრი, განსაკუთრებით კი სექტემბრის მოლაპარაკების შემდეგ, იმის შესახებ, რომ გერმანია მაროკოს იყენებს, როგორც მხოლოდ საბაბს საფრანგეთთან კონფლიქტის გამწვავებისათვის [2]. ბაგრამ ამჯერად საფრანგეთი თავს უფრო მაგრად გრძნობს, ვიდრე 1905 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში: ინგლისი მასთან ერთადაა, მეფის რუსეთის დახმარების იმედი კვლავ არის. საფრანგეთის პრესა და იმპერიალისტური წრეები გერმანიის მხრივ ომის საფრთხის შესახებ ლაპარაკობენ და მთავრობისაგან სათანადო ზომების მიღებას მოითხოვენ. საფრანგეთმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება ბზად ყოფილიყო გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში. საფრანგეთი შეუდგა შეიარაღებას, მისმა სამხედრო თადარიგმა ფართო ხასიათი მიიღო.

საფრანგეთის გაზეთები „Temps", „Aurore", „Journal des débats", მართალია, უსაყვედურებდნენ დელკასეს, რომელიც გაუფრთხილებლად მოიქცა და საშუალება მისცა გერმანიას დაემცირებინა საფრანგეთი, მაგრამ ისინი სასტიკი წინააღმდეგი გამოდიან იმისა, რომ გერმანიამ კვლავ დაუსრულებლად დამცირება მიაყენოს საფრანგეთს, ახალ დათმობებზე წაიყვანოს იგი და ამით

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6945.

[2] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

შელახოს მისი ღირსება და ავტორიტეტი[1]. ფონ მოლტკე (უმცროსი) წერდა: „ამჟამად ფრანგებს მაროკოს საკითხში შემდგომი უკან დახევა თავიანთი ქვეყნის ღირსების დაბეცირებად მიაჩნიათ, მას შემდეგ რაც მათ ერთხელ უკვე დათმეს და დაუშვეს დელკასეს დაცემა. მაგრამ ისინი შიშობენ, რომ მათი მტკიცედ განოსვლის შემთხვევაში კონფერენცია უშედეგოდ ჩაიშლის და, მეტიც, შესაძლოა, მას სამხედრო კონფლიქტიც კი მოჰყვეს. მათ არ სურთ ომი, თავის მხრივ არც თავდასხმაზე ფიქრობენ; მაგრამ მათ სურთ შეიარაღებულნი დახვდნენ გერმანელთა თავდასხმას“[2]. თავადი რადოლინი იტყობინება პარიზიდან 1906 წლის 8 იანვარს: აქ მეტად მშფოთვარე დღეები სუფევს. პრესაში და ხალხში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ გერმანიას ომი სურს, რომ ფრანგებმა ბევრი რამ დაუთმეს გერმანელებს, რომ გერმანელები კონფერენციაზე საფრანგეთს წაუყენებენ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საფრანგეთის ღირსებას და მაროკოს მიმართ მის ტრადიციულ პოლიტიკას, რომ საფრანგეთი მზად უნდა იყოს ომისათვის; გერმანია არ მალავს თავის შეიარაღებას, ამიტომ საფრანგეთი იძულებულია „თოფის წამალი მშრალად შეინახოს“[3]. საფრანგეთის იმპერიალისტურ-შოვინისტური პრესა ყოველნაირად ცდილობს დასცეს გერმანიის პოესტიჟი, ხაზი გაუსვას გერმანიისადმი საფრანგეთში არსებულ სიძულვილსა და უკმაყოფილებას. ამისათვის ეს პრესა ხშირად პროვოკაციასაც კი მიმართავს. მაგალითად, პარიზში ხმა გავრცელდა, რომ 1906 წლის 1 იანვარს ელისეს სასახლეში საფრანგეთის რესპუბლიკის

---

[1] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[2] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6942. მოლტკე აღნიშნავს: „Meiner Ansicht nach halten die Franzosen jetzt ein weiteres Zurückweichen in der Marokkofrage nicht mit der Würde ihres Landes vereinbar, nachdem sie bereits einmal nachgegeben und den Minister Delcassé fallen gelassen haben. Sie befürchtan indessen, daß infolge ihres festen Auftretens die Konferenz nicht nur ergebnislos verlaufen, sondern sogar zu kriegerishen Verwicklungen führen könnte. Sie selbst wünschen keinen Krieg und denken ihrerseits auch an keinen Angriff. Sie wollen aber gegen einen Angriff Deutschlands gerüstet sein“.

[3] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6931. რადოლინის თანახმად, პარიზში ლაპარაკობენ: „Deutschland mache kein Hehl aus seinen Rüstungen, und so wäre es für Frankreich eine gebieterische Pflicht, sein Pulvor ebenfalls trocken zu halten“.

პრეზიდენტის მიერ დიპლომატიური კორპუსის საახალწლო მიღებისას თავადი რადოლინი არ იქნებაო სტუმართა შორის[1]. ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, რადოლინი იყო ამ დღეს ელისეს სასახლეში.

საფრანგეთის მთავრობამ დიდი მასშტაბის სამზადისი ჩაატარა. გამოიყო სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა საფრანგეთის არმიის მდგომარეობა და დაესახა პრაქტიკული ღონისძიებანი არმიის მზადყოფნაში მოსაყვანად. პრეძიერმა რუვიემ ახალი თანხები მოითხოვა სამხედრო მიზნებისათვის. 1905 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში ჯერ 50 მილიონი ითხოვა, ხოლო მეორედ — უკვე 111 მილიონი. ეს თანხები გამიზნული იყო იმ სასწრაფო ხარჯებისათვის, რომელთაც მოითხოვდა არმიის ახალი შეიარაღება, მომარაგება და ამუნიცირება. ამ მიზნებისათვის პარლამენტმა 1906 წლის თებერვლის თვეში დამატებით კიდევ 32 მილიონი გამოჰყო[2]. მთავრობა არაფერს არ ზოგავდა საფრანგეთის არმიაში არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად, რათა არმია გერმანიასთან ომის შემთხვევაში სრულ მზადყოფნაში მოეყვანა. ფართო მასშტაბით და სწრაფი ტემპებით წარმოებს არმიის წრთვნა; აღმოსავლეთ საზღვრების თავდაცვითი სიმაგრეები მომზადებულ იქნა მომავალი ბრძოლებისათვის, დაიდგა ახალი ქვემეხები, მომარაგებულ იქნა ტყვია-წამალი და პროვიანტი; საშობაო და საახალწლო შეებულებები არმიაში მაქსიმალურად შეზღუდეს, ინტენსიურად წარმოებს ახალწვეულთა მომზადება. საზღვრისპირა რაიონებში განლაგებული ჯარები რიცხობრივად შეავსეს; მოეწყო თადარიგის შემადგენლობის ნაწილობრივი საცდელი მობილიზაცია[3]. გერმანიის არმიის გენერალური შტაბის ახალი უფროსი ფონ მოლტკე იძულებულია აღიაროს, რომ საფრანგეთის ესოდენ ფართო მასშტაბის სამხედრო სამზადისი, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვითი ხასიათისაა: „არ არსებობს არავითარი ნიშანი იმისა, რომ ეს მზადება ხდება თავდასხმის მიზნით. ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვისთვის ხდება“[4],—აღნიშნავდა მოლტკე.

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6931.

[2] Debidour, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[3] Die Grosse Politik. ტ. XXI. ნაწ. I. დოკ. №№ 6941, 6942.

[4] იქვე, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6942. მოლტკე აღნიშნავს: „Zusammenfassend darf ich somit bemerken, daß sich Frankreich sowohl in mili-

ომისათვის მზადებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ინგლისშიც, რის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი.

* * *

კონფერენციის წინ პრემიერ რუვიეს მეტად მტკიცედ ეკავა თავი. ჩანდა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ დათმობდა იმაზე მეტს, რაც მან უკვე დათმო. რუვიემ, როგორც გერმანელები ამბობდნენ, „კვლავ დელკასეს პოლიტიკა განაგრძო დელკასეს გარეშე". მან მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება მედგრად დაეცვა საფრანგეთის ინტერესები, არ დაეშვა საფრანგეთის ახალი დამცირება.

კონფერენციის წინ საფრანგეთის მთავრობამ ერთხელ კიდევ სცადა სეპარატული მოლაპარაკების წარმოება გერმანიასთან. მან წინადადებით მიმართა გერმანიას ეცნო საფრანგეთის უფლებად პოლიციის ორგანიზება დასავლეთ მაროკოშიც, ე. ი. საფრანგეთს უნდა მიეღო პოლიციის მანდატი მთელს მაროკოზე[1]. საფრანგეთის მთავრობა კიულმანის საშუალებით წინადადებას აძლევს გერმანიას ფარულად შეთანხმდნენ მაროკოს საკითხში. რუვიეს სურვილია ბოლო მოუღოს მაროკოს კრიზისს მეტად მარტივი გზით. საფრანგეთს დარჩეს მაროკო, ხოლო გერმანიამ მიიღოს სათანადო კომპენსაცია. საფრანგეთის მთავრობამ გერმანიას შემდეგი ხასიათის ფარული შეთანხმება შესთავაზა: 3—4 წლის განმავლობაში მაროკოში „Status quo" უნდა დარჩეს და თუკი ამ პერიოდში მდგომარეობა არ „გამოსწორდა", მაშინ გერმანიამ ხელი არ უნდა შეუშალოს იმას, რომ მთელს მაროკოში პოლიციის ხელმძღვანელობა საფრანგეთის ხელში გადავიდეს. საფრანგეთი, თავის მხრივ, გერმანიას ჰპირდებოდა მაროკოში „ღია კარების" პრინციპის დაცვას, მაროკოს სახელმწიფოს საწარმოთა საქმიანობაში 45%-ის გერმანიის კაპიტალისტებისთვის დათმობას. ამასთანავე, საფრანგეთი გერმანიას ტერიტორიულ კომპენსაციასაც აღუთქვამდა საფრანგეთის კონგოში, აგრეთვე გერმანიის სასარ-

---

türischer wie in finanzieller Beziehung in sorgfältigster Weise auf einen Krieg vorbereitet. Doch deuten keine Anzeichen darauf, daß dies zu offensiven Zwecken geschieht, vielmehr bereitet sich Frankreich anscheinend zunächst auf die Verteidigung vor".

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. №№ 6901, 6903, 6904, 6905.

გებლოდ სთმობდა თავის სავაჭრო უფლებებს ბელგიის კონგოში[1]. გერმანიას მაროკოს მთლიანად ბელში ჩაგდება ჰქონდა განზრახული, ამიტომ გერმანიის მთავრობამ კატეგორიულად უარყო საფრანგეთის წინადადება. სხვათა შორის, გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის ამ წინადადებიდან მეტად უსუსური დასკვნაც კი გამოიტანა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ფონ მიულბერგის აზრით, საფრანგეთის ასეთი წანადადება თურმე მოასწავებდა იმას, რომ საფრანგეთს მაინცდამაინც არ ჰქონდა იმედი კონფერენციის მის სასარგებლოდ დამთავრებისა[2].

გერმანიის მთავრობა სასტიკი წინააღმდეგი იყო საფრანგეთის მიერ მაროკოს ტერიტორიაზე პოლიციის ხელმძღვანელობაზე პრეტენზიების განცხადებისა. „ბნ. რუვიემ როზენთან მოლაპარაკებისას, სექტემბრის ბოლოს, სიტყვიერი თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ საფრანგეთი კონფერენციაზე არ მოითხოვს საერთოდ მანდატს პოლიციის ხელმძღვანელობაზე მთელს მაროკოში, ამიტომ ჩვენ ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად მიგვაჩნია“, — აცხადებს ფონ ბიულბერგი[3]. ფონ ბიულოვი უფრო კატეგორიულია: საფრანგეთის ასეთი ცდა, ამბობდა იგი 1905 წლის 23 დეკემბერს, გამოიწვევს უეჭველ კონფლიქტს ჩვენს შორისო[4].

* * *

ფონ ბიულოვს მხოლოდ ერთი გარემოება აწუხებს: ვაი თუ გერმანია კონფერენციაზე იზოლირებული აღმოჩნდეს! „ცხადია, ჩვენი ძირითადი მიზანია, — ამბობდა კანცლერი, — ვეცადოთ იზოლირებული არ დავრჩეთ ამ კონფერენციაზე. იზოლიაციის შემთხვევაში აღარაფერი არ გვიშველის, არც დაზვერვა და არც მუქარა, გერმანია სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდება“[5].

ის, რისაც ესოდენ ეშინოდა ბიულოვს, ასრულდა. გერმანია კონფერენციაზე იზოლირებული აღმოჩნდა, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი წარუმატებლობა და მაოცხი ალხესირასში.

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6905.

[2] იქვე.

[3] იქვე, დოკ. № 6904.

[4] იქვე, დოკ. № 6914. ბიულოვი ამბობდა: „Ein solcher Versuch würde deshalb zum Konflikt mit uns führen, und dies müßte daher den Franzosen beizeiten klargemacht werden.

[5] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6905.

ინგლისი, რუსეთი, ჩ.ა.შ.შ., იტალია, ესპანეთი, ბელგია, ჰოლანდია და პორტუგალია ალხესირასის კონფერენციის დროს განუხრელად იცავდნენ საფრანგეთის პოზიციებს, რამაც საფრანგეთს წარმატება მოუტანა. გერმანია მხოლოდ თვითონ მაროკოსა და ავსტრია-ჰუნგრეთის იმედის ანაბარა ღა დარჩა.

ინგლისმა გააასკეცა ერთგულება ახლად შეძენილი მეგობრის — საფრანგეთისადმი. ჩემი მხარდაჭერა აღაფრთოვანებს საფრანგეთს, ფიქრობდა „ცბიერი ალბიონი“, იგი აღარ შეუშინდება გერმანიას და შესაძლოა მოხდეს ის, რაც ესოდენ სანუკვარი იყო ინგლისისათვის — ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ინგლისი ბთლიანად მხარს დაუჭერს საფრანგეთს საფრანგეთ გერმანიის ომის შემთხვევაში, ვკითხულობთ გერმანიის ლონდონელ სამხედრო ატაშე ფონ დერ შულენბურგის საიდუმლო მოხსენებით ბარათში, სიძულვილი გერმანიის მიმართ ზენიტს მიაღწევს, აინთება არნახული ძალით, რასაც უეჭველად მოჰყვება ინგლისის ჩაბმა ამ ომში. წლების განმავლობაში ინგლისი შურის თვალითა და ბოლმით აღსავსე შესცქეროდა იმას, თუ როგორ იფურჩქნებოდა და ძლიერდებოდა გერმანიის მრეწველობა, თუ როგორ იზრდებოდა გერმანიის მსოფლიო ძალა და მნიშვნელობა დღედადღე მზარდი ფლოტის წყალობით. მან კარგად იცის, რომ საფრანგეთთან დუელის შემდეგ მოსალოდნელია გერმანიის შემდგომი გაძლიერება. ყველა ეს მოსაზრება, — დაასკვნის გრაფი ფონ დერ შულენბურგი, — ჩანს, აიძულებს ინგლისს მონაწილეობა მიიღოს ომში, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე, რათა შეძლებისდაგვარად დაასუსტოს გერმანია, მოსპოს მისი ფლოტი და მოშალოს მისი მსოფლიო ვაჭრობა [1].

მომენტი გერმანიის წინააღმდეგ დარტყმისათვის ინგლისელებს ხელსაყრელად მიაჩნდათ. რუსეთის წარმომადგენელი ინდოეთში კლემი საიდუმლოდ ატყობინებს თავის მთავრობას იმის შესახებ, რომ ინგლისელი სამხედრო პირები განსაკუთრებით ხელსაყრელად მიიჩნევენ ეხლანდელ მომენტს გერმანიაზე საგრძნობი დარტყმისათვის, რაც ხანგრძლივად მოახდენს გერმანიის მსოფლიო ვაჭრობისა და კოლონიური პოლიტიკის პარალიზებას. არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ საფრანგეთ-ინგლისის გაერთიანებულ ფლოტს შეუძლია სწრაფად გაანადგუროს გერმანიის ჯერ სამხედრო, ხოლო შემდეგ კი კომერციული ფლოტი. ამავე დროს

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6946.

ვრცელდება ხმები, რომ ლორდი კიტჩენერი ემზადება ინგლისში გასამგზავრებლად, რათა საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში სათავეში ჩაუდგეს 100.000-იან არმიას და დაუყოვნებლივ გადავიდეს ჰოლანდიაში[1]. 1905 წლის დეკემბერში ადმირალი სერ ჯონ ფიშერი ეუბნებოდა პოლკოვნიკ რეპინგტონს, რომ „იგი მზადაა, თავისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, ბრძანება მისცეს ბრიტანეთის ფლოტს გაემართოს იქით, სადაც მისი ყოფნა აუცილებელია“[2] (ე. ი. თავს დაესხას გერმანიის ახალგაზრდა ფლოტს და მოახდინოს მისი „კოპენჰაგირება“ — გ. კ.).

ითვალისწინებდა რა შესაძლო კონფლიქტს, ბრიტანეთის მთავრობა სათანადო სამხედრო თადარიგს შეუდგა. ეს სამზადისი დაიწყო კონფერენციის წინ და კონფერენციის მსვლელობის დროსაც გრძელდებოდა. ინგლისში მზადდება 150.000 კაცისაგან შემდგარი საექსპედიციო კორპუსი. გათვალისწინებული იყო საექსპედიციო კორპუსის კონტინენტზე გადასხმის სამი პუნქტი: შლეზვიგ-ჰოლშტაინი — დანიაზე გავლით, ანტვერპენი — ბელგიაზე გავლით, კალე და დიუნკერკი[3]. ჩრდილოეთ ზღვაზე თავმოყრილ იქნა ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი[4]. ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის მოლაპარაკება მთელი ძალით გაიშალა. მოლაპარაკებაში ჩაბმულ იქნა, აგრეთვე, ბელგიის გენერალური შტაბიც. აქ დაწვრილებით იქნა შემუშავებული გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედების ერთობლივი პროექტი. ინგლის-საფრანგეთის ბლოკი ენერგიულად ემზადება ომისათვის, ითვალისწინებს რა კონფერენციის ჩაშლის შესაძლებლობას და ომის საფრთხეს.

კონფერენციის მსვლელობის მთელს მანძილზე ინგლისი გვერდში ედგა საფრანგეთს და ყოველმხრივ უწყობდა მას ხელს. „ბრიტანეთის მთავრობა შეუერთდება ყველა წინადადებას, რომელსაც საფრანგეთი თავისთვის მისაღებად მიიჩნევს“, — ამცნობდა სერ ედუარდ გრეი რუსეთის მთავრობას[5]. ა. ს. იერუსალიმსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციაზე „ინგლისის პოლიტიკა უფრო მეტად ფრანგული იყო, ვიდრე თვით საფრანგეთის პოლიტიკა. ინგლისის პოლიტიკა მიზნად ისახავდა საფ-

---

[1] Красный Архив, 1930, ტ. 4—5 (41—42), გვ. 29.
[2] Ф е ш, დასახ. ნაშრ., გვ. 145.
[3] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6946.
[4] Красный Архив, 1930, ტ. 4—5 (41—42), გვ. 28.
[5] იქვე, გვ. 22.

რანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას, გერმანიისათვის დაძაბული იზოლიაციის მდგომარეობის შექმნას; საბოლოო ანგარიშში კონფერენციის ჩაშლასაც კი მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ კონფერენციის ჩაშლის გამო ფორმალური პასუხისმგებლობა გერმანიას დაჰკისრებოდა[1]. თუ კონფერენციის ჩაშლის შემდეგ გაჩაღდებოდა ომი, „ცბიერი ალბიონი“ ეტყოდა თავის ხალხს: ჩვენ მშვიდობა გვსურდა, მაგრამ გერმანიამ არ ისურვა ეს, კონფერენცია ჩაშალა და ომი მოგვახვია თავსო... სერ ედუარდ გრეი თავის დელეგატს ალხესირასში ნიკოლსონს შემდეგ ინსტრუქციებს აძლევდა: „თუ საჭირო შეიქნა კონფერენციის ჩაშლა, საფრანგეთი არ უნდა აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, როცა შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ, თითქოს, დამნაშავე საფრანგეთია“[2]. „ალხესირასში ლონდონი მტკიცედ და განუხრელად იცავდა ახლახან გამოქვედილ ინგლის-საფრანგეთის ანტანტას“,—წერს იერუსალიმსკი[3].

ბრიტანეთი ყოველნაირად ცდილობს ხაზი გაუსვას საფრანგეთთან „მეგობრობას“. მეფე ედუარდ VII 1906 წლის მარტის დასაწყისში ესტუმრა პარიზს. ინახულა პრეზიდენტი ფალიერი (ლუბე გადაირჩიეს 1906 წლის 17 იანვარს) და სადილზე მიიპატიჟა იგი პრემიერ რუვიესთან ერთად. 5 მარტს მეფემ საუზმეზე მიიღო ექს-პრეზიდენტი ლუბე და ექს-მინისტრი თეოფილ დელკასე. სტუმრებს მეფე დიდი პატივისცემით შეხვდა. ბელგიის პარიზელი ელჩი სწორ შეფასებას აძლევს ამ ამბავს. „მოიწვია რა თავისთან ის, ვისი გადაყენებაც გერმანიამ მოითხოვა, — წერს იგი, — მან უფრო განამტკიცა 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება, მოახდინა იმ პოლიტიკის სანქციონირება, რომლის წინააღმდეგაც გერმანია სასტიკ პროტესტს აცხადებდა“[4]. ამგვარად, ინგლისის მხრივ მხარდაჭერაში საფრანგეთი სავსებით გარანტირებული იყო.

ალხესირასის კონფერენციის ბედის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის რუსეთის პოზიციას. მეფის რუსეთი

---

[1] Красный Архив, 1930, ტ. 4—5 (41—42), გვ. 3, ა. ს. იერუსალიმსკის შესავალი სტატია.

[2] Красный Архив, მითით. ტომი, გვ. 3—4.

[3] იქვე, გვ. 3, ა. ს. იერუსალიმსკის შესავალი სტატია. ასევე აფასებს ლონდონის პოლიტიკას ბელგიის პარიზელი ელჩიც, იხ. „Zur europäischen Politik, დოკ. № 100.

[4] „Zur europäischen Politik“, დოკ. № 33.

კონფერენციის დროს საფრანგეთს ამოუდგა მხარში და მოკავშირეს ენერგიული დახმარება გაუწია[1].

კონფერენციის წინ მეფის რუსეთის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. იაპონიასთან ომმა თვითმპყრობელობა შეარყია, მისი ძლიერება შეასუსტა, ხოლო 1905 წლის რევოლუცია წალეკვას უქადდა მას. რუსეთი ფულს ეძებს, რათა კრიზისიდან თავი დააღწიოს და შეძლოს რევოლუციის ჩახშობა. საკუთარი ხაზინა ცარიელია, საჭიროა სესხი; ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლო ცარიზმის დაკმაყოფილება ფინანსებით საფრანგეთი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთმა საფრანგეთს სესხი ჯერ კიდევ პორტსმუტის ზავამდე სთხოვა. გვახსოვს, აგრეთვე, რა პასუხი მიიღო ვიტემ. პორტსმუტიდან დაბრუნებული ვიტე 6 სექტემბერს კვლავ პარიზშია და სესხს თხოულობს. აკი, სესხის საწინდრად რუვიე ვიტეს იაპონიასთან ზავის დადებას სთხოვდა. ვიტეს სესხზე კვლავ უარს ეუბნებიან. საფრანგეთის მთავრობა და ფინანსური წრეები აშკარად უცხადებენ ვიტეს, რომ ეხლა, სანამ მაროკოს საკითხი გადაწყვეტილი არაა და დღის წესრიგში დგას კონფერენციის საკითხი, სესხის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია[2]. რუსეთი მიიღებს ფულს იმ შემთხვევაში, თუკი კონფერენცია და საერთოდ მაროკოს საკითხი საფრანგეთის სასარგებლოდ გადაწყდება. მოკლედ, საფრანგეთი მოითხოვდა რუსეთისაგან მაროკოს საკითხში ერთგულ მხარდაჭერას და „მეგობრულ“ სამსახურს. ვიტე მიხვდა ამას და დაუყოვნებლივ შეუდგა მოქმედებას. რუვიესთან საუბრის შემდეგ ვიტე თავად რადოლინთან გაემგზავრა და მაროკოს საკითხზე ჩამოუგდო საუბარი. მაშინ, როგორც ვიცით, მოლაპარაკება წარმოებდა როზენსა და რევუალს შორის, მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო. მაროკოს საკითხის გამო მდგომარეობის გართულება, — ეუბნებოდა ვიტე რადოლინს, — ხელსაყრელი არ არის არც რუსეთისათვის და არც გერმანიისთვის; განა შეიძლება მაროკოს გულისათვის დიდი ომის მომზადება? გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომის შემთხვევაში ხომ საერთო ომი დაიწყება, რომელშიც მონაწილეობას რუსეთიც მიიღებს[3]. ამგვარად ვიტე აფრთხილებს გერმანიას, რომ რუსეთი

---

[1] რუსეთის პოლიტიკის შესახებ ალხეზირასის კონფერენციაზე იხ. Красный Архив, 1930. ტ. 4—5 (41—42); Красный Архив, 1931, ტ. 1 (44); Витте, Воспоминания, ტ. I.

[2] Витте, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 370.

[3] იქვე, გვ. 371.

საფრანგეთს ზურგს უმაგრებს და იმედოვნებს, რომ ამის გამგონე გერმანია შეკვეცს თავის პრეტენზიებს.

პარიზიდან ვიტე კაიზერს ესტუმრა რომინტენში[1]. აქ მან მეტად ოსტატური დიპლომატიური კომბინაცია გაითამაშა, რომლის მიზანი იყო ვილჰელმზე ზეგავლენის მოხდენა, რათა მას დაეთმო საფრანგეთისათვის და გადაეწყვიტა კონფერენციის მოწვევის საკითხი. ვილჰელმმა „დაუთმო“ ვიტეს და მისი თანადასწრებით დეპეშის ტექსტი შეადგინა ბიულოვის სახელზე. მან აუწყა ვიტეს, რომ იგი შეასრულებს მის თხოვნას. ვიტეს ვილჰელმმა არაჩვეულებრივი მიღება მოუწყო. იგი, შეიძლება ითქვას, „თავს ევლებოდა“ რუსეთის გავლენიან მოხელეს: მას გერმანიის იმპერიის უმაღლესი ორდენი უბოძა, სადგურამდე მიაცილა, ერთი სიტყვით, მიიღო ისე, როგორც რომელიმე მონარქს მიიღებდა. ამ შემთხვევაში ვილჰელმ II-ეს ბიორკეს შეთანხმების ბედი აწუხებდა, რომელსაც რატიფიკაცია აკლდა, ხოლო პორტსმუტის შემდეგ რუსეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე სწორედ ვიტე იყო გამიზნული; ვილჰელმი იმედოვნებდა, რომ იმპერატორის პატივისცემით მოხიბლული ვიტე ხელს შეუწყობდა ბიორკეს შეთანხმების შემდგომ წარმატებას.

ვიტე თავის მემუარებში საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მან დაიყოლია ვილჰელმი და მიაღწია მაროკოს საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას; თითქოს მან ააცილა გერმანიასა და საფრანგეთს ომი მაროკოს გამო[2]. ვფიქრობთ, ვილჰელმ II-ის ვიტესადმი „დათმობა“ აიხსნება ისევ და ისევ კაიზერის ზრუნვით ბიორკეს შეთანხმების ბედისადმი. ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ რატომ არჩია გერმანიამ მაროკოს საკითხის დიპლომატიური გზით გადაწყვეტა, ამის შესახებ უკვე ზევით ითქვა.

სტოვებდა რა რომინტენს, ვიტემ სადგურიდანვე ცნობა გაუგზავნა რუვიეს: კონფერენციის საქმე მოგვარდაო[3]. რუსეთი საფრანგეთისაგან ფულს ელოდა.

საფრანგეთის მთავრობა პირდაპირ უცხადებს რუსეთს, რომ სესხი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი კონფერენცია საფრანგეთის სასარგებლოდ დამთავრდება.

ამგვარად, მეფის რუსეთი ალპესირასის კონფერენციის სწრაფად, მშვიდობიანად და საფრანგეთის სასარგებლოდ დამთავრე-

---

[1] Витте, დასახ. ნაშრ., თავი 29, „Роминтен“, გვ. 375—384.

[2] იქვე, გვ. 383.

[3] იქვე.

ბის მოსურნე უნდა ყოფილიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლამზდორფი კასინის სწერდა: „მართალია, რუსეთს მაროკოში პირდაპირი ინტერესები არა აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალი პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონფერენციის ამოცანების არა მარტო მშვიდობიანად გადაწყვეტას, არამედ კონფერენციის რაც შეიძლება მალე დამთავრებას; ეს ბოლოს მოუღებს ამჟამად არსებულ დაძაბულ გაურკვევლობას, რომელიც ხელს გვიშლის მოვაწესრიგოთ ფინანსური ოპერაციები“ [1]. რუსეთის მთავრობამ თავისი პირველი ღელეგატი ალხესირასის კონფერენციაზე გრაფი კასინი სპეციალური საიდუმლო ინსტრუქციით აღჭურვა: „ჩვენი მოვალეობაა როგორც მოკავშირისა, — ვკითხულობთ მთავრობის ინსტრუქციაში, — ყოველგვარი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რათა საფრანგეთს გაუადვილდეს დასახული მიზნის განხორციელება [2]. „რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა უზრუნველეყო საფრანგეთისათვის საქმის სასურველი გადაწყვეტა“, — აღნიშნავს რუსეთის ფინანსთა სამინისტროს საგანგებო აგენტი რაფალოვიჩი [3]. „თუკი მაროკოს საქმეები საფრანგეთისათვის სასარგებლოდ წარიმართა, ეს მხოლოდ რუსეთის წყალობით“, — აცხადებდა ვიტე [4].

მეფის რუსეთი აფრთხილებდა გერმანიას, რომ რევოლუცია, რომელიც ძირს უთხრის რუსეთში მონარქიულ სისტემას, შესაძლოა გერმანიაშიც გავრცელდეს, რის სიმპტომებმაც უკვე იჩინეს კიდეც თავი. მეფის რუსეთმა უნდა ჩაახშოს ეს რევოლუცია, რითაც იგი გერმანიასაც იხსნის. რევოლუციის ლიკვიდაციისათვის რუსეთს თანხები სჭირდება; ამ თანხების გაღება საფრანგეთს შეუძლია ყველაზე უფრო; საფრანგეთი თანახმაა, საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: მაროკოს გარშემო დავა მალე და მშვიდობიანად მოთავდეს [5]. ვილჰელმ II-ეს ნიკოლოზ II-ემ პირადად ორი წერილი გაუგზავნა. მეფეს კაიზერზე ზეგავლენის მოხდენა და კონფერენციის ადრე დამთავრება სურდა [6].

---

[1] Красный Архив, 1930, ტ. 4—5 (41—42), გვ. 13.
[2] იქვე, გვ. 10.
[3] Красный Архив, 1931, ტ. 1 (44), გვ. 162.
[4] იქვე, გვ. 163,
[5] Красный Архив, 1930, ტ. 4—5 (41—42).
[6] Красный Архив, 1931, ტ. I, (44), გვ. 162.

1906 წლის მარტში საფრანგეთის გაზეთ „Temps"-ის რედაქციამ საიდანღაც ხელთ იგდო და გამოაქვეყნა რუსეთის მთავრობის საიდუმლო ინსტრუქციის ტექსტი, რომელიც გრაფ კასინის სახელზე იყო გაგზავნილი. საიდუმლო ინსტრუქცია მოწმობდა, რომ რუსეთი თავიდან ბოლომდე საფრანგეთს უქერდა მხარს[1]. ამ გამომჟღავნებამ გერმანიის ბანაკში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ამიერიდან გერმანიისთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ რუსეთი საფრანგეთის მხარეზეა. ბოლოს და ბოლოს, რუსეთმა ამის შესახებ აშკარადაც განაცხადა, რამაც დააჩქარა გერმანიის მიერ ფარ-ხმლის დაყრა და კონფერენციის დამთავრება.

საფრანგეთმა დაუფასა მეფის რუსეთს ერთგული სამსახური. 1906 წლის 3 აპრილს, კონფერენციის დასასრულს, რუსეთის ცარიზმმა მიიღო სანუკვარი სესხი.

იტალია „სამთა კავშირის" წევრად ითვლებოდა და მოსალოდნელი იყო, რომ იგი თავის მოკავშირე გერმანიას ამოუდგებოდა მხარში, მაგრამ მოხდა პირიქით, იტალია საფრანგეთისა და ინგლისის ბანაკში აღმოჩნდა და თავის „მოკავშირე" გერმანიის წინააღმდეგ გამოვიდა. როგორც ვიცით, იტალია ადრევე დაუახლოვდა საფრანგეთს. ჩვენ გავეცანით საფრანგეთსა და იტალიას შორის დადებულ ფარულ შეთანხმებას, რომლის ძალითაც საფრანგეთმა იტალიას ტრიპოლი „დაუთმო", ხოლო იტალიამ მაროკოში საფრანგეთის „მშვიდობიან შეჭრას" დაუჭირა მხარი. 1906 წლის 8 მარტს იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბარონმა სონინომ პირდაპირ განაცხადა: „დავრჩებით რა სავსებით ლოიალურნი სამთა კავშირის მიმართ, ჩვენ მხარს დავუჭერთ ტრადიციულ მეგობრობას ინგლისთან და კეთილმეგობრულ განწყობილებას საფრანგეთთან"[2]. იტალიის დელეგატი ალხესირასის კონფერენციაზე — მარკიზი ვისკონტი ვენოსტა — კონფერენციის წინ საკმაოდ ცაფიოდ ამჟღავნებდა იტალიის პოზიციებს: „იგი,— ამბობს რადოლინი, — ძალზე შეგნებულად უდგება იტალიის ვალდებულებას სამთა კავშირისადმი, გერმანიისადმი, მაგრამ სურს მოიქცეს ისე, რომ არა ავნოს რა კეთილგანწყობილებას საფრანგეთთან"[3]. სწორედ იტალიის შესახებ ამბობდა ვილჰელმი: „ბიბ-

---

[1] Красный Архив, 1930, ტ. 4—5 (41—42), გვ. 48, 49, 50, 51. „Zur europäischen Politik", დოკ. № 37.

[2] Деборин, Международные отношения в период русско-японской войны, გვ. 60.

[3] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6935.

ლიაში ნათქვამია, რომ არ შეიძლება ემსახურო ორ ბატონს — საფრანგეთ-ინგლისსა და სამთა კავშირს. ეს სრულიად შეუთავსებელია“ [1]. იტალიას საფრანგეთთან და ინგლისთან ხელიხელჩაკიდებულს უნდა ევლო; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ განახორციელებდა იმ „უფლებებს“, რომლებიც მან საფრანგეთისაგან 1900 წლის საიდუმლო შეთანხმების ძალით მოიპოვა, ე. ი. ვერ განახორციელებდა თავის აგრესიულ ზრახვებს ტრიპოლის მიმართ.

იტალიის საფრანგეთთან დაახლოება გერმანიას დიდ უსიამოვნებას ჰგვრიდა. მაგრამ იგი „მოტყუებული ქმრის“ როლში გამოდიოდა და ცდილობდა საბოლოოდ არ დაეკარგა ცოლი, რომელიც, მიუხედავად ღალატისა, მაინც სანუკვარი იყო „რქადადგმული“ ქმრისათვის. იტალიის შესახებ ბიულოვი ამბობდა: „ბედნიერი ქორწინების შემთხვევაში ქმარი არ უნდა აღელდეს, თუკი მისი მეუღლე ვალსის ზედმეტ ტურს იცეკვებს სხვასთან. მთავარია, იგი არ გაექცეს მას; მაგრამ არ გაექცევა, თუკი გრინობს, რომ ქმართან იგი უკეთ იცხოვრებს“ [2]. გერმანია განაგრძობდა „მოფერებას“; მოღალატე „ცოლი“ რჩებოდა მასთან, მაგრამ საჭირო მომენტში ღალატისათვის მზად იყო.

ალხესირასის კონფერენციაზე იტალიის ღალატი სამთა კავშირისადმი უეჭველი ფაქტია. მიუხედავად ამისა, ბიულოვი დაჟინებით ცდილობს ამ ღალატის უარყოფას. ბიულოვი თავის ნაშრომში „თვითმპყრობელი გერმანია“, რომელიც პირველი იმპერიალისტური ომის წინ დაიწერა, წერდა: „ევროპის ისტორია იშვიათად არის მოწმე ისეთი ძლიერი და ხანგრძლივი კავშირისა, როგორიც სამთა კავშირი იყო“ [3]. აქვე ბიულოვი ამტკიცებს, რომ თითქოს, იტალია არასდროს არ ცდილა და თურმე აზრადაც კი არ მოსვლია ელალატა კავშირისათვის, არც ალხესირასში და არც სხვაგან. „იტალიის მიერ ალხესირასის კონფერენციაზე დაკავებული პოზიციის შესახებ მთელი რიგი ლეგენდები შეიქმნა, — წერს ბიულოვი. — უთითებდნენ იმაზე, რომ ალხესირასში იტალიამ ჩვენ მარტო დაგვტოვა მძიმე მომენტში, ანდა ჩვენს მიმართ მან ორპირობა გამოიჩინა... საქმე იმაში იყო, რომ იტალიამ ზოგიერთ მეორეხარისხოვან საკითხებში ხმა მისცა ჩვენს წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად. ეს ფაქტი ხელზე დაიხვია

---

[1] Дебориn, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[2] Фей, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

[3] Бернгард фон Бюлов, Державная Германия. Петроград—Москва, 1915, გვ. 42.

საფრანგეთის პრესამ და მსოფლიოს აუწყა, რომ თითქოს იტალია გამოვა სამთა კავშირიდან და საფრანგეთს დაუმეგობრდება[1]. აშკარაა, რომ ბიულოვი კვლავ „ეფერება“ მოღალატე მეგობარს. ექს-კანცლერი გრძნობს მოახლოებულ ომს, გრძნობს, რომ იტალია ხელიდან ეცლება და ყოველნაირად ცდილობს დაუყვავოს, მოეფეროს, შეირიგოს, კვლავ მოხიბლოს მერყეი მეგობარი: მზადაა ყველაფერი აპატიოს მას. სამთა კავშირი გერმანიის დიპლომატიის, ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი რეალური პრაქტიკული მიღწევა იყო, რომელზედაც გერმანიის მმართველები დიდ იმედებს ამყარებდნენ. გერმანიის დიპლომატია (და თვით გადამდგარი კანცლერიც) ცდილობდა ევროპის საზოგადოებრივი აზრისთვის წარმოედგინა, რომ ეს შეკრული მყარი და საფუძვლიანი იყო.

ბიულოვი ხედავდა იტალიის ორგულობას. მას არ ჰქონდა ვისკონტი ვენოსტას იმედი. უნდა ვეცადოთ, სწერდა ბიულოვი რადოვიცს (გერმანიის ელჩს მადრიდში და პირველ დელეგატს ალხესირასის კონფერენციაზე), რომ ვისკონტი ვენოსტა ჩვენს თვალსაზრისზე დავაყენოთო[2]. ამ საქმეში ბიულოვს რადოვიცის დიდი იმედი ჰქონდა: „მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ თქვენი აღმატებულება მოახერხებს იტალიის დელეგატის ჩვენს მხარეზე გადმობირებას“, — სწერდა რაიხსკანცლერი რადოვიცს[3]. ამაოდ დაშვრნენ ბიულოვი და რადოვიცი, იტალია საფრანგეთის ერთგული დარჩა.

ესპანეთი, როგორც ვიცით, 1904 წლის ხელშეკრულებების ძალით მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთთან და ინგლისთან; საფრანგეთთან 1904 წლის 3 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების ძალით იგი მაროკოს გაყოფის მონაწილე გახდა. მას თავისი წილის მიღების იმედი მხოლოდ საფრანგეთის გამარჯვების შემთხვევაში შეეძლო ჰქონოდა. ცხადია, ესპანეთი ენერგიულად უჭერდა მხარს საფრანგეთს. ბიულოვი ამბობდა: „ესპანეთი და საფრანგეთი შეიძლება განხილულ იქნენ როგორც პოლიტიკური ერთიანობა... ესპანეთი არა მარტო გეოგრაფიულად,

---

[1] Бернгард фон Бюлов, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[2] „Es kommt darauf an, Herrn Visconti Venosta für die Gesichtspunkte unserer Marokkopolitik zu gewinnen...“. Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6929.

[3] „Ich zweifle nicht, daß es Eurer Exzellenz gelingen wird, darnach den italienischen Delegierten für unseren Standpunkt zu gewinnen“. იქვე.

არამედ ფინანსურად და კულტურულადაც საფრანგეთის კუდს წარმოადგენს"-ო ...[1].

ჩრდ. ამერიკის შ. შ. ნაკლებად იყო დაინტერესებული მაროკოთი, თუმცა „ღია კარების" პრინციპი გარკვეულად ხიბლავდა მას. ა. შ. შ. ფინანსური და პოლიტიკური წრეები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ინგლისთან და კონფერენციაზე ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. მათ იკისრეს შუამავლის როლი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დაეინებით ურჩევდნენ გერმანიას დაეთმო საფრანგეთისათვის. თავისი პოლიტიკის შესახებ თეოდორ რუზველტი ამბობდა: „ვაჟართვი რა ვილჰელმს მარცვლის ნაწილი, მე შევეცადე, რომ ჩენჩო მთლიანად მას დარჩენოდა, რომ ეს ჩენჩო შეღებილი ყოფილიყო ისე, როგორც მას სურდა" [2].

ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია და შვეცია მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ინგლისთან და საფრანგეთთან და კონფერენციაზე მათ მხარეზე გამოდიოდნენ.

გერმანიის ერთადერთი საიმედო მოკავშირე ავსტრია-ჰუნგრეთი უნდა ყოფილიყო, მისი ძველი მეგობარი. მაგრამ არც აქ გაუმართლდა იმედი ბიულოვს. ფრანც-იოსები, რომელსაც არ შეეძლო ომში ჩაბმა, მოსურნე იყო კონფერენციის მშვიდობიანად დამთავრებისა. ავსტრია-ჰუნგრეთი მაინცდამაინც ენერგიულად არ ეხმარებოდა გერმანიას, იგი უფრო შუამავალს მოგვაგონებდა. ვილჰელმ II არ იყო კმაყოფილი თავისი მოკავშირისა. ამით აიხსნება მისი დეპეშა, გაგზავნილი 1906 წლის 28 მარტს ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის გრაფ აგენორ ფონ გოლუხოვსკის სახელზე. ვილჰელმი „ალხენირასში გულმოდგინეობისათვის" მადლობას უხდის ერთგულ მოკავშირეს, რომელიც კონფერენციაზე დუელის დროს აღმოჩნდა „ბრწყინვალე სეკუნდანტის როლში", ე. ი. ბრძოლის მოწმედ და არა მონაწილედ [3]. არანაკლებ აღშფოთებით იგონებს ავსტრიის მოქმედებას კონფერენციაზე ბარონი როზენი. იგი ავსტრია-ჰუნგრეთს არც იმის ღირსადა სთვლის, რომ მან ბრწყინვალე სეკუნდანტის სახელი ატაროს [4]. ავსტრია არ იყო მზად ომისათვის, გარდა ამისა ძნელი იყო საზოგადოებრივი

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XX, ნაწ. I, დოკ. № 6558.

[2] Паркер Томас Муп, Империализм и мировая политика, გვ. 121.

[3] Политика, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

[4] Rosen, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

აზრის დარწმუნება იმაში, რომ მაროკოსათვის ომი ავსტრია-ჰუნგრეთისათვის საჭირო და სასარგებლო იყო. ამიტომ ავსტრია-ჰუნგრეთს არ სურდა მაროკოს გულისათვის საფრთხეში გაბმულიყო. როდესაც კონფერენციაზე კრიზისმა ზენიტს მიაღწია ფრანც-იოსებმა კაიზერს წერილი მისწერა, სადაც ამბობდა, რომ მართალია ავსტრია-ჰუნგრეთი გერმანიასთან ერთად ყველგან წავა, მაგრამ ამჟამად ორიენი იზოლირებულნი არიან და კონფერენციის ჩაშლა მათ მეტად მძიმე შედეგებს უქადის[1].

მაროკოს სულთანი მოხიბლული იყო თავისი „მფარველით", მაროკოს სუვერენიტეტისა და ხელშეუხებლობის დამცველის ნიღაბით მოქმედი გერმანიით. მაროკოს საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ნაწილი უჯერებდა გერმანიას. „ვილჰელმი აქ ალაჰმა მოაველინა ფრანგების მზაკვრობის წინააღმდეგ"[2], — ასე ფიქრობდნენ გერმანელების მიერ მოჯადოებული მაროკოელები. სულთანი და მისი ვეზირები გერმანიას უჭერდნენ მხარს და კონფერენციაზე მისი მოკავშირის როლში გამოდიოდნენ. მაროკოელებს საკმარისად ესმოდათ, რომ რეფორმათა ფრანგული წინადადებების პირდაპირი მიღება მოასწავებდა საფრანგეთის პროტექტორატს. კონფერენციის შემთხვევაში ისინი იმედოვნებდნენ, რომ საკითხის საერთაშორისო ბაზისზე მოგვარება მოხდებოდა, რომ მაროკო ასეთი გზით პირობითი დამოუკიდებლობის გარანტიას მაინც მიიღებდა[3].

სულ სხვანაირად ფიქრობდნენ მაროკოს ხალხი და მაროკოს ხელმძღვანელი წრეების პროგრესიული ნაწილი. ისინი საერთოდ აღშფოთებას გამოთქვამენ. მათ ღრმად სწამთ, რომ ევროპელებს სურთ მაროკოს დამონება, მაროკოსთვის ნაციონალური დამოუკიდებლობის წართმევა. უკმაყოფილება უცხოელთა მიმართ მაროკოს ხალხში ყოველდღიურად იზრდება. მაროკოს სულთანი აბდ-ელ-აზიზი და მისი კარისკაცები, რომლებიც ევროპის სახელმწიფოთა ტიკინებად გადაიქცნენ, ანგარიშს არ უწევენ ხალხის განწყობილებას. სულთანი ფეხქვეშ ეგება გერმანიას, თავისი ხალხის ინტერესებს გერმანელ კაპიტალისტთა სამსხვერპლოს სწირავს. სულთანი ლაპარაკობს მაროკოში არსებულ „რეაქციულ ელემენტების" შესახებ, რომლებიც, თურმე, ეწინააღმდეგებიან

---

[1] Дипломатический Словарь, ტ. I გვ. 57.
[2] „Zur europäischen Politik", დოკ. № 3.
[3] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6394.

უცხოელების ცდას „დაეხმარონ“ მაროკოს[1]. სულთანი დარწმუნებულია იმაში, რომ უცხოელთა დახმარება აუცილებელია, — აცხადებდა გრაფი ტატენბახი, — მაგრამ მის ქვეშევრდომთა შორის, ძირითადად „გაუნათლებელ“ ნაწილში, არიან ისეთებიც, რომლებიც არ იზიარებენ სულთნის შეხედულებებს[2]. სწორედ ეს „რეაქციული ელემენტები“ მაროკოს სულთნის ქვეშევრდომთა გაუნათლებელი ნაწილი“ წარმოადგენდა მაროკოს ხალხის ჯანსაღ ნაწილს, რომელიც უცხოელთა ბატონობის მოსურნე არ იყო, რომელსაც სურდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა და უცხოეთის კაპიტალის კაბალისაგან მისი დახსნა.

მაროკოს ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევს ევროპის სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებული ალხესირასის კონფერენცია. ამ კონფერენციის სახით მას წარმოდგენილი აქვს ძალა, მიმართული მაროკოს ხალხის წინააღმდეგ. ამ კონფერენციაში იგი ხედავს ევროპის სახელმწიფოთა ცდას დაიმონონ მაროკო ეკონომიურად და პოლიტიკურად. დიდ მჩეთებში ანათემა და წყევლა გაისმის ქრისტიანთა წინააღმდეგ, რომლებიც შეკრებილან ალხესირასში მაროკოს მოსპობის მიზნით. ისლამის მსახურნი წყევლა-კრულვას უთვლიან ყველა იმ მუსლიმანს, რომელიც გიაურებთან ითანამშრომლებს, რომელიც თავის ბავშვებს გაგზავნის გიაურთა სკოლებში, სადაც მუსლიმან ბავშვების სულიერი მოწამლა ხდება[3]. ისლამის მსახურნი მოუწოდებენ არაბებს აღარ გაუშვან ბავშვები ფრანგულ სკოლებში. როგორც ინგლისური გაზეთი „Daily Mail“ იტყობინება თავის 1906 წლის 27 მარტით დათარიღებულ კორესპონდენციაში, მაროკოელები ალხესირასის კონფერენციას თვლიან მათ წინააღმდეგ მიმართულ მტრულ ღონისძიებად. მაროკოს ზოგიერთ ტომთა ბელადები ცდილობენ მზადყოფნაში იყოლიონ საუკეთესო ძალები, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ უცხოელთა ექსპედიციების მოულოდნელ გამოჩენას[4].

ევროპელებმა ანტიქრისტიანული ქადაგება და, საერთოდ, ალხესირასის კონფერენციისადმი მტრული განწყობილება მარო-

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. №. 6898.

[2] იქვე.

[3] ფრანგებმა მაროკოში რამდენიმე სკოლა გახსნეს, რათა მაროკოში ფრანგული ორიენტაციის ახალი თაობა აღეზარდათ. გერმანელები მუდამ წინააღმდეგნი იყვნენ ამისა და, თავის მხრივ, ცდილობდნენ გერმანული სკოლები გაეხსნათ და მაროკოს ახალგაზრდობა გერმანული სულით აღეზარდათ.

[4] მაროკოში შექმნილ მდგომარეობის შესახებ იხ. Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 17, 18.

კოში თავიანთი ინტერესების საზიანოდ მიიჩნიეს; მათ გადაწყვიტეს დაეცვათ ეს ინტერესები, რომლებიც ესოდენ დიდ საფრთხეში იმყოფებიან. ამისათვის საჭიროა შეიარაღებული ძალა, მაგრამ ვინ მიიღებს ამაზე მანდატს? როგორ უნდა გადაწყდეს ეს საქმე? უნდა გაიგზავნოს იქ ინტერნაციონალური ლაშქარი, თუ რომელიმე ცალკეულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს მაროკოში „ევროპელთა ინტერესების“ ადგილობრივ „ფანატიკოსებისაგან“ დაცვის რწმუნებანი? აი, რა აღელვებს ევროპის სახელმწიფოებს. გერმანელები მზად არიან დათანხმდნენ იმაზე, რომ ეს საქმე ესპანეთმა იკისროს, ვინაიდან ესპანეთი სუსტი სახელმწიფოა, იგი ვერ გაბედავს მიიჩემოს მაროკო; მაგრამ საფრანგეთი, რომელმაც ყველაფერი გაითვალისწინა და უკვე ჯარები მოაგროვა ალჟირ-მაროკოს საზღვართან, ალბათ, თვითონვე მოინდომებს ითაოს ეს საქმე. ეს კი უკვე გერმანელთა ანგარიშში აღარ შედის, რადგან საფრანგეთი ძლიერია და იგი უეჭველად მიითვისებს მაროკოს [1].

ითვალისწინებს რა მაროკოში შექმნილ მდგომარეობას, გერმანიის დიპლომატია კვლავ არწმუნებს მაროკოს სულთანს, რომ გერმანია მისი „მეგობარია“, რომ გერმანია ამ კონფერენციაზე მაროკოს ინტერესების დასაცავად გამოვა; მაროკო კი თავის მხრივ უნდა ეცადოს, რაც შეიძლება ენერგიულად დაუჭიროს მხარი გერმანიას; კონფერენციისათვის შეარჩიოს ისეთი დელეგატები, რომლებიც გერმანიის ერთგულნი იქნებიან. გრაფი ტატენბახი მოაგონებდა აბდ-ელ-აზიზს იმის შესახებ, თუ როგორი ერთგული იყო მამამისი, სულთანი მულეი ჰასანი გერმანიისა, თუ როგორ უჯერებდა იგი ყველაფერში თავის „მეგობარ“ ტატენბახს. ტატენბაიი ურჩევს აბდ-ელ-აზიზს თავის მამასავით ერთგული იყოს გერმანიისა, ყველაფერში ენდოს მას [2]. მაროკოს წარმომადგენლებს რაც შეიძლება კარგად მოექეცით, ავალებდა ბიულოვი ალხესირასის კონფერენციის გერმანელ დელეგატებს, რათა ამით ისინი ჩვენდამი ნდობით აღეჭურვოთო [3].

ამგვარად, გერმანია იზოლირებული აღმოჩნდა. ბარონი ჰერმან ფონ ეკარდშტაინი სამართლიანად უსაყვედურებს გერმანიის ომამდელ დიპლომატიას. გაუგებარია ამბობს იგი, რატომ წავიდა გერმანია ამ კრაზანის ბუდეში, რატომ არ ისურვა მან ბოლო მოეღო ამ საქმისათვის რუკიეს მიერ 1905 წლის ზაფხულში შეთა-

---

[1] Diercks, დასახ. ნაშრ., გვ. 17, 18.

[2] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. №№ 6874, 6878.

[3] იქვე, დოკ. № 6948.

ვაზებული შეთანხმების გზით; რა საჭირო იყო ალხესირასის კონფერენციის მოწვევა, როცა წინასწარ ნათელი იყო, რომ ყველა სახელმწიფო, გარდა ავსტრიისა, საფრანგეთის მხარეზე იქნებოდაო[1].

* * *

კონფერენციის მუშაობა გაჭიანურდა, რაც შედეგი იყო მხარეთა შორის გაუთავებელი დავისა და კამათისა, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა. ამასთანავე საჭირო იყო ყველაფერი, რაც ამ კონფერენციაზე ითქმებოდა ან დაიწერებოდა, სულთნის დელეგატებისათვის ეთარგმნათ მათ მშობლიურ ენაზე, რადგანაც მაროკოს წარმომადგენლებმა ევროპული ენები არ იცოდნენ.

დიდხანს იბრძოდა გერმანია, ყველაფერს მიმართა მან: მოსყიდვას, მუქარას, დაშინებას. უმრავლესობის მხარდაჭერით დაიმედებული საფრანგეთი არაფერს სთმობდა. ბევრჯერ იყო მოსაღოდნელი კონფერენციის ჩაშლა... ბოლოს და ბოლოს გერმანიამ, რომელიც დარწმუნდა, რომ საბოლოოდ და სავსებით იზოლირებულია, ფარ-ხმალი დაყარა და წინააღმდეგობა შეწყვიტა. ტეილორის მოხდენილი თქმით, ბიულოვმა დაკარგა ნებისყოფის სიმტკიცე; მთელი საქმე თვით იკისრა, ხოლო ჰოლშტაინი მოიშორა (უკანასკნელი მალე ოფიციალურადაც გადადგა კიდეც). 5 აპრილს ბიულოვს, რომელიც რაიხსტაგში გამოდიოდა სიტყვით და თავის პოლიტიკას იცავდა, გულის მწვავე შეტევა მოუვიდა, რის შედეგადაც კანცლერი ფაქტიურად რამოდენიმე თვის განმავლობაში მწყობრიდან გამოვიდა. ყოველივე ეს ისევე სიმბოლური იყო, როგორც მის მიერ ათი თვის წინ თავადის ტიტულის მიღებაო, წერს ტეილორი[2]. ბიულოვის დიპლომატია დამარცხდა, ეს დამარცხება ფიქსირებულია კონფერენციის მიერ მიღებულ „გენერალურ აქტში“.

„ალხესირასის გენერალური აქტი“ ხელმოწერილ იქნა 1906 წლის 7 აპრილს. იგი შედგება 7 თავისაგან და 123 მუხლისაგან[3]. აქტის შესავალში ნათქვამია, რომ აქტზე ხელის მომწერი სახელმწიფოები მაროკოს სამ ძირითად პრინციპს აღიარებენ: 1. მაროკოს სულთნის სუვერენიტეტსა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებ-

---

[1] E. B. Тарле, Европа в эпоху империализма, გვ. 138.

[2] Тэйлор, დასახ. ნაშრ., გვ. 446.

[3] აქტის სრული ტექსტი იხ. დებიდურის თხზულებაში: Debidour, დასახ. ნაშრ., გვ. 294—318. შემოკლებული ტექსტი იხ. კრებულში: „Международные отношения“ 1870—1918, დოკ. № 91, გვ. 158—162.

ლობას, 2. მაროკოს სახელმწიფოს მთლიანობის დაცვას, 3. მაროკოში ეკონომიური საქმიანობის თვალსაზრისით ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორობას და თავისუფლებას („ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა პრინციპი"). აქტის პირველი თავი შეეხება მაროკოში პოლიციის ორგანიზების საკითხს; მეორე თავში დასახულია იარაღის კონტრაბანდაზე თვალყურის დევნებისა და მისი აკრძალვის ღონისძიებანი; მესამე თავში ლაპარაკია მაროკოს სახელმწიფო ბანკის (Banque d'Etat du Maroc) შექმნის შესახებ; მეოთხე თავში განხილულია გადასახადების უკეთ აკრეფის საკითხი და დასახულია ღონისძიებანი გადასახადთა წყაროების გამონახვისა; მეხუთე თავი ეხება საბაჟოების, კონტრაბანდული ვაჭრობისა და ვაჭრობაში ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს; მეექვსე თავი შეიცავს დეკლარაციას საზოგადოებრივი სამუშაოებისა და საზოგადოებრივი სამსახურის შესახებ; მეშვიდე თავი შეიცავს ზოგად დასკვნით ნაწილს.

კონფერენციის ძირითადი და თავსატეხი საკითხები იყო ბანკისა და პოლიციის ორგანიზების საკითხები. დანარჩენ საკითხებს არ ჰქონდათ არსებითი მნიშვნელობა და მათში შეთანხმებაც ადვილად იქნა მიღწეული.

ევროპის სახელმწიფოთათვის მაროკოს ბანკის ხელში ჩაგდება შერიფის იმპერიაში ეკონომიური შეჭრის წარმატებით განხორციელებისა და მასზე ეკონომიური კონტროლის დაწესების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. რაც შეეხება პოლიციის ორგანიზების საკითხს, აქ უკვე საქმე შეეხებოდა მაროკოზე პოლიტიკური კონტროლის განხორციელებას. ის სახელმწიფო, რომელიც ხელთ იგდებდა მაროკოში პოლიციის ორგანიზებისა და მასზე ზედამხედველობის უფლებას, მაროკოში პოლიტიკურადაც განმტკიცდებოდა. საფრანგეთი, რომელმაც „ღია კარების და თანასწორ შესაძლებლობათა" პრინციპი აღიარა, ამტკიცებდა, რომ ამით მან ძალზე ბევრი დათმო; მას სრულიადაც აღარ სურდა დაეკარგა შერიფის იმპერიაში მოპოვებული პრივილეგიური მდგომარეობა. რევუალის თქმით, „ღია კარები" იმას ნიშნავს, რომ ისინი, რომლებიც სახლში სხვედან გამოვიდნენ იქიდან[1].

საფრანგეთი აღარ სჯერდება პოლიციის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უფლებით მხოლოდ ალჟირ-მაროკოს საზღვარზე, იგი მოითხოვს პოლიციის მანდატს მთელს მაროკოზე. ინგლისი,

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6974.

ჩ. ა. შ. შ., რუსეთი, იტალია და მცირე სახელმწიფოები კვერს უკრავენ მას. გერმანიის დელეგაცია კატეგორიულად უარყოფს საფრანგეთის ასეთ მოთხოვნებს, რადგანაც, ბიულოვის თქმით. ასეთ შემთხვევაში სულთნის დამოუკიდებლობა მოისპობა[1]. გერმანიისათვის მაროკო დაიკარგება ისევე, როგორც ტუნისი, მადაგასკარი და სხვა. საფრანგეთის ხელში მაროკოს პოლიციის გადასვლა მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატს უდრის. გერმანიამ, თავის მხრივ, პოლიციის ორგანიზების ინტერნაციონალური პრინციპი წამოაყენა.

საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება, ხელთ ეგდო პოლიციის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის მანდატი მთელს მაროკოში, მტკიცე და საბოლოო იყო. რევუალი აცხადებდა: საფრანგეთი უარყოფს პოლიციის ორგანიზების საკითხში ყოველგვარ ინტერნაციონალურ პრინციპს, რადგანაც ეს პრინციპი ეწინააღმდეგება 8 ივლისის შეთანხმებით აღიარებულ საფრანგეთის სპეციალურ ინტერესებს მაროკოში; საფრანგეთის მდგომარეობა ალჟირში აუცილებლად საჭიროებს მაროკოს პოლიციის ხელმძღვანელობის საფრანგეთისათვის გადაცემას. საფრანგეთმა განაცხადა აგრეთვე, რომ იგი პოლიციის ხელმძღვანელობას მაროკოში განახორციელებს ესპანეთთან ერთად[2]. ამ კომბინაციებზე შეჩერდა საბოლოოდ საფრანგეთი და მისი ოდნავად შეცვლაც კი აღარ სურდა. მან თავისი გაიტანა კიდეც.

გერმანელებმა, როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთის ასეთ გეგმის წინააღმდეგ გაილაშქრეს[3] და მაროკოში პოლიციის ორგანიზების ინტერნაციონალური პრინციპი წამოაყენეს. რადოვიცი ეუბნებოდა რევუალს, რომ საკითხი საფრანგეთისათვის მაროკოს პოლიციის ხელმძღვანელობის საერთო მანდატის გადაცემის შესახებ კონფერენციის პროგრამიდან უნდა მოიხსნას და სხვა სახის კომბინაციები უნდა იქნეს გამონახულიო[4]. ფრანგები ხედავდნენ, რომ გერმანიას ინტერნაციონალური რეფორმების საშუალებით მაროკოდან საფრანგეთის გამოდევნა სურდა და მაროკოს ინტერნაციონალიზაცია ჰქონდა გადაწყვეტილი. ამიტომ უმრავლესობის მხარდაჭერით გათამამებული საფრანგეთი გერმანიის ყოველ წინადადებას პოლიციის ორგანიზების საკითხში სასტიკი წინააღმდეგობით ხვდებოდა.

როგორი იყო გერმანიის წინადადებები? უპირველეს ყოვლისა გერმანია მოითხოვდა პოლიციის ორგანიზების საკითხში სულთნის

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 6927.
[2] Tardieu, დასახ. ნაშრ., გვ. 102.
[3] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. №№ 6980, 6987, 6988.
[4] იქვე, დოკ. № 6964.

ავტორიტეტის დაცვას[1], ანუ სულთანს უნდა მოეწვია პოლიციის ინსტრუქტორები, რომლებიც მოახდენდნენ პოლიციის ორგანიზებას და ხელმძღვანელობას გაუწევდნენ მას. საფრანგეთი ერთ ხანს ყოყმანობდა, ეცნო თუ არა სულთნის ავტორიტეტი. სულთანი ხომ გერმანიის „მეგობარია“ და ვაითუ უპირატესობა გერმანელებს მიანიჭოს... სულთანი სუსტია, მას არ ძალუძს ესოდენ ძნელი საქმე ითავოს, გაიძახოდნენ ფრანგები. ბოლოს და ბოლოს სულთნის ავტორიტეტი ხომ მხოლოდ ფორმალობა იყო იმპერიალისტთა თვალში... ფრანგები დათანხმდნენ ეცნოთ ეს „ავტორიტეტი“, მხოლოდ იმ პირობით, რომ სულთანს პოლიციის ინსტრუქტორებად მხოლოდ ფრანგები და ესპანელები უნდა მოეწვია. გერმანია არ ეთანხმებოდა ფრანგებს, ეს ხომ „შენიღბული პროტექტორატიაო“ განაცხადა ტატენბახმა. გერმანიამ ახალი კომბინაცია წამოაყენა: პოლიციის ხელმძღვანელობა დაჰკისრებოდა საფრანგეთს, ესპანეთს და მესამე სახელმწიფოს, რომლის ქვეშ იგულისხმებოდა გერმანია. გერმანია საფრანგეთის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა და ეს კომბინაცია უარყო, ხოლო შემდეგ ახალი წინადადება წამოაყენა: სულთანმა პოლიციის ინსტრუქტორებად მცირე სახელმწიფოთა მოქალაქეები უნდა მოიწვიოს. ფრანგებს საწინააღმდეგო არა უნდა ჰქონდეთ რა. მართალია თვით ალარ იქნებიან ინსტრუქტორებად, მაგრამ,სამაგიეროდ, არც გერმანელები იქნებიან ასეთებად[2]. იზოლირებულმა გერმანიამ ვერც ეს გეგმა განახორციელა. მაშინ გერმანიის დელეგატებმა ახალი გეგმა წამოაყენეს, რომლის მიხედვითაც მაროკოს ოთხ ნავსადგურში (საფი, რაბატი, ტანჯერი, ტეტუანი) პოლიციის ინსტრუქტორებად ფრანგი ოფიცრები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო სამ ნავსადგურში (მოგადორი, მაზაგანი, ლარაში) ესპანელი ოფიცრები; მერვე ნავსადგური (კასაბლანკა) ნეიტრალურად უნდა გამოეცხადებინათ და აქ პოლიციის ხელმძღვანელობა შვეიცარიის ან ჰოლანდიის წარმომადგენელს უნდა გადასცემოდა. ამ გეგმის მიხედვით პოლიციის ინსპექტორი კასაბლანკაში იმავე დროს იქნებოდა მაროკოს მთელი პოლიციის მთავარი ინსპექტორი. იგი, ეს ე. წ. გენერალური ინსპექტორი, საერთო ზედამხედველობას განახორციელებს ტანჯერის დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელობით[3]. ფრანგები დათანხმდნენ შექმნილიყო „გენერალური ინსპექტორის“ პოსტი და ამ პოსტზე შვეიცარიელი ოფიცრის კანდიდატურა წამოაყენეს. „გენერალური

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. № 7004.

[2] იქვე, დოკ. № 6997.

[3] იქვე, დოკ. № 7045, 7060.

ინსპექტორის“ სამყოფელი ტანჯერი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება გენერალური ინსპექტორის უშუალო მეთაურობის ქვეშ კასაბლანკის პოლიციის დაყენებას, ეს, საფრანგეთმა კატეგორიულად უარყო. საფრანგეთის წინადადებით „გენერალურ ინსპექტორს“ მაროკოს პოლიციის მიმართ რაიმე მბრძანებლობის უფლება არ უნდა ჰქონოდა საერთოდ. მისი უფლებები, ამდენად, მხოლოდ ფორმალური ზედამხედველობით იფარგლებოდა[1].

გერმანია მოითხოვდა, რომ მაროკოს პოლიციის უზენაესი კონტროლიორის უფლება ტანჯერის დიპლომატიურ კორპუსს გადაცემოდა. ასეთი გზით გერმანია ცდილობდა მაროკოს პოლიცია ინტერნაციონალურ კონტროლისათვის დაექვემდებარებინა და გამოერიცხა საფრანგეთ-ესპანეთის მონოპოლიური უფლება მაროკოს მიმართ. საფრანგეთმა გერმანიის ამ წინადადებას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და კატეგორიულად უარყო იგი[2].

უკანასკნელად გერმანიამ კიდევ ერთი ახალი წინადადება წამოაყენა: მაროკოს ოთხ ნავსადგურში პოლიციის ხელმძღვანელობა თვით მაროკოელთათვის გადაეცათ. საფრანგეთმა არც ეს წინადადება მიიღო[3].

ბოლოს და ბოლოს გერმანიამ შეწყვიტა წინააღმდეგობა და მაროკოს პოლიციის ორგანიზების საქმეში საფრანგეთის ყველა წინადადება მიიღო.

„ალხესირასის გენერალური აქტის“ პირველი თავი — „დეკლარაცია პოლიციის ორგანიზების შესახებ“ საფრანგეთის გამარჯვების მაუწყებელია. დეკლარაციის ძალით მაროკოში პოლიციის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უფლება მოიპოვეს მხოლოდ საფრანგეთის და ესპანეთის ოფიცრებმა და უნტერ-ოფიცრებმა (რიგითი შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება ადგილობრივ მუსლიმანებიდან სულთნის მიერ). სულთანმა ყოველგვარი პირობები უნდა შეუქმნას ფრანგ და ესპანელ ოფიცრებს: ბინის, მომარაგების, ხელფასის და სხვათა სახით. „გენერალური ინსპექტორი“ იმყოფება ტანჯერში, ეს პოსტი უკავია შვეიცარიელ ოფიცერს. მას არ გააჩნია რაიმე მბრძანებლობითი უფლება მაროკოს პოლიციის მიმართ, იგი მხოლოდ კონტროლს უწევს მაროკოს პოლიციას და შედეგებს სულთანს მოახსენებს ხოლმე. სულთნისადმი წარგზავნილი მოხსენებითი ბარათის ასლი მან უნდა გადაუგზავნოს ტანჯერში მყოფ დიპ-

---

[1] Die Grosse Politik, ტ. XXI, ნაწ. I, დოკ. №№ 7107, 7109, 7111.

[2] იქვე, დოკ. №№ 7094, 7105, 7131.

[3] იქვე, დოკ. № 7111.

ლომატიურ კორპუსს ცნობისათვის... მთელი უფლებები დიპლომატიური კორპუსისა გამოიხატება იმაში, რომ პოლიციის შესახებ რაიმე საჩივრის შემთხვევაში მას აქვს „უფლება“ ხთხოვოს „გენერალურ ინსპექტორს“ მოახდინოს გამოძიება.

ამგვარად, საფრანგეთმა მაროკოში პოლიციის ინტერნაციონალიზაციისა და ნეიტრალიზაციის პრინციპი, რომლის განხორციელებისათვის ესოდენ დაჟინებით იბრძოდა გერმანია, არარაობად აქცია და მაროკოს პოლიციის ფაქტიური მბრძანებელი გახდა.

გერმანიამ ბანკის საკითხშიც წარუმატებლობა განიცადა. გერმანია მოითხოვდა, რომ მაროკოში შექმნილიყო საერთაშორისო ბანკი, რომელშიაც ყველა სახელმწიფოს თანასწორი წილი და უფლებები ექნებოდა. საფრანგეთი თანახმა იყო საერთაშორისო ბანკი შეექმნათ, მაგრამ იმ პირობით, რომ საერთო კაპიტალიდან საფრანგეთი სხვებზე მეტ წილს მიიღებდა. ამ მოთხოვნას საფრანგეთი ამართლებდა იმით, რომ 1904 წელს მან სულთანს 62,5 მილიონი ფრანკი მისცა სესხად, რის შედეგადაც საფრანგეთს მაროკოს ფინანსებში მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს. გერმანია იძულებული გახდა ბანკის საკითხშიც დათმობაზე წასულიყო. „ალხესირასის გენერალური აქტის“ ძალით მაროკოში დაარსდა „მაროკოს სახელმწიფო ბანკი“. ბანკის ძირითადი კაპიტალი 14 ნაწილად გაიყო, აქედან საფრანგეთმა სამი ნაწილი მიიღო. დანარჩენმა სახელმწიფოებმა კი თითო-თითო, ფინანსურ საკითხებში დავის განსახილველად შექმნილ სასამართლოს მხოლოდ ფრანგული კომერციული და ფინანსური კანონებით უნდა ემოქმედა.

„გენერალური აქტის“ უკანასკნელი 123-ე მუხლის ძალით, ყველა ძველი ხელშეკრულება, დადებული კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მაროკოს საკითხში ძალაში რჩებოდა. ესე იგი ძალაში დარჩა საფრანგეთ-ესპანეთის საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც მაროკოს გაყოფას ითვალისწინებდა. ძალაში დარჩა აგრეთვე საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმების როგორც ოფიციალური ისე საიდუმლო ნაწილი. 123-ე მუხლი არარაობად აქცევდა სახელმწიფოების მიერ მაროკოს სულთნის სუვერენიტეტის აღიარებას.

ალხესირასის კონფერენციამ საფრანგეთს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. მართალია, აღიარებულ იქნა მაროკოში „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა“ პრინციპი, რაც ერთის შეხედვით თითქოს გერმანიის წარმატებაზე მიუთითებს, მაგრამ ეს წარმატება მოჩვენებითი იყო, უფრო მეტად ფორმალური ხასიათისა. მთელი მატერიალური მოგება საფრანგეთმა მიიღო; მან ხელთ იგდო მაროკოში პოლიციის ხელმძღვანელობა და ამით პოლიტიკური კონ-

ტროლი განახორციელა შერიფის იმპერიის მიმართ. მაროკოს ეკონომიკაშიც პირველობა მას ხვდა წილად, რადგანაც მაროკოს სახელმწიფო ბანკში წამყვანი ადგილი იგდო ხელთ. ალხესირასის კონფერენციამ ჩაშალა გერმანიის გეგმა: ომის გარეშე საფრანგეთი მორჩილებაში მოეყვანა. ჰოლშტაინი უკმაყოფილო იყო მომხდარი ფაქტით და არ მალავდა იმას, რომ თვითონ ომსაც არ შეუშინდებოდა. უჩიოდა თავის თავს იმაში, რომ „წამყვანი ფიგურები" კარგად ვერ შევაფასეო. „მე უნდა მცოდნოდა,—ამბობდა იგი,—რომ ბიულოვის უკანასკნელ საშუალების (ომის—გ. კ.) აუცილებლობის შეგნებამდე მიყვანა ძნელი იყო, ხოლო მისი უდიდებულესობისა (ვილჰელმ II-ის—გ. კ.) კი შეუძლებელი". ტეილორი ამას, სამართლიანად, წინდაუხედავ განცხადებად თვლის. ჰოლშტაინი, წერს იგი, უგულებელყოფდა საზოგადოებრივ აზრს, „კაბინეტურ დიპლომატიობანას" თამაშობდა, ბიულოვი კი უფრო მეტ გამჭრიახობას იჩენდა, როცა აღიარებდა, რომ „გერმანელი ხალხისათვის მაროკოსათვის ომი გაუგებარი იქნებოდა"[1].

ალხესირასის კონფერენციამ დაარწმუნა საფრანგეთი, რომ ინგლისი და რუსეთი მისი ერთგული მოკავშირეებია, რომ იტალია გულცივობას იჩენს „სამთა კავშირის" მიმართ. გათამამებული საფრანგეთი მალე ივიწყებს ალხესირასის გადაწყვეტილებას და ახალი ძალით აჩაღებს ექსპანსიას მაროკოს მიმართ.

საფრანგეთის მიერ მაროკოს მიმართ აგრესიის გაცხოველებას გერმანია მედგარ წინააღმდეგობას უწევს. მაროკოს საკითხი კვლავ ბადებს ახალ საერთაშორისო კონფლიქტებს; კაცობრიობას კვლავ საშინელი ომის საფრთხის წინაშე აყენებს.

* * *

ალხესირასის შემდეგ მაროკოს ხალხის სიძულვილი ევროპის სახელმწიფოებისა და მათი ტიკინის აბდ-ელ-აზიზის მიმართ ძლიერდება. ამით სარგებლობს სულთნის ძმა მულეი ჰაფიდი და ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით ძმის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობს. მაროკოში შექმნილ არეულობით სარგებლობს საფრანგეთი, ხელზე იხვევს ერთი ფრანგი მოქალაქის მკვლელობას და იწყებს მაროკოს ტერიტორიის ოკუპაციას. 1907 წელს ფრანგებმა მაროკოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი იგდეს ხელთ. გერმანია აღშფოთებული იყო საფრანგეთის ასეთი მოქმედებით. 1908 წელს ე. წ. „კა-

[1] Тейлор, დასახ. ნაშრ., გვ. 446.

საბლანკას ინციდენტის“ დროს წინააღმდეგობამ გერმანიასა და საფრანგეთს შორის ახალი ძალით იჩინა თავი. 1908 წელს მულეი ჰაფიდი სულთნად გამოაცხადეს. მალე ისიც ფრანგების გავლენის ქვეშ მოექცა. 1910 წელს ფრანგებმა მულეი ჰაფიდს თავს მოახვიეს ახალი კაბალური სესხი 101 მილიონი ფრანკის რაოდენობით. 1911 წელს მაროკოში კვლავ აჯანყებაა. ფრანგებმა ჯარები შეიყვანეს მაროკოს ტერიტორიაზე და ხელთ იგდეს ახალი რაიონები, მათ შორის ფეცი, რაბატი, მაკნეზი. თითქმის მთელი მაროკო საფრანგეთის ხელთ იყო.

საფრანგეთის მიერ მაროკოს ოკუპაციამ გერმანიის სასტიკი პროტესტი გამოიწვია. 1911 წლის 1 ივლისს გერმანიამ სამხედრო გემი „ავაზა“ გაგზავნა მაროკოს ნავსადგურ აგადირში. ამ ინციდენტს, ე. წ. „ავაზას ნახტომს“ მწვავე კრიზისი (ე. წ. მაროკოს მეორე კრიზისი) მოჰყვა, რომელმაც კინაღამ ომი გამოიწვია. კრიზისი კომპრომისით დამთავრდა. 1911 წლის 4 ნოემბერს გერმანიასა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულება დაიდო: გერმანიამ სცნო საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე, რის სანაცვლოდ მიიღო საფრანგეთის კონგოს ნაწილი.

1912 წლის 30 მარტს ქალაქ ფეცში მაროკოს სულთანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატი გამოცხადდა.

ამიერიდან მაროკოს ხალხი საფრანგეთის კოლონიური მონობის უღელში შეაბეს. ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის შეთანხმების საფუძველზე 1912 წლის 27 ნოემბერს ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მაროკოს ნაწილი ესპანეთს გადაეცა (ე. წ. ესპანეთის მაროკო). მაროკოს ხალხი გმირულად იბრძოდა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, საფრანგეთისა და ესპანეთის იმპერიალისტები სისხლის მორევში ახშობდნენ სახალხო წინააღმდეგობას.

1921 წელს ესპანეთის მაროკოში, რიფის მთიანეთის მამაცმა მოსახლეობამ აჯანყების დროშა ააფრიალა, ესპანეთის ჯარი გენერალ სილვესტრას მეთაურობით განადგურებულ იქნა. შეიქმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკა რიფი. ესპანელებმა მის წინააღმდეგ ვერა გააწყვეს რა. საქმეში საფრანგეთი ჩაერია. 1925 წელს დაიწყო საფრანგეთ-რიფის ომი. საფრანგეთი ესპანეთთან ერთად მოქმედებდა. სისხლისმღვრელი, უთანასწორო ბრძოლა 1926 წლის 25 მაისს დამთავრდა რიფის კაპიტულაციით. მაროკოს ხალხი განაგრძობდა ბრძოლას, მხოლოდ 1934 წელს, ე. ი. მაროკოზე პროტექტორატის გამოცხადებიდან 22 წლის შემდეგ შესძლეს ოკუპანტებმა ქვეყნის

„დამშვიდება“. XX საუკუნის 30-იან წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის სათავეში უკვე ვხედავთ მაროკოს ნაციონალურ ბურჟუაზიას, დიდ როლს თამაშობს აგრეთვე მაროკოს ახალგაზრდა მუშათა კლასი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში ინიციატივას მაროკოს ნაციონალური ბურჟუაზიული პოლიტიკური ორგანიზაციები და ჯგუფები იჩენდნენ. მათ შორის ბურჟუაზიული გაზეთის „აკსიონ დიუ პეპლ“-ის ირგვლივ შემოკრებილი პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია და 1934 წელს შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია „ნაციონალური მოქმედების მაღრიბის ბლოკი“. ეს უკანასკნელი 1937 წლის მარტში ორ პარტიად გაიყო: „ნაციონალური მოძრაობა“ და „მოთხოვნათა განხორციელების ნაციონალური პარტია“. 1936 წელს ესპანეთის მაროკოში შეიქმნა „ნაციონალურ რეფორმათა პარტია“, რომელიც 1939 წელს ფრანკისტული რეჟიმის წინააღმდეგ და ესპანეთის მაროკოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი ძალით იჩინა თავი. 1943 წლის დასაწყისში შეიქმნა მაროკოს კომუნისტური პარტია, მან წამოაყენა მაროკოს დამოუკიდებლობის პროგრამა და მის განხორციელებისათვის ფართო ბრძოლა გააჩაღა (მაროკოში კომუნისტური პარტია არსებობდა ჯერ კიდევ 1920 წლიდან, როგორც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ფილიალი. ძირითადად იგი მაროკოში მცხოვრებ ფრანგ მუშებისაგან და ინტელიგენციისაგან შედგებოდა, ამასთან ერთად პარტიაში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. მაშინ მაროკოს კომპარტია არ წარმოადგენდა ადგილობრივი მუშათა კლასის მასობრივ პარტიას). მაროკოს კომუნისტური პარტია, რომელიც მაროკოს ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველ ძალად იქცა, ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის ყველა პატრიოტული ძალა საერთო მიზნისათვის, სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლისათვის დაერაზმა. 1943—44 წწ. ძველი, ომამდელი ნაციონალური პარტიის ბაზაზე შეიქმნა „დამოუკიდებლობის“ ბურჟუაზიული პარტია (ხიზბ ალ ისტიკლიალ). 1944 წლის 11 იანვარს პარტიამ მიიღო მანიფესტი მაროკოს დამოუკიდებლობისა და ნაციონალური ერთიანობის შესახებ. მაროკოს ხალხის ეროვნულ ბრძოლას მსოფლიოს ყველა პროგრესული ძალა თანაუგრძნობდა. მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება და მასობრივ ხასიათს ღებულობს. ამ ბრძოლაში მაროკოს ხალხმა ბოლოს და ბოლოს წარმატებას მიაღწია. 1956 წლის 2 მარტს საფრანგეთის მთავრობამ მაროკოს დამოუკიდებლობა გა-

მოაცხადა. 1912 წლის ხელშეკრულება მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის შესახებ გაუქმდა. 5 აპრილს მაროკოს დამოუკიდებლობა სცნო აგრეთვე ესპანეთმაც. იმავე წლის 29 ოქტომბერს მაროკოს შემოუერთდა აგრეთვე ტანჯერი, რომელიც საერთაშორისო ზონად ითვლებოდა. ამიერიდან მაროკოს ხალხის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. მაროკოს ხალხის წინაშე დღეს გადაუდებელი ამოცანა დგას, რომელიც კოლონიური რეჟიმის ყოველგვარი ნაშთების ლიკვიდაციაში მდგომარეობს.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ამგვარად, როგორც ვნახეთ XX საუკუნის დასაწყისში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაინტერესებამ მაროკოთი ფართო ხასიათი მიიღო. დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის არიან საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი და სხვანი.

საფრანგეთმა შესძლო მაროკოს მიმართ განსაკუთრებული უფლებების მოპოვება ჯერ იტალიასთან, ხოლო შემდეგ ინგლისთან და ესპანეთთან 1904 წელს დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე. საფრანგეთი შეუდგა ამ უფლებათა განხორციელებას ე. წ. „მშვიდობიან შეჭრას“ მაროკოში, რაც ფაქტიურად მოასწავებდა მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებას.

XX საუკუნის დასაწყისში კოლონიებით გერმანიის დაინტერესება, კერძოდ კი მაროკოთი, მნიშვნელოვან ფარგლებს აღწევს. გერმანიას იზიდავს ეკონომიურად ესოდენ მდიდარი და შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყანა. გერმანიას ორმხრივ აინტერესებს მაროკო: ეკონომიურად და სტრატეგიულად. ეკონომიურ თვალსაზრისით მაროკოს ხელში ჩაგდება გერმანიას დიდ პერსპექტივებს უსახავს. გერმანელები მაროკოს სახით ხედავენ ნედლეულის უმდიდრეს ბაზას, კაპიტალის დაბანდების ფართო ასპარეზს; მაროკოს შესანიშნავი კლიმატი და ნოყიერი ნიადაგი ამ ქვეყნის გერმანიის იმპერიის აგრარულ დანამატად გადაქცევის დიდ პერსპექტივებს სახავს. მაროკო, მდებარე მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ორი საზღვაო გზის—ატლანტის და ხმელთაშუა ზღვის—ჯვარედინზე, საუკეთესო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს. მისი ხელში ჩაგდებით გერმანია ამ ორი გზის მბრძანებელი გახდებოდა. გერმანია, რომელიც ემზადებოდა მსოფლიოს ხელახალ განაწილებისათვის და რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული მსოფლიო ჰეგემონი გამხდარიყო, ხარბი თვალით შესცქეროდა მაროკოს და მისი დაპყრობა სურდა.

გერმანია წინააღუდგა საფრანგეთის განზრახვას დაემყარებინა მაროკოზე პროტექტორატი. იგი აქტიურად ჩაერია მაროკოს საქმეებში და საფრანგეთს ომით დაემუქრა. ამიერიდან მაროკოსათვის ბრძოლა ძირითადად საფრანგეთსა და გერმანიას შორის წარმოებს. მაროკოს საკითხი საერთაშორისო კონფლიქტის ხასიათს ღებულობს. ყოველ წამს მოსალოდნელი იყო ომი გერმანიასა და საფრანგეთ-ინგლისს შორის. გერმანიის აქტიურობა განსაკუთრებით თავს იჩენს რუსეთის არმიების მუკდენთან წარუმატებლობის შემდეგ. გერმანიის მიზანია: განდევნოს მაროკოდან საფრანგეთი და ხელთ იგდოს ეს ფდიდარი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანა, ჩაშალოს ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. გერმანიამ აშკარა მუქარის ხერხს მიმართა და „მცირე ერების“ მფარველის ნიღაბი აიფარა. ორივე ბანაკში ომისათვის გაცხოველებული მზადება დაიწყო.

1904 წლის დასაწყისში გერმანიას მზად ჰქონდა მაროკოს ოკუპაციის გეგმა და განზრახული ჰქონდა ამ გეგმის განხორციელება. მაგრამ მან შესცვალა პოლიტიკა მაროკოს მიმართ 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების გამო. ახლა მან მაროკოს „მფარველად“ და „მეგობრად“ გამოაცხადა თავი. მაროკოს იგი იყენებდა ინგლის-საფრანგეთის ბლოკის წინააღმდეგ და ამავე დროს „მეგობრის“ ნიღბით მაროკოში პოლიტიკურ და ეკონომიურ პოზიციებს იმტკიცებდა.

გერმანიამ არ გააჩაღა ომი და საკითხის დიპლომატიური გზით გადაჭრა მიიჩნია უმჯობესად. ომი მაროკოსათვის იქნებოდა ომი არა მხოლოდ მაროკოსათვის, არამედ უფრო ფართო და გრანდიოზული ომი, იმპერიალისტური ომი გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთის ბლოკს შორის; მაროკოსათვის ომი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხასიათს მიიღებდა. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის და გერმანიისთვის მსოფლიო ჰეგემონობის მოპოვებისათვის. ასეთი ომისათვის გერმანიის მმართველ წრეებს დრო ხელსაყრელად არ ჰიაჩნდათ. გერმანიამ არ დაიწყო ომი შემდეგი გარემოებებისა გამო: ა) გერმანიას არ ჰქონდა ჯერ საკმაოდ ძლიერი ფლოტი და ამიტომ არ შეეძლო გამკლავებოდა ინგლისს. ბ) გერმანიაში ადგილი ჰქონდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობის აღმავლობას, სოციალისტური მოძრაობის გამოცოცხლებას, რაც რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენის შედეგი იყო, გერმანიის მთავრობა პირველ რიგში მუშათა მოძრაობის ჩახშობას ითვალისწინებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნდა შესაძლებლად ომის გაჩაღება. გ) გერმანიის მოკავში-

რე ავსტრია-ჰუნგრეთი არ იყო მზად ომისათვის. დ) პორტსმუტის ზავის შემდეგ რუსეთს კვლავ შეეძლო ევროპის საქმეებში ჩარევა.

ჯ დამახასიათებელია ინგლისის პოლიტიკა მაროკოს პირველი კრიზისის დროს. ინგლისი მოსურნე იყო ომისა. XX საუკუნის დასაწყისში ინგლისისათვის ნათელი გახდა, თუ რაოდენ დიდი საფრთხე აღიმართა მის წინაშე გერმანიის ახალგაზრდა იმპერიალიზმის სახით. გერმანია დიდ მეტოქეობას უწევს ინგლისს მსოფლიო ასპარეზზე. იგი იარაღდება, აგებს ძლავრ საზღვაო ფლოტს, მსოფლიოს ხელახალი განაწილება სურს. გერმანია მიზნად ისახავს წაართვას ინგლისს მსოფლიო ჰეგემონია. ინგლისის იმპერიალიზმის უპირველესი ამოცანაა ბრჭყალები დააჭრას ამ მეტოქეს, დაასუსტოს იგი და დააჩოქოს. ბრიტანეთის იმპერიალიზმს არ უყვარს თავისი ხელებით ომი, იგი უმჯობესად მიიჩნევს „სხვისი ხელით ნარის გლეჯის" ვერაგული პოლიტიკა გაატაროს; ბრიტანეთის მთავრობა ეძებს „კეთილისმყოფელს", რომელიც დაასუსტებს და გვერდებს ჩაუმტვრევს მისთვის ესოდენ საძულველ გერმანიას. ამ მიზნისათვის მას საფრანგეთის გამოყენება სურს, იგი დაუმეგობრდა კიდეც საფრანგეთს და ამ მეგობრობას მაროკო დაუდო საწინდრად. ინგლისმა იცოდა, თუ რაოდენ დაინტერესებული იყო გერმანია მაროკოთი, იცოდა, რომ გერმანია უსისხლოდ არ დასთმობდა ამ გემრიელ ლუკმას. მაროკო „ქიშპობის ვაშლი" იყო ინგლისის მიერ ვერაგულად ჩაგდებული გერმანიასა და საფრანგეთს შორის. 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებით ინგლისმა „ორი კურდღელი დაიჭირა" გერმანიასთან მომავალ ომში საფრანგეთის სახით მოკავშირე იშოვა, მეორეს მხრივ, მაროკოს სახით ჰპოვა საშუალება საფრანგეთ-გერმანიას შორის წინააღმდეგობის შემდგომი გამწვავებისა. ინგლისი აღრმავებს კონფლიქტს გერმანიასა და საფრანგეთს შორის, აქეზებს მათ ურთიერთ ომისაკენ.

გერმანიის პოლიტიკამ მაროკოს საკითხში 1904—1906 წლებში მარცხი განიცადა. გერმანიამ ვერც ერთი დასახული მიზანი ვერ განახორციელა, ვერ ჩაშალა ინგლის-საფრანგეთის ანტიგერმანული ბლოკი და ვერც მაროკო შეირჩინა. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ცალკეული პიროვნებების კაპრიზი როდი იყო (ვთქვათ, ედუარდ VII-ისა, ლუბესი, დელკასესი, კამბონისა, ლენსდაუნისა თუ სხვა ვისიმე), როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები გვიმტკიცებენ. არამედ ეს იყო აუცილებლობა, გამომდინარე იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის განვითარების საერთო კანონებიდან. ძველმა იმპერიალისტურმა კონკუ-

რენტებმა — ინგლისმა და საფრანგეთმა—დაიწყეს ურთიერთ ჭიშპი და დაუპირისპირდნენ ახლად „გამომხტარი“ გერმანიის ახალგაზრდა ყაჩაღურ იმპერიალიზმს. ამაოდ ცდილობდა ბიულოვი და კომპ. ამ შეთანხმების ჩაშლას; მართალია ბიულოვმა მოახერხა დელკასეს გადადგომა, რომელიც გერმანიის „იზოლაციის“ შემოქმედად მიაჩნდა, მართალია ბალფურ-ლენსდაუნის კონსერვატიული კაბინეტი გადადგა და ადგილი დაუთმო კემპბელ-ბანერმანისა და სერ ედუარდ გრეის ლიბერალურ კაბინეტს, მაგრამ ამით არაფერი შეიცვალა. საფრანგეთ-ინგლისის მეგობრობა კვლავ გრძელდება, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მეტი და ახალი ძალით. ბიულოვის დიპლომატიამ არა თუ არ ჩაშალა ეს კავშირი, არამედ, პირიქით, უფრო განამტკიცა. მუქარისა და დაშინების პოლიტიკამ, ომისადმი ფართო სამზადისმა, რაც ბიულოვმა თავისი პოლიტიკის მეთოდებად გამოიყენა, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუახლოვა ერთმანეთს ინგლისი და საფრანგეთი, დააჩქარა ის, რომ 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება ფორმალურად თუ არა ფაქტიურად სამხედრო კავშირად გადაიქცა. „მოლაპარაკებანი“ ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის 1905 წლიდან სისტემატურ ხასიათს ღებულობს, რაც ბოლოს 1912 წლის ნოემბერში გრეი-კამბონის ცნობილი შეთანხმებით[1] დაგვირგვინდა. ბარონ როზენის სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანიის პოლიტიკა 1904—1906 წლებში მაროკოს საკითხში იყო „ტრაგედიის პირველი ნაწილი“.

---

[1] როგორც ცნობილია, 1904 წლის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება მათ შორის სამხედრო კავშირს ფორმალურად არ წარმოადგენდა. ფაქტიურად კი ორივე სახელმწიფოს გენერალურ შტაბებს შორის გერმანიასთან ომის შემთხვევაში ერთობლივი მოქმედების შესახებ მოლაპარაკება უკვე 1905 წლიდან დაიწყო. 1906 წლიდან გრეის, ჰოლდენისა და ასკვიტის მხარდაჭერით ამ მოლაპარაკებამ ახალი ძალით იჩინა თავი. ამიერიდან საფრანგეთის და ინგლისის სამხედრო და საზღვაო შტაბებს შორის არაოფიციალური, მაგრამ საქმიანი, ინტიმური მოლაპარაკება აღარ შეწყვეტილა. გერმანიასთან ომში ურთიერთ თანამშრომლობის ყველა დეტალი დაზუსტებულ იქნა. დაბოლოს, 1912 წლის 22—23 ნოემბერს დადებულ იქნა ე. წ. გრეი-კამბონის შეთანხმება. შეთანხმება ფორმალურად გაფორმდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერ ედუარდ გრეისა და საფრანგეთის რესპუბლიკის ლონდონელი ელჩის პოლ კამბონს შორის წერილების გაცვლა-გამოცვლის გზით. შეთანხმება საიდუმლო ხასიათს ატარებდა. იგი ითვალისწინებდა გერმანიასთან ომის შემთხვევაში ორივე ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობას გენშტაბების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმების საფუძველზე.

გერმანია მაროკოს ვერ დაეპატრონა და იქიდან ფრანგები ვერ განდევნა. გერმანიის ხელისუფლებამ მაროკოს „მფარველისა“ და „მეგობრის“ ნიღაბი აიფარა, მან მაროკოს ტერიტორიის მთლიანობის, სულთნის სუვერენიტეტის დაცვის და მაროკოში „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა“ პრინციპი დაუპირისპირა ინგლის-საფრანგეთის პრინციპს, რომელიც მაროკოზე საფრანგეთ-ესპანეთის პროტექტორატის დამყარებას ითვალისწინებდა. სულთნის მეგობრის როლში გამოსული გერმანია იმედოვნებდა, რომ მაროკოს გვერდში ამოიყენებდა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა“ პრინციპის წამოყენებით გერმანია ფიქრობდა მაროკოთი დაინტერესებული სხვა სახელმწიფოებიც მოეხიბლა და იმედოვნებდა, რომ ეს სახელმწიფოები მასთან ერთად იქნებოდნენ საფრანგეთ-ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანია, რომელიც თავის ეკონომიურ უპირატესობას გრძნობდა, იმედოვნებდა, რომ მაროკოში „ღია კარების“ საფუძველზე ადვილად დასძლევდა სხვა ქვეყნების კონკურენციას, გამოდევნიდა მათ მაროკოდან, ხოლო ამის შემდეგ მაროკოს „კარებს დახურავდა“ და ამ კარების დარაჯად გერმანელ ჯარისკაცს დააყენებდა. „ღია კარების“ დაცვა,—ეს იყო ნიღაბი, რომლითაც გერმანიას თავისი აგრესიული ზრახვების შენიღბვა სურდა. გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მაროკოს „კარების დახურვა“, მაროკოს მონოპოლიურად ხელში ჩაგდება. „ღია კარების“ პრინციპის დაცვა კი ამ მიზნის განხორციელების თავისებური საშუალება იყო. წამოაყენა რა მაროკოში „ღია კარების“ დაცვის პროგრამა, გერმანია ღიმით იმუქრებოდა, თუკი ამ პრინციპს საფრანგეთი არ მიიღებდა. ალხესირასის კონფერენციის წინ მეტად დაძაბული ვითარება შეიქმნა, მოწინააღმდეგენი გაცხოველებულ სამხედრო სამზადისს ეწევიან.

ალხესირასის კონფერენციაზე გერმანია იზოლირებული აღმოჩნდა; კონფერენციის გადაწყვეტილებანი საფრანგეთის სასარგებლოდ იყო მიმართული. ინგლისი ერთგულად უჭერდა მხარს საფრანგეთს, დაუფარავად ცდილობდა დაეცვა ინგლის-საფრანგეთის ახლად შექმნილი კავშირის სიმტკიცე. რუსეთიც საფრანგეთის მხარეზე იყო. მხოლოდ საფრანგეთისადმი მხარდაჭერისა და მაროკოს საკითხის საფრანგეთის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემდეგ შეეძლო მას მიეღო სანუკვარი სუსხი საფრანგეთისაგან, რომელიც ცარიზმს რევოლუციის ჩასახშობად სჭიროდა. ამაოდ იმედოვნებდა გერმანია, რომ რუსეთი თანაგრძნობას გაუწევდა გერმანიას იმ „კეთილმეგობრულ“ პოზიციის გამო, რომელიც გერმანიას ეკავა რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

იტალიამ ადრე უღალატა „სამთა კავშირს“ და საფრანგეთის მხარეზე აღმოჩნდა. სხვა სახელმწიფოებიც ინგლის-საფრანგეთის სასარგებლოდ მოქმედებდნენ. გერმანიას მხარს უჭერდა მხოლოდ ავსტრია-ჰუნგრეთი, მაგრამ ეს მხარდაჭერა იმდენად არაეფექტური იყო, რომ გერმანია გარკვეულ უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა ავსტრია-ჰუნგრეთის მიმართ. ალხესირასის გადაწყვეტილებანი ძირითადად საფრანგეთის სასარგებლოდ იყო წარმართული. მართალია „ალხესირასის გენერალური აქტის“ ძალით მაროკოში „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა“ პრინციპი იქნა აღიარებული, რის გამოც ერთის შეხედვით თითქოს გერმანიამ მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალური წარმატება; მთელი მატერიალური მოგება საფრანგეთს ხვდა წილად. მან ხელთ იგდო მაროკოს პოლიცია, ე. ი. პოლიტიკურად განმტკიცდა შერიფის იმპერიაში; მან წამყვანი ადგილი დაიკავა მაროკოს ბანკში, ე. ი. ეკონომიური უპირატესობა მოიპოვა სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. გერმანიამ ამ კონფერენციით მიიღო მხოლოდ „ჩენჩო“, შეღებილი ისე, როგორც მას სურდა. საფრანგეთმა კი „მარცვალი“ შეინარჩუნა.

მაროკოს კრიზისმა გაამწვავა ურთიერთობა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთს შორის და ამით იგი გარკვეულად ერთ-ერთი ხელის შემწყობი პირობათაგანი იყო პირველი იმპერალისტური ომის აღმოცენებისა.

ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკა მაროკოს საკითხში ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკა და დიპლომატია ფინანსური კაპიტალის ინტერესებს ემსახურება და მათი კარნახით მოქმედებს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თავი პირველი

მაროკოს ისტორიიდან

§ 1. მაროკოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრენი . 22
§ 2. მაროკო ანტიკურ პერიოდსა და შუა საუკუნეებში . . 27
§ 3. ევროპის სახელმწიფოები და მაროკო XV–XIX საუკუნეებში 34
§ 4. საფრანგეთისა და მაროკოს ურთიერთობანი XVI—XIX საუკუნეებში 40

თავი მეორე

მაროკოს საკითხი ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში 1880—1904 წლებში და ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება

§ 1. საფრანგეთის ბრძოლა მაროკოს ხელში ჩასაგდებად 1830—1904 წლებში 53
§ 2. 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება და მისი მნიშვნელობა 80

თავი მესამე

გერმანიის გამოსვლა მსოფლიო კოლონიურ ასპარეზზე

§ 1. მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის სამხადისი გერმანიაში . . 115
§ 2. გერმანიის მაროკოთი დაინტერესება და პირველი ნაბიჯები მაროკოს ხელში ჩაგდების მიზნით . 135

თავი მეოთხე

გერმანია და 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება

§ 1. როგორ გაიგეს 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება გერმანიაში . 161
§ 2. „დუმილისა და ლოდინის პოლიტიკა“ გერმანიაში. გერმანელების ანტიფრანგული ინტრიგები მაროკოში 167
§ 3. მაროკოში რეფორმების ჩატარების ფრანგული გეგმის წარუმატებლობა 177

თავი მეხუთე

მაროკოს კრიზისის გამწვავება და ომის საფრთხე ევროპაში

§ 1. „ლოდინის პოლიტიკის“ დასასრული და გერმანიის შეტევაზე გადასვლა. ვილჰელმ II ტანჯერში 182
§ 2. ინგლისის პოზიცია მაროკოს პირველი კრიზისის დროს . . 194
§ 3. მთავრობის კრიზისი საფრანგეთში და დელკასეს გადადგომა . 199
§ 4. მოლაპარაკება პარიზსა და ბერლინს შორის დელკასეს გადადგომის შემდეგ 210
§ 5. რატომ არ დაიწყო ევროპაში ომი 1905 წელს? 217

თავი მეექვსე

† ალხესირასის კონფერენცია 232

დასკვნები 265

რედაქტორი გ. ჟორდანია

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი

კონტროლიორ-კორექტორი ლ. გამცემლიძე

*

Гиви Шалвович Кигурадзе

Очерки из истории подготовки первой мировой войны

Первый Марокканский кризис

(На грузинском языке)

Изд-во ТГУ им. Сталина

Тбилиси — 1960

შეკვეთა № 2054 უე 01632 ტირაჟი 2000

ჩადაეცა წარმოებას 22/XII-59 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-60 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 1 საალრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 15,14.

ფასი 11 მან. 40 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.